№ 5.

ალექსანდრე ფრონელი

დიდებული მესხეთი

იასონ კერესელიძის გამოცემა.

ქ. გორი.
ელექტრო-მბეჭდავი სტამბა „ქართლი“.
1914

ალექსანდრე ფრონელი

დიდებული მესხეთი

იასონ კერესელიძის გამოცემა

ქ. გორი.
ელექტრო-მბეჭდავი სტამბა „ქართლი“
1914

ორმა გარემოებამ გაგვაბედვინა ამ კრებულის დაბეჭდა.

პირველი ისაა, რომ ქართულმა ყოველდღიურმა პრესსამ სამართლიანად დიდი ყურადღება მიაპყრო მესხეთს, ესე იგი სამხრეთ საქართველოს. ამ მშვენიერ კუთხეს უპირობენ მოკვეთას, მოწყვეტას. ჯერ-ჯერობით დანამდვილებით ვერ გაიგებს ადამიანი, ვინაა ამ ქირურგიულ აპერაციის მომხრე: მტერი, თუ მოკეთე.

ასეა თუ ისე, სამხრეთი საქართველო, ანუ მესხეთი, მოწყვეტილი საქართველოს, შეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში, შემოერთებული კვლავ მეცხრამეტე საუკუნეს, სადღეისო საპირ-ბოროტო საგნად შეიქმნა.

მეორე გარემოება ისაა, რომ გამაჰმადიანებული ქართველი თვის ისტორიულ »სახეს« ჰპოულობს და საჯაროდ აცხადებს, რომ მიუხედავად რჯულისა მეც იგივე ქართველი ვარ, როგორიცაა ღვიძლი ქართველი ქრისტიანიო.

ამ კრებულის გამოცემით, რომელშიაც გადმოვბეჭდეთ სამი წერილი: დიდებული მესხეთი, ნახული და გაგონილი და სამშობლო ქვეყანა, გვსურს ინტერესი გავუღვიძოთ საზოგადოებას მესხეთისადმი. იგი გაიგებს, რა ნატვრის თვალს და ობოლ მარგალიტს დაჰკარგავს, თუ ვინიცობაა გაიმარჯვა მტერმა და დუშმანმა და ეშმაკეული განძრახვა აისრულა. ჩახვდება იმასაც, თუ რა ხიფათი მოელის იმ ეროვნულ გამოფხიზლება-გაღვიძებას,

რომლის ნიშანიც, ჩვენდა საბედნიეროდ, ასე თვალსაჩინო შეიქმნა.

თუმცა გამაჰმიდიანებული ქართველი პირს იბრუნებს სამშობლოსაკენ, მაგრამ პირადად ჩვენ მესხეთის დღევანდელი ვითარება ძველებურად გულს გვიწყლულებს. დიდი, ფრიად დიდი ეროვნულ-კულტურული მუშაობაა საჭირო, თუ გვინდა, რომ სამშობლო შოთა რუსთველისა ხელიდან არ წაგვივიდეს.

ერთად ერთი საბაბი და მიზეზი ამ კრებულის დაბეჭდვისა სწორედ ისაა, რომ მოაგონოს ქართველს— დროა ვიფიქროთ და ვიზრუნოთ სამშობლოს იმ კუთხეზე, რომელმაც გვაჩუქა კანონმდებელნი: ბექა და აღბუღა, შეუდარებელი შოთა, ღვთისმეტყველნი: ექვთიმე დი გიორგი და ნეტარი მამა გრიგოლ ხანძთელი, ეს საკვირველი მნათობი ქართულ სინასი.

ავტორი.

1 მაისს 1914 წ.

ქ. ტფილისი.



დიდებული მესხეთი

Sic transit gloria mundi.
ლათინური ანდაზა.

I

ვინ გაკადნიერდება და იტყვის, რომ მესხეთი ძველად დიდებული არ იყო? ისტორიაში ჩახედული ამას არ იტყვის, ხოლო უვიცი და რეგვენი, ან განძრახ თვალებ აბმული ამას არ შეიწყნარებს და არა მკითხე მოამბესავით ბევრს უკადრის შეჰკადრებს რუსთველის სამშობლოს, მაგრამ რეგვენთა და ბრმათათვის არა ესწერთ ამ წერილს. ჩვენ კარგად გვახსოვს სიბრძნე ანდაზისა: მგლის თავზე სახარების კითხვა ცუდა შრომააო.

ისტორია, გეოგრაფია, არქეოლოგია და საეკლესიო არქიტეკტურა ცხადადა ჰყოფს მესხეთის დიდებას [1]). აწყურიდან მოყოლებული მესხეთის კალთა შავ ზღვასა

---

[1]) ისტორიულ მესხეთის ნაწილებია: ახალციხე, ჯავახეთი, აჭარა, ქობულეთი, შავშეთი, ერუშეთი, ლივანა, ჭანეთი, ანუ ლაზისტანი, ტაო, კლარჯეთი და კოლა. ცოტაოდენი ქართველობა საქრისტიანო სარწმუნოებისა შერჩა მხოლოდ ახალციხესა და ჯავახეთს. დანარჩენი ერი გამაჰმადიანებულია.

სკემდა, ფრთანი კი აზრუმსა, ტრაპიზონსა და იმერეთს. ზეკარიდან იმერეთს ისე დაინახავდა მესხი, თითქოს ეს ტურფა ბუნებიანი ქვეყანა ხელის გულზე აქვს გადაშლილიო.

ასე მოხაზული და მოფარგლული მესხეთი ისტორიულ ქართლ-კახეთის სივრცეს სპარბობდა. წარსულში ამ ღონიერ მანძილზე სიცოცხლე სდუღდა და გადმოდიოდა. პოლიტიკური ცხოვრება იმ ზომამდე განვითარდა, რომ პირველად იურისპრუდენციამ მესხეთში იჩინა თავი. ბექა და აღბუღას კანონები მესხეთის ნიადაგზე აღმოცენდა, გაბრწყინდა და მიეცა ერს სახმარად და სასარგებლოდ [2]). საქართველოს ისტორიის მშვენება, მზე და მთვარე ქართველის ერისა, მეფე თამარ, აქ, მესხეთის ნიადაგზე ხშირად ატარებდა დროსა, ვარძიის მონასტრის გამოქვაბულ კლდეთა შორის ბჟობდა სახელმწიფო კაცთან ერთად, ვინ იცის, ეგებ ისეთ დიდებულ საქმეზედაც, როგორიც იყო საქმე ტრაპიზონის იმპერიის დაარსებისა და იქ საქართველოს ერთგულის კაცის გამეფებისა. აქ, მესხეთში, ღვთისმეტყველება ისე აყვავდა და გაძლიერდა, რომ თითქმის გაუთანასწორდა მაშინდელ დასავლეთ ევროპას, ანუ ბიზანტიის ღვთისმეტყველებას. მარტო ხახულისა და ფარხალის მონასტერთა ხსენებაც საკმარისია ამ აზრის შესაწყნარებლად. წმინდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელნი, ეს უდიდესი ღვთისმეტყველნი საშუალო საუკუნოთა, ამ ქვეყნის ღვიძლი შვილნი არიან. მაგრამ ყველა ეს მკრთალი ნა-

---

[2]) ბექასა და აღბუღას კანონებამდე დაიწერა „ძეგლის-წერა“ და „ძეგლის-დება“. პირველი სასულიერო კანონმდებლობაა და მეორე მხოლოდ მთიულთათვისაა დადგენილი. მაშასადამე ორთავეს განსაკუთრებული ხასიათი ჰქონდა.

თელია იმ სავსე მთვარისა, რომელიც გამოსცა მესხეთმა პოეზიის სახით. ბედმა მესხეთს არგუნა წილად ერთი უდიდებულესთაგანი მსოფლიო პოეტთა შორის, შეუდარებელი და სხიოსანი, შოთა რუსთაველი, რომლის წყალობით ქართული პოეზია აყვავდა და გაიფურჩქნა ვით მაისის ვარდი, რომლის მეოხებით ქართული პოეზია გაბრწყინდა ვით ვარსკვლავი და რომლის პოეზიამ „დილის ნიავსავით“ დაჰბერა ქართულ ტლანქს და უგემურს შაირ-ლექსობას.

ერიც პურადი, მხნე, გულადი და დარბაისელი ჰყავდა მესხეთს. ვის არ გაუგონია მშვენიერი თქმულება ხალხისა: „პირველ თქმულია ძველთაგან სიდარბაისლე მესხისაო“.

დღეს მესხეთს ველარ იცნობთ, აჩრდილი და ნატამალია წარსულისა. ჩონჩხი რა არის, ჩონჩხისთვისაც კი ვერ შეგვიდარებია **რუსთველის, ბექასი** და **აღბუღას** სამშობლო, ისე დაკნინდა ეს მშვენიერი და სიცოცხლით სავსე მხარე ძველის ერთიანის საქართველოსი. დღევანდელი მესხეთი ერთი რაღაც შემზარავი, თვალ-გადუწვდენელი და უსამზღვრო სასაფლაოა. ქართველი მოგზაური, ქართულის ისტორიის ცოდნით შეიარაღებული, სწორედ დასნეულდება აუარებელ ნანგრევების ხილვით. დღევანდელ თითოეულ სოფელს სამი-ოთხი ნასოფლარის ადგილ-მამული უჭირავს. ნასოფლარს რუსები „ПУСТОШЬ“-ს ეძახიან. ყურთა სმენა წაიღო სწორედ ამ „პუსტოშმა“, რომელიც მხოლოდ, ძალა-უნებურად, სიკვდილსა და უბედურობას მოგაგონებს. მერე ნეტა თითო-ოროლას ლამაზი სახელი მაინც არ ერქვას! მაგალითად: ვარდის-უბანი, თიეთიკა, მეშურნეთი, ტბასაწოლი და სხვა. აფსუსია ასეთი სოფლების გაქრობა და

დედა-მიწის პირიდგან აგვა-აწმენდა. ზოგ ნასოფლარის, ანუ ვერანას სახელი ისეა გადამახინჯებული, რომ დიდი მეცადინეობა დაგჭირდება, ვიდრე მიხვდები პირვანდელ სახელწოდებას. აი ორიოდე მაგალითი: ირმის-ქალა ასე მოუნათლავთ: „ეორიჩალა"; საწერეთლო, „საცერეტ"; ბრალი, „ბრალ"; ყანის-უბანი, „ეანუბალ". ერთის სიტ-ყვით, მოგზაური აქ თვალს წყალს ვერ დაალევინებს. მწარე მოგონება გულსა ჰშხამავს და ცეცხლს უკიდებს.

ბორჯომის ხეობას გამოსცდები თუ არა, თვალწინ აგეყუდება ოდესმე ძლიერი აწყურის ციხე, რომელიც საუკუნოებით დარაჯობდა ვიწრო ხეობას. ციხის გვერ-დით, შიგ შუაგულ გამაჰმადიანებულ ქართულ სოფელ-ში, კიდევა სდგას უზარ-მაზარი ტაძარი, ხოლო სახურავ გადახდილი და ალაგ-ალაგ კედლებ ჩამოქცეული. ახალ-ციხეს რომ უახლოვდები, ასე შვიდი-რვა ვერსიდგან, ს. წნისიდგან, დაინახავ საფარის მონასტერს, სადაც კაი ხანია რუსის ბერები დაბინავდნენ, რადგან ქართველებმა მოვლა-პატრონობა ვერ შესძლეს სილატაკის გამო. მონასტრის ზღუდეთა შორის მოსჩანს ერთად-ერთი კედელი, თლი-ლის ქვით ნაშენი, ათაბაგების საბთავრო საზაფხულო სრა-პალატისა. ვინ იცის, იქნება ამ ხავს-მოკიდებულ და დაბზარულ კედლის სიახლოვეს იწერებოდა ბექასა და ალბულას მიერ სამცხე-საათაბაქოს უკვდავი კანონები! ევროპაში დიდებულ კაცთა ფეხსაცმელსაც მოწიწებით ინახავენ მუზეუმებში, მტვერი რა არის, იმასაც არ აკა-რებენ, ჩვენ კი ჩვენი კანონმდებლების მიერ აგებული პა-ლატნი მინგრეულ-მონგრეული გვაქვს და, საუბედუროდ, ძალაც ალარ შეგვწევს პატრონობა გაუწიოთ. ბექასა და ალბულას სურათნიც ვერ შევინახეთ. ჯერ იყო და ახალ-ციხის ბიჭ-ბუჭებმა თვალები ამოსჩიჩქნეს და შემდეგ

უვიცმა რუსის ბერებმა კირით შელესეს ვითომდა „ბლა-ღოლეპიის“ გულისთვის.

საფარისა და ათაბაგთა პალატის ნანგრევთა ხილვით გულნატკენი მგზავრი დარდის გადაყრას ვერ მოასწრობს, რომ უფრო სამწუხარო, გულ-სატკენს და სამგლოვიარო სურათსა ჰნახავს. ესაა სოფელი **რუსთავი**. ერი ამბობს, რომ აქ დაიბადა შოთა რუსთაველი, ესაა მისი სამშობ-ლო სოფელიო. გული ნაღვლით აგეესება, როდესაც წარმოიდგენ, რომ პარნასის ღმერთთა სწორის, გენიოსი პოეტის სამშობლო არე-მარე ასეთ, ენით გამოუთქმელ, სიბინძურეს შეუპყრია. დღევანდელი რუსთავი ერთი უხეირო, ოთხ-ხუთ კომლიანი სოფელია, რომელსაც ამ-შვენებს მხოლოდ სასუქის უშველებელი ზვინები. რუს-თავში ბინადრობენ ქურთნი, თუ თარაქამანი, ადამიანი ვერას გაიგებს მათსას. მიწური სახლები ამ ყოველ კულ-ტურას მოკლებულ ველურ ტომისა სულ მთლად ასა-ხიჩრებს სოფლის სურათს. ქალნი და კაცნიც სოფლის შესაფერისნი არიან. იმდენი ჭუჭყი დასდებიათ პირსა და სახეზე, რომ თითქოს დაწყი-დაბადებიდგან იქვე ახლოს მოდუდუნე მტკვრის წყალი მათ არ მიჰკარებიათო. ასე-თია მათი სამოსელიც, დასტამალად ქცეული. დღეს შოთა რუსთველის მომხსენებელნი ეს ჭუჭყიანი და პირ-უბანელი თარაქამა, თუ ქურთინები არიან!.. უბედუ-რნი! სიზმრადაც არ მოელანდებათ, თუ რა კაცის ნა-სახლარზე ბინადრობენ...

რუსთავი ტიტველა, ხრიოკ მთის კალთაზეა შეფე-ნილი. წინ მშვენიერი პოხიერი ველია დაცემული. პა-ტარაა, მაგრამ ლამაზი და ტურფა. ორი არ მეგულება ამისთანა მომცემი და ნაყოფიანი ველი მთელს ამ მხა-

რეს. მახსოვს, ერთხელ როგორღაც ქრისტიან მუსხელებს გამოველაპარაკე რუსთავის ველის შესახებ [3]).

— კაცო, რა ღმერთი გაგიწყრათ, ძილი რომ ღმერთს გაუჩენია, განა მარტო ქართველებისთვის? რატომ თავისს დროზე თვალი არ გაახილეთ და ეს ნაღებივით მსუქანი ველი არ დაიპირეთ? რუსთავის ველზე არ გერჩივნათ დასახლება, ვიდრე აქ, მთასა და კლდეზე! განა რა ნახეთ სახარბიელო, რომ ცხვრის ფარასავით შეფენილხართ მწირსა და გატრუსულ გოხებსა და ხრიაკებზედ?

— ბატონო, ბარემ თვალი ჩვენც გვეჭირა რუსთავის ველზედ, მაგრამ ვინ გვაღირსა! ჩვენი თავგადასავალი რომ იცოდეთ, მაგ საყვედურს აღარა ბრძანებთ. წინად, თათარი რომ გვეძალებოდა, თხუნელასავით სოროებში ვძვრებოდით, მზეზე გამოსვლა უბედურებას გვაყენებდა. ცოლშვილს ისე გვტაცებდნენ, როგორც ქორი წიწილებსა. იმ უბედურ დროს ქრისტიან ქართველს მხოლოდ კლდესა და ღრეში თუ შეეძლო სულის მობრუნება, თორემ შარა გზის პირას როგორ გაბედავდა ბინა გაეჩინა. რუსობა რომ შემოვიდა და აშკარად ქრისტიანობა დავიწყეთ, ვითხოვეთ რუსთავის ველი, მაგრამ ჩინოვნიკებმა უარი გვითხრეს.

რუსთავის პატარა ველზე ერთად-ერთი პატარა გორაკია, თითქოს განგებ აქ ვილასაც მიწა დაუყრიაო. სიმაღლით ორი-სამი საჟენია, სიგანეც სულ ათიოდე საჟენი ექმნება. სწორედ ზედ გამოჭრილი ბექია ძეგლისა-

[3]) თუმცა კარგა ხანია, რაც ს. ბუსხში სკოლა არსებობს, მაგრამ არც მუსხელებმა იციან, ვინ იყო რუსთაველი. რა ნუსხი, განა სხვა ქართველმა სოფელმა კი იცის, ვინც იყო შოთა!..

თვის. აქ რომ შოთა რუსთაველს ძეგლი, ან ობელისკი დაედგას, მშვენიერება იქნება. ბექი მტკვარს ზედ თავზედ დასკქერის, იქვე შარა გზაა, შოსსე, გამვლელ-გამოვლელი თვალს ვერ აარიდებს ძეგლსა, ისიამოვნებს იმ ფიქრით, რომ შვილნი უმადურად არ მოჰქცევიან სახელოვანს მამას და იმასაც ხომ გაიცლებს გულში, რომ გაერანებული მესხეთი ოდესმე ბედნიერი ყოფილაო.

ნუ თუ დღევანდელი ქართველი ისე დაკნინდა, ისე დაძაბუნდა, რომ მკირედი ფასის ძეგლიც ვერ მოუხერხებია შესანიშნავი პოეტისათვის? ერთმანერთის ძიძგნამ და ჰორიკანობამ სული ამოგვართვა და განა დრო არ დადგა ერთსულად მოქმედებისათვის? იცოცხლეთ რომ დროა ზურგი შევაქციოთ ჩვენს დამლუპველს საეროვნო სენს, მაგრამ სადაა!..

ბოროტი დედი-ნაცვალიეთ ისტორიამ დიდად გვაწამა, მაგრამ რა უყოთ! ამბობენ, მშობელ დედას ყველაზე ძრიელ შვილებში მახინჯი და საზოგადოდ ჭირსა, წვალება და ტანჯვას გამოვლილი შვილი უყვარსო. ბრძენთა ნათქვამი მოვამბრუნოთ, ჩვენ დედად გადავიქცეთ და შევიყვაროთ ისტორია, როგორც მახინჯი შვილი. სიყვარული კიდევ როგორიც უნდა იყვეს, მსხვერპლს მოითხოვს. უამისოდ სიყვარულს სიყვარული არ ეთქმის. მაშ შევსწიროთ ისტორიის სიყვარულს მკირედი მსხვერპლი და აუგოთ შოთას რუსთაველს ლამაზ ველზე პატარა ობელისკი მაინც!

რუსთავიდან ჯავახეთის შარა-გზას რომ გაჰყვებით, ხერთვისს ახვალთ. ხერთვისიდან ასე 18—20 ვერსის მანძილზე ვარძიაა. ამ დიდებულ მონასტერს წარსულისა ნასახიც აღარ ეტყობა. კლდეებში გამოქვაბულ მღვიმე-მაღაროებს დღეს სამი, თუ ოთხი ქართველი ბერ-მონა-

ზონი შეჰხიზვნია და შიმშილით იხოცებიან. ესეც საკმარისია იმის სათქმელად, თუ რა შეეწროებაშია და რა გაჭირვებაშია ვარძიის მონასტერი. ასე გაშინჯეთ მტკვარზე ხიდიც ვერ გაუდვიათ [4]), რომ მლოცველი და მოხილველი მონასტრისა უშენებლად წყალში გავიდეს, ნახოს ვარძია და ორიოდე გროში გაიღოს თვისის სიუხვიდგან მონასტრის სასარგებლოდ »სულის საოხად და მოსახსენებლად«.

ან კი ვინ უნდა მოვიდეს ვარძიას, როდესაც გარს ქართველი სალტასავით არ არტყია, ვინ უნდა ჩაჰბეროს მონასტრის გაყინულ კედლებს მხურვალე ლოცვასთან ერთად ცეცხლსავით აღგზნებული სული, ვინ მოიტანს სანთელს-საკმელს და საწირაეს, რომ გაევრანებულ მონასტერში ძველებურად სიცოცხლე ადუღდეს? ორ-სამს დაჩაგრულ ქართველთა სოფელს გარდა მონასტერს გარს შემორტყმია: თათარი, გამაჰმადიანებული და გაფანატიკებული ქართველი, აზრუმელი სომეხი, ქურთი, თარაქამა, ბოშა, ეზიდი, ანუ ეშმაკის თაყვანისმცემელი და სხვა ათასი მილეთის ხალხი. ამბობენ, სამარიამობოდ, შორიდან ბერძნები რომ არ მოდიოდნენ სალოცავად, მონასტერს კარები გამოეკეტებაო.

---

[4]) მახსოვს, ამ ათიოდე წლის წინად ტფილისის განაენებულმა ვაჭარმა მიქელაძემ ხუთასი მანეთი უანდერძა ვარძიას ხიდის გასაკეთებლად. მაშინდელი ტფილისის ინტელიგენცია გაოცდა ამ შეწირულობით. ვგონებთ, ეს პირველი მაგალითი იყო, რომ ქართველმა ნაწილი თვისის ქონებისა საერთო, საზოგადო საქმეს შესწირა და არა თავისს ნათესავებს, რომელნიც, ჩვეულებრივ, ნაანდერძევს ორ-სამ წელიწადს მტვრად აქცევენ ხოლმე. მაშინ გეგონა, ახლა კი ღმერთმა მოგვეხედა და სომხებისაგან ბკუა ვისწავლეთო... ნეტა სადაა განსვენებულ მიქელაძის 500 მანათი?

გავკადნიერდებით და გიამბობთ ერთს შინაურს ამ-ბავს. შარშან, შემოდგომის პირზე, რუსეთიდან ორი გა-ნათლებული მოგზაური: ჟუკოვსკი და მარკევიჩი ეწვია მესხეთს. ბარათი მომიტანეს ტფილისიდან თ. დ. ზ. მე-ლიქიშვილისა, რომელიც მწერდა,—ჟუკოვსკი ჩემი კარ-გი მეგობარია და გთხოვ არ დაიზარო და მესხეთი აჩვე-ნეო. დიდ მწუხარებაში ჩამაგდო ამ თხოვნამ. რა უნდა-ვაჩვენო-მეთქი, ვფიქრობდი. რაც დარჩა მესხეთში, ან ჩვენი აღარაა, ან ოუა ჩვენი, სულ მინგრეულ-მონგრეუ-ლია. ერი მაინც რომ დარჩენილიყო ჩვენი, კიდეე ჰო, მაგ-რამ, საუბედუროდ, ქართველობაც აღარაა. გზაში, რა-საკვირველია, შეგვხვდებოდნენ ჩალმოსანნი მაჰმადიანნი, ან ბოხოხ-ქუდიანი თარაქამები. ხომ ვერ ვეტყოდი ცნო-ბის მოყვარე ტურისტებს, (მერე რა უღმერთონი არიან! ყველაფერს გაფაციცებით ადევნებენ თვალსა, ყველაფრის კვლევა-ძიებაში არიან, ყველაფრის გაგება და შეტყობა ჰსურთ ხოლმე!)—აი ესენი არიან თქვენი კარგი ნაცნო-ბის, ტფილისის მარშლის, თავად მელიქიშვილის, თანა-მემამულენი-მეთქი!

ტურისტებმა მთხოვეს, ვარძიაში წაგვიყვანე, ბევრი რამ გაგვიგონია ამ შესანიშნავ გამოქვაბულ მონასტრისა და იმის ნახვა გვსურსო. გვიბრალა ღმერთმა და კოკის პირული წვიმა წამოვიდა, ორ დღეს აღარ გადაიღო. ვარძიას ვერ წავალთ, გადაჭრით გამოვუცხადე დაღონე-ბულ ტურისტებს, მტკვარზე ხიდი არაა, წვიმისაგან მტკვარი ადიდებულია და ფონშიაც ვერ მოვახერხებთ გასვლას. დაკმაყოფილდნენ ამ პასუხით, საფარა მოია-რეს და ტფილისს დაბრუნდნენ. რომ მიმეყვანა ვარძია-ში, სწორედ სირცხვილით დავიწვოდი,—ისეთს სიღა-რიბესა, სიღატაკესა და აოხრებასა ჰნახავდნენ მოგზაურ-

ნი. მე კი ამგვარად გადავრჩი ეროვნულ მწვავე სირცხვილსა და თუ, მაინცა და მაინც, თავიდან ვერ ავიცილებთ ჩვენი სიბეჩავის და აოხრების გამოაშკარავებას, დეე სხვამ, ჩემზე ბედნიერმა, და, შეიძლება, ნაკლების ეროვნულის გრძნობით გამსჭვალულმა ქართველმა იკისროს სამწუხარო მოვალეობა და უამბოს უცხო ტომის კაცს—თუ რანი ვიყავით გუშინ და რანილა ვართ ამ ჟამად.

ჯერ-ჯერობით მესხეთის დანარჩენ ნანგრევებს თავი დავანებოთ და სხვა საგანზე ვიბაასოთ.

II

ვინც კი ღრმად ჩაუკვირდება ირაკლი მეორის ცხოვრებასა და მეფობას, უეჭველია, შეამჩნევს, რომ სახელოვანი მეფე დაადგა დაფლეთილ და დაწიწკნილ საქართველოს შეკრებასა და შეერთებას სწორედ იმ სახით, რა სახითაც მოქმედობდნენ რუსეთის დიდნი მთავარნი, ესრედ წოდებულნი „რუსეთის შემკრებელნი“. განსხვავება მხოლოდ ხერხსა და სახსარშია. დიდნი მთავარნი მოქმედობდნენ თავისის ძალ-ღონით, ნელ-ნელა, მაგრამ მედგრად მიდიოდნენ წინ და გზას არ უხვევდნენ. ირაკლის კი ჰსურდა სხვისი დახმარებით გაეკეთებინა ერთბაშად ისა, რაც საკუთარის ძალ-ღონით უნდა გაკეთებულიყო ნელა-ნელა და აუჩქარებლივ.

ამგვარად პოლიტიკური იდეალი ირაკლისა საქართველოს შეკრება იყო. მისი მეფობა მალე ქართლ-კახეთის შეერთებით გაბრწყინდა, მაგრამ ქართლ-კახეთს ჯერ კიდევ ბევრი აკლდა. კახეთს მტერმა მოსწყვიტა კახი, საინგილო, ქართლს კიდევ მთელი მესხეთი. ეგები

ქართლ-კახეთს ეს ვარამი დროებით მოენელებინა და აეტანა, მაგრამ არა ხერხდებოდა, რადგან, საუბედურო, მტერი სწორედ ამ ორი კუთხიდან ასმევდა საქართველოს სამსალას და შხამსა. ამისათვის ირაკლის მუდმივი ფიქრი და საზრუნავი ამ, მტრისაგან გატაცულ, საქართველოს სამკვიდროს დაბრუნება შეიქმნა. სამწუხაროდ, ირაკლის პოლიტიკური იდეალი ლიხის ქედს ვერ გადასცდა და კორტოხზე გაჩერდა. მისი ფიქრი ვერ შესწვდა დავით აღმაშენებელის დროის გაერთიანებულ საქართველოს და როცა მარჯვე დრო მიეცა — იმერეთიც შემოეერთებინა და მთელი მაშინდელი საქართველო თვის სკიპტრას ქვეშ შეეკრიბა, ყოყმანი დაიწყო და უკან დაიხია. ამნაირად ირაკლის დარჩა მხოლოდ მცირედი პოლიტიკური იდეალი — გაერთიანება აღმოსავლეთის საქართველოსი და არა სრულიად საქართველოისა, რაც დღე და ღამ განუყრელ პოლიტიკურ ფიქრად და მისწრაფებად უნდა ყოფილიყო მაშინდელ საქართველოს გვირგვინოსნისათვის [5]).

რაკი ირაკლიმ ვერ მიაღწია თვისი ძალ-ღონით ვიწროდ შემოფარგლულ პოლიტიკურ იდეალის განხორციელებას, ჩრდილოეთის ბუმბერაზს დაუწყო ცქერა. რუსეთის დახმარებით ჰფიქრობდა ირაკლი განეხორციელებინა თვისი ვიწრო, მაგრამ მაინც საქართველოსთვინ სახეირო იდეალი. ესაა უმთავრესი საგანი და დედა აზრი 1783 წელს დადებულის ტრაქტატისა, ესაა მიზეზი, რის გულისთვისაც ირაკლიმ ნებაყოფლობით ხელი

---

[5]) Въ словахъ Ираклія. ამბობს ზურაბ ავალიშვილი, ახალციხის დაბრუნების გამო, внучитъ надежда на исполненіе заветной національной идеи. იხ. Присоединеніе Грузіи... გვ. 123.

აიღო მრავალ სამეფო უფლება-პრეროგატივაზე და ვასალად გაუხდა რუსეთის თვითმპყრობელთ. პროფესსორ ალექსანდრე ცაგარლის მიერ დაბეჭდილი რუსულ-ქართული დოკუმენტები მზესავით ნათელსა ჰფენს ამ მოსაზრებას. ჯერ ისევ 30 დეკემბერს 1771 წელს ირაკლი ატყობინებს იმპერატრიცა ეკატერინე მეორეს—თუ რა პირობითა ჰსურს მიიღოს რუსეთის მფარველობა. აქ, სხვათა შორის, აი რა სწერია: „კეალად ვედრებით მოვახსენებ თქვენს ყოვლად მოწყალებასა, რათა ამავე გაზაფხულსა არ უტევონ დაუპყრობელად ქვეყანა **ახალციხისა** და უკეთუ შერიგება მოხდეს სულთანისა, მაშინაც გარეთ არ დარჩეს ქვეყანა ახალციხისა, ვინაიდგან საქართველოსა შინა არის და ქართული ენა აქვსთ და მრავალნი ქრისტიანენი არიან იმათში და სხვანიც ახალნი გარდაქცეულნი არიან მაჰმადიანობაზედ“ [6]).

1772 წლის გაზაფხულზე ჰფიქრობდა ირაკლი ახალციხის დაპყრობას რუსების დახმარებით, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. დამთხვეულ და ბოროტ გრაფ ტოტლებენის და უნიჭო გენერალ სუხოტინის წყალობით საქართველოში მყოფმა რუსის მხედრობამ ვერა გაარიგა-რა. საქმე ისე წაიყვანა ამ ორმა გენერალმა, რომ რუსები კი არ ეხმარებოდნენ ქართველებს ოსმალების გასადევნად, თვით რუსები საჭიროებდნენ ქართველების შეწევნა-დახმარებას. ჯარი რომ სრულიად არ გაწყვეტილიყო, მთავრობამ იგი ლინიაზედ დაიბარა. გაზაფხულის პირს რუსის კორპუსი დაიძრა იმერეთიდგან და 1772 წ. აგვისტოს თვეს უკვე მოზდოკს მივიდა.

---

[6]) იხ. Грамоты и другіе историческіе документы, относящіеся до Грузіи, т. II, выпускъ I, зз. 83—84.

ერთხელ, ორჯელ, თუნდ სამჯერაც არაფერია იმედის გაცრუება იმისთანა კაცისათვის, რომელიც გატაცებულია რომელიმე დიადი საგნით. ასეთი ადამიანი, ფანატიკად გადაქცეული, ვერ მოისვენებს სიცოცხლის დასასრულამდე და სულ იმის ფიქრსა და ზრუნვაში იქნება, თუ როდის მიაღწევს საყვარელ აზრის განხორციელებას. ასე დაემართა ირაკლისაც, რომელსაც მესხეთის დაბრუნება, ანუ მისი ერთი ნაწილისა, სახელდობრ ახალციხისა, იდეა—ფიქრად გადაექცა.

სხვას ვერავის ანდო და „პირობანი“ ირაკლიმ გაუგზავნა იმპერატრიცას ბატონიშვილ ლევანის და კათალიკოზ ანტონის ხელითა [7]). ეს საპატიო ელჩები დიდხანს გააჩერეს აქ, ასტრახანში, არც პეტერბურგში წასვლის ნებას აძლევდნენ და არც მიზეზს ეუბნებოდნენ, თუ რატომ არ უხსნიან პეტერბურგის გზას. უფრო დიდ გაჭირვებაში იყო ირაკლი. შვილისა და ძმისაგან არაფერი ამბავი მოსდიოდა, არც არაფერს მთავრობა სწერდა ირაკლის კარზე მყოფ მინისტრ-პრეზიდენტს ი. ლ. ლევოს. მეფეს მოთმინება გამოელია და 16 მარტს 1773 წელს წერილი მისწერა გარეშე საქმეთა მინისტრს გრაფ ნ. ი. პანინს. წერილი ფრიად საინტერესო და საყურადღებოა. უმეტესმა მწუხარებამ გამაბედვინა თქვენი

---

[7]) უდროოდ გარდაცვალებული ბატონიშვილი ლევანი მშვენება იყო ირაკლის ოჯახისა. დიდი იმედი ჰქონდა ირაკლის ლევანისა და მისმა უდროოდ გარდაცვალებამ მეტის-მეტად მოუკლა გული ათას ჰირსა და ვარამში მყოფს მეფესა. საქართველოს მზე ეხლა დაუბნელდაო, ამბობდნენ მახლობელნი მეფისა ლევანის გარდაცვალების გამო. კათალიკოსი ანტონი I, ძმა ირაკლისა, შესანიშნავი ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი იყო.

შეწუხებაო, ბოდიშს იხდის ირაკლი პანინის წინაშე. ამოდენა ხანია ვაახელ იმპერატრიცას ძმა, კათალიკოსი ანტონი და ძე ჩემი, ბატონიშვილი ლევან და „აქამომდესაც ვერ მივემთხვევე მოწყალების რეზოლუციასაო“. ამის გამო ეეედრება პანინს, დახმარება გაგვიწიე, რომ საქმე კეთილად დაგვირგვინდესო. ირაკლი იმასაც ატყობინებს პანინს, შვილისა და ძმის ამბავი არაფერი ვიცი, რადგან ასტრახანიდგან გამოგზავნილი ლევანისა და ანტონის მიერ კაცი დაეკირათ ახალციხიდგან დაღესტანს მიმავალ „ქურდ ლეკებს“.

საქმის დასაჩქარებლად ასეთ ამბავსაც ატყობინებს ირაკლი პანინს: „ვგონებო, არა უმეცნიერნი იქმნებით, ვითარ ჟამითი-ჟამათ გვემატებიან ბარბაროსთა თესლთაგანნი, ქრისტიანობის ნათესაობის მტერნი და მარადის გვაყვედრებენ უგუნურობითა თვისითა წარმართნი, მეზობელნი ჩვენნი, რომ დაგდებული ვიქმნებით, რომელ ანათებს ყოველსა ქვეყანასა, რუსეთის ტახტისაგან, და წარმოგზავნილნი ჩემგან ძმა და ძე ჩემი იმყოფება აქამომდე ასტრახანს და შეწყნარებულიცა არ იქმნებიანო-- ეთბამად ხედვენ ვითომ ეგ იყოს მის ნიშანი“ [8]).

ეტყობა, მეზობელ მაჰმადიანთა ხანები ნიშნს უგებდნენ ირაკლის, რომ რუსეთმა ჯერ ჩაითრია საქართველო თვის პოლიტიკის სფერაში და რაკი-ღა უკან დახევა აგრე ადვილი აღარ იყო, საქმეს აპიანურებდა და ელჩებს განზრახ ასტრახანში აჩერებდა. ასეთი მითქმა-მოთქმა მეზობელ ხანებისა, რომელთაც აგრე რიგად არ ეპიტნავებოდათ რუსების გაბატონება საქართველოში, დიდად აშფოთებდა ირაკლის და სწორედ ამ მწუხარები-

---

[8]) Грамоты, т. II, п. I. зг. 89—90.

სა და შიშის გამომხატველია წერილის უკანასკნელი სიტყვები, დიპლომატიის პილპილით შეზავებული.

ბოლოს, როგორც იყო, ელჩებმა მიაღწიეს „უმაღლეს კარსა“. 27 აპრილს 1773 წელს მიართვეს პანინს მოხსენება, თუ რა პირობითა ჰსურს საქართველოს რუსეთის მფარველობა (покровительство). დედანში ამ სიტყვებითაა გამოხატული ირაკლის ოცნება-იდეალი მესხეთისა და საინგილოს დაბრუნებისა: „თუ კახეთის მაშულები (ესე იგი საინგილო. ა. ფრ.), რომელიცა წართმეული აქვს, დაიპყრობს, იმათგანაც თვითოს გლეხის სახლითგან ათოთხმეტი შაური სახელმწიფოდ მიერთმეოდეს ყოველს წელიწადს და კვალად ორასი ფუთი აბრეშუმი... დიდის უქვემოესის ვედრებით ითხოვს (ირაკლი), რომ არ დაშთეს ამის უფრო გრძლად **დაუპყრობელად ქვეყანანი ახალციხისა**, რომელიც ჩვენი ადგილი იყო, და თუ შერიგება იქნება, (ამ დროს რუსეთს ოსმალეთთან ომი ჰქონდა), მაშინაც თურქის სახელმწიფოდ არ დაშთეს, არამედ გამოერთვას, რადგან საქართველოს მიწა არის და მრავალნი ქრისტიანენი არიან მას შინა, და ყოველს წელიწადს მძლავრებით მაჰმადიანად მრავალს გარდააქცევენ“.

ეს მუხლი „პირობისა“ ნათლად გვიჩვენებს, რა საბატრელ საგნად გადაქცეოდა ირაკლის ახალციხის დაბრუნება.

ან კი ვინ დაუწუნებს ირაკლის ამ ოცნებას? რომელ ქართველს არ აუკვნესდება გული ირაკლისავით დღესაც? ხუმრობა ხომ არ არის, ჰხედავდე, თუ როგორ „ყოველს წელიწადს მძლავრობით მაჰმადიანად მრავალს გარდააქცევენ“ და შველა კი არ შეეძლოს? ჯერ მაგალითი არა ყოფილა, რომ ღვიძლის შვილის მოკვეთა

ადვილი ასატანი ყოფილიყვეს რომელიმე დედისათვის. ირაკლის კი დედაზე მეტად უყვარდა თვისი პატარა საქართველო. ვისაც გამაჰმადიანებულ საქართველოში არ უცხოვრია, ის ვერ წარმოიდგენს იმ სევდასა და გულის კვნესას, რასაც ახლად, შუაგულ საქართველოდან მოსული ჰგრძნობს მაჰმადიან ქართველის მაყურებელი. პანტა რა ხილია, მაგრამ მისი მოჭრაც და წახდენაც სევდასა ჰგვრის ბუნების მოყვარე კაცსა და აქ კი მთელი მესხეთი, საქართველოს საუკეთესო ნახევარი, მაჰმადიანობამ სამუდამოდ მოჰკვეთა და მოსწყვიტა სამშობლოს. სარწმუნოებასთან ერთად მაჰმადიანობამ სული და გული ისე შეუცვალა ქართველს, რომ დღევანდელ მაჰმადიან ქართველს ვძულვართ ჩვენ, მისი სისხლ-ხორცნი და სულ იმის ნატერაშია, როდის იქნება მოგვშორდეს, გაგვეცალოს და გადიხვეწოს შორს, ოსმალეთს, სადაც მხოლოდ ცივ სამარესა ჰპოულობს, მაგრამ მაინც სამოთხედ მიაჩნია ერთმორწმუნე ოსმალეთი. ირაკლის დროს მრავლად მაჰმადიანდებოდნენ ქართველნი. სულ რაღაც ასმა წელიწადმა გაიარა მას შემდეგ. მაჰმადიანდებოდნენ მესხნი მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისშიაც. თითო-ოროლას შერჩათ ნიშანი ქართველობისა—ენა. ამასაც ჰკარგავენ ჩვენ თვალ-წინ. მოხუცებულებს თუ ახსოვთ რამე კიდევ ქართულისა, თორემ ყმაწვილ-კაცობამ სიტყვა აღარ იცის. მიუწდომელი სიმძლავრე გამოიჩინა ჩვენზე უცხო რელიგიამ, ამ, მასხარად აგდებულმა თანამედროვე მწერალთაგან ისტორიულმა ფაკტორმა.

ჰუნგართა ცხოვრებაში იყო ერთი ხანა, როდესაც კაცის მკვლელს სიკვდილით არა სჯიდნენ, თუმცა ასეთი სასჯელი იყო დაწესებული,—საეროვნო ბრძოლაში ავაზაკიც გამოგვადგებაო, ამბობდნენ ჰუნგარნი, რიცხვით

ცოტანი ვართ და ყოველი მარჯვენა, თუნდ შებღალული კაცის მკელელობით, ჩვენთვის საჭირო იქნება განსაცდელის დღესაო. თუ ჰუნგარნი ასე უფრთხილდებოდნენ ავაზაკსაც კი, ირაკლის როგორ აეტანა და მოეთმინა მაშინდელ ქართლ-კახეთის ოდენა საქართველოს გამაჰმადიანება და სამუდამოდ დაკარგვა მესხეთისა? ეს ხომ კიდევ იმის მომასწავებელი იყო, რომ საქართველო თავის დღეში პოლიტიკურად ვერ მოღონიერდებოდა და სხვის ხელში ბურთივით სათამაშო უნდა ყოფილიყო. მშრალ და უგემურის ენით დაწერილ დოკუმენტებიდგან ნათლად იხატება მწვავე ფიქრი და აზრი ირაკლისა მესხეთის შესახებ. ეგ სულის ვითარებაა სწორედ მიზეზი, რომ ირაკლი დაეინებით თხოულობდა—შეეტანათ უსათუოდ ტრაქტატში პირობა მესხეთის დაბრუნებისა.

ზურაბ ავალიშვილი საყვედურით ავსებს ირაკლისა და რუსეთსაც,—დიდი პოლიტიკური შეცდომა ჩაიდინეს, რომ მოკავშირეთ ეს მუხლი ტრაქტატისა საქვეყნოდ გამოაცხადეს, რადგან ამის შემდეგ საყიზილბაშო და საოსმალო აშკარად გადაეკიდა ირაკლისაო [1]). მართალია, გამოცხადებით არ უნდა გამოეცხადებინათ მოკავშირეთ დასახელებული მუხლი ხელშეკრულობისა, მაგრამ ჩაწერით კი უსათუოდ უნდა ჩაეწერათ მფარველობის პირობაში. უამისოდ რა ბედენა იყო ირაკლისთვის 1783 წლის ტრაქტატი? ტოტლებენის მოსვლამდე ირაკლი მშვიდობიანად სცხოვრობდა სპარსეთთან და ოსმა-

---

[1]) იხ. ზ. ავალიშვილი. Присоединеніе Грузіи къ Россіи. стр. 147. „Объявлять о такихъ замыслахъ предъ лицомъ всего свѣта было грубой ошибкой со стороны заключавшихъ трактатъ“.

ლეთთან. აღა-მაჰმადის დროს სპარსეთი ცოტა მოცოცხლ-
და, ნაპერწკალსავით იფეთქა, მაგრამ ეს აფეთქება წუ-
თიერი იყო. როგორც ბურბუშელასავით აპრიალდა,
ისევე მალე ჩანელდებოდა. სუსტდებოდა აგრედვე ოსმა-
ლეთი. როგორც თავდალმართზე დაგორებული ქვა, ისე
მიდიოდა უკან-უკან ოსმალეთი მას შემდეგ, რაც რუ-
სეთმა ომიანობა დაუწყო. მაშასადამე, ირაკლი ავად თუ
კარგად, ორთავე მეზობელ მაჰმადიანთა სახელმწიფოს
თავისი ძალღონით გაუძლებდა და თუ მაინცა და მაინც
რუსეთს ხელშეკრულობით შეეკრა, მხოლოდ იმისთვის,
რომ მტრისგან მოწყვეტილის საქართველოს მამულ-
დედული დაებრუნებინა.

„უმთავრესი აზრი 1783 ტრაქტატისა ისაო,—ამ-
ბობს ზ. ავალიშვილი, რომ საქართველოს მოეპოვებინა
საშუალება და საღსარი სპარსეთის მოსალოდნელ შემო-
სევის წინააღმდეგ, შემოსევისა, რომელიც უსათუოდ
მოხდებოდა, რაკი სპარსეთი სულს მოითქვამდა და იშო-
ვიდა იმისთანა ბატონსა და მბრძანებელს, ვისაც ძალა
შესწვდებოდა აღედგინა სიძლიერე ირანისა და განეერ-
ცელებინა სფერა წარსულის გავლენისა“. ეს აზრი პა-
ტივცემულ ავტორისა არ ეწინააღმდეგება ჩვენ მიერ ზე-
მოდ აღნიშნულ მოსაზრებას, რომ ირაკლის ტრაქტატი-
სა და რუსების შემწეობით ჰსურდა დაებრუნებინა სა-
ქართველოსთვინ მისი სამკვიდრო. ირაკლის თვისი იდეა-
ლი რომ განეხორციელებინა, „სპარსეთის მოსალოდნე-
ლი შემოსევა“ კი არა, თვით ნამდვილი თავდასხმაც არ
შეაძრწუნებდა. შეკრეფილ საქართველოს ძალ-ღონით
ერაკლი ადვილად მოიგერიებდა მოსეულ მტერს და ეკვს
გარეშეა, რომ მეფე-მეომარი **არეზამდისინაც** მივიდოდა.
საქმე სანახევროდ გაკეთებული იყო, **ერევანი** და **განჯა**

ხარკს აძლევდა საქართველოს და საქმეს მხოლოდ დაგვირგვინება აკლდა, მაგრამ ჩარხი სხვანაირად დატრიალდა.

ათ წელიწადზე მეტმა გაიარა „პირობათა" დაწერის შემდეგ და მხოლოდ 24 ივლისს 1783 წ. დადებულ ტრაქტატში ამ სახით აღიბეჭდა სურვილი მეფე ირაკლისა: „არტიკული მეოთხე სეპარატისა. დიდებულება იმპერატორებისა მისისა აღჰსთქვამს, რათა დროსა ბრძოლისასა იხმარომსცა ყოველი შემძლებლობაჲ მეცადინეობისა ღონითა საჭურუპლისათა, ხოლო დროსა მშვიდობისასა დაზავებისა მიერ უკმოქცევისათვის ქუპყანისა და ადგილითა მტერთაგან ქონებულთა და ძუპლადვე სამეფოჲსა მიმართ ქართლისა და კახეთისა შერაცხილთა ესენი უკუპ დაჰშთებიან სამფლობელოდ მუნებურთა მეფეთა საფუძუპლსა ზედა თქმულთა ჰაზრთასა, რომელნიცა ითქუნენ მფარუპლობისათჳს და უზენაესისა ხელმწიფეგისა ყოვლისა რუსეთის იმპერატორთა" [10]).

აზრი ამ უცნაურის ენით დაწერილ არტიკულის (მუხლი) მეოთხე სეპარატისა (კერძო) ისაა, რაზედაც ზემოდა გვქონდა საუბარი. რუსეთის თვითმპყრობელი აღთქმასა სდებს, რომ ბრძოლის დროს ყოველ ღონესა

---

[10]) იხ. Грамоты... т. II, в. I, გვ. 109.

[11]) 1783 წლის 24 ივლისის ტრაქტატში ირაკლის ტიტული ასეა მოყვანილი: „ძეკვიდრე ხელმწიფე და მფლობელი ირაკლი მეორე წყალობითა ღვთისათა და თქუენის იმპერატორეგის დიდებულების კეთილ-ნებობითა მეფე ქართლისა, კახეთისა, შემკვიდრე მფლობელი სამცხე-საათაბაგოსი, მთავარი ყაზახისა, მთავარი ბორჩალოსი, მთავარი შამშადილისა, მთავარი კაკისა, მთავარი შაქისა და მთავარი შირვანისა, მფლობელი და მბრძანებელი განჯისა და ერევნისა. ibid. გვ. 100.

და მეცადინეობას იხმარს იარაღის შემწეობით დაუბრუ-
ნოს საქართველოს მისივე სამკვიდრონი, ე. ი. სამცხე-
საათაბაგო და სხვანი. მშვიდობის და ზავის შეკვრის
დროს კიდევ მოვალეა დიდად ეცადოს და დაუბრუნოს
საქართველოს მტრისგან მოტაცებული ქვეყნები [11]).

ანკარა წყაროსავით სუფთა ქართული ენა შოთასი
და ვისრამიანისა, მეთვრამეტე საუკუნეში, სქოლასტიკის
წყალობით ისე აირ-დაირია, რომ ყოველი ლაზათი და
სიკეთე დაჰკარგა. ტრაქტატის ენა იმდენად ტლანქი და
ბუნდოვანია, რომ უბრალო მომაკვდავი ვერას გაიგებს,
ძალიანაც რომ უნდოდეს მისი გაგება. კათალიკოზ ან-
ტონ პირველმა საქართველოს თავზე მოახვია რუსეთში
გაბატონებული სქოლასტიკა და ამით მეტის-მეტად გაა-
უგემურა ტკბილი, მოხდენილი, ძალოვანი და თასმასა-
ვით მოქნილი ქართული სამწიგნობრო ენა. ნიმუში გადა-
მახინჯებულ და შებღალულ ქართულ ენისა ზემოდ მოყ-
ვანილ ტრაქტატის ნაწყვეტია. პროფესორი ა. ცაგარე-
ლი ჰფიქრობს, რომ ტექსტი ტრაქტატისა დაწერილია
რუსულად და შემდეგ ნათარგმნი ქართულად.

III

ირაკლის ნატვრა აღსრულდა. ტრაქტატში ჩასწე-
რეს—რუსეთი პირობასა სდებს, რომ საქართველოს და-
კარგულ ქვეყნებს დაუბრუნებს, მაგრამ ქაღალდზე აღ-
ნიშვნა საქმისა სხვაა და მისი განხორციელება კიდევ
სხვა—შუა უზის დიდი ზღვარი. ზურაბ ავალიშვილს რომ
ჰკითხოთ, 1783 ტრაქტატი დაწვრილებითი განხილვის
ღირსიც არ არის, რადგან უმთავრესის თვისის ნაწილე-
ბით ტრაქტატი ცარიელ სურვილთა და სიტყვათა რახა-

რუხი აღმოჩნდა, რომელთაც განხორციელება არ ეღირსათო [12]). ირაკლი სიცოცხლეში ტფილისის აოხრებას კი მოესწრო, მაგრამ მტრისგან მოწყვეტილ საქართველოს მამულის დაბრუნებას ვეღარა. მისი ნატვრა ასრულდა სიკვდილის შემდეგ, როდესაც საქართველომ თვისი დამოუკიდებელი პოლიტიკური არსებობა დაასრულა და რუსეთს შეუერთდა.

ირაკლის ღაღადისი და გოდება, რომ ახალციხის ქრისტიანებს ყოველს წელიწადს „მძლავრებით მაჰმადიანად მრავლად გარდააქცევენოთ“, სრული ჭეშმარიტება იყო. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს სამცხე-საათაბაგოში ქრისტიანი მართლმადიდებელნი ხილულად და აშკარად აღარ მოიპოვებოდნენ. აქა-იქ ძლივს-ღა კიკეობდა თითო-ოროლა მართლ-მადიდებელი, რომელნიც მალულად წმინდა საიდუმლოებას ღამ-ღამობით მიიღებდნენ ერის კაცის ტანისამოსში გამოწყობილ მღვდელთაგან, ან კიდევ ქრისტეს შობას დღესასწაულობდნენ ღორის ხორცის ნაჭრის მიღებით, რომელიც იმავე ერის ტანისამოსიან მღვდლებს სოფლიდან სოფლად ხურჯინებით დაჰქონდათ თავიანთ მრევლისთვის. ვინ მოიფიქრებს, რომ ასეთი დაჩაგვრა ქართველისა სულ რაღაც სამოცდა ათის წლის წინად ხდებოდა! ბევრს სიზმრად, ზღაპრად მოეჩვენება, მაგრამ სრული ჭეშმარიტება და სინამდვილე კია.

ლხენასა და ფუფუნებაში არც ქართველი კათოლი-

---

[12]) რუსულად: „... болѣе подробнаго размострѣнія трактать этотъ не заслуживаетъ, такъ какъ, въ самыхъ главныхъ своихъ частяхъ оказался сочетаніемъ словъ и желаній, не увидѣвшихъ своего осуществленія“. იხ. Присоединеніе... გვ. 139.

კენი ბრძანდებოდნენ. მეთვრამეტე საუკუნეში ამათ წირვა ლათინურად ჰქონდათ, რომის ეკლესიის წესსა და რიგს მისდევდნენ. ქკვიანი და განათლებული რომის მისიონერნი და პატრები თავის დროზე შეეცადნენ და ქართველ მრევლისთვის ნება-რთვა აიღეს ჯერ ისევ 1757 წელს წმინდა კონგრეგაციისაგან, რომ სახარება და სამოციქულო წაეკითხათ „სამშობლო ქართულ ენაზედაც“. რაღა თქმა უნდა, რომ შორს გამჭვრეტელმა კონგრეგაციამ კაპუცინის ორდენის მისიონერებს ხელი არ შეუშალა ამ სასარგებლო სურვილის განსახორციელებლად. სახარებისა და სამოციქულოს გარდა ეკლესიაში ჰსუფევდა აგრედვე ქართული გალობა. ოსმალოს მთავრობა ბტრის თვალით უყურებდა ლათინურსა და ქართულს წირვა-ლოცვას. ლათინური ევროპას აგონებდა, იმ ევროპას, რომელმაც არა ერთხელ წელში მოზნიქა ოდესმე ქედ-მაღალი ოსმალეთი, ქართული კიდევ შეუპოვარ გურჯისტანს, რომლის სრულიად დამხობა შეადგენდა მაჰმადიან ოსმალეთის პოლიტიკის და დიპლომატიის ანაბანას. ამისათვის გააფთრებულმა და გაალმასებულმა ოსმალეთმა სასტიკად დაუწყო დევნა ლათინურ და ქართულ ენაზე წირვა-ლოცვას და ღვთის მსახურებს. სომხური ენა კი მიჩნეული ჰქონდათ მაშინდელ ოსმალებს, სომხებისა არ ერიდებოდათ და დიდის თავაზიანობით ეკიდებოდნენ თვით სომხეთის ერსა *). წყევეტა, ქლეტა და აოხრება სომხეთის ერისა დაიწყო მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის მოერე ნახევრიდგან, როდესაც სომხ-

*) მწარე დღენი სომხებს წინადაც ბევრი უნახავთ, მაგრამ ეს ხდებოდა ხანდახანობით და არა სისტემატიურად, როგორც მე-XIX საუკუნეში.

ბამ გამლიღვიძა, მოითხოვა ეროვნული უფლებანი და ევროპას შეატყობინა — დიდ გაჭირვებაში ვართ და პატრონობა გაგვიწიეთ. ოსმალეთმა თვალები გააკეტა, — ეს რა დაუძინებელი მტერი მყოლია შინაო. ევროპას პირობა მისცა — რეფორმებს შემოვიღებ სომხეთშიო და ამავე დროს თავისებურად დაიწყო პოლიტიკურ საგნის გადაწყვეტა. „თავისებურობა“ ოსმალეთისა ყველას მოეხსენება, რაშიაც მდგომარეობს. ოსმალეთმა სომხებს გააგებინა, აუტკივარ თავს არ ავიტკივებ, ან მაჰმადიანობა მიიღეთ, ან დედა-ბუდიანად გაგაქრობო, ესე იგი ფიზიკურად არსებობას მოგისპობო. მოგეპყრობი სწორედ ისე, როგორც ვეპყრობოდი ქართველობას მესხეთშიო. სომხობამ ზოგმა მიიღო მაჰმადიანობა, მაგრამ უფრო ბევრმა არ ულალატა მამა-პაპურ სარწმუნოებას. უარის თქმას ენით გამოუთქმელი ამბები მოჰყვა. ანატოლიის სომხობა წიწილებივით ისრისება, ვინც მახვილს გადურჩა, გულგახეთქილი სამშობლოდგან სხვაგან გარბის. ამ ჟამად ანატოლიაში ისე მცირეა სომეხთა რიცხვი, რომ მათი ბედის საქმე პოლიტიკის საგნად იქნება ველარც კი გახდეს. ისტორიული სომხეთი დღეს თითქმის გეოგრაფიულ ტერმინად გარდაიქცა. ბედის სიმუხთლე და ცვალებადობა სომხებმაც გამოსცადეს.

ასე არ იყო მეთვრამეტე საუკუნეში. მესხეთში რომ კოკის-პირულად ქართველთა სისხლი იღვრებოდა და ქართველთა მარტო სახელიც კი ზიზღსა და ბოროტებას უსახავდა გულში ოსმალოს, სომხობა განცხრომითა სცხოვრობდა და მოქალაქობდა. პატივს არც მესხეთში იყენენ მოკლებულნი სომხები. თავისუფლად სწირავდნენ და ლოცულობდნენ სამშობლო ენაზე. დამშლელი არავინა ჰყავდათ.

ოსმალოს თვალის ასაბმელად და ქრისტიანობის დასაცველად ქართველ-კათოლიკეთ განიძრახეს შემოეღოთ წირვა-ლოცვა სომხურ ენაზე. სომხურად მლოცველი ქართველი-კათოლიკე თამამად ეტყოდა გამძვინვარებულ ოსმალოს, რა გინდა, დაწყნარდი, ხომ ჰხედავ, აღარ ლათინი ვარ და აღარ ქართველიო. მართლაც ამ დიპლომატიურმა ხერხმა გასჭრა, ქართველ კათოლიკეთ შეინარჩუნეს ქრისტიანობა, მაგრამ დღეს ლამის ეროვნობა და ქართული ხალხსნობა დაჰკარგონ. თუ სცოდნოდათ მაშინ, რომ გულუბრყვილო დიპლომატიური ხერხი მატლად გადაექცეოდათ, რომ პავლე და იაკოფი პოღოსად და აკოფად გადინათლებოდა, შესაძლებელია, რომ მაჰმადიანობაზე უარი არ ეთქვათ და სახიფათო, კისერმოსატეხ დიპლომატიისთვის არ მიემართნათ. ერთმა არლელმა, ესე იგი ს. არლიდან, ქართველ-კათოლიკე „ტეტია“ მალვენ თათეოზოვმა (იგივე თომაშვილი) ასეთის მარილიანი ქართულით დაასურათა ზემოდ მოხსენებული ისტორიული მომენტი: „თათარი სომეხს არ ერჩოდა“, და ჩვენ მამა-პაპათ იმისათვის მიიღეს სომეხ-კათოლიკეთა აღსარებაო.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს, როდესაც რუსის მთავრობა დამკვიდრდა ქართლ-კახეთს, მესხეთს ქართველობისა აღარა ეტყოვოდა-რა. მაჰმადიანობამ სავსებით თვისი სუდარა გაძლააფარა დიდებულ მესხეთს, მამა-კაცს ქუდი ჩალმით შეუცვალა და დედა-კაცი ბოსლებში ცხრაკლიტით დაჰკეტა, ქალაქი ახალციხე კიდევ მხევალთა და მონათა უმთავრეს ბაზრად გახადა. იგივე მეცხრამეტე საუკუნე ცუდ ვარსკვლავზე დაებადათ ოსმალებს. წინად თუ ევროპელნი დასავლეთიდგან ნაფლეთ-ნაფლეთად სტაცებდნენ ოსმალეთს დიდების დროს დაპყრობილ ქვეყ-

ნებს, ამ საუკუნის დასაწყისში რუსეთმა აღმოსავლეთით მიჰყო ხელი და ხანდახანობით ლუკმა-ლუკმა სტაცებს ჯერ ძველ საქართველოს ნაწილებს და შემდეგ ვინ იცის რომელ ისტორიულ ერის სამკვიდროს დაიპყრობს. ეს პროცესსი ოსმალეთის დაგლეჯა-დაფლეთისა ჯერაც არ შეჩერებულა და არ დასრულებულა.

15 აგვისტოს 1828 წელს გრაფმა პასკევიჩმა შემუსრა ოსმალოს ჯარი ახალციხისა და სოფელ კლდეს შუა: ღორის ხორცის ჭამია რუსების გაბატონება არ ეპრიანათ ოსმალოს მოხელეებს და გამაჰმადიანებულ ქართველობას მოლების, ამ ყოვლად უვიცი და განუვითარებელი სამღვდელოების პირით, შეუთვალეს: ავიყარნეთ და ფადიშაჰის სამფლობელოში გადავსახლდეთო. ორი წლის განმავლობაში მრავალი გამაჰმადიადებული ქართველი გადიხვეწა მცირე აზიაში. ეხლანდელი ჯავახეთი და ახალციხის მაზრა მთლად გატიალდა და გაველანდა. უგლეხ-კაცოდ დარჩენილ ქვეყანას გრაფმა პასკევიჩმა მალე უშოვნა მუშაკნი. აზრუმიდგან 100,000 სომეხი (გრიგორიანი და კათოლიკე) გადმოასახლა კარაპეტა ეპისკოპოზის წინამძღოლობით. სახლკარის მოსაწყობად და ბინის მოსაკიდებლად პასკევიჩმა იმპერატორ ნიკოლოოზს ერთი მილიონი მანათი გამოსთხოვა გადმოსახლებულთა შესაწევად [13]). გამაჰმადიანებულ ქართველთაგანი, ჯერ ისევ წმინდად ქართულად მოლაპარაკენი და მობაასენი, ვინც დარჩა სამშობლოში, ისინიც

---

[13]) იხ. Е. Г. Эловъ. Сношенія Петра Великаго съ Армянскимъ народомъ, გვ. CXXXVIII და CXXXIX. 1828—1830 წლებში გადმოსახლდა 14.000 სახლობა, სადაც ითვლებოდა 90,000 სული და ორი სომხის არქიელი. დამკვიდრდნენ იგინი ჯავახეთსა, გუმბრსა და ახალციხის მაზრაში.

მთავრობამ შეცდომით „თათრებად“ აღიარა [14]). ასე ნელ-ნელა და სისტემატიურად ისპობოდა დიდებულ მესხეთში ქართველის სახსენებელი.

ყირიმის ომის დროს (1853—1854 წ.) ოსმალეთმა ერთხელ კიდეე სცადა ბედი და მოადგა ახალციხეს, მაგრამ თავად ანდრონიკაშვილმა სასტიკად დაამარცხა ოსმალოს ჯარი სოფელ სხვილისთან (ეხლა დამახინჯებულია სახელი ამ სოფლისა და ეძახიან სუფლისს)! ამის შემდეგ, ვგონებთ, სამუდამოდ დაეკარგა ოსმალეთს იმედი ახალციხის დაბრუნებისა. სამწუხაროდ, მცირედად დარჩენილ გამაჰმადიანებულ ქართველებმაც (ახალციხის მაზრაში მაინც იგინი სჯარბობენ სხვებს) სამუდამოდ ამოირეცხეს გულ-დგან სამშობლოს სიყვარული და ბაწარაღებით გარბიან ოსმალეთისკენ.

ოსმალეთის ორის საუკუნის ბატონობამ (1626 წლიდგან 1828 წლამდე) წარუხოცველი დაღი და ბეჭედი დაასვა მესხეთს. მკვიდრთაგანი ვინც კი დარჩენილა, ისე დაბეჭავებულა, რომ მომეტებული სიბეჭავე ისტორიულის ერისა ძნელი წარმოსადგენი-ღა იყო. სად აჭარელი, თამამი, გამბედავი, მკვირცხლი, როგორც გურული და სად აქაური, დაფლეთილ-დაბრანძული სამცხე-საათაბაგოელი მკვიდრი [15])! როგორც მესხმა ოსმალოს გავლენის წყალობით ფერი და იერი იცვალა, ისევე შეიცვალა გარეგანი სახე ქვეყნისა. სანაქებო ენახები სულ

---

[14]) იხ. Г. А. Вейденбаумъ. Кавказскіе Этюды. I, გვ. 121.

[15]) აჭარა შინაურ გამგეობაში თითქმის დამოუკიდებელი იყო. მამაცი აჭარელი ქედს არ იხრიდა ოსმალოს წინაშე და იარაღით იცავდა თავისუფლებას. ესაა მიზეზი, რომ ენაც წმინდად შეინახა და ქართული ხნე-ჩვეულებაცა, დაჰკარგა მხოლოდ სარწმუნოება.

ამოვარდნილა და გადაშენებულა. მიწაში ჩაფლული ქვეერები და ქვიტკირის საწნახელნი-ღა ჰმოწმობენ, რომ აქაურ ქართველობასაც ძველად დანარჩენ ქართველებსავით კამკამა „ინუნუათი“ ჰყვარებიათ ყელის ჩასველება და გულის გაგრილება. ძველი ჯავახეთი ტყით ყოფილა დაბურული, დღეს კი ისეა მოტრუსული, რომ ჩირგვი, ან ფშატი რა არის, ისიც კი არსად მოიპოვება, რომ ზაფხულის სიცხე-პაპანაქებაში კაცმა თავი შეაფაროს და მოიჩრდილოს. ძველად ტყე ისეთი ხშირი ყოფილა, რომ მაღალი ტანის ეკლესიებს ჰფარავდაო, რასაც ჰმოწმობს სამსარის გადმობრუნებულ ქვის წარწერა [16]). ჯავახეთის დაბურული ტყეები აზრუმიდგან მოსულ სომხებს გაუკაფავთ. აზრუმში შეშას დახამებულნი ონავარ ფუტკარსავით მისევიან ტყეს და მკირეს ხანს სულ ძირს დაუციათ და როცა სულ გაანადგურეს, პურის გამოსაცხობად და საჭმლის მოსახარშად ისევ მამა-პაპეულ ჩვეულებას მიჰმართეს, ესე იგი წივას.

მესხეთს დაძაბუნება ჯერ ისევ ირაკლის დროს შემჩნეია. მეფე ერეკლეს ბრძანებით აუწერიათ მოკლედ 14 ივნისს 1796 წელს ქვეყნები, რომელიც ქართლ-კახეთს გარს ეკრა. ალბად ეს აღწერილობა რუსის, მთავრობას თუ მიართვეს. აღწერილობაში ახალციხე ასეა დახატული: „ახალციხის ქვეყანა, რომელიც არის ქართლის ერთი ნაწილი, უპირავს ახლა ხვანთქარსა ძალითა და არიან გამაჰმადიანებულნი და ადგილ-ადგილ **მცირედნი ქრისტიანენიც** იპოვებიან, და ჰქვიან ადგილსა ამას საათაბაგო; აქა ზის ვეზირი სამ თულიანი და არს შემძლებელ თავისავე ადგილში ხუთის ათასის მეომრის

---

[16]) იხ. Ив. П. Ростомовъ. Ахалкалакскій уѣздъ, გვ. 99.

კაცის გამოყვანისა, მაგრამ **ჯაბანნი** და **შეუბედავნი** არიან ომსა შინა« [17]). ეტყობა ნეთვრამეტე საუკუნეშივე გამქრალა ძველებური ვაჟკაცობა და სიდარბაისლე მესხისა. ოსმალეთის სტიქიონურმა ძალმომრეობამ მოსპო და გაანადგურა ერთიცა და მეორეც. პოლიტიკურ თავისუფლებას მოკლებული მესხი და ბოროტის ბატონის ხელშემაცქერალი დაბეჩავდა, დაგლახაკდა, ზოგი არსებობისათვის ბრძოლაში გაწყდა და ვინც გადარჩა, გახდა »მონა მზაკვარი«, როგორც იტყოდა ხოლმე ნეტარ ხსენებული »ვიცე-კანცლერი« საქართველოს მეფეთა: ირაკლისა და სოლომონისა სოლომონ ლეონიძე.

დიდებულ მესხეთის ნასუფრალს რომ თავი ერთად მოუყაროთ, ხელს ეს-ღა შეგვრჩება. ეხლანდელ ჯავახეთსა და ახალციხის მაზრაში სულ ქართველ-კათოლიკეთა რიცხვი 1901 წელს იყო 6408 სული ორთავე სქესისა. ქართველ-კათოლიკენი, რაღა თქმა უნდა, წმინდა ქართულის ენით ლაპარაკობენ, მხოლოდ საშინლად შეუბღალავთ წმინდა ქართული სახელები და გვარები სომეხ-კათოლიკეთა ეკლესიის აღსარების ზედგავლენით.

ზოგ ქართველ-კათოლიკეთა სამრეველოს მოძღვარი ჰყავს მკვიდრი სომეხი, რომელთაც ჩიქორთული ქართული მრეველში შეუსწავლიათ. წირვა-ლოცვა და დანარჩენი ღვთის-მსახურება სომხურადაა. ოფიციალურად და სხვა საბუთის ქაღალდებში იწერებიან ასე: სომეხ-კათოლიკე. ეს ოფიციალური ტერმინი აღმნიშვნელია ქართ-

---

[17]) იხ. Грамоты... А. Цагарели, т. II, в. I, გვ. 8. ეს საყურადღებო მოკლე აღწერა საქართველოს შეზობელ ქვეყნებისა ქართულადაცაა და რუსულადაც. რუსული ტექსტი გრამატების პირველ ტომშია დაბეჭდილი.

ველ-კათოლიკეთა სარწმუნოებისა, ანუ აღსარებისა, მაგრამ, სამწუხაროდ, სარწმუნოების აღმნიშვნელი ტერმინი ეროვნობისა და ხალხოსნობის აღმნიშვნელად გარდაიქმნა. მდაბიო ქართველ-კათოლიკს რომ ჰკითხავ, ვინა ხარო? გიპასუხებთ—სომეხ-კათოლიკეო. თუ წყრომისა, ან გაჯავრების კილოთი ჰკითხე, რას მიედ-მოედები, მამაპაპით ქართველი იყავ და სომხად როგორ გადაკეთდიო, მორცხვი პატარძალივით თავს ჩაღუნავს და მოკრძალებით გიპასუხებს: დიაღ, ამბობენ, რომ წინად ჩვენი მამაპაპანი ქართველები ყოფილანო. ქართველ-კათოლიკეთა მოძღვართა სახელებს წინ უძღვის სიტყვა „ტერ“ და მათი სახელები ასე გამოითქმის: ტერ-პოღოსი, ტერ-პეტროსი და სხვა.

ქართველ-კათოლიკენი დასახლებულნი არიან შემდეგ ადგილებში: ქ. ახალციხის ძველ ნაწილში, რომელსაც ძველადგანვე „რაბათს“ ეძახიან. რაბათის ზემო ეკლესიის მრევლი 529 სულია, რაბათისავე ქვემო ეკლესიისა—665, ივლიტისა—306. არის კიდევ რაბათის რომის კათოლიკეთა ეკლესია, რომელსაც განაგებდნენ პატრები და დღესაც ამ ეკლესიას განაგებს ქართველი პატრი, მამა ლაზარე გოზალაშვილი [18]).

---

[18]) ქართველ-კათოლიკეთა რაოდენობის ცნობა გადმოგვცა მამა ლაზარე გოზალაშვილმა. ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში არიან კიდევ კათოლიკენი, ზოგი ტომით სომეხი, ზოგი კიდევ ქართველი ჩამომავლობისა. უკანასკნელთ (ველელებს) არც სომხური იციან, არც ქართული, ლაპარაკობენ ოსმალურად. იგინი გადმოსახლდნენ ს. ველიდან, არდაგანის ოლქიდან. სოფელნი: ხულგუმო, ტურცხი, კულიკამი და კართიკამი ამ ველელებითაა დასახლებული.

მრევლი მცირე ჰყავს პატრების ეკლესიას: ახალ-ციხის მაზრის შემდეგ სოფლებში ბინადრობენ ქართველი კათოლიკენი: 1) ვალე—750 სული. აქავე სცხოვრობენ; აგრედვე მართლ-მადიდებელნი ქართველნი და ქართველი-მაჰმადიანნი. 2) უდე—1562 სული. აქაც სცხოვრობენ ქართველი-მაჰმადიანნი. ქართველ-კათოლიკეთა მოძღვარი და ქართველ-მაჰმადიანთა მოლა ერთის გვარისანი იყვნენ ერთ დროს. 3) არალი—657 სული; 4) ბოლაჯური—58, უმრავლესობა ამ სოფლისა ქართველი-მაჰმადიანია. 5) ბნელა—42 სული. ჯავახეთში, ანუ ახალქალაქის მაზრაში, სულ ორი სოფელია, სადაც ქართველ-კათოლიკეთა ბინა შერჩენიათ და სადაც სუფთად ლაპარაკობენ ქართულად: 1) ხიზაბავრა—1698 სული და 2) ვარგავი—141, სულ მაშასადამე 6408.

მრავალი ქართველ-კათოლიკე ჩანთქა ულმობელმა ისტორიამ; ბევრიც წარსულს საუკუნეს გადაიხვეწა სტამბოლს, ტფილისს, ქუთაისს და ბათუმს. ასე რომ ნაშთი ქართველ-კათოლიკეთა სულ ეგ 6408 სული ორივე სქესისა გახლავთ. ამ მცირე ნაშთსაც ბ-ნი სარუხანა გვედავება—ეგენი მუდამ გვარ-ტომობით სომხები ყოფილან და დღესაც სომხები არიანო. თვით ბ-ნი სარუხანა ერის-კაცია, ტომით სომეხი, სარწმუნოებით სომეხ-გრიგორიანი, ხელობით, კარგად არ ვიცით, ვაჭარია, თუ ნოქარი. საოცარი აქ ისაა, რომ თითქოს არც ხელობა და არც წოდება ხელს არ უწყობს ბ-ნ სარუხანას ლიტერატურაში საეროვნო, ან საეკლესიო კითხვების ძიება-გამოკვლევას მისდევდეს, მაგრამ რას იზამთ. უჯობს და ლაპარაკობს. ბევრს ედავა თამამ პუბლიცისტს ა. ხახანაშვილი, დაუმტკიცა სიყალბე საბუთებისა, ისიც კი გამოუძებნა ხახანაშვილმა ბ-ნ სარუხანას, რომ ისტორიულ-

დოკუმენტების წაკითხვის შნო და უნარი არა. გქონიან, მაგრამ რა. ხახანაშვილის დავას პრაქტიკული ნაყოფი არა მოაქვს-რა. ბ-ნი სარუხანა მეტის-მეტი გულქვავი და მკაცრი ადამიანი ყოფილა. მისი საქციელი ასეთს სურათს მაგონებს: იყო მეფე სვიანი, მძლავრი და კეთილი, პორფირითა, ძვირფასი სამკაულით და გვირგვინით მოსილი. უკეთურთ შეიშურეს მისი დიდება-სვიანობა და გაძარცვეს, დაშთა მხოლოდ გაძარცულს მეფეს მცირე რამ სამაჯური და მკერდს ნაკიდი ძეწკვი, აღმნიშვნელი ძველის დიდებისა. ერთს უკეთურთა უკეთურთაგანს, ყმასა მზაკვარსა, ესეც შეშურდა მეფისათვის და უკანასკნელი სამკაულიც მოსტაცა.

სარუხანასთანა პუბლიცისტები სხვისაგან კაცთმოყვარეობასა და ლმობიერებას თხოულობენ, თვითონ კი ისეთი მადიანები ბრძანდებიან, რომ წარბ-შეუხრელად კაცს გადაჰყლაპავენ.

ახლა განვიხილოთ, თუ რამდენი დარჩა დიდებულ მესხეთის ბეითალმანზე ქართველი მართლ-მადიდებელი. მართლ-მადიდებელმა ქართველობამ თავი იჩინა მხოლოდ მესხეთის ორ ნაწილში: ჯავახეთსა და ახალციხეს (იგულისხმეთ ახალციხეს მხარე, ოლქი) რუსობის დამკვიდრების შემდეგ. მესხეთის სხვა ნაწილებში მართლმადიდებელ ქართველის სინსილა და სახსენებელი კარგა ხანია გასწყდა. ჯავახეთი საციციანო მთას აკრავს, ახალციხე კი გურია-იმერეთს და დღევანდელ ზემო-ქართლს. ალბად ამ სიახლოვემ შეუწყო ხელი, რომ ქრისტიანობა სრულიად არ ამოვარდა და ნაკრის ქვეშ ჰლუოდა ქრისტეს სიყვარული. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ქართლ-იმერეთიდგან ხშირად გადმოცვინდებოდნენ ხოლმე ქრისტიანენი სხვა და სხვა მიზეზის გამო. ს. კოთელიას, ხი-

ზაბავრას და სხვაგან დღესაც არიან ისეთნი, რომელთაც კარგად ახსოვთ, თუ რამ აიძულა მათი მამა-პაპანი აყრილიყვნენ და აქეთ გადმოხვეწილიყვნენ. ერთმა კოთელიელმა მთელი ისტორია მიამბო თვისის მამა-პაპის აყრა-გადმოსახლებისა სოფ. ქარელიდგან.

1900 წელს ჯავახეთსა და ახალციხეს ითვლებოდა მართლ-მადიდებელნი ორისავე სქესისა სულ 10,088 სული [19]). ამ რიცხვში ნაანგარიშევია მცირეოდენი რუსობა და ბერძენნი სოფ. მიქელ-წმინდისა და ქ. ახალციხისა. მართლ-მადიდებელნი ბინადრობენ 1281 კომლად და შეადგენენ 13 სამრეველოს: 1) ახალციხისა, 2) წმ. მარინესი, 3) ახალქალაქისა, 4) ბარალეთისა, 5) აწყურისა, 6) ვალესი, 7) გოგაშენისა, 8) ზედათმოგვისა, 9) ქილდისა, 10) მუსხისა, 11) ტოლოშისა, 12) საროსი და 13) ერკოტისა.

აი სოფლებიც, სადაც ბინადრობენ მართლ-მადიდებელი ქართველნი: ახალციხის მაზრისა: 1) ვალე, 2) ტატანისი, 3) ჯობარეთი, 4) ღრელი, 5) ანდრია-წმინდა, 6) მუსხი, 7) ქუნცა, 8) ერკოტა, 9) ტობა, 10) როკეთი, 11) დადეში, 12) ძველი, 13) ტოლოში, 14) ზედათმოგვი, 15) აგარა, 16) აწყური, 17) ტყემლანა და 18) ქვაბის-ხევი. ახალქალაქის მაზრისა—1) ბარალეთი,

---

[19]) მართლ-მადიდებელთა შესახებ ცნობანი გადმოგვცა დეკანოზმა დიმიტრი ხახუტაშვილმა. დღევანდელ ახალციხის მაზრაში ხუთი სოფელია, რომელთა მკვიდრნი ბორჯომის ხეობიდგან ამოვიდნენ მე-XIX საუკუნეს. ამ ხუთ სოფელ'ში მხოლოდ ქვაბის-ხევი ეკუთვნის ახალციხის საბლაღოჩინოს, დანარჩენნი: დვირი, ტაძრისი, დგვარი და საკირე ბორჯომისას. ბერძნები და რუსები რომ გამოვაკლოთ, ქართველ მართლ-მადიდებელთა რაოდენობა დაახლოვებით შეიძლება მივიღოთ 10,000 სული.

2) სარო, 3) ვარევანი, 4) ვარგავი, 5) თოკი, 6) კოთელია, 7) აზაერეთი, 8) ბალანთა, 9) ჭიხარულა, 10) ფრთენა, 11) მურჯახეთი, 12, ჩუნჩხა, 13) ქილდა, 14) გოგაშენი და 15) აფნია.

როგორც ყველგან საქართველოში, იმერეთს გარდა, ქალაქად მკვიდრი ქართველი ძალიან ცოტაა. ახალციხეს კანტი-კუნტად კიდევ მოიპოვებიან, მაგრამ ჯავახეთის ახალქალაქი წმინდა სომხების ქალაქია. მახსოვს, აქ ერთი მოხუცებული მეწისქვილე იყო მართლ-მადიდებელი ქართველი და, ვგონებ, უძეოდ ესეც ამოწყდა. არის კიდევ ერთი ქართველი და, როგორც მითხრეს, იმერეთიდან გადმოსახლებულა. ასეთი ქართველი კი ანგარიშში არ არის მისაღები, როგორც მოსული დროებით ქართველი მოხელეობა.

ზემოდ დასახელებულ რიცხვში (10,088) სასულიერო წოდებისა 193 სულია, სამხედრო—102; ვაჭარი, ხელოსანი და მოქალაქე—201, გლეხი—9170.

მთლად მართლ-მადიდებელთა სამრევლოებში 1900 წელს დაბადებულა: 240 მამრი, 294 მდედრი, სულ 534. ქორწილი ყოფილა 109. გარდაცვლილა: 144 მამრი, 149 მდედრი, სულ 293. მაშასადამე „დიდებულ მესხეთის ნატამალს“ 1900 წელს უმატნია 241 სულით [20]).

„დიდებულ მესხეთისა“ მთელი აელა-დიდება დღეს სულ ეს არის. რაღაც 10,000 სული, ათას ორას ოთხ-

---

[20]) ვერ გამოვარკვიეთ, რა მიზეზია, რომ ქალები ასე სპარბობენ მამა-კაცებს. დაბადებითაც მეტი დაბადებულან, სიკვდილითაც მამა-კაცზე მეტნი მომკვდარან. ყველგან მამა-კაცნი სპარბობენ, აქ კი ქალებს გაუმარჯვნიათ. ეს ხომ არ არის მიზეზი მესხეთის დაკნინებისა? ხემრობის გუნებაზე რომ ვიყოთ, სწორედ ამ მიზეზით ავხსნიდით მესხეთის ამოვარდნას...

მოცდა ერთ კომლად გაბნეული ორს მაზრაში. ამოდენა ხალხი ხომ სოფელ საგარეჯოშიაც იქნება და თუ ცოტა რამ დაიკლდება, მიუმატეთ მეზობელი სოფელი პატარ-ძეული, ან ნინო-წმინდა და მიიღებთ 1281 კომლს ქართველს. გარე-კახეთის ორისა, თუ სამის სოფლის ქართველობა რაოდენობით უდრის მთელ მესხეთის ქართველობას, თუ, რასაკვირველია, ანგარიშში არ მივიღებთ სომხის ტიბიკონზე მდგარ ქართველ კათოლიკეთ და გამაჰმადიანებულ ქართველობას, რომელთაც ასე უწყალოდ და უღვთოდ აიცრუეს და აიყარეს გული მშობელ დედაზე და სამშობლოზე [21])... დაცინვაა ბედისა, მაშ რა არის!..

1897 წელს იანვრის თვეში ერთის დღის განმავლობაში აიწერა რაოდენობა ხალხისა რუსეთის იმპერიაში. ამ აღწერამ აღმოაჩინა, რომ ახალქალაქის მაზრაში ითვლებოდა 67,919 სული ორისავე სქესისა, ხოლო ახალციხის მაზრაში—53,757, სულ ორთავ მაზრაში 121,676 ადამიანი [22]). ქართველები: კათოლიკენი და მართლ-მადიდებელნი რომ ერთად შევაერთოთ, მივიღებთ 16,408. მაშასადამე ქართველობა შეადგენს მეშვიდე ნაწილზე ცოტა მეტს და მერვეზე ცოტა ნაკლებს, ანუ აქაურ ყოველ ას კაცზე ქართველი მარტო თორმეტ კაცამდე იქნება.

თუ მოისურვებთ და მეცნიერულ ელფერს მისცემთ

---

[21]) საბედნიეროდ, ამ ჟამად 1914 წ., ქართველ-მაჰადიანებში დაიწყო ეროვნული მოძრაობა. ქართველი-კათოლიკენი ხომ აშკარად იბრძვიან ეროვნულ უფლებისათვის. ამისი უტყუარი საბუთებია.

[22]) იხ. კავკასიის კალენდარი 1901 წ. გვ. 23 მესამე განყოფილებისა.

ციფირებს, დავინახავთ, რომ ქართველები შეადგენენ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების მკვიდრთა საერთო რაოდენობისას 13,48%.

ეს ყველა ყარგი, მაგრამ საქმე ისაა, რომ მეზობლები გვედავებიან 6408 კათოლიკეთ და ჯერ დავა საბოლოოდ არ გადაწყვეტილა. ჩვენ რომ ჩვენი ვსთქვათ და იმათ თავიანთი, ამითი საქმეს არა ეშველება-რა, ვიდრე ავტორიტეტის მეტონე დაწესებულება არ გადასწყვეტს დავასა. სანამდე კი, მეტი რა ჩარაა, სათვალავში უნდა ვიქონიოთ მხოლოდ მართლ-მადიდებლობის აღმსარებელი ქართველობა. ესენი, როგორც მოვიხსენიეთ, არიან 10,000 სული, ესე იგი 8,21% ორის მაზრის მკვიდრთა საერთო რიცხვისა, ანუ ყოველ ას კაცზე რვა მრთელი და ერთი მეხუთედი მართლ-მადიდებელი ქართველისა მოვა.

ყველა ნათქვამის შემდეგ ნუ თუ სრული, კანონიერი საბუთი არა გვქონდა ამ წერილების ეპიგრაფად გვეხმარნა ანდაზად მიჩნეული ბრძნული ლათინური თქმულება: sic transit gloria mundi [23]). ვფიქრობთ, რომ არც ერთ ქვეყანას ისე ზედგამოჭრილი არ მიუდგება ეს ანდაზა, როგორც მესხეთს. განა გაგონილა სხვაგან სადმე ასეთი უკუღმართობა, ცვალებადობა და სიმუხთლე ბედისა? განა შესაძლებელია, ძველი დიდება ისე გაჰქრეს, რომ მისი ერთი სხივიც აღარ გვინათებდეს და გვათბობდეს? განა გონებით მისაწვდენელია, რომ სამშობლო რუსთველისა, გიორგი და ექვთიმე მთაწმინდელთა, ბექასი და აღბუღასი ისე აოხრდეს, რომ კაცმა ველარ იცნოს? ას კაცზე რვა-ღა დარჩენილა ქართველი, თუ

[23]) ქარ-ულად ასე ითქმის: ასე წარმავალია დიდება ქვეყნისა.

გნებავთ თოთხმეტი იანგარიშეთ. ცხადია, რომ ჩვენ უფრო სტუმრის სახელი შეგვშვენის, ვიდრე მასპინძლისა. ვაგლახი მაშინ იქნება, მასპინძელს თუ სტუმრიანობა მოსწყინდა და ანდაზისაებრ: დილით ოქრო ხარ, სტუმარო, საღამოს ვერცხლად იქცევი, თუ ხანი დაგიგვიანდა, სპილენძად გადაიქცევი,—თავაზიანად გვიბრძანოს — მიბრძანდით, სახლ-კარი გამინთავისუფლეთო.

ნახ-ული და გაგონილი.

I

მიხეილ მეფისაშვილის გარდაცვალების გამო.

თერთმეტ იანვარს აქ, ახალციხეს, გარდაიცვალა მიხეილ მეფისაშვილი, ართვინის ოლქის უფროსად ნამ-ყოფი. ბევრის მხრით იყო შესანიშნავი განსვენებული...

უკანასკნელ დროს ხშირად ლაპარაკობენ, ქართველ კაცს ნიჭი, უნარი არა აქვს მართვა-გამგეობისა, უფრო-სობისაო. მაზრა რა არის, იმის პატრონობაც კი არ შე-უძლიანო, ვითომ ისე დაძაბუნდა, ისე დალაჩრდა და და-ხურდავდა ქართველიო.

სრულიად მოკლებულია სიმართლეს განზრახ აჩე-მებული აზრი. მაგალითების საძებნელად შორს რომ არ წავიდეთ, მარტო განსვენებულის წარსულის მცირედად გახსენებაც საკმარისია, რომ ზემოდ აღნიშნულის აზრის უსაფუძვლობა დავინახოთ.

მეფისაშვილს არც უნივერსიტეტი, არც გიმნაზია დამთავრებული არა ჰქონდა. მიუხედავად ამისა, მართვა-გამგეობის უნარიც ჰქონდა, ნიჭიცა. მთელის ძველის მესხეთის ტერიტორია არზრუმ-ტრაპიზონამდე რომ ჩაგე-

ბარებინაო, პირნათლად გაუძღვებოდა და ქვეყანას არავის ააოხრებინებდა. შესანიშნავის ზედმიწევნით იცოდა განსვენებულმა მთელი ეს კუთხე, ზნე და ჩვეულება მკვიდრისა და მისი სულიერი ვითარება. ამასთანავე სამშობლო ქართულის გარდა ზედმიწევნითვე, თითქმის ხელოვნურად იცოდა სომხური და ოსმალური. მისი სჯაბაასი ოსმალურად ბეგებთან ოსმალეთის დივან-ხანას მოგაგონებდა და ამის მნახველს უნებლიედ აზრი სტამბოლისაკენ გაგიტაცებდა.

ბუნებრივს ნიჭსა და გამჭრიახობას გარეგნობაც ხელს უწყობდა. წამოსადეგი და ახოვანი იყო მეტად. კილო საუბრისა ხომ ისეთი ძლიერი, მბრძანებელი და მორჩილების გამომწეევი ჰქონდა, რომ უნებურად იფიქრებდი, ეს კაცი მბრძანებელად არის სწორედ დაბადებული და არა სხვის ბრძანების აღსასრულებლადაო.

ასეთი კაცი პოვნაა მხედართ-მთავრისა და სარდლისათვის. აკი კიდეც იმიტომ მიაქცია ყურადღება მეფისაშვილს განსვენებულმა გრაფმა მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქოვმა რუს-ოსმალოს ომის დროს. რუსები რომ იტყვიან, ეს კაცი ჩემი მარჯვენა ხელიაო, სწორედ ზედ გამოკრილია მეფისაშვილსა და ლორის-მელიქოვზედ. ლორის-მელიქოვმა აკარის გამგებელ შარიფ-ბეგ ხიმშიაშვილთან სადიპლომატო მოლაპარაკება მეფისაშვილს მიანდო. ყველამ იცის, რითაც, ან როგორ გათავდა ეს მოლაპარაკება. ხიმშიაშვილმა აკარა რუსეთს დაუთმო უომრად. მიწერ-მოწერა მეფისაშვილსა და ლორის-მელიქოვს ამ მაღალ-მნიშვნელოვან საგნის შესახებ ქართულად ჰქონიათ.

დიდის მწუხარებით უნდა აღვნიშნო, რომ ლორის-მელიქოვის წერილები სამუდამოდ დაღუპულია ისტო-

რიისათვის. უბედურის შემთხვევის წყალობით წერილები დაიკარგა!..

განსვენებული მეფისაშვილი იყო კათოლიკე სარწმუნოებით. ამის გამო მიცვალებულს ანდერძი აუგეს სომეხ-კათოლიკეთა ტიბიკონისამებრ.—ბოდიშს ვიხდი განსვენებულის პირისუფლებთან, თუ აქ მეტი რამ მომივიდეს უნებლიედ.—ანდერძი დაიწყეს ქართულად, მაგრამ რადგან მღვდელთა შორის ზოგი ტომით ქართველი იყო და ზოგი სომეხი, ვერ შესძლეს ქართულად ბოლო გაეტანათ მწყობრად და არჩიეს სომხურად გადასულიყვნენ. წირვაც სომხურად გახლდათ, მხოლოდ სახარება იქმნა წაკითხული ქართულად.

ამბობენ, ძალიანაც რომ უნდოდეთ, ველარც კი მოახერხებენ ქართველ-კათოლიკენი წირვა-ლოცვას ქართულად, რადგან ქართული სალმრთო წიგნები აღარ მოეპოვებათ და ახლად ველარ ჰბეჭდავენო. თურმე აგერ სამოცი წელიწადი სრულდება, რაც ქართულს სტამბას ქართველ-კათოლიკეთა აღსარების წიგნი არ დაუბეჭდია...

განსვენებული სიბერის დროსაც არწივს მოგაგონებდა, მართალია ფრთებ-მოტეხილს, მაგრამ მაინც არწივს...

განსვენებული დაკრძალეს ს. ივლიტას. ამ სოფელში, ასე მითხრეს, რამდენიმე კომლი მაჰმადიანნი "ქართველი ტომისანნი" და კათოლიკენი, ტომით სომეხნი, სცხოვრობენო. ეკლესიის გალავანში კი საფლავის ქვას ქართული წარწერანი აქვს. ეკლესიაში სომხურად ადიდებენ უფალსა და საფლავის ქვებს კი ქართულად უკეთებენ ზედწარწერას. ბედის დაცინვაა, მაშ რა არის ესა?

კარგს იზამდა ბ-ნი ილია ჭავჭავაძე, მესხეთისკენ გა-

მოესეირნა, ვიდრე „ქვათა ღაღადიან“-სის წერას შეუდგებოდა. აბა, აქ ჰნახავდა ნამდვილ ქვათა ღაღადს!

მართალია, ბედი ცულლუტი და ცვალებადია, მაგრამ არც ასეთი გადამეტებული სისასტიკე ვარგა. უკულმართმა და შავად და ბნელად მოსახსენებელმა მარტოოდენ საფლავის ლოდნი-ღა გვიწყალობა სანუგეშებლად. ძღვენი მწირია, მაგრამ რას იზამთ?

მეფისაშვილის საფლავის ქვასაც ხომ ქართულად დააწერენ ეპიტაფიას საბუთად იმისა, რომ აქ ქართველი ასაფლავია. ისტორიას ეს ქართული წარწერა-ღა დარჩება.

„კარგი რამ გჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია“.

II

მაჰმადიან ქართველების გადასახლება.

ერთი სურათი ენახე ამას წინად ბორჯომის სადგურზედ და უნებურად გამახსენდა მშვენიერი პატარა მოთხრობა განსვენებულის ჩვენის ალექსანდრე ყაზბეგისა — ელისო.

სადგური სავსე იყო ქართველ მაჰმადიანებით, ღამის პირველი საათი იქნებოდა, ბავშვები და დედა-კაცნი ჭერეხებივით ეყარნენ ცივ იატაკზედ. მამა-კაცთ არ ეძინათ, ხოლო ორიოდე დედა-კაცი აქა-იქ წამოყუნტულიყო და ბავშვებს ძუძუს აწოვებდნენ, თან რაც ძალი და ღონე ჰქონდათ ჩადრებს იფარებდნენ, რომ უცხოთა თვალთაგან დაემალათ პირისახე. კარგა ხანს ვუყურე ამ სევდისა და დარდის ამშლელს სურათს, ვიდრე გო-

ნებამ ხელახლა არ გამიტაცა მოხუცი ანზორისკენ, ელი-
სოსა და ვაჟიასაკენ.

სხვისა რა მოგახსენოთ და მე კი იმ აზრისა ვარ, რომ ყველაზე ძლიერი სევდა, ადამიანის დამაავადებელი და დამასნეულებელი ისაა, როდესაც ჰგრძნობ, რომ შენი ბედი შენს ხელში არ არის. ეს რომ ასე არ იყვეს, განა ამ სურათს წაავწყდებოდი? განა ამ საცოდავებს აქვე ვერ მოვაწყობდით? ხომ ცხადია, რომ ეს უბედურნი იქ, უცხოეთში, სამოთხეს ვერ იპოვნიან და მხოლოდ პირი ციეი სამარისკენ მიუმართნიათ.

თვალი მოვკარი ნაცნობ გლეხსა.

— საიდა, შენა? ეს რა ამბავია, განა ასე მალე აიბარგეთ?

— დიახ, ბატონო, აკი იმ დღეს მოგახსენეთ, რომ წასვლას ვაპირებთო. ყველაფერი რაც რამ გვებადა, მივყიდ-მოვყიდეთ, მატარებელს ველით, დაგვპირდნენ, ცალკე ვაგონს მოგცემთ ბათუმამდინაო.

საუბარი შევწყვიტე. ან კი რაღაზე გველაპარაკნა? მართლა, ორი კვირის წინად, ბევრი ვილაპარაკეთ, მე ჩემსას არ ვიშლიდი, საიდა თავისას. ბოლოს თავისი ისევ საიდამ გაიტანა და აიბარგა. იმასთან სხვამაც ბევრმა მოშალა მამაპეული ფუძე.

საიდა და მისი მეზობლები ს. საკუნეთიდან არიან. ეს კარგა მოზრდილი სოფელი აწყურს აკრავს, ასე 5—6 ვერსი იქნება. შიგ მშვენიერი თლილი ქვის პატარა ქართული ეკლესია დღესაც კოხტად გამოიყურება. ამბობენ და ბევრსაც სჯერა, რომ ეკლესიიდგან ხანდახანობით, საღამო ჟამს, ნათელი მოსჩანსო. ერთხელ, განსვენებულმა აწყურის ექიმმა, შესანიშნავის გულის პატრონმა კაცმა ივანე ბარამიშვილმა კიდევაც წამიყვანა სა-

ღამო ხანს აწყურიდგან საკუნეთისკენ — ეგები დავინახოთ ნათელიო,- მაგრამ ვერა დავინახეთ-რა.

საკუნეთს ძველად საყოველთა ერქვა ქართულადაო. არ ვიცი, რამდენად მართალია ესა, ასე კი ამიხსნა ამ სოფლის ერთმა ბატონთაგანმა. მთელი სოფელი დღესაც, დიდი და პატარა, წმინდად და სუფთად ლაპარაკობს ქართულად. ძველი ქართული გვარებიც ისევეა კარგად შენახული, როგორც შუაგულ ქართლსა და იმერეთში.

სევდის ამშლელ სურათს მოვშორდი და ჩემს გზას გავუდექი. გზაში მომაგონდა ამ სოფლის მოძღვარი-მოლა, ახალგაზდა, სანდომიანი, წმინდა ქართველური სახის მეტყველებით. გაცნობის დროს გამოვკითხე მოლას--საღ მიიღო განათლება. ბევრი რამ მიამბო საყურადღებო. ნაამბობმა ცხადად დამანახვა, თუ ასე უწყალოდ რად აიყარეს ჩვენზე გული ჩვენმა თანამემამულეთ.

თორმეტი წლისა ვიყავი, როცა სტამბოლს გამგზავნეს სწავლის მისაღებადაო. საცხოვრებელი იქ არა მქონდარა, სახლიდგან მარტო გზის ხარჯი გამატანესო. მივებარე სასწავლებლად სტამბოლის მოლებს და ვცხოვრობდი ჩემთვისო.

— მოლა, რას ამბობ, განა მშიერი არ მოკვდი უცხოეთში, იმ უშველებელ ქალაქში, სადაც არც ნათესავი და არც თვის-ტომი არ მოგეძევებოდა?

მოლამ იტაცა.

— როგორ თუ უცხოეთი? განა იქ სულ ჩვენები არ არიან? ქვეყანა დიდია, ძლიერი, მდიდარი, განა აქაურ ფუხარებსა (ღარიბი) ჰგვანან? მაჰმადიანი იქ მშიერი როგორ მოკვდება.

ამას რომ ამბობდა, ახალგაზდა ჯან-ღონით სავსე მოლას სახე გაუბრწყინდა სიამაყითა და ამპარტავნებით, ასე რომ მევე შემრცხვა ჩემის გაოხრებულის და გატიალებულის სამშობლოსი.

მოლამ ისიც მიამბო, რომ ათი წელიწადი დავრჩი სტამბოლსაო. სახლიდგან საზრდო არა მომდიოდა-რა, მაგრამ საკიროც არ იყოეო. რამაზანისა და ბაირამის დროს, აგრედვე სხვა დიდ დღესასწაულებში წავიდოდით სტამბოლს გარედ, სოფლად, ლოცვებს ვკითხულობდით, ვგალობდით, აი ისე, როგორც ქართველები ჭოონაზე დადიან ხოლმეო და იმდენს საშოვარს ვმოულობდით, რომ წლითი-წლობით თავზე საყრელი გვქონდაო.

მგონი ადვილად მიხვდებით ეხლა, თუ სადაა ამ უმაწვილი მოძღვრის „alma matera-ი, საით მიჰფრინავს მისი გონება და რა გუნებაზე უნდა იყვეს ან თვითონ ეგა, ან მისი მრევლი. დიდ სიდუხჭირეს და უბედურებას ჩვენის დღევანდელის ცხოვრებისას ვიღა იტყვის, როცა მცირედი ნაკლულევანება აუცრუვებს კაცს გულსა და დაატოვებინებს სამშობლო მიწა-წყალსა.

რაღა ესენი და რაღა ნარზე მჯდომარე ნიბლია ჩიტი!

ამ დღეებში, მეორე, ბოგელ მოლასთან მქონდა საუბარი. სოფელი ბოგა იგივე ქართველ მაჰმადიანებითაა დასახლებული და სუფთა ქართული შერჩენიათ. გადასათარგმნი მქონდა მცირე რამ თათრული. თარგმანს რომ მოვრჩით, მასლაათი გავაბით.

— თორმეტი წელიწადი ვისწავლე დიღურის მოლებთანო. და შემდეგ ეგზამენი დავიჭირე მოლის ხარისხის მისაღებად ტფილ ქალაქში მუფთიასთანაო.

დღევანდელ მესხეთში დიღურის სკოლას ხუმრობით „მაჰმადიანების აკადემიას“ ეძახიან. აქ ბლომად არიან ნასწავლი მოლები, იყვანენ შეგირდებს და ასწავლიან არაბულს და ყორანს. მთელი ავლა-დიდება ამ აკადემიისა ესაა, სხვა იქ არა მოიპოვება-რა.

სოფელი დიღური, რუსულად დგვირ, ფოცხოვშია, გარშემო სულ ქართული სახელებია სოფლებისა, როგორც მაგალითად: საიხვე, გული, ჭილავანა, პეტუბანი, ზეინდარი, საკირე, ხერთვისი, მერია, სამიხელია, გუნია, ჯაბორია, კოდისი, ტაბალა, ხონამისი, ფარხანა, ხეოთი, ალი, აგარა, წურწყაბი, სათლმალი და სხვა, მაგრამ სახელის გარდა ქართული აღარაფერია. სულ აღგვილა დედამიწის პირიდან ქართველის სახსენებელი.

მოგეხსენებათ, რომ მოლებიც კაცნი არიან და სმაჭაშა უნდათ. შეგირდები ფულს არ აძლევენ, ათასში ერთხელ თუ მცირე ძღვენს მიართმევენ; მაგალითად შაქარსა და სხვა ამ გვარ ტკბილეულობას. მასწავლებელ მოლებს დიდ მფარველობას უწევდა და ასაზრდოებდა ფოცხოვის გავლენიანი და შეძლებული კაცი შაქირ-ბეგი. იგი ენათესავებოდა კარგად ცნობილს, განსვენებულს ფეიზულა ბეგ-ათაბეგოვს — ქვაბლიანელს.

შაქირ-ბეგიც სხვებსავით შარშან აიბარგა ცოლშვილით, გადავიდა საოსმალოში, იყიდა მშვენიერი სახლი სტამბოლს და იქ დაესახლა. ეხლა ვიღა პატრონობს დიღურის „აკადემიას“, არ ვუწყით.

დიღურის „აკადემიიდგან“ გუვერნიორებიც გამოდიან. ბევრგან ბეგების ოჯახში მინახავან მასწავლებელ-გუვერნიორნი დიღურის აკადემიისა. საზოგადოდ მოლას ნასწავლ-ნაკითხ კაცს ეძახიან. რამდენჯერ უთქვამთ ჩემ-

თვის გლეხებს „კაი ნაკითხი“ მოლა გვეკვავსო. ამ ჯურის გუვერნიორ-მასწავლებელნი ჯილდოდ შრომისათვის ფულს არ იღებენ. ასმევენ, აჭმევენ, ბინას გაუჩენენ, მორჩა და გათავდა. ესენიც მწიგნობრობენ მფარველ ბეგის ოჯახში და ბავშვებს არაბულად წერა-კითხვას ასწავლიან. თუ შტატის მოლაა და მრეველი ჰყავს, მაშინ, რასაკვირველია, მღვთის მსახურებასაც ასრულებენ და ემორჩილებიან სამაზრო ყაზის.

დარწმუნებით და მტკიცედ ვიცი, რომ მოზარდი თაობა დიდის გაპირვებით ითვისებს არაბულ ენას მოლების სკოლაში. უცნაური აზრი მომივიდა, მოდი და ამ ჩემს ბოგელ მოლას ეგზამენს ვუზამ, გამოვცდი, თუ რამდენად იცის არაბული-მეთქი. წიგნი არა მქონდა-რა, ნ. მარრის თხზულების გარდა: „Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи“, ტ. IV. გადაუშალე ლექსიკონი, საცა ბ-ნ მარრს მოყვანილი აქვს უცხო ენებიდგან ქართულში შემოტანილი სიტყვები. ასეთს ნასესხებ სიტყვებს არაბულად და სპარსულადაც უწერია გვერდით. მოლამ მკაფიოდ წაიკითხა: ალამი, ათაბეგი, ალვა, ალი, ალმასი, ამბარი (ароматъ), ბალჩა და სხვა.

--- მოლა, კარგად ყოფილხარ ნაკითხი,—მოვუწონე კითხვა; ქართულად ჩემსაებრ ლაპარაკობ და ნუ თუ ქართული წერა-კითხვა არ იცი?

— რად მინდა, ბატონო, ქართული, რაში უნდა გამოვიყენო?---მკვირცხლად მომიგო აკადემიკოსმა მოლამ.

ამ პასუხიდგან ნათლად სჩანს, რა ულმობელის თანდათანობით ეკარგება ფასი ქართულსა და გამოუსადეგარი ხდება. მას შემდეგ, რაც მთავრობამ ქართველი მაჰმადიანი „თათრად“ აღიარა, სულ ბოლო ეღება ათას

წლოვან ქართულსა. ქართული ენის გადაშენების პროცესი ჯერაც არ შეჩერებულა და, ვერ წარმომიდგენია, ამ ფრიად საყურადღებო საგანს ასე გულ-გრილად რად ეკიდება ჩვენი ყოველდღიური პრესსა.

შარშან და შარშანწინ მთავრობამ მოახდინა რეფორმა ადგილობრივი მართვა-გამგეობისა აჭარაში, სადაც დღესაც წმინდად ლაპარაკობენ ქართულს გურულის კილოთი. განმეორდა ბედშავი შეცდომა (роковая ошибка). აჭარლების სამშობლო ენად აღვიარეს ოსმალური-თათრული, სწორედ ისე, როგორც ახალციხის აღების შემდეგ პასკევიჩის მიერ, მესხეთისა და ჯავახეთის ქართველ-მაჰმადიანობას უწოდეს თათრები. ასეთი ისტორიისა და ბუნების წინააღმდეგი შეცდომის გამო სასოფლო სამმართველოებში მოიწვიეს მწერლებად (писаря) ისეთნი, რომელთაც უეჭველად უნდა იცოდნენ სახელმწიფო ენის გარდა, ესე იგი რუსულისა, მხოლოდ თათრული. თათრულის მცოდნენი აღმოჩნდნენ ამ კუთხეში მარტოოდენ ბერძნები და სომხები და სწორედ ესენი გაამწესეს მწერლებად. მკითხველი ადვილად მიხვდება, თუ რა ხეირი დაეყრება ქართულ ენას აჭარა-ჭანეთ-ქობულეთსა და ტაო-კლარჯეთში. ბათუმიდგან ტრაპიზონამდე წკრიალით გაისმოდა ქართული და მისი კილო—ჭანური, ხოლო ამ შეცდომის წყალობით, არ გაივლის 20—30 წელიწადი, რომ სრულიად მოისპობა შოთა რუსთველის ენა და მერმე, ვგონებ, ქართულის შესასწავლად მხოლოდ ~~ტრაპ~~ ~~ზონ~~ ~~ის~~ ხეობანი-ღა დაგვრჩება, ვინაიდგან ეს ხეობანი შუაგულ ქართლშია და ჯერ-ჯერობით იერიშით აქ არავინ მოგვედგომია.

საუბრის დასასრულმა მოლასთან მცირედი იმედი მომცა საქმის გამოტრიალებისა, უკეთუ დიდი და პატა-

რა სავსებით შეეიგნებთ ჩვენს მოვალეობას და ერთმანეთში ლაფში ამოსვრის მაგიერ, ვიშრომებთ მედგრად და გავაკეთებთ, რის გაკეთებაც შეგვიძლიან, ან რის უნარიც გვიწყალობა უფალმა.

— რაკი შეიტყო ფოცხოვის უფროსმა მიხაკო ხერხეულიძემ,—სთქვა ბოგელმა მოლამ, რომ სკოლაჩი (ასე ამბობენ აქ მესხეთის ქართველ-მაჰმადიანნი) ქართულად მოლაპარაკე ბიქები სწავლობენო,—იქ ხომ ქართული არავინ იცის, მაშინადვე მობრძანდა, მოგვიკითხა, ერთად დაგვაგროვა და სულ თავზედ ხელს გვისვამდაო. სახე სულ უცინოდა, მხიარულობდა და სტკბებოდა ჩვენის ხილვით. უბრძანა ჩაფრებს დაეკლათ ჩვენთვის კრავი. მასწავლებელ მოლებს უბრძანა, თუ ეს ბიქები გაგილახნიათ, აქ აღარავის გაბოგინებთო. ბევრჯელ ყოფილა კნიაზი ჩვენსას და პატივი უციაო.

ამ მხარეს თავადი მიხეილ ხერხეულიძე განთქმული ყოფილა უზომო, წმინდა ქართველური გულუხვობით, სტუმართმოყვარეობით და მასპინძლობით. დღევანდელს ქართველ ინტელიგენტს, ცოტა არ იყოს, ეხამუშება წრეს გადასული სტუმართმოყვარეობა, მაგრამ რას იზამთ, როდესაც ჯერ ჩვენთვის ჩვეულება რჯულზედ უმტკიცესია. მე პირადად კარგად არ ვიცნობდი თ. ხერხეულიძეს (მხოლოდ ერთხელ ვნახე ტფილისში, სადაც ბანკში დაგირავებულ მამულის საქმეს არიგებდა), მაგრამ დავრწმუნდი კი, რომ მისი შესანიშნავი გულუხვობა და პურმარილი ბევრს დაჰვიწყებია და მარტო ირონიით მოგონია წარსული ლხენა-ქეიფი *). დიახ, სწორედ რომ

*) ერთხელ თურმე ფოცხოვს ეწვია მთავარ-მართებელი თ. დონდუკოვ-კორსაკოვი. ახლდა თავადს დიდი და ბრწყინვალე ამ-

საჭიროა წინადვე გავითვალისწინოთ ხოლმე, ვის ვუ-ღებთ სახლის კარსა, ვის ეუმასპინძლდებით და ვის ვაძ-ლევთ სალამს. ეროვნების შესანახად და მის გასაძლიე-რებლად სწორედ რომ საჭიროა ყველა ესა და უპირვე-ლესად კი ნივთიერი ძალ-ღონე.

ამ ისედაც ყოვლის მხრივ რიგიანის კაცის პურ-მარილი ბევრს »ნასწავლს« დავიწყებია, არ დავიწყებია მხო-ლოდ მისი ქართველური გული და სიყვარულით აღსავსე ორიოდე ტკბილი სიტყვა ბოგელ მოლას.

— ბატონო, ეხლაც რომ მოვიგონებ კნიაზსა, პირ-ზე ნათელი მადგებაო. რომ'იცოდეთ, რა კაცი იყოვო... ასე ლაპარაკობდა მოლა.

მე კი ისე ვფიქრობ, რომ ეს წარუხოცელი კავში-რი ამ ორ ადამიანს შორის გაუბამს სამშობლო ენას, მის მიუწდომელს და უხილავს ძაფებს. გულს გული იცნობს და სულს სულიო. ასეთი გაცნობა ხვედრია მხოლოდ სამშობლო ენისა, უიმისოდ ერთმანეთისას ვერას გავი-გებთ და სამუდამოთ დავშორდებით.

III

მთავარ-დიაკონი ჯვარიძე.

ახალციხის მაზრის სოფელ ძველში (რუსულად Зур-зель) დღესაც სცხოვრობს ღრმად მოხუცებული მთავარ-

---

ლა. თ. მიხეილ ხერხეულიძემ ისეთი ნადიმობა გაუშართა თ. დონ-დუკოვს, რომ მთელი მესხეთი აალაპარაკა.—თ. ხერხეულიძე შემ-დეგში ყარსში გადაიყვანეს პოლიცმეისტრად. ამ მხიარულმა და სტუმართ-მოყვარე კაცმა ტრაგიკულად დაასრულა დღენი თვისი. თავი მოიკლა.

დიაკონი ანდრია ჯვარიძე. მოხუცებულს საკუთარის თვალით უნახავს თათრების (ასე ეძახის ხალხი ოსმალოს და ენგიჩართა) რეჟიმი, მათი ბატონობა და პარპაში აკლებულ და აწიოკებულ მესხეთში. დიდი ხანია მსურდა ამ მოხუცის ნახვა და გაგება ძველის-ძველის ამბებისა, შაგრამ, სამწუხაროდ, ვერ ჩავიგდე ხელში ჩემთვის საინტერესო „ცოცხალი არქივი". ბოლოს რომ გამიპირდა, ანდრიას შვილს, ლევან ჯვარიძეს, მივმართე თხოვნით—გამოეკითხა მამისთვის ძველი ამბები, კარგად დაეხსოვნა და შემდეგ ჩემთვის ეამბნა.

თხოვნა შემისრულეს და აი, რა უამბნია ანდრიას შვილისათვის ჩემთვის გადმოსაცემად.

— დიდ გაჭირვებასა და წვადადაგვაში ვიყავით მართლ-მადიდებელი ქართველები თათრების ბატონობის დროსაო. ძნელად თუ ვინმე მოახერხებდა თვისი ოფლით ნაშრომი და მონაღვაწი სარჩო ოჯახში მშვიდობით შეეტანა. მზა მომკილს ჭინახულს გათამამებული თათარი არხეინად იტაცებდა და თავისთვის მიჰქონდა. თუ ვინმე გაჰბედავდა სიტყვის შებრუნებას, ან წინააღმდეგობას, წუთის სოფელს უნდა გამოსთხოვებოდაო. ამას არ აკმარებდნენ და ცოლ-შვილსაც მოსტაცებდნენ და ახალციხის ბაზარზე დაჰყიდდნენო. გაუპატიურებული, დაჩაგრული და დამცირებული ქართველი საჩივარსაც კი ვერა ჰბედავდა ვერც ადგილობრივ მოხელესთან და ვერც უმაღლეს მთავრობასთან. ადგილობრივ საქმეებს, საჩივარსა და დავიდარაბას განაგებდნენ ყადები (казіи) და ეფენდები (эфѐнди). ვინც კი მიჰმართავდა სასულიერო მოხელეთ, ან თვით ფაშას, უარესი დღე დაადგებოდათ ხოლმე და უფრო მეტად იწბილებოდა და იჩაგრებოდაო.

თათარი მარტო ცარცვა-გლეჯით არ კმაყოფილდე-

ბოდა. ისეთი ხარჯი (გარდასახადი) დაგვადო კისრად, რომ მისი ატანა ყოვლად შეუძლებელი იყოვო. თითო სულ მამაკაცზე წლიური ხარაჯა ოცდა თხუთმეტ ყურუშამდე ადიოდა. მართალია, ყურუში დიდი რამ არ არის, ეხლანდელი შაურის ოდენაა, მაგრამ მაშინდელს დროს ძნელი საშოვარი იყო. დღეს თუმნის შოვნა უფრო ადვილია, ვიდრე მაშინ ერთის ყურუშისაო. ბევრი ქართველი ვერ შოულობდა ამოდენა ფულს და იძულებული ხდებოდა ხარჯის თავიდან ასაცილებლად მაჰმადიანობა მიეღო. ვინც გამაჰმადიანდებოდა, ხარჯისაგან იმ წამსვე ანთავისუფლებდნენ. ბევრნი კიდევ თათრების მოსაჩვენებლად სვინნათდებოდნენ (დაცვეთა) და აშკარად აღვიარებდნენ მაჰმადის სარწმუნოებას, სულით და გულით კი ქრისტიანობას მისდევდნენო.

მე თვითონ მოწამე და დამსწრე ვარ შემდეგი ამბებისაო.

— მამა ჩემი ალექსი და ბიძა ჩემი პავლე დასვინნათებულან თათრების მოსაჩვენებლად. მიზეზი ესა ყოფილა: ვიდრე ღონისძიება და შეძლება ჰქონიათ, უხდიათ თათრის ხარაჯა, როცა ძალზე გაღარიბებულან და ხარაჯას გადახდის თავი აღარა ჰქონიათ, შემწეობა უთხოვნიათ ძველშივე მალულად მცხოვრებ მღვდელ მამა პავლე ზედგინიძისათვის. ზედგინიძესაც უჩუქებია ერთის წლის გადასახადი და ასე ამ გვარად ერთი წლობით კიდევ შეუნარჩუნებიათ ხილულად ქრისტიანობა.

მეორე წელიწადს მიმართეს თხოვნით ახალციხელ ქართველ კათოლიკე მღვდელს, ამასაც უჩუქებია წლიური გადასახადი. კათოლიკენი ხარჯისაგან თავისუფალნი იყვნენო. ამ წელიწადსაც, როგორც იყო, შეირჩინეს ქრისტიანობა. მესამე წელიწადს ხელი აღარავინ გაუ-

მართა, ან კი სად ექნებოდათ სხვისთვის გადასახდელი ფულიო. ხარჯის საშოვნელად დაიწყეს ს. ონგორაში (რუსულად Онгора. მე ვგონებ, რომ ეს სოფელი ორგორა უნდა იყვეს) კირის წვა და ზიდვა ზურგით ახალციხეს გასასყიდად (ახალციხიდან ონგორამდე 28 ვერსია). ზურგზე ორთავეს კირის ზიდვით ტყავი გადასძვრათ და მაინც ძლივ-ძლივობით იშოვნეს ერთის წლის ხარაჯა.

მეოთხე წელიწადი უფრო სამწუხარო და სავაგლახო დაგვიდგაო. ძალ-ღონე შემოელიათ მამა-ბიძას და კირის ზიდვით მარტო ოცდა თხუთმეტი ყურუში იშოვეს, ესე იგი ერთი ადამიანის გადასახდელი. გაჭირდა საქმე, ან ერთს უნდა მიეღო მაჰმადიანობა, ან მეორეს, მაგრამ რომელს?

— რომელსა, აღარ მახსოვს, მაგრამ იმ წელიწადს, დიდის ყოყმანისა და რჩევის შემდეგ ძმათა შორის, ერთი მათგანი ეახლა ყადის, მიართვა ძმის ოცდა თხუთმეტი ყურუში და განაცხადა, ხარჯიდგან მე გამანთავისუფლეთ, რადგან მისი გაღება აღარ შემიძლიან და მაჰმადიანობას მივიღებო. თხოვნა აუსრულეს.

ამ გვარი ვაინაჩრობით კიდევ შეირჩინა ერთ-ერთმა ძმამ ქრისტიანობა ერთის წლით, მაგრამ როდემდის? მეორე წელიწადს ისიც დასვინნათდა და მაჰმადიანობა მიიღო. მამა ჩემს ალექსის „მურადაი“ დაარქვეს და ბიძა პავლეს „ბადალაი“. დღესაც ბიძა ჩემის ჩამომავლობას „ბადალაანთ“ ეძახიანო“.

არც მეორე ამბავია ყურადღებას მოკლებული და უფრო საოცარიცაა, რადგან მომხდარა რუსის შემოსვლის შემდეგ მესხეთში.

სოფელ აბს (ქ. ახალციხეს აკრავს. სხვა დანარჩენი ქართველი სოფლები: მარდა, მეორე მარდა, ურია, ჯა-

ნიანთ მარდა, მლაშის-ხევი, აბის გვერდით მდებარენი, სულ ამოვარდნილა და ეს ნასოფლარები დღეს ვერანები არიან) გათათრდა და დასვინნათდა ერთი ქართველი ზემორე აღნიშნულის მიზეზის გამო. სახელად უწოდეს „სულია“. ქართული სახელი აღარ მახსოვსო. მალულად მაინც ახალციხეს დადიოდა, აღსარებას ამბობდა განსვენებულ დეკანოზ გ. გამრეკელთან და წმინდა საიდუმლოს იღებდაო. სიკვდილის ჟამი რომ ეწვია სულიას, კვლავ ჩამოსულიყო ახალციხეს და ზიარებულიყო, რის შემდეგაც გადაცვლილიყო თავის საკუთარ სახლში, სოფელ აბს. დეკანოზს დროზედ შეეტყო ეს ამბავი, საჩქაროდ დამიბარა და ვითარცა დიაჩოქი, თათრულის კარგი მცოდნე, თან წამიყვანა ს. აბს. ვიდრე ჩვენ მივიდოდით, მოლას კიდეც აესრულებინა ყოველივე წესი თათრულის სჯულისა, ესე იგი ებანებინა, შეესუდრა თავიანთ რიგისამებრ და წაეკითხა ყოველივე ლოცვები. მიველით თუ არა, დეკანოზმა მოლა დაითხოვა, თანაც აუხსნა, რომ სულია მართლმადიდებელი ქრისტიანეა. შეეუსრულეთ ქრისტეანული წესი და იქვე დავასაფლავეთო.

— დასვინნათებულნი ქართველნიო, — მოგვითხრობს იგივე მამა ანდრია ჯვარიძე, — დიდის გაჭირვებით ნათლავდნენ ახლად შეძენილ ბავშვებს მალულად ხან სადა და ხან სადაო. სოფელ ძველში დღესაცაა მივარდნილ ტყეში (წინად ხშირი და დაბურული იყოო) ერთი პატარა წყაროო, რომელსაც სახელად ეძახიან „მონათლულ წყაროს“. აი სწორედ ამ წყაროზე ნათლავდა ბავშვებს ს. ძველის მღვდელი ჯერ მამა პავლე ზედგინიძე და შემდეგ მისი შვილი მამა ქრისტეფორეო.

— ძალუა ჩემი, რომელიც შარშან გარდაიცვალა

თითქმის ასის წლისა, შემდეგს მიამბობდა ხოლმე თვის ქორწინების შესახებო: ცხადად ჩემს დროს ჯვრის-წერას ვერავინ გაბედავდა, უჯვარის წეროდ კი არავინ ქორწინდებოდაო. ამის გამო ქორწილი მალულად ხდებოდაო. საქორწინონი ახალს ტანისამოსს ვერ ჩაიცვამდნენ, რადგან თათრები შენიშნავდნენ, გახდიდნენ და უპატიურობასაც მიაყენებდნენო. მე სხვებსავით ფარულად წამომიყვანეს ს. ჩუნჩხიდგან (ჯავახეთშია) ვაჟის ტანისამოსით და ჯვარი დამწერეს ჩუმად ს. ძველში ერთს შიგნი-შიგან მივარდნილ და ბნელ სახლში. ექვსი-შვიდი რძალ-პატარძალი იწერდა ჯვარსა ერთი და იგივე ლურჯი სამოსლის კაბით, ან თხოვნით, ან ყიდვითაო, ისე შევიწროებული ვიყავით თათრებისაგანაო.

ასეთია ეს სამწუხარო მოთხრობა მოხუცის მთავარდიაკვნისა. სამოცდა თხუთმეტმა წელიწადმა განვლო მას შემდეგ, რაც პირველად ოსმალოს ბარბაროსობას მედგარი მეხი დასცა პასკევიჩ-ერევნელმა ქ. ახალციხესთან 15 აგვისტოს 1828 წ., სწორედ ზედ მარიამობა დღესა, მაგრამ ეხლაც არ გამთელებულა მისგან დაწყლულებული ქართველის გული *).

---

*) ნიშნად ამ ისტორიულ გამარჯვებისა აგებულია ძეგლი და პატარა საყარაულო მთავარმართებლის თავად ა. ი. ბარიათინსკის მიერ. ომში დახოცილ აფიცერთა გვარებიცაა ამოკვრილი ძეგლზე. ქართველებსაც დაუნთხევნიათ სისხლი მესხეთის გასანთავისუფლებლად. აი მათი გვარები: პორუჩიკი თ. ვაჩნაძე, პოდპორუჩიკი თ. სოლოდაშვილი, პრაპორშჩიკი თ. ამილახვარი. კიდეე ორი საეკვო გვარია: სიმონოვი და ბეკანოვი. დანამდვილებით ვერ ვიტყვით—ქართველები არიან ესენი, თუ რუსები. გიზეტტის წიგნი რომ გვქონდეს ხელში, ადვილად გამოვიკვლევდით ამ გარემოებას, მაგრამ ყრუ პროვინციაში ვინ გვაღირსებს ასეთს ბედნიერებას.

უნახავი და მოუვლელი არ დამრჩენია თითქმის არც ერთი კუთხე საქართველოსი და ისე დაჩაგრული ერი, როგორიც მესხეთშია, არსად არ მინახავს.

მონობისა, შიშისა, მოკრძალებისა და უიმედობის ბეჭედია გამოხატული მათს შუბლსა და სახეზე. არ იქნა, ვერ შეეჩვიე აქაური მკვიდრის სიტყვა-პასუხსა და სალამს. „გამარჯვების“ მაგიერ მძიმედ დაგიკრავს თავსა და დაიხრება სწორედ დედა-მიწამდინ. თუ სათხოვარი, ან საქმე აქვს რამე, ისე გთხოვს, როგორც შეჰფერის ჰარამხანაში აღზრდილს საპურისსა, ან მონას, რომელსაც თავის სიცოცხლეში მზე და მთვარე არ უნახავს, ან ღრეჯით, ხვეწნით, მუდარით და მლიქვნელობით თავს მოგაბეზრებს და აღარ მოგშორდება მეგრულ ციებ-ცხელებასავით. არც ამაყობა, არც თავმოყვარეობა, აღარაფერი ეტყობათ. ვინც კი ევროპული განათლება იგემა, ან ასცილდა ნეტარ-ხსენებულ ბატონყმურ ატმოსფერას, სწორედ ტანში იშლება, როდესაც ასეთს სიტყვებს ისმენს: „ხელს გკოცნი, ბატონოვო“, „აქ თქვენა და მაღლა ღმერთიო“. საქმის გაკეთება უქრთამოდ, უფეშქაშოდ ვერ წარმოუდგენიათ. თითქმის სამასი წელიწადი სცურავდა მესხი „ფეშქაშების“ მორევში და სხვა, რიგიანი წესი მართვა-გამგეობისა ველარ შეუთვისებია. — სახელოვანი ძველად მესხი დღეს ასეა დაძაბუნებული სულიერად და ხორციელად.

ღვთის წინაშე კი რომ ვსთქვათ, ან რა გასამტყუნარია. ეხლანდელ ვითარებაში ვინ შეუწყო ხელი, ვინ ეცადა, რომ მონობის უღელი მოეშორებინა მესხს, გაღონიერებულიყო ჯერ ნივთიერად და შემდეგ, რასაკვირველია, სულიერადაც. ხეც არ იზრდება მოუვლელად, უპატრონოდ და ადამიანს რა დაემართება, თუ

მამობრივი, მოსიყვარულე გულით გზას არავინ უჩვენებს, ცხოვრებასთან საბრძოლველ იარაღს დროზედ არ მიაწვდის. ჯერ არ მინახამს, ვინმე მოსულიყვეს სოფლად, ხელში სჭეროდეს შტო მირტისა და ეთქვას: გეყოფათ ამდენი „მოიტა«, „მოიტა«, ახლა თქვენც მიიღეთ მცირედი რამე მის, ესე იგი »მოიტას« მაგიერო. ასეთს ვითარებაში მაშ რა მოუვა დაბეგრილს კაცს, რომ არ დაბეჩავდეს და აკი დაბეჩავდა კიდეც *).

IV

ᲨᲣᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘ.

რუსეთის გამოჩენილმა სატირიკოსმა შჩედრინმა ერთს ნაღვლითა და გესლით შეზავებულს წერილში გულის კვნესითა სთქვა:

— მკითხველო, სადა ხარო?

მწერალი მწერლობს თავისთვის, მკითხველი კიდევ კითხულობს მის ნაწერებს. მორჩა და გათავდაო. არავითარი სულიერი კავშირი არ იკვანძება მათ შორის, არ ებმის ის უხილავი ძაფი, რომლის წყალობით გულის სიღრმიდგან ამონაკვნესი სიტყვა მწერლისა უნდა მოხვდეს მკითხველსა.

შჩედრინი ისე მოკვდა, რომ ვერ ეღირსა სანატრელის »მკითხველის« ხილვას.

ჩვენში უარესობაა. აგერ ბ-ნი დუტუ მეგრელი რანაირად სწუხს: მკითხველი საზოგადოება კი არა, თვით

*) ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები და შენიშვნა ჩვენ გვეკუთვნის.

მწერალნიც არა გვყავსო და ჰფიქრობს, როგორმე გააჩინოს ეს ყოვლად საჭირო მოღვაწენი. გააჩენს თუ არა ავტორი მწერლებს იმ გზით, რა გზასაც დასდგომია, არ ვიცი, ის კი კარგად ვიცი, რომ ვინც ჩვენში ამ საპატიო პროფესიას დასდგომია და, შეძლებისა დაგვარად, უმსახურნია, დრო-გამოშვებით მაინც, ვერაფერ გუნებაზე ბძანდებიან.

მართალია, ჩვენ შჩედრინთან ფეხს ვერ გავჭიმავთ, მაგრამ იმის თქმისა არ იყოს, დიდი უბედურებაა „მარტოობა“ მწერლისა, მისის სულის ობლობა.

რით ინუგეშოს მწერალმა, თუ მკითხველი არა ჰყავს, სად მოიპოვოს და მოიკრიფოს ძალა უმადურისა და ძნელის შრომისათვის? ხომ მაჯა დაუდუმდა უმკითხველოთ, ხომ დაუჩლუნგდა გონება და კალამი ხელიდგან დაუვარდა?

— სამშობლოს სიყვარულშა მოგცეს ეგ ძალაო, — ამბობს ბ-ნი პეტრე უმიკაშვილი.

თქვენ პირს შაქარი, უმაგისოდ რა გაკეთდება, მაგრან სიყვარული ქვა და კლდე ხომ არ არის?! სიყვარულს, ნამეტნავად სამშობლოსას, ზრდა და ლოლიაობა უნდა. ეს კი არსადაა. ხელ-შეუწყობლად ისე ჩაქრება, როგორც წყალ-დასხმული ცეცხლი.

დიაღ, მთქმელს გამგონე უნდა.

შარშან „დიდებულის მესხეთის“ წარსულის თვალის გადავლებამ მცირე სევდა არ აგვიშალა. ამ სევდით შეპყრობილმა საზოგადოებას მივმართეთ და ესა ვსთქვით: „ყველა ეს მკრთალი ნათელია იმ სავსე მთვარისა, რომელიც გამოსცა მესხეთმა პოეზიის სახით. ბედმა წილად მესხეთს არგუნა ერთი უდიდებულესთაგანი მსოფლიო პოეტთა შორის, შეუდარებელი და სხივოსანი, შოთა

რუსთაველი, რომლის წყალობით ქართული პოეზია აღ-ყვავდა და გაიფურჩქნა, ვით მაისის ვარდი, რომლის მეოხებით ქართული პოეზია გაბრწყინდა, ვით ვარსკვლავი და რომლის პოეზიამ „დილის ნიავივით“ დაჰბერა ქართულ ტლანქს და უგემურს შაირ-ლექსობას...«

„ერიც პურადი, მხნე, გულადი და დარბაისელი ჰყავდა მესხეთსა. ვის არ გაუგონია მშვენიერი თქმულება ხალხისა: „პირველ თქმულია ძველთაგან სიდარბაისლე მესხისაო...“

დღეს მესხეთს ველარ იცნობთ, აჩრდილი და ნატამალია წარსულისა. ჩონჩხი რა არის, ჩონჩხისთვისაც კი ვერ შეგვიდარებია რუსთველის, ბექასი და აღბუღას სამშობლო, ისე დაკნინდა მშვენიერი და სიცოცხლით სავსე მხარე ძველის ერთიანის საქართველოსი. დღევანდელი მესხეთი ერთი რაღაც შემზარავი, თვალ-გადუწვდენელი და უსამზღვრო სასაფლაოა. ქართველი მოგზაური, ქართულის ისტორიის ცოდნით შეიარაღებული, სწორედ დასნეულდება აუარებელ ნანგრევების ხილვით. დღევანდელ თითოეულს სოფელს სამ-ოთხ ნასოფლარის ადგილ-მამული უპირავს. ნასოფლარს რუსები „пустошь«-ს ესახიან. ყურთა სმენა წაიღო სწორედ ამ „პუსტოშმა“, რომელიც ძალაუნებურად, მხოლოდ, სიკვდილსა და უბედურებას მოგაგონებს...“

საფარის და ათაბაგთა პალატის ნანგრევთა ხილვით გულ-ნატკენი მგზავრი დარდის გადაყრას ვერ მოასწრობს, რომ უფრო სამწუხარო გულ-სატკენს და სამგლოვიარო სურათსა ჰნახავს. ესაა სოფელი რუსთავი, ათასგვარ სიბინძურითა და სისაძაგლით სავსე. ერი ამბობს, რომ აქ დაიბადა შოთა რუსთაველი; ესაა მისი სამშობლო სოფელიო. გული ნაღველით აგვესება, რო-

დესაც წარმოიდგენ, რომ პარნასის ღმერთთა სწორის, გენიოსის სამშობლოს არე-მარე ასეთ, ენით გამოუთქმელ სიბინძურეს შეუპყრია. დღევანდელი რუსთავი ერთი უხეირო, ოთხ-ხუთ კომლიანი სოფელია, რომელსაც ა^-შვენებს მხოლოდ სასუქის უშველებელი ზვინები. რუსთავში ბინადრობენ ქურთნი, თუ თარაქამანი, ადამიანი ვერას გაიგებს იმათსას. მიწური სახლები ამ ყოველ კულტურას მოკლებულ ველურის ტომისა სულ მთლად ასახიჩრებს სოფლის სურათსა. ქალნი და კაცნი სოფლის შესაფერისნი არიან. იმდენი ჭუჭყი დასდებიათ პირსა და სახეზე, რომ თითქოს დაწყი-დაბადებიდგან იქვე, ახლოს მოდუდუნე მტკვრის წყალი მათ არ მიჰკარებიათო. ასეთია მათი სამოსელიც, დასტამალად ქცეული. დღეს შოთა რუსთველის მომხსენებელნი ეს ჭუჭყიანნი და პირუბანელნი თარაქამანი, თუ ქურთინები არიან!.. უბედურების სიზმრადაც არ მოელანდებათ, თუ რა კაცის ნასახლარზე ბინადრობენ...

რუსთავი ტიტველა, ხრიოკის მთის კალთაზეა შეფენილი. წინ მშვენიერი, პოხიერი ველია დაცემული. პატარაა, მაგრამ ლამაზი. ორი არ მეგულება ამისთანა მომცემი და ნაყოფიერი ველი მთელს ამ მხარეს...

რუსთავის პატარა ველზე ერთად-ერთი პატარა გორაკია ამართული, თითქოს განგებ აქ ვიღასაც მიწა დაუყრიაო. სიმაღლით ორი-სამი საჟენია, სიგანეც სულ ათიოდე საჟენი ექნება. სწორედ ზედ გამოჭრილი ბექია **ძეგლისათვის**. აქ რომ შოთა რუსთველს ძეგლი, ან ობელისკი დაედგას, მშვენიერება იქნება. ბექი მტკვარს ზედ თავზე დასცქერის, იქვე შარა გზაა, შოსსე. გამვლელ-გამომვლელი თვალს ვერ აარიდებს ძეგლსა, ისიამოვნებს იმ ფიქრით, რომ შვილნი უმადურად არ მოჰქ-

ცევიან სახელოვანს მამას და იმასაც ხომ გაივლებს გულში, რომ გავერანებული მესხეთი ოდესმე ბედნიერი ყოფილაო...

ნუ თუ დღევანდელი ქართველი ისე დაკნინდა, ისე დაძაბუნდა, რომ მცირედი ფასის ძეგლიც ვერ მოუხერხებია შესანიშნავის პოეტისათვის? ერთმანეთის ძიძგნამ და ჭორიკანაობამ სული ამოგვართვა და განა დრო არ დადგა ერთსულად მოქმედებისათვის? იცოცხლეთ, დროა ზურგი შევაქციოთ ჩვენს დამლუპველს საეროვნო სენს, მაგრამ სადაა!..« *)

წერილი შოთას შესახებ თავდებოდა ასეთის მოწოდებით: »სიყვარული კიდევ, როგორიც უნდა იყოს, მსხვერპლს მოითხოვს. უამისოდ სიყვარულს სიყვარული არ ეთქმის. მაშ, შევსწიროთ ისტორიის სიყვარულს მცირედი მსხვერპლი და აუგოთ შოთას რუსთაველის ლამაზ ველზე პატარა ობელისკი მაინც!“

წელიწად ნახევარი გავიდა მას შემდეგ, რაც ეს სტრიქონები დაიწერა და კრინტი, კრინტი რა არის, ისიც არავის დაუძრავს! ნუ თუ შოთა რუსთაველი ღირსი არ არის მცირედის ძეგლისა, ან ობელისკისა? სხვაგან მესამე ხარისხოვან მწერალთა, სამხედრო და საერო მოღვაწეთა ძეგლებით სავსეა მოედნები და ქუჩები, ჩვენ კი რუსთაველისათვისაც ვერ მოგვიხერხებია ძეგლის დადგმა.

მაშ, რამ აღზარდოს ეროვნული გრძნობა ახალთაობაში, რამ ანუგეშოს მოხუცთა თვალი, თუ რუსთველის სახესაც ყოველ დღე არ დაინახავს? ეროვნული

---

*) იხ. „მოამბე“, 1902 წ. № 3. წერილი ა. ფრონელისა „დიდებული მესხეთი“.

გრძნობა, თავმოყვარეობა, სიამაყე, არც ჭიანი კაკალია და არც დამპალი ჭანჭური, რომ თავის თავად ზეციდან ჩამოვარდეს. პატრონობა უნდა, თორემ ისე გაითელება მთელი საქართველო, როგორც გაითელა შესანიშნავი ისტორიული მესხეთი, ეს საქართველოს ათინა. ეროვნულ გრძნობა-თავმოყვარეობის აღზრდა-გაფურჩქვნას კი ისე არა უწყობს რა ხელსა, როგორც დიდებულ წინაპართა ხსოვნა-მოგონება.

ბართალია, საზოგადოებამ და მკითხველმა ყური მოიყრუეს ჩვეულებრივ, არ გაგვამხნევეს ეროვნულ საქმისათვის, მაგრამ მაინც იმედს არა ვკარგავდით. თუ ვერ დავამთავრებდით განძრახულ საქმეს—ძეგლის დადგმას, დაწყებით მაინც დავიწყებდით. უიმედო, უოცნებო სიცოცხლე, მოგეხსენებათ, ჩირად არა ღირს. რა სიცოცხლეა ის სიცოცხლე, როდესაც სამშობლოს ბედნიერების იმედი ჩაგიქრება გულში და მარტოოდენ იმით სულდგმულობ, რომ დღეს ხომ კარგად გიახელ ერთ ჭიქა არაყს, ნახევარ ბოთლ ღვინოს, ნაჭერ მსუქან დოშს იმერულ ღომით, სალიანის ხიზილალით, რუსულ ბორშჩს წითელის ბადრიჯნით და სხვა-და-სხვა; ხვალაც თუ ეს ულეველად მექნება, ღმერთს მადლობას შევსწირავ ამ სიტყვით: „გმადლობ, უფალო, რათა განმაძღე მეო“. სწორედ რომ ფუჭია ასეთი სიცოცხლე!

დიაღ, იმას მოგახსენებდით, გული არ გაგვტეხია და არც იმედი დაგვკარგვია. მართლაც ნატვრა აგვისრულდა და პირველი ნაბიჯი უკვე გადავსდგით.

ამ გაზაფხულის პირზე, ერთ პატარა კრებაზე კაი ქართველის სახლში სიტყვა ჩამოვარდა რუსთველის ძეგლის შესახებ. დამსწრეთ სიამოვნებით მიიღეს წინადადება—შეეგროვოთ თანხა და საქმეს შევუდგეთო. ყველა-

ზე პირველად ჯიბეს გაიკრა ხელი ილია ზურაბის ძე გოჰაძემ და გადასცა ა. ყიფშიძეს ოცდახუთი მანათი. უკანასკნელმაც ოცდახუთი მანათი გამოიღო და ამ გვარად შესდგა პატარა თანხა, სულ 50 მ. ნივთიერად ღონიერნი ქართველნი უფრო მეტს დაჰპირდნენ საქმის დამწყობს და შეიძლება მალე საკმარისი თანხა შეიკრიბოს. ფული, რასაკვირველია, უნდა ეგზავნებოდეს „წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებასა“ შესანახად და სათავნოდ.

არ ვიცი, რამდენი დასჭირდება რუსთველის ძეგლს, ან ობელისკს. ვსთხოვ ჩვენებურ მექანდაკეთ შეიმუშავონ გეგმა ძეგლისა, ან ობელისკისა და აღნიშნონ ვარაუდით რა დაიხარჯება ფულად. მე ჩემად სრულიად საკმარისად მიმაჩნია მკირე სასყიდლიანი ძეგლი. ეხლა მეტი არ შეგვფერის. როდესაც ჩვენი სამშობლო წელში გასწორდება, გაღონიერდება ნივთიერად და განათლებით, მაშინ იზრუნოს უფრო ძვირფას და რუსთველის ნიჭის შესაფერ ძეგლზე. ჯერ-ჯერობით პატარაც გვეყოფა.

ვფიქრობ, რომ გულგატეხილი საზოგადოება უგულებელს არა ჰყოფს ამ საქმეს და არ დაიშურებს წვლილს საეროვნო საქმისათვის. ოთხას-ხუთასი თუმანი იმაზე მეტად არ გაგვაღარიბებს, რაცა ვართ ახლა. რამდენსა ეხარჯავთ უაზროდ, აქ კი ერთი მანათიც ნამდვილ საქმეს მოხმარდება. იმედია „წ. კ. საზოგადოებაა“ უარს არ იტყვის და მიიღებს ფულს შესანახად, ვინც მოისურვებს და გადასცემს ამ საგნისათვის *).

---

*) რამდენიმე მანათი უკვე შეგროვილია რუსთველის ძეგლისათვის და ინახება „წ. კ. საზოგადოებაში“, მხოლოდ გამორკვეული არ არის, სად დაიდგას იგი.

ავტ.

ჩვენ პირადად კმაყოფილნი ვართ, რომ დიდის ხნის ნატვრა აგვისრულდა და საქმე იწყება. დანარჩენი საზოგადოების გულმხურვალებაზე ჰკიდია.

დასასრულ, შემდეგი უნდა მოვახსენო მკითხველსა. შარშან დაიბეჭდა წიგნი პროფესორის ნ. მარისა, სახელად: „Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи, т. IV". ბ-ნი მარი სცდილობს დაამტკიცოს ამ გამოკვლევაში, რომ პოემა „თამარიანის« ავტორი თვით შოთა რუსთაველია და ჩახრუხაძე მისი გვარიაო. მარი აი რას ამბობს რუსთველის ლექსების ღირსებაზე:

„И такъ, проникновенно выраженное въ чарующе звучныхъ стихахъ національное настроеніе грузинъ XII-го вѣка находитъ не замирающій откликъ въ длинномъ рядѣ поколѣній и продолжаетъ жить и тогда, когда преданъ полному забвенію самъ памятникъ (Тамаріани), содѣйствовавшій популярности въ Грузіи идеализованнаго образа грузинской царицы (Тамары). Храмъ забытъ и запущенъ, но звуки раздававшихся въ немъ близкихъ сердцу пѣснопѣній еще слышны, какъ дальнее эхо. Кто зодчій? Кто былъ такъ народенъ по духу, что въ придворныхъ одахъ далъ невольное выраженіе національно-государственнаго идеала? Кто былъ такъ властенъ надъ роднымъ языкомъ, что въ офиціально-торжественныхъ пѣсняхъ, сложенныхъ для развлеченія блестящаго двора, такъ ярко отразилъ простые, родимые звуки, дорогіе каждому грузину? Если-бы памятникъ (Тамаріани) дошелъ до насъ безъ рукописнаго преданія объ его авторѣ, то едвали бы кто сталъ оспаривать

его принадлежность тому безподобному художнику слова, который силой лишь чарующей музыкальности своихъ стиховъ сумѣлъ придать національный грузинскій обликъ персидской переводной повѣсти и сдѣлать ее народнымъ достояніемъ. Я имѣю въ виду Шоту Руставели, автора Барсовой кожи“ (გვ. 51).

მეორე ადგილს (გვ. 73) ბ-ნი მარი ასე იხსენიებს შოთას: геніальный грузинскій поэтъ“.

ნ. მარს ემდურის ქართველი საზოგადოება, ჯერ დედანი არ გიპოვნია და რა საბუთით მიგაჩნია ვეფხისტყაოსანი ნათარგმნ პოემადაო, მაგრამ ესეთი აზრი პოემაზე არ უშლის პროფესორს დიდად აქოს რუსთველი, რაიცა ზემოდ მოყვანილ ამონაწერიდან ცხადადა სჩანს. მარიც, თავის მხრივ უკიეინებს ქართველობას: „болѣзненно-острое желаніе видѣть въ поэмѣ цѣликомъ грузинское народно-національное произведеніе“ (გვ. 55).

V

ვარძია.

გაგონებით ბევრს გაგეგონებათ ვარძიის სახელი, ნახვით კი, დარწმუნებული ვარ, ბევრს არ გენახვებათ. ქართველს არ უყვარს მოგზაურობა. მიელა-მოელა და შესწავლა თვის მშვენიერის სამშობლოსი. საოცარია სწორედ ეს ამბავი. ძველად ჩვენები ხშირად ანებებდნენ თავს სამშობლოს და შორს მიდიოდნენ. მკირე აზია, ერუსალიმი, სინას მთა, დასავლეთი ევროპა, იტალია,

სტამბოლი, რუსეთი და სხვა, ყველგან მიდი-მოდიოდნენ ქართველნი. საყიზილბაშოს ხომ ნულარ იტყვით. თავრიზ-თეირანის გზა ისე ჰქონდათ გათელილი, როგორც დღეს გოლოვინის პროსპექტი აქვთ გატკეპნილი უსაქმო ქუ-ჩის მტკეპნელებს. მარტო მეფე გიორგი XI მოიგონეთ. ეს საოცარი მეფე-რაინდი შავარდენივით დაჰქროდა სპარ-სეთის მაშინდელ ტერიტორიაზე რაღაც ხუთასიოდე ქართველით. ძვლებიც იქ ჩაყარეს ვაჟკაცებმა უნაყოფოდ და უსარგებლოდ თვისის დამწვარის და დადაგულის სამშობლოსთვის. ქართველს, როგორც საბრეთის მკვიდრს, ერთს ადგილს არ უნდა უყვარდეს ჯდომა, რადგან აშმორება იცის. მაგრამ მაინც ეხლანდელს ქართ-ველს არ უყვარს მოგზაურობა, არ ეტრფის მიხედ-მო-ხედვას ევროპიელივით.

კარ-ჩაკეტილობა წინადაც არა გვყვარებია, ვიყავით და ვართ სტუმართ-მოყვარენი, გულ-ახდილნი, ბუნება ხელს გვიწყობს გავინძრეთ, თუ შორს არა, შინ მაინც მივინძრ-მოვინძრეთ, მაგრამ არა, არ იქნა, ვერ შევეჩ-ვიეთ მოგზაურობას. ასე გასინჯეთ ჟურნალი „მოგზაუ-რიც“ დავაარსეთ, მაგრამ ვერც ამან შეგვაყვარა მგზავ-რობა.

რა გაეწყობა, წუწუნით საქმე არ გაიჩარხება. მე მაინც ჩემსას არ დავიშლი და ხანდახანობით ნახულსა და გაგონილს გაგიზიარებთ. საგანი საუბრისა ამ ჟამად ვარძია გახლდება. ისტორიულს და გეოგრაფიულს ცნო-ბებს ბევრს არას მოგახსენებთ. ეს ვისთვისაა საჭირო? სულ ერთია, სანახავად არავინ გამოიქცევა და მაშასა-დამე, ამ ცნობებს ვერ გამოიყენებს. ისიც კი უნდა მო-გახსენოთ, რომ ვარძიის შესახებ ისე მცირეა ჩვენი ლი-ტერატურა, რომ სირცხვილით იწვი, ოდეს გაითვალის-

წინებ ამ გონების მკლე ნაწარმოებს. ქართულად მხოლოდ ერთი საკმაოდ ვრცელი წერილი მახსოვს ჯავახეთიდგან გ. შატბერაშვილისა, რუსულად კიდევ პატარა წიგნაკი დეკანოზ დ. ღამბაშიძისა და ორიოდე სიტყვა ე. გ. ვეიდენბაუმს აქვს ნათქვამი „კავკასიის გზის მაჩვენებელში“. მე მეტი არ ვიცი. შეიძლება რამე გამომეპარა, მაგრამ ვგონებ, რომ არა. მცხეთის ტაძარიევით ვარძიას ჯერ საკუთარი ნატროშვილი არ გასჩენია.

შარშან-წინ ორჯერ ზედი-ზედ ვნახე ვარძია. პირველად გზა ლეპისის სამამასახლისოდან გვქონდა გასავლელი: ორი დღის სიარულმა ამ გახრიოკებულ და მელოტივით მოტიტვლებულ ქვეყანაში არდაგანის ოლქის სამზღვარზე, ტანში მოგვშალა. ზაფხულობით მზე ისე იკბინება, ცხარე, გავარვარებული სხივები ისე გვესობა სახეში, თითქოს განგებ ეკლითა გვჩხვლეტენო. ნაზი კანი ვერ უძლებს მჩხვლეტავ სხივებს, ბურცდება და სკდება. სახე თანდათან ილანძება და ილეწება. მტვერი და ქარი ზომ ისე შაშხავს აბურცებულს და ალაგ-ალაგ დახეთქილს კანს, რომ არ იცი, სად წაიღო და როგორ დაშალო ტანჯული პირი-სახე. ქალაქურ კოსმეტიკის ნაწარმოები, როგორც ვაზელინია და მისი მზგავსი ნაირ-ნაირი წამლები, აქ, ექვსი ათასის ფუტის სიმაღლეზე, ყოვლად გამოუსადეგარი და უძლურია. ბატის სუფთა ქონი არ მიცდია, მაგრამ ვგონებ, რომ ეს შინაური წამალი აჯობებს ვაზელინსა და გლიცერინს.

კლდეში გამოქვაბული ვარძიის მონასტერი მტკვრის, ვიწრო ხეობაშია, საცა ზაფხულობით ძალიან ცხელა, ზამთრობით თბილა. ზემოდ კლდის თავზედ 20—25 გრადუსიანი ყინვა იცის, ძირს კი ამავე დროს ზომიერი ჰავაა. ვარძიის ქვემოდ, სოფ. გოგაშენის პირდაპირ,

მტკვარი ისე მოჰქუხს, როგორც თერგი. საამოა მისი შხუილი და ბობოქრობა წყნარ და მთვარით გაკაშკაშებულს ღამეს. აზვირთებულის თერგის „სიძლიერე“ და „სიცოცხლე“ ილია ჭავჭავაძეს პოეტურად შეამკო. მის ზვირთებსა და ტალღებში პოეტმა „სიცოცხლის“ სიმბოლო დაინახა. აქ, ვარძიასთან, ან ზემოდ მტკვრის თერგისებური ხათქა-ხუთქი რომ ენახა პოეტს, მაშინ თერგის მაგიერ მტკვრის მოუსვენრობა გახდებოდა „სიცოცხლის“ სიმბოლოდ. ხომ სულ ერთია, მაგრამ, რაც უნდა იყვეს, გულს უფრო იამებოდა მტკვრის „გაპატიოსნება“, მისი სიცოცხლის აღნიშვნა, რადგან მტკვარი ჩვენია სათავიდან შესართავამდე. დღეს კი მარტო ნ. ბარათაშვილის „მოდუდუნე“ მტკვარი გვაქვს. გიჟმაჟობა ადამიანს ახალისებს, დუდუნი სევდასა ჰგვრის. მაგრამ რას იზამ, ასეთი ყოფილა ბედის წერა.

თერგივით მტკვარი შეზღუდულია მაღალის მთებით. ძირობებში ბაღებია გაშენებული. ზემოდ, მთის წვერებზედ და შემდეგ გავაკებულ მინდვრებზე, ჩირგვი არ მოიპოვება; აქ მტკვრის პირას, ხეხილია გაშენებული. კონტრასტი სწორედ დიდი და ძლიერია.

მონასტერი გამოქვაბულია მტკვრის მარცხენა ნაპირს მდებარე კლდის ფერდობაში. კლდე თანდათანობით კი არ ეშვება მტკვრისაკენ, არა, ისეა ჩაშვებული, თითქოს სარი დაურსვიათო. ამისათვის, სამხრეთ-ჩრდილოეთიდგან ვარძიას მისასვლელი გზები ცუდი აქვს, აღმოსავლეთით (სოფ. ხერთვისიდან) და დასავლეთით (ჩილდირიდგან, არდაგანის ოლქი) ვაკე გზებია.

პირველ გზობას სოფ. აგარიდგან ჩავედით ვარძიას. ამ სოფლის მკვიდრნი ნახევარი მართლ-მადიდებელი ქართველია, ნახევარი გამაჰმადიანებული ქართველობა.

გვარები სულ იმერულია. ყური მოვკარ, ვითომც ეს ქართველობა იმერეთიდგან იყოს გადმოსული. ისეთი სიბნელეა გამეფებული ამ უბედურს კუთხეს, რომ რიგიანად ვერას შეიტყობ. ორიოდე ქართველთა სოფელს დღეს თარაქამა ახვევია გარსა. აბა თარაქამის ხსენებაზე სიბნელის მეტი რა უნდა წარმოიდგინოთ?

გზა რომ ვახსენე, მართლა გზა არ გეგონოთ. დაქანებულ მთა-კლდის ფერდობზე ზოლივით მიიკლაკნება მიხვეულ-მოხვეული საცალფეხო ბილიკი. დიდ ხანს ვიარეთ ამ უბედურისა და კისერ-მოსატეხი ბილიკით. ეხლაკ ვერ გამიგია, როგორ დადის ხალხი ზამთარ-ზაფხულ ამ საეშმაკო და სატარტაროზო გზით. საკმარისია მცირედათ ფეხი მოგისხლტეთ და დაეშვებით ძირს, უფსკრულში, სადაც ყვავ-ყორანიც ვეღარ მიაგნებს თქვენს დაფლეთილს ლეშსა. ვიდრე სამშვიდობოს ჩავიდოდი, მე ჩემი დამემართა. თავს ბრუ დამესხა, მუხლები ამიკანკალდა, გულმა აჩქარებით ძაგ-ძაგი დაიწყო. ჩემს თანამგზავრსაც ჩემსავით გასჭირვებოდა ჩამოსვლა. ეს მერე გამოირკვა, წინ მიდიოდა და მაშინ რას გაიგებდი. ღმერთმა უშველოს აგარელებს. ზოგი წინ მიგვიძღოდა, ზოგი უკან და გაჭირვების დროს შეგვეშველებოდნენ ხოლმე. ბატონს უჩიოდნენ და თურმე ეს იყო მიზეზი, რომ ბლომად გამოგვყვნენ და დიდხანს არ გვშორდებოდნენ. უნდოდათ დაენახვებინათ ის საძოვარი, რომელიც ბატონმა ჩამოართვა. ცხვირწინ ვერას ვხედავდი, საძოვრისას რას გაიგებდი. გაკვირვებით კი ეხლაც მიკვირს, იმ კისერ-მოსატეხ კლდეებზე რა პირუტყვმა უნდა მოიკიდოს ფეხი, რომ მოსწიწკნოს დამჭკნარი ბალახი, ან რაა კაცის ბუნება, რომ სადავოდ გახადო უმგზავსი კლდე და ააყაყანო მის გულისათვის ეს ბუნების შვილნი?

მეორე გზა ლეპისის სამამასახლისოდან ვარძიას ს. ზედათმოგვიდანაა. ამ სოფლის მკვიდრნიც მართლ-მადიდებელი ქართველობა» იმერულის გვარებით. სულ „ძე“, „შვილი« არსადაა. ამ გზით არ მიელია, მაგრამ აგარისას არ ემჯობინება. მაზრის უფროს გაეელო ამ გზით ჩემზე წინ და სულ ბედს იწყეელიდა. ეს ყველა კარგი, მაგრამ ვარძია როცა ჰყავოდა, ნუ თუ მაშინაც ასეთი მისასვლელი გზები ჰქონდა? ეს შეუძლებელია. ვარძიიდან 10—12 ვერსის მანძილზე ს. კარზამეთია. დიდებული ტაძარი დაუწყვია თლილის ქვისა მაწყვერელს (აწყურის ეპისკოპოზს), საკენ ნახევარი აუტანია, მოსულან ოსმალონი და დარჩენილა ტაძარი დაუმთავრებელი. კარის თაღზე ხუცური წარწერა გვიამბობს აღმშენებელის ვინაობას. განა შესაძლებელია, რომ ვარძიიდგან 10 ვერსის მანძილზე დიდებული ტაძარი შენდებოდეს და გზა-კვალი კი არ ჰქონებოდა მონასტერს ლეპისისაკენ? ზეპირ-გადმოცემა ამბობს, რომ თამარ მეფეს ზედა სოფლებში (დღესაც კაი საძოვრებია) დიდძალი ძროხა ჰყავდაო, იქ მოწველილი რძე მონასტერ-სასახლეში მილებით ჩამოდიოდაო. თუ ციცაბო კლდეზე მილები დააწყეს რძის სადენად, უეკველია, გზასაც გამოჰქვაბამდნენ კლდეებში, ხოლო დრომ და ჟამთა ვითარებამ ალბად დააქცია. ეხლანდელი აგარისა და ზედათმოგვის ბილიკები კი „დღევანდელი« ქართველის უნარია.

როგორც იქმნა, ჩავედით ძირსა, მტკვრის ნაპირას. მცირე მანძილი გავიარეთ და დავინახეთ მონასტრის დანგრეული ზღუდენი და დაზიანებული სამრეკლო. მონასტრის სენაკებს, ეკლესიებს და გალავანს მხოლოდ ერთის მხრიდან დაინახავთ კარგად, მტკვრის მარჯვენა ნაპირიდან. უფრო კარგად იმ მაღლობიდანა სჩანს, სადაც და-

ფენილია ორი ქართველთა პატარა სოფელი: გოგაშენი და აფნია.

დღევანდელი ვარძია, კლდეში გამოქვაბული მონასტერი, ეს დიდებული ნაშთი დიდებულის წარსულისა, მინგრეულ-მონგრეულია, გაერანებული, პატივსა და დიდებას აყრილი, გვირგვინ-ახდილი და კერა-ჩამქრალი. უპატრონოდ დარჩენილს მონასტერს სტიქიონი უფლობს და ნულარ გაგიკვირდებათ, თუ მისი სენაკნი ხელიკითა და ღამურათა ბინად გადაქცეულა.

სიტყვით ვერ ვიტყვი იმ გულის სიმწვავეს, რომელიც ჩემს სულიერს არსებას მოედო, ოდეს ვიხილე ეს შეუბრალებელი გაერანება და გაოხრება-გატიალება. უნებურად, ოცნება-ფანტაზიამ გამიტაცა, ბურბუშელასავით დამტაცა ხელი და თავის დაუსრულებელ სამეფოში ამომაყოფინა თავი. ხილვა ვარძიისა, მისი შესწავლა სრულიადაც აღარ მეპიტნავებოდა, ფასი და გემო დაუკარგა დროებით მის ნანგრევებს, გონება ბურუსში გაეხვია, ხოლო ოცნება ცეცხლივით აპრიალდა. ნუ თუ ეს მინგრეულ-მონგრეული ვარძია სიმბოლოა დღევანდელის საქართველოსი? „ყაჩაღობა“ ხომ დღესაც არ შეწყვეტილა? გულისა და სულის ამომგლეჯი ყაჩაღი უფრო სასტიკი და საშიში არ არის, ვიდრე თოფ-იარადიანი ფიცარალი? ვინც მახვილით პარპაშებს, მახვილივე დაღუპავს. სულისა და გულის „ნადირს“ რიღათი უნდა შეხვდე! ამის უებარი წამალიც არის. ესაა ხასიათის სიმტკიცე, სიკაჟე სულისა, გარჯა-მომჭირნეობა და თვით ცნობიერობა. ვაი რომ ვკოცლობთ და გვაკლია ეს თვისებანი, თორემ, იცოცხლეთ, ბუზსაც ვერავინ აგვიფრენდა.

კლდის მესამე სართულში სახელმწიფო საბჭოს დარბაზია, სიგრძით თორმეტი არშინი. ეხლა ამ დარბაზს

დივანხანას ეძახიან. შიგა სდგას სამეფო ქვის ტახტი, დარბაისელთა და მსაჯულთა საჯდომნი, რასაკვირველია, ქვა-კლდისავე, სხვა-და-სხვა ადგილს ამოჭრილია თახჩები. ზოგი ხატების დასასვენებლად, ზოგი კანონთა დასალაგებელია. იქვე ცალკე პატარა ოთახია გადაწყვეტილ საქმეთა და სიგელ-გუჯართა დასაცველად, ანუ ეხლანდელი არქივი...

დივანხანის თავზე ცალკე ოთახია, სიგრძით 9 არშინი, სიგანით 6. ზეპირ-გადმოცემით თამარ-მეფის საწოლი და მოსასვენებელი ოთახი ყოფილა. საკუჭნაო და სალოგინე ცალკეა, სადარაჯო ოთახი კიდევ ცალკე. ნეტა რა ხელმა და მარჯვენამ გამოჭკვეთა ეს აუარებელი ოთახ-სენაკნი?

დარბაზი მტკვარს თავზე დასცქერის. ამ სიმაღლიდან მჩქეფარე, მაგრამ »უიღბლო« მტკვარი პატარა მდინარედ მოსჩანს. მისი შუილი, ძირს ძლიერი, ხოლო ზევით დანაზებული და მუსიკალური, დილაობით და ღამღამობით, როცა ბუნება დაწყნარებულია, დარბაზს სწვდება და სიამოვნებას ჰფენს »სენაკთა სამეფოს«. სწორედ ნეტარებაა ამ დარბაზიდან აღმოსავლეთისკენ ცქერა, ფანტაზიის შემწეობით თამარის მეფობის ხილვა, წარმოდგენა და გათვალისწინება ამ საკვირველის დედაკაცის ძლევა-მოსილებისა.

უნებურად, იმავე ცხოველ ფანტაზიის დახმარებით, მინგრეულ-მონგრეული, მტვრითა და ნაგვით სავსე დარბაზი, ანუ დივანხანა გავამშვენიერე, მოვრთე, მოვკაზმე თამარის შესაფერად, სამეფო ტახტზე დავაბძანე თვით „ბრწყინვალე« მეფე, მდივანთა ადგილებზე ჩავამწკრივე თამარის დროის დარბაისელნი: სასულიერო, საერო და სამხედრო მოღვაწენი და გავმართე ბჭობა, თამარის თავ-

მჯდომარეობით. გონების თვალით სულ ადვილად წარ-
მოვიდგინე ყველა ის დიდებული საქმენი, რაც ამ ობო-
ბას ქსელით გაბლანდულს დარბაზში გაირკვა და გადას-
წყდა. ხომ ბავშვობაა ამის თქმა, მაგრამ მაპატიეთ. და-
მენანა, სწორედ გული მეტკინა, რომ მეც მონაწილეო-
ბა არ მიმიღია მაშინდელის სახელმწიფო საბჭოს საქმია-
ნობაში, რათა სავსებით, სრულის მოქალაქობრივის უფ-
ლება-მოსილებით ერთი წუთი მაინც მეცხოვრა, ერთი
წუთი მაინც გულ-მკერდს ლაღად ამოესუნთქა. მაგრამ
მონობაში დაბადებული და აღზრდილი, მორჩილებას და
დატუქსვას მიჩვეული, დაკნინებულის თაობის შვილი, იმ
თაობისა, რომელსაც „სამშობლოდ“ ის სოფელი მიაჩ-
ნია, სადაც თვითონ დაბადებულა და რომელსაც „იმერი
და ამერი“ სხვა ტომის და ერის კაცად მიაჩნია, ღირსი
კი ვარ უმაღლესი სამოქალაქო ბედნიერებისა? გული
გაგვიტყდა, სამშობლოსთვის თავ-დადებაზე ფიქრსა და
ზრუნვას გადავეჩვიეთ. ჩემი თუ არა გჯერათ, აბა, მო-
ისმინეთ, რასა სთხოვს მხცოვანი პოეტი აკაკი განსვენე-
ბულის პეტრე უმიკაშვილის სულსა: შეგვავედრე ზეცა-
საო,

„რომ ჩაგვბეროს მაღლით ძალი
ჩვენ აქ, დღეს გულ-გატეხილებს,
და გვასწავლოს სამშობლოსთვის
თავ-დადება შვილი-შვილებს“.

კარგად ვიცი, რომ მოქალობრივი ბედნიერება ცი-
დან ჩამოყრილი მანანა არ გახლავთ. დიდი შრომა და
გარჯაა საჭირო მის საშოვნელად. ნატვრით და ოცნე-
ბით ვერას გავხდებით, ფონს ვერ გავალთ. მაგონდება
თავადი ბისმარკი, ეს რკინის კაცი, მისი ფოლადივით მა-
გარი, მკაცრი და თან გესლიანი, შხამიანი სიტყვა, რომ-

ლითაც ბერლინის კონგრესზედ მიჰმართა ერთს სამშობ-ლოს აღმადგენელს სასულიერო წოდების მოღვაწეს. ითაკილა „მოღვაწემ“ შხამიანი, მაგრამ მართალი სიტყვა, გაებუტა ბისმარკს და მეორე დღეს სადილად არ ეწვია, მაგრამ რაო? ბუტიაობით რომ „ჩატეხილი ხიდი“ კეთ-დებოდეს, ან „დანგრეული ოჯახი“ შენდებოდეს, შენი მტერი, დღევანდელი მაკედონია „ბუტიაებით“ გაიესე-ბოდა და მაშინ იქ კაცს აღარ გაევლებოდა.

VI

გზის მაჩვენებელი და ხელმძღვანელია საჭირო, თო-რემ, თუ ის არა გვყავს, ვერას გახდები, სწორედ და-იბნევი ამ აუარებელს გამოქვაბულს სენაკებში. მღვიმე-სენაკნი რამდენსამე სართულადაა გამოქვაბული. ერთ სართულიდან მეორეში ასვლა ადვილი არაა, და ცოტა იყოს, სახიფათოა, რადგან ალაგ-ალაგ ქვის კიბენი გა-ხეხილია, ჩარეცხილა და დამტვრეულა. ღმერთმა უშვე-ლოს დროებით ვარძიაში მყოფს, ერთს ქართველს ყმაწ-ვილს! იმან გამიწია წინამძღოლობა და ყველაფერი მაჩ-ვენა. დათვლით ვერ დავთვალე, რამდენი სენაკია, ზოგი ამბობს ათასზე მეტიაო, ზოგი ნაკლებს ამბობს. სიგძე გა-მოქვაბულ მონასტრისა თითქმის ერთი ვერსი იქნება.

გზის მაჩვენებელი წინ გამიძღვა და მიმიწვია — მომ-ყეო. დალოცვილი ისე დახტოდა, თითქოს ქურციკი იყოსო. ფეხებზე მესტის მსგავსი ნაზი ტყავი ჰქონდა აკ-რული. მე კი... საცოდავი ვიყავ. ვერანა და მუდრეგი საგზაო წაღებს რომ ეტყვიან, ის მეცვა. სიცხე-პაპანაქე-ბისაგან ისე გაიფშიკა, როგორც ურიის მკვდარი. მოდი და მიჰყე ამ ფეხსაცმელით სიცოცხლით სავსე ჯაბუკს!

წინამძღოლი ერთს ციცაბო კლდეს მიადგა და გაჩერდა. შემომხედა, მობძანდიო და ზემოდ აცოცდა. შიშით კინამ გული გამისკდა. ციცაბო კლდეზე საფეხურებისა მეხუთედი აღარა სჩანდა. რაღაც წვნიანი ხარიხა გაედოთ და ამ ხარიხის შემწეობით უნდა ავსულიყავით თამარ მეფის სარდაფში. რას ვიზამდი. მივყე წინამძღოლს, მაგრამ ვაი ამ მიყოლას! სარდაფი სავსეა ჩაკირულ ღიდ თუ პატარა ქვევრებით.

ღმერთო, ეს რა ძალაა, რა ცხოველი სიძლიერეა, რომ ხუთ სართულად კლდე დახვრიტო, ათასამდე საცხოვრებელი ოთახი, დიდი და პატარა, გამოჰკვეთო, რამდენიმე დიდი და პატარა ეკლესია გამოჰქვაბო წერაქვით და მაინც არ იკმარო, არ შედრკე! ქვევრების ჩასაყრელად ხელახლა გაუპიათ ციცი გული კლდისა!..

სენაკებს რომ მოვრჩით, ეკლესიები მოვიხილეთ. მღვთის მშობლის ეკლესიის გარდა, დანარჩენები, თაბორისა, მაგალითად, სიგძით შვიდი არშინია. სიგანით ოთხი. ეკლესიათა კედლები ბევრგან წაბღალულია რუსულ-ქართულ-სომხურ წარწერებით. ჩავუკვირდი რუსულ-ქართულ წარწერებს და გავოცდი. ბევრ ჩემ ნაცნობის სახელი და გვარი ამოვიკითხე და შემრცხვა მათ მაგიერ. ყველაზედ დიდად მაშინ გავოცდი, როცა ვიპოვნე აწ განსვენებულის თავ. თარხნიშვილის სახელი და გვარი. სწორედ ღვთის წყრომაა და უბედურება ჩვენს თავსა! ალბად, მართალი უთქვამს ცნობილს მოღვაწეს ქ. გორში: ქართველები ისე ავზნიანი და უბედურები იყვნენ ძველადვე, რომ ღვთის მშობელმა ხელი აიღო და აღარ მობრძანდა ქრისტეანობის საქადაგებლად, თუმცა ეს ქვეყანა ჰხვდა წილადაო.

განსვენებული თ — შვილი განვითარებული, შესმე-

ნილი კაცი იყო, ყველას საყვარელი, რიგიანი და საპატიო თანამდებობის პატრონი და ნუ თუ არ ეყურებოდა, რომ შეთითხვნა, შებღალვა წმიდა კედლისა, წმიდა სახლისა, სადაც თამარ მეფე საათობით იდგა, ლოცულობდა წმიდის გულით და ავედრებდა ღმერთს თვის ერსა, უდიდესი დანაშაულია სამშობლოს წინაშე?! ნუ თუ არ ესმოდა რომ დიდებულის წარსულის ნაშთს მუხლ-მოდრეკით და მოწიწებით უნდა ეუმზერდეთ? არ ბესმის რა მარჯვენამ უნდა აიღოს ნახშირი და გაგლისოს წმიდა ნაშთი თვისის გვარითა და სახელით, რომელიც არავისათვის არაა საინტერესო, მეგობართა და მახლობელ ნათესავთა გარდა. ვიღაც ნინო აგულოვისა და ს. ყიუმჩიბაშოვი რაღა გავამტყუნო, როდესაც შესმენა თ. გ. თ—შვილს არა ჰქონია. დიდად მეწყინა და ხმა მაღლა ცუდად მოვიხსენიე განსვენებული და ის წყეული გარემოება, რომელიც ასე გვამახინჯებს ეროვნულად. სიცოცხლეში კი სიამტკბილობისა და სიყვარულის მეტი არა გვეთქმოდა-რა მე და განსვენებულს. ვარძიის ნანგრევებზე გავიცანით ერთმანერთი და აქ გავსწორდით, მაგრამ ვაი და ვუი ამ გასწორებას. ვისთვისაა საჭირო?..

ბევრჯელ მითქვამს და კიდევ მოგახსენებთ, დიდი უბედურობაა, რომ ეროვნულს აღზრდასა ვართ მოკლებული. თ-დი გ. თ—შვილი რომ სხვაფრივ ყოფილიყო აღზრდილი, ეროვნულს მკრეხელობას არ მოიქმედებდა და სხვასაც ნებას არ მისცემდა წაებილწნათ ვარძიის კედლები.

სხვები ჩვენსავით არ იქცევიან, განათლებულს ევროპელებს თავი დავანებოთ, ამათ საოცრად იციან თავიანთ მოჭირნახულეთა სიყვარული და პატივისცემა. გვყვანან ისეთი მეზობლებიც, რომელნიც თითქმის უმი-

ზეზოდ განგაშსა სცემენ ხოლმე და რწყილს აქლემად აქ-
ცევენ. ამათაც თავი დავანებოთ, ღმერთმა საბედნიეროთ
მოახმაროსთ თავიანთი საქონელი. მაგალითად ავიღოთ
პატარა ფინლანდია. ისტორიაში ამ ერის ღვაწლი არა
გამიგონია-რა და ვგონებ ვერაფრით მოიწონებენ თავსა.
რიგიანი თითქმის დამოუკიდებელი არსებობა, ისიც ნაწ-
ყალობევი, სულ რაღაც ოთხმოციოდე წელიწადი ჰქონ-
და წარსულს საუკუნეში. ბუნება ამ პატარა ქვეყნისა
მკაცრია და მწირი, მაგრამ დაღვრემილმა ფინმა, ერო-
ნულ დაწესებულებათა წყალობით, ბევრი რამ გაიჩინა
და, სხვათა შორის, ეროვნული პოეზიაც დაჰბადა. ფი-
ნებს ჰყავდათ პოეტი რუნებერგი. პოეტმა დიდი სახელი
გაითქვა სამშობლოში, გარედ კი აგრე რიგად თვალ-
საჩენი არ გახლავთ. ხომ ასეა, მაგრამ ის სახლი, სადაც
პოეტი სცხოვრობდა და გარდაიცვალა—ქ. ბორგო,
სათაყვანებელი გახდა ერისათვის. მთავრობამ შეისყიდა ეს
სახლი (რუნებერგის სიცოცხლის დროს ფინლანდიის
სენატი შეზღუდული არ იყო), ყველაფერი ისე დას-
ტოვა, როგორც პოეტის სიცოცხლის დროს იყო.
დღეს თურმე ბორგოს სახლი ფინნების საეროვნო სამ-
ლოცველოდ გარდაქცეულა და თვითოეული ფინი მო-
ვალეობად სთვლის, ისე არ მოკვდეს, რომ რუნებერგის
სახლი არა ჰნახოს.

ჩვენ, ქართველებს უფალმა არ მოგვცა ეს ‘შნო და
უნარი.

ჩემის აზრით, რუნებერგის პოეზია ვერანაირად ვერ
შეედრება აი თუნდ ვაჟა-ფშაველას პოეზიას. სილარიბით
ტანჯულს პოეტს ისეთი მარგალიტები მოეპოვება სალა-
როში, რომ რუნებერგი კი არა, ბევრი, მეგობართა შემ-

წეობით გაბერილი და სახელ-მორჭმული პოეტი, იძულებული უნდა გაჰხდეს ქედი მოიხაროს მის წინაშე, მაგრამ სადაა პატრონი, სადაა გამკითხავი! რუნებერგს ჰყავდა ისეთი მეგობარი, როგორიცაა ი. გროტი. სახელოვანმა მეცნიერმა რუნებერგის ბევრი ლექსი სთარგმნა რუსულად და ამით სახელი მოუპოვა სამშობლოს გარედ. ჩვენს პოეტებს კი ჩვენ, ქართველები, ვყეევართ მეგობარ-მოჭირნახულეთ! ერთხელ ხომ სამსალა ვასვით ვაჟა-ფშაველას, დღეს პოეტი სიმშილით ილევა. აი როგორ დაღიღინებს ვაჟა-ფშაველა ქართულ რედაქციას;

„მომეცით ფული,
გაწყალდა გული.
თვე არის სრული
ამოდის სული,
რაც რედაქციას
გარშემო უვლი...
რადა, რისთვისა?
—ავიღო ფული“.

ნურც რედაქციას დავემდურებით. რედაქცია, მოგეხსენებათ, ზარაფხანა არ გახლავთ, თუ არა შემოუარა, თანამშრომელს რას მისცემს? ჩვენი მკითხველი ისე გაურბის ქართულ მწერლობას, როგორც ურია ღორის ხორცს. ან კი ვინ გაამტყუნებს!.. სიბრძნით და ნიჭით სავსე „ტიფლიცკი ლისტოკს“ ვილა წაიკითხავს მერე?

მოკლედ ე. გ. ვეიდენბაუმი ასე მოიხსენიებს ვარძიას:

„მტკვრის ღრმა ხეობაში, რომელსაც აქ ხერთვისისა ეწოდება, მდებარეობს ოდესმე საქართველოში სახელოვანი მონასტერი ვარძია. კლდეში გამოქვაბულია რამდენიმე ეკლესია, მრავალი სენაკი და სხვა შენობანი. ამ-

ბობენ, დიდად უყვარდა აქ დროს გატარება თამარ-მეფესაო, რომელმაც გაადიდა და გააფართოვა მღვიმე-ქალაქი და ააშენა ეკლესია მღვთის მშობლის სახელზედ. ამ ეკლესიის კედლებზედ ფერადი საღებავით დახატულია სურათი სახელოვანის დედოფლისა. პირველად როდის აშენდა, ან რა დროს გავერანდა, არ ვიცითო".

მღვთის მშობლის ეკლესიაში დღესაცაა წირვა-ლოცვა და მღვთის მსახურება ქართულად. ჩრდილოეთის კედელზე დახატულია თამარ მეფის სურათი უშველებელ საყურეებით. სურათი ისეთივეა, როგორც ბეთანიის მონასტერში. მაგრამ აქ უკეთაა შენახული. განახლების შემდეგ ბეთანიის მონასტერი აღარ მინახავს, ეგებ იქაც გაასუფთავეს სურათი.

მღვთის მშობლის ეკლესიას ბევრგან ამჩნევია ნატყვიარი. ქურთები თურმე ნიშანში იღებდნენ კედლებზე და თაღში დახატულს წმინდანების სურათს და თოფის ტყვიით ხვრეტდნენ. ის ველურნი, ან ახალციხის ბიკ-ბუკები, რომელთაც თვალები დასჩიჩქნეს საფარაში ათაბეგთ ბექასა და აღბუღას, როგორ გავამტყუნო, როდესაც ჩვენ თვითონ, განათლებულნი ქართველნი, უარესსა ვკადრულობთ.

მოღუშული, პირ-უღიმარი, სევდა-მოწოლილი, მკაცრ ბუნებასთან ბრძოლით გამწარებული, თითქმის დაბალ მოდგმის ჩამომავალი ფინი ქ. ბორგოში დაიარება ეროვნოლ პოეტის ნადგომ სახლის სანახავად, რათა დასტკბეს განსვენებულის რუნებერგის ნივთების ცქერით, ამ ხილეით გამოწვეულ მოგონებით, ჩვენ კი იმას ვკისრულობთ, რასაც ქურთნი სჩადიან უგუნურობითა და ველურობით. ეს კიდევ რაა?! ვის ეკადრება ფინი რუნებერგი და ან რა სახსენებელია შოთა რუსთველთან?

მაგრამ რუნებერგს მრავალი ძეგლი აუგეს თოელ-ყინ-ულიან ფინლიანდიაში და შოთას სამშობლო სოფელი კი ქუქყიან და მურდალ ქურთთა სადგურად და ბინად გავ-ხადეთ. დღევანდელს საქართველოს ქურდ-ბაცაცასავით შემოეპარა ველურობა და ბარბაროსობა, შთანთქა ძველი კულტურა და მისი ნაშთნი და თამამად პარპაშებს.

დიდ ეკლესიის ჩრდილოეთის კედლიდან ზემოდ კლდეში მიდის გრძელი ხვრელი. 81 საფეხური დავთვა-ლე. საფეხურები კარგადაა შენახული, მაგრამ ჩემს წინა-მძღოლს რომ მივდევდი, სულს ძლივს ვიბრუნებდი. ტან-ში უნებურად ერუანტელი მივლიდა. ღამურეები ზედ სახეზედ მასკდებოდნენ და იმათი ცივი ფრთების შეხება და ხახუნი ცივ ოფლს მასხავდა. ხვრელში საშიშო არა მომელოდა-რა, მაგრამ მაინც უხერხულად ვგრძნობდი თავსა. ერთი რომ იგრიალოს, მოზღვავდეს ეს უზარმა-ზარი კლდე, ხომ მორჩა და გათავდა ყველაფერი და გა-მოეთხოვე წუთი-სოფელს!

ხვრელი რომ გავლიეთ, გავედით შედარებით ფარ-თო მოედანზე. მტკვარი უფრო პატარად მეჩვენა, მაგ-რამ თერგივით მაინც სჩქეფდა და ცოცხლობდა. მოედ-ნიდან იწყება ბერთა სენაკები, ვგონებ, მეოთხე სართუ-ლისა. ვარძია მარტო მონასტრად არა ყოფილა. ციხე-ქალაქადაც ითვლებოდა. დიუბუას სიტყვით, გამოქვაბუ-ლი სენაკები ზოგი საჯინიბო ყოფილა, ზოგი საცხოვ-რებელი და მაღაზია და ზოგიც დუქანი.

მოგეხსენებათ, რომ მონგოლებმა და ყ ზილბაშებმა დაამხეს საქართველო და ტურტლიანის ხელით შებღა-ლეს სული და გული ამ პატარა ერისა. მას აქეთ ქვე-ყანამ ველარ იხეირა და ცოცხლობს წელკავიანივით. მათ სიბილწესა და სიმურდლეს ვერც ვარძია გადარჩა.

მეთუთხმეტე საუკუნეში მონგოლებმა ააოხრეს ეს შესანიშნავი გამოქვაბული ციხე-ქალაქი, მეთექვსმეტე საუკუნეში ყიზილბაშები სწვევიან ვარძიას სტუმრად და ყიზილბაშურადაც მოჰქცევიან. მუსულმანთა მწერალი ისკანდერ მუნჯი ასე მოგვითხრობს ვარძიის აკლების ამბავს: „1551 წ. შაჰ-თამაზი შეესია საქართველოს. ერი გაიხიზნა მთებში, კეთილშობილნი ჩაიკეტნენ ციხე-სიმაგრეებში. რამდენიმე თავადი გაიხიზნა დარნარის მიუდგომელს ადგილს, ან დერმარ-ქილისაში (მღვთის მშობლის ეკლესია). შაჰ-თამაზის სარდალმა ზიად-ოღლიმ დაიპირა მღვთის მშობლის ეკლესია, მამა-კაცნი ამოსწყვიტა და დედა-კაცნი და ბავშვები ტყვედ გაირეკა, სიმდიდრე და ძვირფასი ნივთები მშვენიერის ეკლესიისა სულ გაზდა. ეკლესია წარმოადგენდა, ამბობს ისკანდერ მუნჯი, ადამიანის ხელის საოცარს და საკვირველს ნაწარმოებსაო“. (დეკ. ღამბაშიძის წიგნაკიდანაა ამოღებული მუნჯის სიტყვები).

დიდხანს არ გაუვლია ვარძიის გაძარცვის შემდეგ და მესხეთს ოსმალეთი შემოესია (1625 წ.). ოსმალო მესხეთს მუსრს ავლებდა და ვარძიის განახლება-განსპეტაკებისთვის არ იფიქრებდა. 1828 წელს პასკევიჩმა მესხეთის ნაწილი ოსმალეთს წაართვა და ვარძიაც საქრისტიანოს დაუბრუნდა, მაგრამ რადგან პატრონი და გულშემატკივარი არავინ გამოსჩენია, ქურთებმაც თავისებურად გამოიყენეს თამარ მეფის საყვარელი მონასტერი. უამინდობის დროს საქონელს აბინავებდნენ ვარძიის გამოქვაბულ სენაკსა და ეკლესიებში და გულის გადასაყოლიებლად წმინდანებს ტყვიით უხვრეტავდნენ თვალებს.

ტანჯულს საქართველოს ასე მუხთლობს ბედი დაწყიდაბადებიდგან: არც გარეული, ვინ ჯუნდა იყოს იგი,

ბიზანტიელია თუ რომაელი, სპარსია, მონგოლია, თუ თურქი, არაბია, თუ სომეხი, და არც შინაური მეცადინეობას არ აკლებენ, რომ შემუსრონ ბედ-შავი ქვეყანა და წაბილწონ მისი სიწმინდენი. არა, მათის გულის გასასივებლად, ისიც კი უნდა ითქვას, ღვთის წინაშე, რომ ვერ მოახერხეს საბოლოოდ გათელვა საქართველოსი-მოყვარეთა სანუგეშოდ ვიტყვით, რომ ეგები მალე სიცოცხლის ნაპერწკალი გაჩაღებულ ცეცხლად გადაიქცეს.



VII

ვარძიის ნატამალს გუშაგობას და პატრონობას უწევს არქიმანდრიტი მამა სიმონი, ერობაში თავადი წულუკიძე. დღეს ქართველობას ბერობა თითქმის აღარა გვყავს. იგი წარსულს რეჟიმს სამუდამოდ თან გაჰყოლია.

მამა სიმონი ახოვანი ტანისაა. ლმობიერის სახისა, ძალზედ მოხუცი, მაგრამ მხნე და სიცოცხლით სავსე. ეტყობა, დიდად უყვარს ვარძია. აქ შიმშილს ამჯობინებს სხვაგან განცხრომა-ფუფუნებას. მამა სიმონი ძველის ტიპის ბერია, რუსული სწავლა-განათლება არ მიუღია, საუბარი სასოებიანი და ქართული მარილიანი აქვს.

არქიმანდრიტს ორი მორჩილი ჰყავს, ვგონებ ერთი იმერია და მეორე — ამერი. ერთი პატარა ბიჭიცაა, ასე 12—13 წლისა, ცოცხალი როგორც ჩიტი და მარდი როგორც ნიბლია. მამა არქიმანდრიტს ხელზე ემსახურება, ჩაის უკეთებს, სუფრას უშლის და ქვეშსაგებს უმზადებს. ბავშვი იმერეთიდანაა ჩამოყვანილი. მისი წკრიალა ხმა ზარივით გაისმის ამ მინგრეულ-მონგრეულ მღვიმეთა შორის. მარტოოდენ ეს ბალღია სიცოცხლის წარმომადგენელი და გამომსახველი. დიდხანს გასძლებს თუ არა

ეს მალხაზი ქოჩორა ჩიტი სიცოცხლეს მოკლებულ საავანეში, ძნელი გამოსაცნობია.

არავითარი საოსარი ცხოვრებისა მამა სიმონს კრებულით არა აქვს. დღესაც არ ვიცი, რითი საზრდოობს დიდებულისა და სახელოვანის ვარძიის გუშაგი. ქონება არავითარი, არც მოძრავი, არც უძრავი. კრებულს ჰყავს ერთად ერთი სახედარი ფქვილისა და შეშის საზიდავად. ჰყოლიათ ერთი ცხენიცა და, რადგან ვერ გამოუკვებიათ, გაუბარებიათ.

ცოტაოდენი შეწირულობა მოუგროვებია მამა სიმონს და განუზრახავს წისქვილი დაებრუნებინა მტკვარზე. სამი ქვა კიდეც მოეტანა ქუთაისიდგან, რუ გაეთხარა დიდის წვალებითა და ტანჯვით, მაგრამ წისქვილი ჩემს იქ ყოფნის დროს წესიერად ვერ მუშაობდა, წყალი ღონივრად ვერ სცემდა და წისქვილს უგემურად გაჰქონდა ღრიტინი. მაშასადამე, ეს განზრახული წყარო საზრდოს შოვნისა ჯერ-ჯერობით დაშრეტილია.

ვარძიას ძველად, რაღა თქმა უნდა, დიდი მამული ექნებოდა. დღეს შიშველ-ტიტველია ვითარცა ხე ცივს და ყინულიან ზამთარსა. ჟურნალ „მოგზაურში“, ნომრები: VI და VII, 1901 წ., კაბადონი 536, აი რასა ვკითხულობთ: „ვინმე მესხი გვარამაძე ვარძიის შესახებ შემდეგსა სწერს: კარწახი (ახლა სომხები სცხოვრობენ), ზედა-ვარძია და ამათი მოყოლება მტკვრის გალმა-გამოლმა მხარი, სულ ვარძიის შეწირულობა ყოფილა, ვენახებით, ბოსტნებით და ბალჩებითა; მეფის სამსაჯულოსთან სამწირველო ტრაპეზზედ ყოფილა წარწერილი მხედრულად, მაგრამ მტრებს ამოუმტვრევიათ, რამდენიმე სტრიქონი ნაწყვეტ-ნაწყვეტი კიდევ ეტყობა. ამის გუჯარიც ყოფილა. ეს გუჯარიც ინახებოდა პატარა თო-

ნელ თევდორე მღვდლის მანველიძის სახლში; ადრე კოთელიის მღვდლად ყოფილა. 1846 წელს მღვდლის შვილმა სვიმონ მანველიძემ გოგაშნელებს (სოფელი გოგაშენი მდებარეობს ვარძიის პირის-პირ, მტკვრის მაღალ კიდეზედ) გარდასცა ეს გუჯარი. სამაგიეროდ ბედაური ცხენი აჩუქეს გოგაშნელებმა, ხოლო სიგელი ბლაღოჩინს გ. გამრეკელს მიართვეს სიხარულითა. ერთს ხანს მიწერ-მოწერა გაიმართა, მაგრამ მალე ჩაყრუედა საქმე. ბლაღოჩინი გამოიცვალა და საქმე საბლაღოჩინოში დარჩა, თუ ტფილისის საეკლესიოს არქივში, აღარა ისმისრა. ამბობენ, სომხების კარაპეტ ეპისკოპოსს შეუსყიდია იგი 18,000 მანეთად. ვისგან შეუსყიდია, ეგ კი არ არის ცხადი«.

სიტყვა-სიტყვით ამოვწერეთ »მოგზაურიდან« ვინმე მესხის ნათქვამი. შეიძლება ეს მართალი იყოს, შეიძლება ტყუილიც. ამას კარგი და რიგიანი გამოკვლევა უნდა. ურიგოს არ იზამენ ჩვენის წარსულის მკვლევარნი, კარგად მოჩხრიკონ დაკარგული სიგელი, ან დანამდვილებით შეიტყონ მისი თავგადასავალი.

კარაპეტა ეპისკოპოსი კარგადაა ცნობილი ისტორიაში. პასკევიჩის დროს მისის წინამძღოლობით დიდძალი სომხობა გადმოსახლდა არზრუმიდან და დაბინავდა მესხეთის ვერანა სოფლებში. ორი ქალაქიც: ახალციხე და ახალქალაქი გადმოსულებმა დაიკავეს. კარაპეტა ეპისკოპოსმა საეკლესიო ფულით წმ. მაცხოვრის სახელობაზედ (ეს ეკლესია ახალციხეშია) იყიდა ჯავახეთში სოფლები: კარწახი, სულდა, ყური-დადეში და სხვა, გოგდაღის საძოვარი მთები. ამ ეამად ჩამოთვლილ სოფლებსა და მთას შემოაქვს წელიწადში 22,000 მან. კერძოდ

კარწახიდან, სულ ცოტა, შემოვა 5,000—6,000 მანეთი. ეხლა ეს მამულები მთავრობის განკარგულებაშია.

ეპისკოპოსმა კარაპეტამ იაფად იყიდა მამულები, სულ რაღაც 2,500 მან. გრამოტები რომ იწერებოდა, სულდელები ახირდნენ, სოფ. სულდის წინანდელი ბატონი ბეგი, ან აღა არა ყოფილა, „მუეიკი“ იყო ჩვენსავითა და ამის გამო სომხის ეკლესიას, როგორც „მუეიკის« მემკვიდრეს, ნება არა აქვს თავისუფალი მამული დაიტოვოს და სულ ჩვენ უნდა მოგვეცეს »ნადელში«, რაც სულდის ფარგალშია მოქცეულიო. წინანდელი ბატონი ბეგი რომ ყოფილიყო, კანონით გლეხების ასეთს პრეტენზიას ლაგამს ამოსდებდნენ. სულდელებმა თავისი გაიყვანეს, სენატმა სამართლიანად იცნო მათი ახირება, წინანდელი მფლობელი ბეგად არ აღიარა და ბრძანა: მიეზომოს სულდელებს, თითო სულზე ხუთ-ხუთი დესეტინა სულდის ვერანებიდანაო.

ეს ამბავი იმას გვასწავებს, რომ ვინ იცის, ეგები სულდის ვითომდა მებატონემ სხვისი სამკვიდრო მიჰყიდა ეპისკოპოსს კარაპეტას. სოფ. კარწახი მოსამზღვრეა სულდისა. უკეთუ ამ ეპვს რაიმე საბუთი აქვს, მაშინ ადვილად მივხვდებით, რომ ჭკვიანი და გონიერი წინამძღოლი გადმოსახლებულ სომხებისა, ეპისკოპოსი კარაპეტი შეეცდებოდა როგორმე ხელში ჩაეგდო კარწახის სიგელი. ფულსაც, რაღა თქმა უნდა, არ დაიშურებდა ამ საქმისათვის. მართალია, სიგელის პოვნას პრაქტიკული მნიშვნელობა არ ექმნება ვარძიის მონასტრისათვის, მაგრამ ჭეშმარიტებისა და სიმართლის აღდგენა ცოტა რამედ არა ღირს. ვარძიის გუშაგი მოხუცი არქიმანდრიტი სიმონი კარწახის საამოდ გაშლილ ველ-მინდვრებს რომ მოავლებს თვალს აგარის მწვერვალებიდან, მელანქო-

ლურად გაიფიქრებს: ასე წარმავალია დიდება ქვეყნისაა! გუშინ ეს ველ-მინდორი ვარძიისა იყო და დღეს კი სხვას უპირავსო. შემდეგ მხურვალე ლოცვითა და მარხულობით დარდს გადიყრის და მიუტევებს, ვითარცა დიდ-ბუნებოვანი ადამიანი, უკეთურს ცოდვასა და შეცდომილებას, სიავესა და სიხარბეს.

რითი საზრდოობს ვარძიის ეხლანდელი კრებული, ძნელი გამოსაცნობია. მონასტრის მიდამო გოხები, სათიბ-საძოვარნი გამიჯვნის დროს ბაიბურთლებმა და ბაგრატუნოვებმა (არზრუმიდან არიან მოსულნი) „კანონიერის წესით« დაისაკუთრეს. მონასტერს დარჩა მხოლოდ რაღაც 50—60 დესეტინა გახრიოკებული კლდეები. ცხვრის გასასეირნებლად თუ ივარგებს ეს კლდეები, სხვაფრივ რა ჰყრია მათში. შემოსავალი ბევრი-ბევრი 30—40 მანათი იყოს წელიწადში. კრებულს ეს შემოსავალი ვერ დააპურებს, თუ სული წმიდა არ მოეშველა.

ვარძიას რკინის რგოლივით გარს არტყია მაჰმადიანობა; ნეტა ოსმალონი მაინც იყვნენ, ან ჩვენი აჭარლები, ვინ რას იტყვის კიდევა. უვარგისი წარმომადგენელნი მაჰმადიანობისა: ქურთნი, თარაქამა, მუტრუფნი, ბოშანი გაბნეულან ვარძიის გარშემო. ქართველთა მარტო ოთხი სოფელია: აფნია, გოგაშენი მტკვრის მარჯვნივ, აგარა და ზედათ?ოგვი—მარცხნივ. ეს სოფლები ერით მცირენი არიან, ღარიბნი და დაჩაგრულნი, უნიადაგონი და განუვითარებელნი. ამათ რა უნდა გაიმეტონ მონასტრისათვის? მაინც და მაინც ისევ ისინი თუ ჩამოვლენ ათასში ერთხელ ვარძიას, ილოცვენ და შეიძლება ორიოდე აქაური ქადა-ნაზუქი დაუტოვონ კრებულს. (ქართლურ შესანიშნავ ნაზუქს მიჩვეული ვერც კი მიეკარება აქაურს ერბოთი გაეღენთილს და ურძეო ნაზუქს).

მორჩილნი ალბად მათხოვრობენ, თეფშით აგროვებენ ხორბალს და ისე თუ იკვებებიან. მთავრობა მონასტერს არაფერს ულუფას არ აძლევს, ალბად შტატ გარეშე თუა დარჩენილი, როგორც სხვა ჩვენი მრავალი ძველად შესანიშნავი მონასტერი.

ამ სიღარიბესა და უილაჯობას რომ ვუცქეროდი, ფიქრმა უნებლიედ შავი ზღვის პირას გადამიტანა. მოკლედ თვალი მოვავლე ახალ-ათონის ისტორიას. ჯერ ისევ უკანასკნელ რუს-ოსმალოსთან ომამდინ ძველ ათონიდან მოვიდნენ ბერები და შეუდგნენ მონასტრის აშენებას. ომის დროს ოსმალოთ და აფხაზებმა ბერების ნაკოდილარი მიანგრ-მოანგრიეს და ქვა-ქვაზე არ დასტოვეს. დასრულდა ომი. ბერები ისევ მოვიდნენ და უფრო მხნედ შეუდგნენ მოღვაწეობას, მაგრამ რას გახდებოდნენ მარტო მხნეობით, თუ დახმარებაც არ ყოფილიყო. დახმარებაც მთავრობამ აღმოუჩინა. ნამესტნიკად მაშინ ბრძანდებოდა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე, რომელიც დიდ მნიშვნელობას აძლევდა რუსთა კოლონიზაციას ამიერ კავკასიაში. ეს საქმე პირველად ნამესტნიკმა თავადმა ვარანცოვმა დაიწყო, მაგრამ სრულიად მოულოდნელად დასრულდა მისი განზრახვა-მეცადინეობა. გადმოსახლებულნი გაქართველდნენ. განსვენებული ვ. ველიჩკო რომ შეუდგა ამ საქმეს ჩვეულებრივის მხნეობით და გაბედულობით, ბევრს ეგონა ამან დაიწყო პირველად ეს საქმეო. არა, დედა აზრი თ. ვარანცოვისაა და დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძისა, ხოლო ველიჩკომ მათი შეცდომანი არ გაიმეორა, ესე იგი ღონიერ ჯგუფებად უნდა დაესახლებინათ კოლონისტები, უსათუოდ თან მოყოლილი მღვდელი ჰყოლოდათ, ეკლესია აეგოთ და სამრეველო სკოლა გაემართათ. ახალ-

შენელებს ცოლებიც თან უნდა მოეყვანათ, თორემ თუ ჩვენი თინია-დარეჯნები გაერეოდნენ ახალშენელებში, „საქმე წახთებოდა“, იმერულად რომ ვსთქვათ.

მაგონდება ერთი სასაცილო ამბავი. ხალხის ყრილობას დავესწარი. მოხელეებს ირჩევდნენ, ყურთა-სმენა წაიღეს, ისე ლრიალობდა ხალხი; გიო, გიო გვინდაო. ვინაა ე გიო, ერთი თვალით გვაჩვენეთო, უბრძანეს უფროსებმა. მოიყვანეს.

— ბიჭო, ვინა ხარ?

— გიო, შენი ჭირიმე.

— გვარი?

— მარტინენკო.

სახტად დავრჩი. ჩემ წინ გამოჭიმული იდგა ტიპიური ქართველი ტეტია, შალის ჩოხით, წინდა-ქალამნით.

მართალია, გიო მარტინენკო ჭროღა იყო, მაგრამ განა ცოტაა ჭროღანი ჩვენში? ერთი ჩემი კარგი ნაცნობი ისეთი ჭროღაა, რომ მაგისთანა „ანტიკა“ ჭროღას შიდა რუსეთშიაც ვერ იპოვნი.

დიაღ, იმას მოგახსენებდით, რომ ახალს ათონს უხვად უწყალობეს სახნავ-სათესი, მდინარენი, მთანი და ტყენი; უბოძეს აგრედვე მონოპოლია თევზის ჭერისა შავ ზღვაში დიდ მანძილზე. მკაფიოდ აღარ მახსოვს, რამდენი რა იყო, მამა დეკანოზ ვოსტორგოვის ფელეტონები, გაზეთ „კავკაზში“ დაბეჭდილი, ხელთ არა გვაქვს ამ ჟამად. მლოცველიც დიდძალი ჰყავს ათონს და გაიესო სიმდიდრით.

კარგა ხანია, სიჭაბუკის დროს, როცა რელიგიური გრძნობა ცხოველია, განვლო, და მას შემდეგ ეკლესია-მონასტრებისთვის შესაწირავი არ გამიღია. როგორღაც

შემოხვევა არ გვეძლეოდა. ვარძიის კრებულის სიღარიბე და სიღატაკე რომ ვიხილე, გულმა აღარ მომითმინა და ორჯელ, ზედი-ზედ, შესაწირავი მივართვი. ეს საქმე ისე ბუნებრივად, კანონიერად და სამართლიანათ მეჩვენა, რომ ერთს წუთსაც არ მიყოყმანია. ვგონებ უპირველესი მოვალეობაა ყოველის ქართველისა გაიღოს მცირე რამ იმათ შესანახად და საზრდოთ, ვინც ესეთის სიყვარულით, თავგამოდებით და ბედის წინაშე მორჩილებით დღე და ღამ გუშაგობენ დიდებულ თამარის საყვარელ ციხე-ქალაქსა და მონასტერსა. იქ, სადაც ფორთოხალის და ლიმონის ბაღებს ჰმართავენ, ან იხვთა და გედთა საჭყუმპალაოდ მარმარილოს აუზებს აგებენ, შეიძლება არავითარმა სხვა ემოციამ არ შეგიპყროს, გარდა ესტეტიკურისა: რასაკვირველია, მაშინ საბერო-სამონასტრო შესაწირავს ადგილი აღარ ექნება და შეგიძლიანთ არხეინად დოინჯ-შემოყრილმა ისეირნოთ და, მშვენიერებით დამტკბარმა, თუ გუნებაზე მოხვალთ, კიდეც ილილინოთ.

მამა სიმონს ჰყვარებია ქართულის კითხვა. ჩემსობას „ივერიას“ მოვკარი თვალი არქიმანდრიტის სენაკში. საწყენია, თუ ფულით იწერდა. საიდან უნდა გაიღონ ერთი თუმანი? კარგს იზამს რედაქცია, თუ უსასყიდლოდ გამოუგზავნის გაზეთს. ნუ დაივიწყებს გაზეთი, რომ ეს სამი-ოთხი ქართველი-ღა დარჩა ძველის საქართველოს წარმომადგენლად ამ გამაჰმადიანებულს და გასომხებულს მხარეს. ვსთხოვ „ცნობის ფურცელსაც“ და „მოამბესაც“, ნუ დაიშურებენ ჟურნალსა და გაზეთს ვარძიისათვის, ხოლო ნახატებიანი დამატება საჭირო არაა, ვინაიდგან ვარძია იტალია არ არის და მამა სიმონი იმ ბერთა ჯგუფს არ ეკუთვნის, რომელნიც ბოკაჩიოს დროს სცხოვრობდნენ. შიშველა

ქალთა სურათნი „დეკამერონობასა“ გასწევენ და რა ხელსაყრელია, რომ უდაბნოში ჩვენსავე ხელით შევიტანოთ „ეშმაკეულობა“ და „ავი სული“. საჭიროა პური არსობისა და გონების საზრდო და არა სულისა და გულის მაცთუნებელი. ესენი სხვა ჯურის ბერთათვის და ნერვებმოშლილ ინტელიგენციისათვის დაგვილოცნია.

VIII

15 აგვისტოს იცის ვარძიობა, ანუ ჩვენებური მარიამობა. მინდოდა ამ დღეს მონასტრის ნახვა და კიდეც ავისრულე სურვილი. ჯავახეთის მრავალი სოფლები გავიარე და სოფ. გოგაშენს შევისვენე ჩვენებურ ქართველ მღვდლის მ. გიორგი კარბელაშვილის ოჯახში. გოგაშენიდან ვარძია ისე სჩანს, თითქოს ხელის გულზე გაქვს გადაშლილიო. სულ ბევრი მონასტრამდე სამი ვერსი იყოს სასიარულო, მაგრამ უშველებელი დაღმართია და მისი ჩავლა ცოტა არ იყვეს მაღონებდა. ერთხელ რაკი გამოვცადე ს. აგარიდან ვარძიას ჩასვლა, სწორედ მიძნელდებოდა საქმე, თუმცა გამოცდილი მხლებელი, ს. აფნიიდან საპოლიციო დარაჯი, გზას მიადვილებდა, გოგაშენელებს ხომ სიცილად არ ჰყოფნიდათ ჩემი ეპვი და შიში.

— ბატონო, რა ზორბა თქვენა ბრძანდებით, თუ გაგიჭირდებათ, სულ ხელით ჩაგიყვანთო.

მართლაც, ბილიკი შედარებით აგარისასთან ღვთისნიერი აღმოჩნდა. მაინც მუხლთ მეკეცებოდა და წელი მწყდებოდა. ხშირი ბინდი იყო, მონასტრის აღმართს რომ შევუდექი და დაღლილობისაგან სიარულს ველარ ვახერხებდი. არ ვარგივართ ეხლანდელი ინტელიგენტნი,

რაკი ევროპელივით მიჩვეული არა ვართ ფეხით სიარულს, ორ ნაბიჯს გადავდგამთ თუ არა, ვაისა და ვუის უნდა მოვყვეთ.

მხლებლისა და თარაქამის დახმარებით, როგორც იყო, მივაღწიე მამა სიმონის სენაკს და კუტივით დავეგდე ტახტზე. ეხლაც კარგად მახსოვს მოღიმარე სახე ამ ახოვანის თარაქამისა. შორიდანვე შეატყობ, რომ ბუნების მოუხეშავი შვილია და ნეტა რა ძალამ მოიყვანა ვარძიას ღამის სათევად? ღვინოს ეგ არა სვამს და არაყს, ქრისტე მაგას არ მიაჩნია და ვარძია; მაშ რა იზიდავს?.. უნდა გენახათ, რანაირად გაუბრწყინდა სახე, ნაცნობი ნიკო (ჩემი დარაჯი) რომ დაინახა.

„ხოშ გიალდიო", მხიარულად მიესალმა და მაგრად ხელი ჩამოართვა. ნიკომ უკმეხად რაღაც წასჩურჩულა ოსმალურად, ალბად ამცნო ჩემი ვინაობა, და თარაქამას მხიარული სახე უცბად შეეცვალა. ნიკოსავე თხოვნით, მეორე იღლიაში მტაცა ხელი და ცემ-ცემ მიმიტანეს არქიმანდრიტის სენაკთან.

ხალხი ბუზივით ირეოდა ღვთის მშობლის ეკლესიის გარშემო მდებარე მცირე მოედანზე. საოცარია, რატომ არავინ იჩხეება აქედან? მოაჯირი რომ ჰქონდეს სამხრეთიდგან, კიდევ ჰო, მაგრამ მოედანი შემოუზღუდავია, უბრალო ხარიხაც არა აქვს შემოვლებული და მაინც უბედურება არა მომხდარა-რა მარიამობას.

სიბნელის გამო ვერ ვარჩევდი სენაკის ფანჯრიდან, რა ეროვნების ხალხი ირეოდა ეკლესიის წინ. ყველაზედ წინ ამის გამოცნობა მაინტერესებდა. ნუ თუ შორიდან ქართველობა დაიძრა ვარძიის თაყვანის საცემლად და თან დროს გასატარებლად? მაგრამ არა, შემდეგ გამოირკვა რომ ყველაზე ნაკლებ ჯავახეთის ქართველობა

იყო, უფრო კი ქურთები, თარაქამა, სომხობა, მაჰმადიანობა, ბერძნები და სხვა. ასე გასინჯეთ, ერთი ახალციხელი ებრაელიც კი ვნახე მეორე დღეს.

მამა სვიმონი სენაკში არ გახლდა, ეკლესიაში ხალხს ამწყალობებდა. ეხმარებოდნენ გოგაშნელი მოძღვარი გ. კარბელაშვილი და საროელი ს. უსტიაშვილი (ახალციხა), სოფელ საროდან (20 ვერსია) შვილით ფეხით მოსული. როგორღაც ვკითხე მამა სოლომონს, რა გაჭირვება გადგა, რომ ამ სიცხე-პაპანაქებაში ფეხით წამოსულხარ-მეთქი: წმ. დავით გარეჯელის უდაბნოში აღვიზარდე, იქ ვისწავლე ღვთის-მსახურობა და გალობა და ვერ გავბედე ეტლით, ან ცხენით ვარძიას მოსვლაო. დღეანდელი „განათლებული“ კურსოვნიკები, „გაწაფულნი“ ხრიკებით აფერადებულ ბლაჯვნაში, თქმა არ უნდა, ამ გვარ პასუხს არ გვაღირსებენ. ვერც მოიცლიან ღვთის წინაშე, შემოსავლიან „პრიხოდების“ ძებნას უნდება მათი დრო და ენერგია.

მამა სოლომონი წინადაც მენახა. ს. ტოლოშს ხალხი იყო დასაფიცებელი. ფიცის ქაღალდი დავიწყებოდათ, როგორც იყო, მოკლედ და უთავბოლოდ გარდასცეს შინაარსი ფიცისა მ. სოლომონს. სწორედ დასტკბებოდით, რომ გენახათ, რა ღრმა და წმინდა ქართულით დააფიცა მ. სოლომონმა ხალხი. ახალ სკოლის „კურსმა“ ჯერ შებღალა და შემდეგ ცივ სამარეში ჩაჰფლა ღრმა და სასოებიანი ქართული.

არქიმანდრიტის სენაკში ვიგრძენ სულის „ობლობა“. ნაცნობი ინტელიგენტი, ან ისე ცოტათი მაინც განათლებული ჩემიანი არავინ იყო, რომ საუბრით წარსულსა და აწმყოზე გული გადაგვეყოლებია. სენაკში ბლომად შეიკრიბნენ ფალავანდიშვილები (ფრონელები

არ გეგონოთ), მაგრამ რა? ამათ ქართული არ იციან, მე კიდევ ოსმალური. გულზე მოწოლილ ბოლმა-დარდს მხოლოდ სამშობლო ენით იტყვი, უცხო ენა არ უხდება.

საუბარი რომ გაჩაღდეს, საჭირო ისიცაა, რომ მომუსაიფეს შენსავით შენი დარდი გულს უსერავდეს და უღარავდეს. თუ შენი დარდი და ჭირი, ან აღფრთოვანება და ტრფიალი მომუსაიფეს არაფრად მიაჩნია, საუბარი „სალონურ“ უსულ-გულო ყბედობად გარდაიქცევა. ასეთს მუსაიფს ისევ ისა სჯობია, იგი დარდი გულის სიღრმეში ჩაიკლა.

მეც სწორედ ასე მოვიქეცი. ფალავანდიშვილებში ერთი ახალგაზდა ბეგი ერია, ხარკოვის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის სტუდენტი. გავაბით უაზრო წყალწყალა ლაპარაკი, სწორედ ისეთი, როგორც აი ჩვენმა „ინსტიტუტკებმა“ იციან ავსა და კარგს ტაროსზე. ყბებსა და ტუჩებს ვაცმაცუნებდით, მაგრამ, ვგონებ, ერთმანეთისა არა გვესმოდა-რა. მე სულ იმას ვფიქრობდი: უცნაური ყოფილხარ, ჩვენო ბედო. ვინ იცის, ამ ყმაწვილის რამდენმა წინაპარმა რაოდენი სისხლი დაანთხია, რაოდენი ტანჯვა-ვაება გამოიარა ვარძიისა და საქართველოს საბედნიეროდ! დღეს კი აგერ ეს სასიამოვნო სახის ჭაბუკი (ჯავახეთის ფალავანდიშვილები ახოვანი უზარმაზარი ტანისანი არიან), უმაღლესი სწავლა-განათლებით შემოსილი, სდგას ჩემ წინ, მიყურებს პატივისცემით, თითქმის მოკრძალებით, რადგან ბედმა და შემთხვევამ მცირედად ცხოვრების ზედა პირზე შემასკუპა, მაგრამ ჩემი დარდი არ ესმის, გულმწვავი სიტყვა ვერ უთქვამს და ჩემგანაც მარილიანი, მხნე და გულის მისაწვდომი პასუხი ვერ მიუღია. ვართ ისე თითქოს ახლო, მაგრამ ისე და-

შორებულნი, რომ ერთმანეთისათვის სიტყვა ვერ მიგვიწვდენია. ვხედავ, რომ მისი აზრი თავს ევლება ბაქოში თაღიევის მიერ ახლად დაარსებულს რუსულ-თათრულს სკოლას, სადაც მუსულმანთა ქალნი იზრდებიან (ფალავანდიანთ ქალნიც სწავლობენ), აზრი და ფიქრი კიდევ ვერ განშორებია ვარძიის წარსულს „დიდებას“ და ღღევანდელს „სილაჩრეს“, ოდეს ჩვენს „მხნე ქალებს“ ერთი საქალებო სკოლა რა არის, ისიც ვერ გაუმართავთ, რომ ქართველი ქალი „ქართულად“ გაზარდონ. ერთის სისხლისა და ხორცისანი ვართ მე და ეს ჰაბუკი, მაგრამ შეხეთ მუხთალ ბედსა, რანაირად დაგვაშორა ერთმანეთი! ნეტა დაიბადება ჩვენში ისეთი გენიოსი, რომელმაც შესძლოს გასდოს ჩვენ შორის შემაერთებელი ხიდი? სწორედ უხილავს, მაგრამ ჩაუქრობელს ლამპარს აანთებს ყოველი ქართველის გულში ის „დიდებული“ ხუროთმოძღვარი, ვინც შეიძლებს ისეთი ხიდის აშენებას, რომელზედაც შეეძლოთ სიარული ერთად, ძმურად ერთის ეროვნულ საქმისათვის ტომით და სისხლით ქართველებს, ხოლო სარწმუნოებით სხვა და სხვას.

თორემ, აბა, რასა ჰგავს ესა? რამოდენა ქართველს უყო პირი სარწმუნოებამ „ჩვენ დამლუპველს ოსმალეთისკენ?“ ისევ მომაგონდა პოეტი. ქართველი ერის გულთა მხილავნი სწორედ ესენი არიან, ისე მკაფიოდ და სიტყვის მოკრით აღნუსხავენ ხოლმე მის ჭირსა და ტრფიალს, ზოგი ლექსით, ზოგი კიდევ პროზით. აბა მოისმინეთ, რა სევდა მოსწოლია პოეტს, ქართველი იანიჩარი რომ უხილავს.

აგერ რაზმიდან ისკუპა ყარაბაღულმა მერანმა,
შორსა გაჰფანტა თრთოლით ხმა მისმა რახტისა ყღერამა...
მიჰქრის, მიჰფრინავს, მიპეკავს, უკან მისდევს მტვრისა ბუკი,

მასზედ ჰზის ივერიელი ჯაბუკი ვინმე ჩაუკი.
აგერ უეცრად რაღაცამ ჰაერში დაიკრიალა,
თურმე მან თოფი თავისი შეაგდო, შეატრიალა,
მერე ლამაზად ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ გადმოწვეებოდა,
ხან ცხენიდანა ჰხტებოდა, ხან ზედვე შეჰფრინდებოდა.
ჰშვენოდა იგი ჯაბუკი ცხენზედა ვით ალვა რგული,
მაგრამ მე მის მკვრეტელს ნაღვლით ამერია სული გული...
ვსთქვი, თუ ვისთვის შენ კისკასობ, ვისთვის იჩენ სიმარდესა?
შენი რაა, რომ ამშვენებ შენ დამღუპველს ოსმალეთსა?
შენს სიმარდეს, სიჩაუქეს ქართლი შენი არ დაჰყურებს,
მეფე შენი თავის ქებით ჯაბუკს გულს არ გიხალისებს!..

ი. ჭავჭავაძე.

ღამის თორმეტი საათი იქნებოდა, სენაკში რომ შემობრძანდა მამა არქიმანდრიტი. ბეგები დიდის თავაზით— მოწიწებით ფეხზე წამოუდგნენ, მიეგებნენ მოკრძალებით და ოსმალურად სალამი უძღვნეს. მისალმების შემდეგ მიართვეს ძღვენი, ხილი და წავიდნენ ბინაზედ ღამის სათევად. რაღა მოხსენება გინდათ, რომ ბინა გამოქვაბულ სენაკში ჰქონდათ. ზედი-ზედ ძილმა გამოქვაბულ კლდეში უნებლიეთ მომაგონა ქრისტიანობის პირველი დრო. ქრისტე გამოქვაბულ კლდეში დაიბადა; პირველი ქრისტიანენი გამოქვაბულებში იკრიბებოდნენ სალოცავად და ღვთის სადიდებლად. მაშასადამე, ნათელი ქრისტესი და ის შესანიშნავი უმაღლესი საქრისტიანო ზნეობა, რომელსაც „ქრისტეანობას“ ვეძახით, ქვეყანას გამოქვაბულიდან მოევლინა. ამ გვარად ვამოქვაბულს ქრისტეანობასთან დიდი კავშირი აქვს. ჩვენც, ქართველები ძალიან ადრე გავხდით მონაწილენი საქრისტეანო სწავლა-მოძღვრებისა. ეს კავშირი ხომ არაა მიზეზი, რომ კეთილ-მორწმუნე მეფენი, მამა-შვილი, გიორგი და თამარ, დიდის გულ-მოდგინებით შესდგომიან კლდის გამოქვაბ-

ვას, ეკლესიისა და სენაკების აშენებას? თუ ეს მოსაზრება ცოტათაც არის სიმართლეს არაა მოკლებული, მაშინ აშკარა ხდება, რომ ვარძია გამოუქვაბავთ ზეციურის მოძღვრების და საქრისტეანო სწავლის განსამტკიცებლად და გასავრცელებლად. ისიც უეჭველია, რომ წარსულში ვარძიას დიდი მნიშვნელობა ექმნებოდა ქრისტიანობის ჯერ გავრცელებაში და შემდეგ მის მტკიცე შენახვაში. ხოლო ამ ჟამად აი რაა საფიქრებელი. ერთად ერთი გუშაგი ვარძიისა ღრმად მოხუცებული ბერია, რომელიც, უფალმა დიდხანს აცოცხლოს, მაგრამ ბუნების კანონს და ღვთის განგებას უნდა დამორჩილდეს წიაღსა შინა აბრაამისასა სამუდამო განსასვენებლად. მაშინ ვარძიის გამოქვაბულნი სამუდამოდ შეიკვრენ პირსა და მოგვეს-პობა გამოქვაბულიდან მოვლენილი ნათელი ქრისტესი, სწორედ ისე, როგორც მოგვაკლდა ნათელი და ნუგეში ზარზმისა, ჭულესი, კუმურდოსი, წყაროს-თავისა და სხვანი.

იმედი მაქვს, რომ მკითხველი ადვილად მიხვდება ჩემ ფიქრთა დენას და მიმიხვდება, რომ ამ საუბრის დროს ქრისტეანობა და ეროვნობა მჭიდროდა მაქვს შეკავშირებული და განუყრელი. ძველადაც ასე იყო, დღესაც ასეა მესხეთ-ჯავახეთში. ქართველი სინონიმია ქრისტეანობისა. თუ ვარძიას უკანასკნელი დარაჯი და ჭირისუფალი მამა სიმონ მოაკლდა, მაშინვე ამ ჟამად უხილავი მტერი მოგვტაცებს გამოქვაბულს და, მაშასადამე, უკანასკნელი სიმბოლო ჩვენის ეროვნებისა და მასთან შესისხლხორცებულ ქრისტეანობისა გაჰქრება ამ კუთხეში.

მწარე ფიქრებით შეწუხებულმა გულწრფელად ვინატრე: ბარემ ჩამოინგრეს ეს უზარ-მაზარი კლდე, ღორღეთა და ქვით ამოავსოს გამოკვეთილი სენაკი, სამუდა-

მოდ დამარხოს წარსული ჩვენი დიდება თვის ნანგრევ-
თა შორის, თორემ, როგორც ვხედავ, უთვისტომო მტე-
რი თვალგაჟეტილი თავს დაგვჩხავის და მალე დაეპატ-
რონება უპატრონო ვარძიას და ისედაც დაავადებულს
გულს უფრო ძრიელ დაავადებს. განა არა სჯობს, და-
ინგრეს ვარძია, ვიდრე სხვას დარჩეს? თუ ნათელი და
ქეშმარიტება, გამოქვაბულიდან აღმოხდილი, მოგვესპო,
ბარემ თვით გამოქვაბულიც, ეს უტყვი მოწამე წარსუ-
ლისა და სიმბოლო ჩვენის ეროვნება-ქრისტეანობისა, გაჰ-
ქრეს ვითა სიზმარი ღამისა?

დაუსრულებელი არა არის-რა ქვეყანაზედ. ჩემს შწა-
რე ფიქრებსაც ბოლო მოეღო, ამ ჟამად მაინც. შუა
ღამეს აღარა უკლდა-რა, მამა არქიმანდრიტის თანამო-
სამსახურე მოძღვარნი დაბინავებას აპირებდნენ, თვით
არქიმანდრიტი კარგა ხანი იყო, რაც გამოგვემშვიდობა
და წავიდა სენაკს მოსასვენებლად. ვახ'მამი უნებებია. მეც
ვეპირებოდი თვალის მოტყუებას. უცებ შემომესმა ტკბი-
ლი და სასიამოვნო წმინდა ქართლური სიმღერა. გამიკ-
ვირდა, ამ მიყრუებულ ხეობაში, არდაგანის ოლქის სამ-
ზღვარზე, სადაც ქართულის სახსენებელი ლამის ამოვარ-
დეს, რა უნდა ჩვენებურს სუფრულს? მერე რა სიმღერა!
ხომ იცით დღევანდელი ლხინი ქართლ-კახეთის დღეო-
ბებში, ადამიანს აღარ გაევლება იქა. გალეშილი ლოთი
ბიჭები დაეხეტებიან უგზო-უკვლოდ არღნის საზიზღარი
ჟყვიტინით, მღერიან ხრინწიან, ჩახლეწილ, მამლაყინ-
წურ ხმით კინტოურ სიმღერებს უშვერის და უაზრო
სიტყვებით, ჯამბაზურად იპრანჭებიან და იგრიხებიან,
ბუქნაობენ და ვირულად ტლინკებს ისვრიან. არა, ასეთი
არ გახლდა, ჩემ სენაკამდის სიმღერამ რომ მოაღწია. იგი
იყო დარბაისლური, სევდა-ნაღვლიანი და თან ძლიერი. სწო-

რედ ასე მღეროდნენ ამ ოცდა ათის წლის წინად დიდი და პატარა, თავადი თუ გლეხი, მღვდელი და ერი. ეშმაკმა და ტარტაროზმა წაიღოს ეს უკულმართი დრო! სიმღერისა და ლხინის შნო და ლაზათიც კი დაგვეკარგა.

საოცრად იმოქმედა ჩემზედ საჰშობლო სიმღერამ. „უცხოთა“ შორის გადაკარგულს ხშირად ემართება ესაგულმა აღარ მომითმინა, ველარ გავძელ ჩამობნელებულ სენაკში და წაველ მომღერალთა დასათვალიერებლად. შუალამისას მათი მოძებნა ადვილი არ იყო. სენაკიდან სენაკამდე გზა ვიწროა, ბევრგან ჩახრამული, კლდე ჩამტვრეული და ადვილად შეიძლება გადაიჩეხო უფსკრულში. ლეპისის მამასახლისი ჩემს ახლო იყო და იმის შემწეობით მალე მივაგენ მომღერლების სენაკს. ხუთიოდ-ექვსიოდე მამა-კაცი შემოსხდომოდა ლურჯ სუფრას, შავი ჩოხები ეცვათ და პატარა კახური ნაბდის ქუდები ეხურათ. მოსუფრალთა სამი დედაკაცი დასტრიალებდა თავსა, თავშალწაკრულები და მცირედად... კაბა-აწეულნი. ეტყობოდათ, ფუსფუსი გაეთავებინათ და მამა-კაცებს გვერდზედ მოუსხდნენ. მოქეიფენი შეზარხოშებულიყვნენ და ბულბულივით თვითონვე სტკბებოდნენ თავიანთის სიმღერით.

გზაში მამასახლისს ვსთხოვე — ჩემი ვინაობა არ გაემხილა, თორემ გულიან საუბარს დაგვიშლიდა. ამ „გადარჯულებულს“ მხარეს მთავრობის კაცი, თუნდა ეს კაცი ადმინისტრაციის წევრი არ იყვეს, აგრე რიგად არ ეპიტნავებათ.

სალამ-ქალამის შემდეგ, სენაკში რომ შეველი, ერთმანერთის ვინაობა მოვიკითხეთ. დიდ-თონელები აღმოჩნდნენ, ტფილისის მაზრიდან, ანუ ძველებურად რომ ვსთქვათ, საბარათიანოდან. დიდათ გაეხარდათ, როცა

შეიტყეს, რომ კოტე ყავრიშვილის ნაცნობი ვიყავი. ამ ნაცნობობამ ისე დაგვაახლოვა, თითქო განუშორებელი მეზობლები ვყოფილიყავით.

— აქ რამ გაგაჩინათ, ეარძიას როგორ მოხვედით? ნუ თუ საბარათიანოდან განგებ წამოხვედით სახლობით სალოცავად?

— არა, ბატონო, განგებ იმ სიშორიდან ვინ წამოვიდოდა. ცხვარი აქ ახლოს გვიყენია, ჩალდირში, არდაგანის ოლქში. პასკევიჩმა გვიბოძა საძოვარი ადგილი და ყოველს ზაფხულს ცხვარი ამოგვიდის საბალახოდ; რაკი ასე ახლო ვდგევართ, ეარძიას ჩამოვდივართ ხოლმე ღამის სათევად ამ ბედნიერს დღეს.

IX

გენერალ-ფელდმარშალი ი. თ. პასკევიჩი მთავარ-მართველობდა საქართველოში 1827 წელს 27 მარტიდან 1831 წლის აპრილამდე. თ. ციციშვილიდან დაწყებული თ. ვორონცოვამდე საქართველოს მთავარ-მართებელნი ეომებოდნენ ოსმალეთსა და სპარსეთს „საქართველოს“ სახელით. ყირიმის ომის დროს ეს სახელი და საბაბი დავისა თითქმის აღარ იხსენიება, შემდეგ ხომ მისი სახსენებელი სრულიად წაიხოცა და გაჰქრა. სწორედ ამ პასკევიჩმა გამოჰგლიჯა ხელიდან ოსმალეთს მესხეთის ნაწილი და დაუბრუნა საქართველოს მისი ძველი სამკვიდრო. ეარძიაც საქართველოს ამ სარდლის დროს შემოუერთდა.

დიდ თონელებმა მიამბეს, რომ პასკევიჩმა ჩვენს მამაპაპას უწყალობა, ეხლა რომ საძოვარი ადგილები გვი-

ჭირავსო. გაგვიგონია, რომ პასკევიჩისათვის რაღაცა დიდი სამსახური გაუწევიათ ჩვენებსაო.

ფრიად საყურადღებოა ეს მოთხრობა. მე მეგონა, რომ ქართველი კუტიკით უძრავია და თვით »რუსული მეხიც« ვერ შეანძრევს მის დუნცხობასა-მეთქი. თონელების ისტორია კი წინაალმდეგს გვასწავებს. სჩანს, შესაძლებელი ყოფილა, ხელი რომ გაენძრია ვისმე, ან უნარი და ეროვნული წინდახედულობა გამოეჩინა, მთელი ახლად შეძენილი ნაწილი მესხეთისა, ჯავახეთი და ახალციხე, სულ ქართველობით მოგვეფინებოდა. ცოტაოდენი მართლმადიდებელნი ადგილობრივ მოიპოვებოდა, ნაწილი გამაჰმადიანებულთ ქართველობისა სიხარულით დაუბრუნდებოდა ქართველობას, რადგან სარწმუნოება გამოეცვალათ შიშისა და დევნისა გამო და ჯერ ქართველური გული არ გასცივებოდათ. მაშასადამე, ერთი ხუთასიოდე კომლი რომ მოგვეძებნა, ორთავე მაზრას დავიჭერდით, მაგრამ მაგარი ის არის, რომ საქართველოს გულშემატკივარი პატრონი არ გამოუჩნდა და ერით შეთხელებულ კუთხისკენ არავინ გადმოასახლეს.

1829 წელს ახალციხის ოლქის უფროსად იყო დიდად ცნობილი ჩვენში ქართველი თავადიშვილი ვასილ იოსების ძე ბებუთაშვილი და, ჩემის ფიქრით, ამ ქართველ კაცის უფროსობის დროს სულ ადვილი იქნებოდა მესხეთის შევსება ქართველებით. მაშინდელი რუსის მთავრობა ამ კეთილის განზრახვის ასრულებისათვის მარტო »სისხლის ჯვრით“ არ დააჯილდოვებდა »მამულის მოყვარე« ქართველ მოღვაწეს, კაი ზორბა რომელისამე გაქცეულის ბეგის მამულსაც უწყალობებდა. სწორედ სასიამოვნო იქნებოდა მთავრობისთვის ქართველთა კოლონიზაცია. რუსის მთავრობის მართვა-გამგეობის შესწავლამ

მეცხრამეტე საუკუნეში ამიერ-კავკასიასა და საქართველოში მათქმევინა აქ მოყვანილი მოსაზრება. ნურც იმაზე ამიხირდებით, რომ თ. ბებუთაშვილი, როგორც სომხის ჩამომავალი, თანაგრძნობით არ მოეკიდებოდა ქართველთა კოლონიზაციას, თუ კი ეინმე ამ საქმეს ითავებდა და პასკევიჩს თვალს აუხელდა. სომეხთა ტომის ქართველთა თავადიშვილებმა ყარაბაღელთა და ერევნელთა გავლენით დღეს დაიწყეს „აზგასერობა“, თორემ მაშინ, 1829 წელს, სად იყო ეს ახალი ხილი? წარსულ საუკუნის დასაწყისში დიდი და საპატიო იყო ქართველის სახელი. ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ ორმოც-სამოცის წლის შემდეგ ქართველის სახელი ვიგინდარების და ყვავ-ყორანთა საკორტნელად გარდაიქცეოდა!

ესეც კია სათქმელი, რომ მაშინდელის საქართველოს სოციალური წეს-წყობილება გულს დაუთუთქავდა, კიდეც რომ გამოჩენილიყო მადლიანი პატრიოტი. რუსობის დროს ჩვენებური პატრიარქალური ბატონ-ყმობა ფრთებს ისხავდა და, „ვარდივით იფურჩქნებოდა“. გაქცეულ ყმებს თავადები გამოუყენებდნენ ხოლმე წვრილ-ფეხა აზნაურებს და იპერდნენ, საცა კი მოასწრებდნენ, როგორც იპერენ გარეულს ცხენს ქამანდით. რომელი თავადი გაიწყვეტდა „ლუკმა პურსა“ და გაუშვებდა ნებაყოფლობით თავის მარჩენალს ყმასა?

საეკლესიო და სახასო გლეხნი? არც ამათ უპირდათ ისე, როგორც ეხლა და ადვილად არ აიბარგებოდნენ მამა-პაპეულიდგან. ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ თუმცა დაბრკოლება დიდი იქნებოდა, საქმე კეთილად დაგვირგვინდებოდა, თავი რომ ვისმე გამოედო. ოღონდ გლეხს ბლომად მამულს დაჰპირდი, შეღავათი აღუთქვი და სად არ წავა? კარაპეტა ეპისკოპოსისთანა ან პოლკოვნიკ ლა-

ზარე იაკიმის ძის ლაზარევისთანა კაცი რომ გამოჩენილიყო ჩვენში, მაშინ ჰნახავდით, როგორ დაითრგუნებოდა ყოველი დაბრკოლება.

რაკი პასკევიჩმა თვით საქართველოში „მუშტარი“ ვერ იშოვნა მესხეთის დასასახლებლად, სომხები წამოიყვანა არზრუმიდან. ბ-ნ ეზოვის ცნობით, მაშინ მოსულა 14,000 ოჯახი. დაბინავდა ზოგი ქ. ახალციხესა და ახალქალაქს, ზოგი—მაზრებში, ზოგი—გუმბრსა და მის მაზრაში და ზოგიც გაიფანტა ამიერ-კავკასიაში. აი სწორედ ეს შემოხიზნული სომხობა და ჩვენსავე დარჩენილი თარაქამა-ქურთობა რკინის რგოლივით შემოეკვლო ვარძიას. უკვე მოგახსენეთ, რომ მხოლოდ ოთხი პატარა სოფელი: აფნია, გოგაშენი, აგარა და ზედათმოგვი ობლად შესცქერის ვარძიას-მეთქი. მაშინ ნუღარ გეუცხოვებათ ჩემი გაკვირვება და სიხარული, ოდეს შემომესმა ვარძიობას შორიდან მშობლიური „სუფრული“ და სიამოვნებით ამიძგერა გული.

მეორე დღეს, 15 მარიამობისთვეს, ძალიან ადრე დაიწყო ერმა დაშლა. ღვთის-მშობლის დიდ ეკლესიაში შეველი და მლოცველთა ფიზიონომიას ვაკვირდებოდი. სწორედ ბევრი რამ მეუცხოვა. მლოცველთა შორის ძალიან ბევრი შევამჩნიე ბერძნობა. რა ექნა, საიდან გაჩნდა ამოდენა ბერძენი აქ, ამ სიშორეზე? მთელ ახალქალაქისა და ახალციხის მაზრაში მხოლოდ ერთი პატარა სოფელია, სულ 18 კომლიანი, სახელად მიქელწმინდა, ქ. ახალციხის ახლო. კიდევ გორის მაზრის ს. ციხისჯვარი, ბერძნებით დასახლებული, ცოტათი ემხრობა ვარძიას. მორჩა და გათავდა. მაშ, საიდან მოზღვავდა ამდენი ბერძნობა? კითხვა-კითხვით გავიკვლიე, რომ ბერძნები მოსულან ბორჩალოდან, წალკიდან, რატევნიდან,

ბორჯომისა და ატენის ხეობიდან (მარტო ბორჯომიდან ვარძიამდე 110 ვერსია), ყარსიდან, განჯიდან, და კიდევ, ვინ იცის, საიდან. ასე გაშინჯეთ, ყურძენიც კი მოეტანათ საკურთხეველად. ეს კიდევ არაფერი: ისე გულმოდგინედ ლოცულობდნენ, ისეთ დიდ კელაპტრებს ანთებდნენ, რომ სწორედ საკვირველი იყო. ეს რა ამბავია,— ვეკითხები ჩემს თავს,—რად ეტანება ასე გულმხურვალედ ეს სამშობლოს მოკლებული ერი ვარძიას? ხომ არა ჰსურს აქ, ვარძიაში, იპოვნოს ისრაელიკით გაბნეულმა ერმა თვისი „წმიდათა წმიდა“, დასდოს საფუძველი და მერმე... დაისაკუთროს? ეკვების ბლანდების ბადეში გაეები. კარგად ვიცნობ დღევანდელს „გაოსმალოებულს“ ბერძენს, რომლის ძარღვებში კლასიკურის ბერძნის სისხლი ნაკლებად სჩქეფს, უფრო კი იმ ველურ სლავიანთა ტომისაა, ბალკანეთსა და პელოპონეზს რომ შეესია. ვარძიაზე ნაკლებ არ არიან განთქმულნი საქართველოში სხვა საყდარ-მონასტერნი უფრო სამხრო მათთვის, ვიდრე ვარძია, რატომ იქით არ მიიკლავენ თავსა ეს ჩვენი მეორე „პატივცემულნი სტუმარნი“, თუ მართლა მარტოოდენ რელიგიური გრძნობა აგულიანებს და აღფრთოვანებს? მე ჩემად გამოცანა გამოვიცანი და თქვენი რა მოგახსენოთ. მოისმინეთ.

შესანიშნავის და სახელ-მორჭმულის აბაშეთის რაინდის აშინოვის თანამოღვაწე არქიმანდრიტ მამა პაისის დამკვიდრებამდე საფარას, „დიდებულ მესხეთის“ ამ მეორე ბურჯსა, დარაჯობდა მხოლოდ ერთად-ერთი ქართველი მწირი, სახელად ქრისტესია. ბევრჯელ მინახავს ყმაწვილობაში ეს თავგადადებული მამულისშვილი შუაგულ ქართლში, საზრდოს მოსაგროვებლად რომ დადიოდა. რა მაფიქრებინებდა მაშინ, პატარაობისას, თუ ეს

მათხოვარა მწირი ღირსი გახდებოდა ძეგლისა და ჩემის თვალით ენახავდი ქრისტესიას »გაპატიოსნებასა«. არქიმანდრიტი მამა პაისი რომ დაბინავდა საბოლოოდ რიცხვმრავალ კრებულით საფარას, სადაც მტრის მტარვალობას და ჟამთა ვითარებას გადარჩა ცამეტი თლილის ქვის ეკლესია, სხვათა შორის წმიდა საბასი, სადაც დახატულია ფერადის საღებავით სარგისი, სამცხეს სპასალარნი: ყვარყვარე, შალვა და ათაბეგი-ბექა, მანდატურთ-უხუცესი, დამფუძნებელი და გამამშვენებელი ტაძრისა, —საწყალს ქრისტესიას, როგორც მეტ-ხორცს, აეკრიფნა გუდა-ნაბადი და აბარგულიყო. ის კი აღარ ვიცი, დაიბერტყა გულ-დამწვარმა მწირმა ქრისტესიამ ფეხთა თვისთაგან მტვერი და დასტოვა საფარას, თუ არა.

ბერი ქრისტესია უბერო საქმედ ვერ დარჩებოდა, როგორც თევზი უწყლოდ. თვის საყვარელს საფარას რომ განშორდა, დაიწყო თურმე ძებნა საქართველოს სხვა ნატამალისა, მალეც იპოვნა, რადგან ქართველს დიდხანს არ მოუნდება ძებნა წარსულის ნაშთისა. ბორჯომის ხეობაში გამოეძებნა ერთი გაოხრებული მონასტერი, შეჰკედლებოდა ღა დაეწყო მისი ჩვეულებრივი გამშვენიერება. სამუდამო განსვენებაც ქრისტესიას აქ უპოვნია: იგი გარდაცვლილა 30 მაისს 1892 წ.

ახალციხის ქართველობას კარგი უნებებია, რომ გაუხსენებია ღვაწლი თვისის მოამაგე ბერისა და მცირე ძეგლი დაუდგამს: საფარას ქვის ზღუდე ადგია. ძეგლი სწორედ ალაყაფის კარწინაა. მართალია, საფარას მოამაგე და მოპირნახულე ღირსი იყო, რომ ზღუდეთა შორის აეგოთ ძეგლი და არა გარედა, მაგრამ ესეც კარგია. ალბად ახალციხელმა ქართველობამ შიგნით ვერ მოა-

ხერხა ძეგლის აგება, ვინაიდგან დღევანდელი ქართველი ძველებურად აღმართს ვეღარა ჰხნავს.

ძეგლს რუსულ-ქართული წარწერა აქვს. ქართულად ასეა: „ახალციხის ქართველთა საზოგადოებამ ნებართვით მეუფე საქართველოს ეგზარხოსისა აუგეთ ძეგლი 1893 წ. ბერს ქრისტესიას სახსოვრად მისის დაუღალავის შრომისა საფარის მონასტრისათვის. რუსულად: „Ахалцихское грузинское общество съ разрѣшенія владыки Экзарха Грузіи воздвигло памятникъ сей въ 1893 г. рясофору Христесію въ память неутомимаго труда его для Сафарскаго монастыря. Погребенъ 30 мая 1892 г.“

საფარას ქრისტესია ბერი მაინც დარაჯობდა და გუშაგობდა, წელიწადში ორჯელ-სამჯელ მაინც აანთებდა სანთელს საბას ეკლესიაში და მტვერს მოაცლიდა ამ ტაძრის ამშენებელს ბექას, მესხეთის ამ შესანიშნავს კანონ-მდებელს,—ვარძიისთვის ბედმა Მწირიც კი (რიასოფორი) დაიშურა.

1854 წლამდე ვარძიის გამოქვაბული მონასტერი, მისი მშვენიერი წარუხოცელ ფერადებით შემკული ეკლესია დიდებულ თამარის სურათით „ძაღლისა და ღორისა“ ანაბარად ყოფილა დაგდებული. ამ წელს ოსმალეთიდან გამოქცეულა ვიღაც ბერძენი, გვარად პაპანდოპულო. როგორც მომეტებული ნაწილი ოსმალეთიდან მოსულ ბერძენთა, ეს პაპანდოპულოც ქვის მთლელი ყოფილა. შემთხვევით ვარძია უნახავს და ფიქრად მოსვლია მონასტრის აღდგენა. მაშინდელ ეგზარხოს ისიდორესაგან ნებართვა აუღია და საქმეს შესდგომია. ეკლესია გამოუგვია, ალაგ-ალაგ გზები შეუსწორებია, იაფ-ფასიანი კანკელი დაუდგამს, აი სოფლის ყავრით დახურულ ხის

ეკლესიებში რომაა ხოლმე, იმისთანა, ერთის სიტყვით, ღვთის მშობლის დიდი ტაძარი საკურთხეველად მოუმზადებია.

ჟურნალი „მწყემსი“, რედაქცია დეკანოზ დ. ღამბაშიძისა (იხ. Древній Вардзійскій монастырь, გვ. 14) გვიამბობს, რომ ვითომ არქიეპისკოპოსს ევსევის ვარძია დაუთვალიერებია 1857 წელს და უკურთხებია პაპანდოპულოს მიერ გამზადებული ეკლესია. კურთხევის შემდეგ მალე განუწესებიათ წინამძღვარი კრებულით. ყოვლად სამღვდელო კირიონი კი თავის შესანიშნავ მეცნიერულ გამოკვლევაში, რომელიც აშენებულია საარქივო მასალასა და დოკუმენტებზე, ამბობს, რომ საქართველოს ეკლესიას განაგებდა მიტროპოლიტი ისიდორე 1844 წ. 12 ნოემბრიდან 1858 წლის 1 მარტამდეო. (იხ. Краткій очеркъ исторіи грузинской церкви экзархата за XIX столѣтіе, გვ. 23). თუ მართალია, რომ ვარძიის დიდი ეკლესია უკურთხებიათ 1857 წელს, მაშინ ისიც მართალი იქნება, რომ იგი უკურთხებია ევსევის კი არა,—მიტროპოლიტ ისიდორეს, რომელიც მწყემსმთავრობდა საქართველოს ეკლესიას 1858 წელს 1 მარტამდე.

პიონერობა ვარძიის განახლებისა ეკუთვნის ოსმალოელ ბერძენ პაპანდოპულოს. ეს ჭეშმარიტი ამბავი ჭეშმარიტად დარჩება. „მწყემსის“ მიერ დაბეჭდილი ბროშურა (1—14 გვ.) სხვა ღირსებასაც მიაწერს პაპანდოპულოს. ღვთის მოშიში და სწორედ ნამდვილი ქრისტეანე იყოვო. სული შეუშფოთდა, ასე გაევრანებულ-გაოხრებული რომ იხილა საქართველოს ძველი შესანიშნავი საქრისტეანო სახსოვარი და, აღტყინებული რელიგიურ გრძნობით, საქმეს შეუდგაო.

შორიდან პაპანდოპულოს ამბავი ისე გვეჩვენება, რომ მადლობის მეტი არა გვეთქმის-რა, საქმით კი ცოტა სხვა ელფერი ედება მის ხასიათსა და ნამოქმედარს. პაპანდოპულო იმასაც კი ვერ ეღირსა, რომ ვარძიაში დასაფლავებულიყო. სადღაც, ვარძიის გარეთ, მიუბარებიათ ცივ დედამიწისთვის პაპანდოპულოს გვამი. მთავრობას არ მოესურვა მისი „გაპატიოსნება“ და ღირსად არ ეცნო, რომ ვარძიის „განმაახლებელის“ გვამი ვარძიაშივე დამარხულიყო. ნამდვილი მიზეზი ასეთის სასტიკობისა არ ვიცი, გაგონებით კი ეს გავიგონე, რომ ბატონი პაპანდოპულო ვითომც გაკრეჭილი მღვდელი ყოფილიყოს, რაღაც ბოროტებანი ჩაედინოს სამშობლოში და, რომ თავიდან აეშორებინა ღირსეული სასჯელი, საქართველოში გამოქცეულა.

ამ ოცის, ოცდა ათის წლის წინად ხშირად შეხვდებოდით რუსეთსა და საქართველოში მაწანწალა მღვდლებს, რომელნიც გულ-უბრყვილო ერში ბლომად აგროვებდნენ ხორბალსა და ფულს. ჩვეულებრივ თავს იკატუნებდნენ, ოსმალებმა დაგვარბიეს, ეკლესია დაანგრიეს, სოფელი ამოაგდეს და მრევლი გაგვიჟლიტესო. ან კიდევ შესაწირავს აგროვებდნენ ათონისა და იერუსალიმის ტაძარ-მონასტრებისთვის. მათს ვინაობას არავინ იძიებდა და ისინიც თამამად ჰკრეჭდნენ უბრალო ხალხსა და მდიდარ ვაჭრების ცოლშვილს.

მთავრობამ რომ გამოიკვლია მათი ვინაობა, ვინ იცის, რა არ აღმოჩნდა. ზოგი კაცის მკვლელი გამოდგა, ზოგი სათოკე ყაჩაღი, ზოგი კიდევ ცრუპენტელა მატყუარა, გაიძვერა და ვერაგი. ეს კიდევ არაფერი. მართლ-მადიდებელ მღვდლობას ირქმევდა სომეხ-გრიგორიანი და კადნიერად ვაჭრობდა მდაბიო ხალხის წმინდა

რელიგიურ გრძნობით. ამისთანა ლირფებს თვით სომხის ერმა კოხტა და მოხდენილი სახელი უწოდა, „ხაჩაგოგი“, ანუ ჯვრისპარია. — ვარძიის განმაახლებელი პაპანდოპულო, ვინ იცის, ეგები, ხაჩაგოგის ჯვრის მოღვაწე გახლდათ.

პაპანდოპულოს მიერ აგებული კანკელი ერთი რაღაც უშნო, ულაზათო ნათუთხნია. აფსუს, დიდებულო ტაძარო, რომ მარტო ასეთს „შეკეთებას“ ეღირსე და მერე ვისგან? მაწანწალა, ოსმალეთიდგან მოთრეულ ბერძნისაგან!

კანკელის სიგრძეზე, ზედ აღსაელის კარზე, ბერძნული წარწერაა. სწორედ დიდი სირცხვილია და თავის მოკვრა, რომ თამარ დედოფლის მიერ აშენებულს ეკლესიაში დღეს წარწერაა გამოკიმული ვიღაცა უთვისტომო პაპანდოპულოსი აღსანიშნავად ალბად იმ ამბისა, რომ დანგრეული ტაძარი განაახლა და კანკელი ააგო ოსმალეთიდან ჩამოსულმა პაპანდოპულომ სადიდებლად ღვთისა, საოხად სულისა თვისისა და მისატევებლად ცოდვათა. ცოდვათა მიტევება რომ ეპირვებოდა პაპანდოპულოს, ეს გარკვევით ვიხილეთ, მაგრამ მაწანწალა კაცის ცოდვათა მისატევებლად და საოხ ასპარეზად განა თამარის, ამ საქართველოს ღვთაების და ბრწყინვალების ეშმბლემის, ტაძარი უნდა გახდეს? გესლიანი ირონიაა, დაცინვა ბედისა, მაშ რა არის?

პაპანდოპულოს ჩხირკედელაობა, მისი სურვილი, რომ ვარძიაში დაკრძალულიყო, ბერძნული წარწერა კანკელზე—გარდაქცეულა იმ ანდამატად, რომელიც იზიდავს ბერძნობას ვარძიობას, თორემ კარელ, განჯელ და წალკელ ბერძნებს რა მოარბევინებს ამ სიშორეზედ სალოცავად? განა ცოტაა საქართველოს განთქმული

წმინდანები მათ ბინის ახლოს? ვარძიას თავისი საკუთარი „წმინდანიც“ კი არა ჰყავს, როგორც, მაგალითებრ, თითო-ოროლა ეკლესიას, სასწაულთ-მომქმედი ღვთისმშობელი, ან სარკეს წმ. გიორგი, ილორისა და სხვა. ოღონდაც რომ არის, მაგრამ ეტყობათ, რომ ოხრად დატოვებული ქართველთაგან გამოქვაბული მონასტერი, სადაც უცოდვილია პაპანდოპულოს, ნიშანში ამოუღიათ და ჰლამიან წარიტაკონ, ვინაიდგან ადვილია მისი დაჩემება, და გარდაჰქმნან თვის ეროვნულ „სიწმინდედ“.

იქნება ბერძნებს იზიდავს ქვისა და ლოდის ტრფიალი? მოგეხსენებათ, რომ ბერძნებს დიდად ეხერხებათ ქვის და ლოდის ტეხა, გამოკუთხვა, დარგვალება და გალამაზება და, რადგან ვარძია კლდეშია გამოქვაბული, იმისათვის გული აქეთ უფრო უწევთ. ქვა და ლოდი დიდის სიამოვნებით დაგვითმია მათთვის, მაგრამ ჩვენს ისტორიულ ნაშთთან რა ხელი აქვთ? ნუ თუ ჩვენი სამღვდელოება ისე დაძაბუნდა, ისე დაკნინდა, რომ აღარ შესწევს ზნეობრივი ძალა მოსეულს ხმა-მაღლა უთხრას — შორს ჩვენგან, ეშმაკეულო და განვედი, კათაკმეველოვო? ალბად დაკნინდა, რომ მარტო მრევლთან დავიდარაბაში ამოსდის სული... ეროვნული ეკლესიის ინტერესის დაცვა და ზრუნვა სხვას ჩააბარა და თვითონ კი მარტოოდენ მსუქან ტაბლებისათვის ჰფიქრობს...



სამშობლო ქვეყანა

დედა მიწის ზურგზე ბევრი ქვეყანაა და ბევრი სხვა და სხვა ტომის ხალხი სცხოვრობს. ჩვენი პატარა სამშობლო უძველესი ქვეყანაა და მისი წარსული ცხოვრება ათას წლობით ითვლება. ჰირი და ვარამი იმოდენა უნახავს, იმოდენი უბედურობა და ტანჯვა დასტეხია თავსა, რომ ძნელად იქნება სადმე სხვა კუთხე და ხალხი, რომ ამოდენა განსაცდელი გამოეაროს და არ გამქრალიყოს. ჰირსა და ვარამთან ერთად საქართველოს კარგი და ბედნიერი დღეებიც ბევრი ჰქონია, თამამად და გაბედულად უცხოვრია, სიკეთე უთესია, გონება გაუბრწყინებია და მეზობლობაში საპატიო სახელი შეუძენია.

ასე ჰირნახულია ქართველი ერი წარსულში და შეუძლებელია, რომ მომავალიც ბედნიერი არა ჰქონდეს. ფრიად საჭიროა მხოლოდ, რომ ვიცოდეთ, როგორ ყოფაშია დღეს ჩვენი ჰირნახული ქვეყანა, როგორ ცხოვრობს ქართველი კაცი და ცხოვრებისა რა საღსარი აქვს ხელში. საჭიროა აგრედვე ვიცოდეთ, ვინა სცხოვრობს ჩვენ მეზობლად, სადაურები არიან და როდის დასდეს ბინა ჩვენს მიწა-წყალზე.

ბუნება საქაროველოსი მრავალ ფეროვანია, ერთი კუთხის ჰავა და ნიადაგი მეორისას არა ჰგავს. არც ცხოვ-

რება გვქონია და გვაქვს ერთ-ფეროვანი. ასე გასინჯეთ, სახელიც კი ერთი არა გვაქვს. სხვა და სხვა კუთხის ქართველი ტომი თავისებურ, საკუთარ, ადგილობრივ სახელს ატარებს. ალბად ეს გარემოება დაიხვია ხელზე რუსის მთავრობამ და ქართველის ტომის კაცი სხვა და სხვა ხალხად ჩასთვალა, ვითომც მათ საერთო არა აქვთ-რაო. ჩვენ ქვეყანას საქართველოს მაგიერ „გრუზია“ უწოდეს და ჩვენ, ქართველებს, კიდევ „გრუზინები“. მეზობლებიც ასევე უკულმართად მოიქცნენ. ზოგმა ჩვენს სამშობლოს „გეორგია“ უწოდა, ზოგმა „ჟეორჟი“ და ზოგმა კიდევ „გურჯისტანი“. ამ გვარი არევ-დარევა სახელისა და ერთის ერის დანაწილება და დაწიწკვნა დიდი შეცდომაა და წინააღმდეგი როგორც მეცნიერებისა, აგრედვე ბუნებისა და ჭეშმარიტებისა.

არც სარწმუნოებითა ვართ ერთფეროვანნი ქართველები. არიან ისეთი ქართველები, რომელნიც ქრისტეანობას მისდევენ ბერძნულ მართლ-მადიდებლობის წესით, არიან ისეთებიც, რომელნიც აღიარებენ ქრისტეანობას კათოლიკობის წესით და ისეთებიც, რომელთაც მაჰმადიანობა უჭირავთ. მოიპოვება ჩვენში ისეთი ქართველიც, რომელიც ქრისტეს ადიდებს წმინდა გრიგოლის წესით.

სხვადასხვაობა ადგილობრივ, თემურ სახელწოდებისა; სხვადასხვაობა სარწმუნოებისა და რჯულისა არა ნიშნავს სხვადასხვაობას ერისას. სარწმუნოება და თემური სახელები, მართალია, განსხვავდება, მაგრამ ქართველი ერი იყო და არის ერთი და განუყოფელი, თუნდა იმერელი და ქართლელი ერქვას, თუნდა გურული და კახელი, თუნდა მესხი და აჭარელი.

მაშ შევუდგეთ საქმეს და ნაწილ-ნაწილ გადავშა-

ლოთ და ვიხილოთ, თუ სად და როგორ ცხოვრობს ქართველი კაცი. გზა და გზა მეზობლებიც მოვიხსენიოთ ხოლმე, რადგან ეგენიც დიდი ხანია ჩვენს ქვეყანას შემოეხიზნენ და ჩვენთან ეწევიან ცხოვრების უღელს და ჯაპანს.

I

სამცხე-საათაბაგო.

დღევანდელი ახალციხის მაზრა მესხეთის, ანუ ზემოქართლის ერთი საუკეთესო ნაწილია. მესხეთის ამ კუთხეს, ოსმალების ბატონობის დროს (1626 — 1828 წ.), ეძახდნენ ახალციხის საფაშოს, ან ფაშალიყს. წინად, ვიდრე ოსმალონი ჩაიგდებდნენ ხელში მესხეთს, ქართველები და თვით მესხნი ეძახდნენ ამ კუთხეს „სამცხეს“. რადგან აქაურმა მთავარმა, ესე იგი მესხეთის პატრონ-ბატონმა ათაბაგობის წოდება დაიჩემა, „სამცხეს“ სახელს საათაბაგოც მიუმატეს და ამ გვარად გაჩნდა ორპირი სახელი. ისტორიაში მოხსენებულია კიდევ ერთი სახელი მესხეთის ამ ნაწილისა. ესაა ოძრხე. ეს იმ დროის სახელია, როდესაც საქართველო საერისთავოებად იყო დაყოფილი და აქაურ მთავარ-ერისთავს უძახდნენ ოძრახოსის მთავარს.

ახალციხის მაზრა, იგივე სამცხე-საათაბაგო, პატარა ქვეყანაა. უჭირავს სულ 2333 ოთხ-კუთხი ვერსი, ანუ 486,036 დღიური (243,018 დესიატინა). აღმოსავლეთით უდევს თრიალეთის მთა, დასავლეთით აჭარისა, ჩრდილოეთით—ქართლ-იმერეთის უღელ-ტეხილი და სამხრეთით ჩალდირის მთები. ამ სამზღვართა შორის სცხოვრობს ამ ჟამად სულ 78,100 სული, ქალი და კაცი.

სამცხე-საათაბაგო მთა-გორიანი და კლდიანი ქვეყანაა, დასერილი ხეობებით და ღელე-ღრანტეებით. უფრო დიდი ხეობანი ესენია: ბორჯომისა, აწყურისა, წნისისა და მუსხის ვიწროები, ოშორისა, ხერთვისისა, ურაველისა, ფოცხოვისა და ჯაყის-წყლისა, ქვაბლიანისა და აბასთუმნისა. ბლომადაა წყარონი და მდინარენი, დიდნი და ჩქარად მომდინარენი. დიდი მდინარე მტკვარი თითქმის შუაზე ჰყოფს სამცხეს და ძალიან ჩქარა მოდის. ხერთვისისა და ბორჯომის ვიწროებში ისე ჰქუხს, როგორც თერგი, ან რიონი რაჭაში. მშვენიერი და საამო სანახავია წყალდიდობას ჯაგარ-აყრილი, აზვირთებული მტკვარი. პოეტ ნ. ბარათაშვილს აქ [illegible] ენახა მჩქეფარე მტკვარი, „მოდუდუნეს“ აღარ დაუძახებდა.

მტკვარს გარდა შემდეგი მოზრდილი მდინარენია საათაბაგოში: ფოცხოვის-წყალი, ჯაყის-წყალი, ურაველისა, ქვაბლიანისა, აბასთუმნისა და წნისისა. მთის მდინარენი სავსეა კალმახით, იცის აგრეთვე ციმორა და მურწა. შემოდგომა-ზამთარს მტკვარზე აკეთებენ ოჩხებს და ბლომად იჭერენ თევზს. აქაური ოჩხის თევზი ისეე 'გემრიელია, როგორც გორისა.

აქაური წყარონი ტკბილია, მშვენიერი და კარგნი.

ზამთარი ადგილ-ადგილ ციეი და დიდ თოვლიანია; ადგილ-ადგილ კი ფრიად თბილი და ზაფხულს შეხავებული. ჰავა ჯანმრთელობისთვის მარგებელია. რადგან აქ ჭაობები და დაგუბებული წყალი არ მოიძებნება, ამიტომაც არ იცის ციებ-ცხელება, როგორც სამეგრელოს და ზღვის-პირის აფხაზეთმა.

ველ-მინდორი სამცხე-საათაბაგოს ძრიელ ცოტა აქვს. ან კი საიდან იქნება აქ გაშლილი მინდორი, როდესაც მთელი ეს კუთხე მოფენილია მოსაზღვრე მთა-გრეხილთა

ტოტებით *). ქართლ-იმერეთის უღელ-ტეხილზე, რომელსაც ეძახიან აგრედვე ვახტანგის მთას, ან სურამის ქედს, აპარისა და არსიანის მთის მწვერვალებზე ზაფხულობითაც არ ილევა თოვლი. მხოლოდ მკათათვის გასულს დნება ამ მაღლობებზე ძველი თოვლი. მარიამობისთვის გასულს, ან ენკენისთვის დასაწყისში ხელ-ახლა მოდის ახალი თოვლი და თეთრ ბოხოხა ქუდივით გადაეფარება ხოლმე მესხეთის ამ ნაწილს.

სამკურნალო წყლებითაც მდიდარია სამცხე-საათაბაგო. განთქმულია უფრო აბასთუმნის წყალი, პლატესი, ურაველისა და ასპინძისა. აბასთუმნის სამკურნალო წყალს ასე აგვიწერს ბატონიშვილი ვახუშტი **): მთის კალთას გამომდინარებს ფრიად დიდი და ცხელი წყარო, მდუღარის მზგავსი. კლდეზე აშენებულია აბანო და ბანაობენ მრავალნი, რადგან არჩენს ქარით დახუთვილსა, მუწუკსა და ბუგრსა, მკურნალთაგან ძნელად საკურნებელსა.

სამცხე-საათაბაგო განთქმული იყო ძველად ბუნების სიუხვით და ნაყოფიერებით. მრავალი ჯურის ხილი ხარობდა და მოდიოდა ყოველნაირი მარცვალი. მრავალი იყო ვენახი, ბაღი და სავარდე.

დღეს, ევროპაშიც არ მეგულება, გარდა ბოლგარეთისა, ვარდის ბაღები, ანუ სავარდენი. ეტყობა, ჩვენს წინაპრებს დიდად ჰყვარებიათ ვარდი, რომ ვარდის ბა-

---

*) ლეპისის ველ-მინდორი, ვარძიის შესანიშნავ მონასტერს რომ თავს დაჰყურებს, უფრო ჯავახეთს წააგავს და მთავრობამ ტყეულად მიაკერა იგი ახალციხეს. ლეპისი უტყეო და მოტიტვლებულია, როგორც ჯავ-ხეთი.

**) ეს ის ისტორიკოსი და გეოგრაფია, რომელმაც დაგვიტოვა შესანიშნავი წიგნი: აღწერა საქართველოისა. წიგნი დაუსრულებია ვახუშტს 1745 წ. რუსეთს, სადაც გადახვეწილი იყო.

ლები უშენებიათ, აი სწორედ ისე, როგორც იაპონელს უყვარს თითქმის გაგიჟებით ვარდ-ყვავილი. უეჭველია, ბავარდეებს მარტო სასიამოვნოდ არ გაიჩენდა მესხი და სარგებლობასაც ნახავდა. ვარდის ფოთლიდან ზეთსა ჰხდიან და სამკურნალოდ ხმარობენ. ვარდის ზეთი ძალიან ძვირად იყიდება. რა ტურფა და მომხიბლავი იქნებოდა მაშინდელი მესხეთი მაისის თვეს, შემკული ვენახ-ბაღებით და ბავარდეებით! დღეს აღარც ვენახებია, აღარც ბავარდენი. ამბობენ, ვაზი ველარ ხეირობსო, სუსხიანი ზამთარი სძრავს ვაზს და ნაყოფი აღარ მოაქვსო. უწინ რომ ვენახები ბლომად ყოფილა, იქიდანა სჩანს, რომ ხშირად პოულობენ მიწაში ჩაფლულ ღვინის ქვევრებს. მე თვითონ მინახავს 1891 წ. მუსხისა და ტობის ძირობებში, მტკვრის პირას, გამხმარ ვაზის ჯირკები. ეტყობა ვენახები გადაშენებულა ამ უკანასკნელ ოცდა ათის წლის განმავლობაში. მთელ სამცხე-საათაბაგოს ეხლა აღარც ერთი ვენახი აღარაა და ვისაც ყურძნით პირის გასველება ჰსურს, უნდა იყიდოს აქარიდან, ან ქალაქიდან მოტანილი. ხილის ბაღები კი ბლომადაა და კარგი და გემრიელი ხილიცაა, განსაკუთრებით ვაშლი. აქაური საუკეთესო ჯიშის ვაშლი, „შაჰ-ალმასა“, ან მეფის საკადრის ვაშლს რომ ეძახიან, განთქმულია მთელ საქართველოში და თვით რუსეთშიც, სადაც ბლომად გააქვთ გასასყიდად.

ტყითაც მდიდარია სამცხე-საათაბაგო. ბევრგან, როგორც საზოგადოდ საქართველოში, უგუნურად ეჭცევიან ქვეყნის მშვენება ტყეს და უწყალოდ სჩეხავენ, მაგრამ ჯერ-ჯერობით მაინც საკმარისადაა საშენი და საწვავი ტყე. მთა და მთის ტოტები შემოსილია ტყით, განსაკუთრებით ქვაბლიანისა და აბასთუმნის ხეობანი. შენა-

ხულია უფრო ის ტყეები, რომელიც ხაზინას ეკუთვნის. ხაზინა უფრთხილდება და წესითა და რიგით სჩეხავს, ისე რომ ტყე არ დაილიოს. ორიოდე მამულის პატრონის გარდა, კერძო მემამულენი უწყალოდ ეჭცევიან ტყეს, ანადგურებენ და იმას აღარ დაგიდევენ, რომ უტყეო ქვეყანა უდაბნოს დაემგზავსება, სადაც ცხოვრება და წარმატება შეუძლებელია. განსაკუთრებით კარგადაა შენახული ტყე მთის მიუვალ ადგილებში. აქ შეგხვდებათ ნაძვისა და ფიჭვის დიდრონ-დიდრონი ხეები, რომელსაც ოთხ არშინიანი საბელი ვერა სწვდება, ისე სქელია ზოგიერთა ხე. სულ ცოტა, ასეთი სქელი და დიდ-ტანიანი ხე იქნება სამას-ოთხასი წლისა, მაშასადამე ამოსული იმ დროს, როცა სამცხეს პატრონობდა და უვლიდა ათაბაგი და ამ განათლებულ და ღონიერ ქვეყანას ჯერ არ ეხილა არც ოსმალოსა და არც რუსეთის მართვა-გამგეობა.

სამცხე-საათაბაგო მდიდარია ფრინველითაც. იცის აგრეთვე ნადირი და გარეული ფუტკარი. მეფუტკრეობას მისდევენ ძესხნი, მაგრამ უხალისოდ, თუმცა თაფლი ტკბილი და გემრიელია.

უწინ, ვიდრე ოსმალონი დაიპერდნენ მესხეთს, აქაური მკვიდრი, ქალი და კაცი, ყოფილა ნელად და ენა-ტკბილად მოუბარი, ტანოვანი, მხნე, მშვენიერი და ცოდნა-ხელოვნების მოყვარე. შემდეგ ქრისტეანობა მაჰმადიანობაზე რომ შეუცვლიათ, მესხებს ეს თვისებაღირსებანი დაუკარგავთ.

პირველად რჯული გამოიცვალეს ათაბაგმა და თავად-აზნაურებმა. ვინც სარწმუნოებას იცვლიდა, იმას მამულ-დედულიც შერჩებოდა ხოლმე და სხვა წყალობასაც იღებდა ოსმალთა ფადიშაჰისაგან, ანუ მეფისაგან.

თავად-აზნაურობის მაგიერ მისცეს ხარისხი და პატივი ბეგისა, ასე რომ, ვსთქვათ წინად თუ დიასამიძე თავადი იყო, ოსმალოთა ბატონობის დროს გახდა ბეგი დიასამიძე. ეს გვარი ეხლა ამოწყვეტილია, მაგრამ სხვა ქართველ კეთილშობილთა გვარები ბლომადაა დარჩენილი.

შემდეგში თავად-აზნაურობას გაჰყვა გლეხ-კაცობა და თუმცა კარგა ხანს ჯიუტობდა და ქრისტეანობას არა ღალატობდა, მაგრამ ძალდატანებას და გადამეტებულ ხარჯს ველარ გაუძლო და ახალი რჯული მიიღო. რჯულის გამოცვლას თან მოჰყვა ზნე-ხასიათის გამოცვლა, ჩვეულებისა და ტანისამოსისა. ამდენ ცვლილებასთან შერეული თათრულ-ოსმალური ენაც შეითვისეს, ასე რომ თუ ძველად, ოსმალების მოსვლამდე, მესხი სავსებით წააგავდა ქართველსა, შემდეგ, ამოდენა ცვლილების წყალობით, ასეთი მზგავსება დაიკარგა. რაც უნდა იყვეს, გაოსმალებული და გამაჰმადიანებული მესხი მაინც ძალიანა ჰგავს ქართველსა და კახელს. საკმარისია მცირედად დააკვირდე აქაურ ჩალმოსან მაჰმადიანს, და მაშინვე მიხვდები, რომ იგი ქართველია და არა ოსმალო. ზოგი კი პირწავარდნილი ქართველია გარეგნობით და სახით. შეცვლა სახისა და გამომეტყველებისა, უეჭველია, იმითი აიხსნება, რომ რამოდენიმე ოსმალო და თაოარი, ქალი და კაცი დაბინავდა სამცხე-საათაბაგოს, დაუნათესავდა მკვიდრსა და ამ გვარად მოხდებოდა სისხლის შერევა.

სამცხე-საათაბაგომ თითქმის სამასი წელიწადი იცხოვრა ათაბაგების ხელში დამოუკიდებლად და საქართველოს მეფეებს არ ემორჩილებოდა. ჰქონდა მხოლოდ მეზობლური კავშირი და მისვლა-მოსვლა დანარჩენ ქართველობასთან. პოლიტიკურად დიდად გაძლიერდა საათაბა-

ზაგო, რის გამო ათაბაგებს ამაყად ეჭირათ თავი. ეს ძლიერებაა მიზეზი, რომ ათაბაგებმა მოინდომეს საკუთარის კათალიკოზის ყოლა და აღმოსავლეთ ბერძენ პატრიარქების ნებართვით კიდეც დააწესეს აწყურში საკათალიკოზო კათედრა, რომელსაც უნდა დამორჩილებოდა სრულიად ზემო-ქართლის სამღვდელოება. აღმოსავლეთის პატრიარქებს არ ესიამოვნებოდათ სიძლიერე სრულიად საქართველოს კათალიკოზისა, მცხეთაში რომ ჰქონდა კათედრა, და ამის გამო ხელს უმართავდნენ აწყურის მთავარ-ეპისკოპოზს, განდგომილიყო მცხეთის კათედრიდან და მის ნება-დაურთველად ემართა ზემო-ქართლის ეპარქია. მაგრამ ათაბაგების, აწყურის და აღმოსავლეთ ბერძენ პატრიარქთა მეცადინეობამ ფუჭად და ამაოდ ჩაიარა. სიმართლისა და საეკლესიო კანონების წინააღმდეგი იყო ასეთი სურვილი და მეცადინეობა და ბოლოს საქმე იმითი გათავდა, რომ მესხეთის ეკლესია ძველებურად მცხეთის კათალიკოზს დამორჩილდა.

შინაური ცხოვრების განვითარება და მოქალაქობა იმ ხარისხამდე ავიდა, რომ საათაბაგომ საკუთარი კანონები გაიჩინა, როგორც შეჰფერის ყოველ განათლებულ და განვითარებულ სახელმწიფოს. ასეთია კანონები ათაბაგ ბექასი და მისის შვილის-შვილის აღბუღასი. უფრო იმითია შესანიშნავი და საყურადღებო ამ კანონების დაწერა, რომ იმ დროს ჩვენ სამშობლოს შემოესია ლანგთემური, წინამძღვარი მონგოლთა და რამდენჯერმე ააოხრა საქართველო.

მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისს, ანუ 1626 წელს, ოსმალებმა დაიპყრეს საათაბაგო და ფაშობა შემოიღეს ათაბაგობის მაგიერ. დიდი ზარალი და ზიანი მოუტანა საერთოდ ჩვენს ქვეყანას და კერძოდ საათაბაგოს ოსმა-

ლების ჩამღთესლებამ და დამკვიდრებამ ზემო-ქართლში. ჯერ ერთი საქართველო სრულიად მოსწყდა განათლებულ დასავლეთ ევროპას, რადგან ოსმალო უზარ-მაზარ კედელსავით აგვეყუდა წინა, მისვლა-მოსვლა გაგვიძნელდა ევროპასთან და დავრჩით გამომწყვდეულნი, როგორც კარ-მიხურულ გალიაში. მეორე კიდევ ისაა, რომ ოსმალონი გაუნათლებელი ხალხი იყო მაშინ; თვითონ რომ არა იცოდნენ-რა ომიანობის მეტი, ჩვენს ქვეყანას რას მოუტანდნენ. მას შემდეგ, რაც ოსმალონი გაბატონდნენ სამცხე-საათაბაგოში, სწავლა-განათლება, ხელოვნება და ვაჭრობა უკან-უკან წავიდა ამ კუთხეში. წინად რომ მესხეთს ებადებოდა შესანიშნავი მგოსნები, აი როგორც შოთა რუსთაველია, განთქმული მქადაგებელნი, ფილოსოფოსნი და სახელმწიფო მოღვაწენი და სარდალნი, ოსმალოს ბატონობის დროს ცხოვრება ისე დადუმდა და დაქვეითდა, რომ აღარც სარდალ-მოღვაწენი, აღარც ბრძენ-ფილოსოფოსნი და აღარც მგოსან მქადაგებელნი აღარა ჩნდებოდა ამ ქვეყანაში. ქალაქი ახალციხე შეიქმნა სხვა და სხვა ავაზაკთა ბრბოების საბუდრად. აქ იკრიფებოდა მოუსვენარი ხალხი, უფრო კი დაღესტნიდან ჩამოსული ლეკობა და ხანდა-ხანობით ხან ქართლს აწიოკებდნენ ახალციხიდან გამოსული ავაზაკები, ხან გურია-იმერეთს. ახალციხის ფაშები ხელს აფარებდნენ ამ ავაზაკებს და პატრონობას უწევდნენ. ბევრი ურჩი და აბეზარი კაცი ქართლ-კახეთიდან და იმერეთიდანაც გადადიოდა ახალციხეს და იქ აფარებდა თავსა. ასე მიდიოდა საქმე მთელი ორასი წელიწადი, მოკიდებული 1626 წლიდან 1828 წლამდე. ამ წელიწადს კი საქმის გარემოება შეიცვალა.

1801 წელს საქართველოს ნაწილს, ქართლ-კახეთს,

დაეპატრონა რუსეთი. მეფე ერეკლემ და დედოფალ ეკატერინე მეორემ ხელშეკრულობა დასდეს 1783 წელს, რომლის ძალით რუსეთის მეფეებმა ვალად დაიდეს და იკისრეს სამცხე-საათაბაგოს დაბრუნება საქართველოსთვის. წარსულ საუკუნეში, 1828 წ. რუსეთის მეფეს ომი ჰქონდა ოსმალეთთან. რუსის ჯარის სარდალმა გრაფ პასკევიჩმა დაამარცხა ოსმალოს ჯარი ახალციხესთან. ჯარი ჯავახეთიდან ჩამოვიდა, დილა ადრიან გასტოპა მტკვარი სოფელ ქვათახევთან, შეებრძოლა ქოსა-მაჰმედ და მუსტაფა ფაშებს და წაართვა ოთხი გამაგრებული ბანაკი. ეს იყო 9 აგვისტოს. ზედ მარიამობა დღეს, 15 აგვისტოს, იერიშით აიღო პასკევიჩმა თვით ქალაქი. ქოსა-მაჰმედმა 16 აგვისტოს ჩააბარა პასკევიჩს თვით ციხე. ამ დროს ახალციხეში ითვლებოდა 50,000 სული მცხოვრები. სწორედ ამ დროიდან საქართველოს შემოუერთდა ძველი მისი საუკეთესო ნაწილი, სამცხე-საათაბაგო.

გაოსმალებულმა ქართველობამ იუკადრისა ქრისტეან რუსების ბატონობა და მათ ხელში ყოფნა. მაშინაც და დღესაც საფიქრებელად ესა ჰქონდათ და აქვთ: ჯარის კაცად წაგვიყვანენ და იმისთანა საქმელს გვაქმევენ, რომელიც რჯულით აღკრძალული გვაქვსო. ეგება სხვა მიზეზიცაა გადასახლებისა და სამშობლოს მიტოვებისა, მაგრამ საბაბად ეს დაიხვიეს ხელზე, იხუვლა მრავალმა მათგანმა და ოსმალეთს გადიხვეწა. საზოგადოდ ბინის მოშლა და ოჯახის დაქცევა ადვილი არაა, მდიდარსაც უჭირს ახალი ბინის შოვნა, ახალი სახლ-კარის გამართვა და ოჯახის აშენება და აბა ღარიბ გლეხ-კაცობას რა მოუვიდოდა?

რუსის მთავრობა ხელს არ უშლიდა გადასახლებას.

ვისაც არ სურდა აქ დარჩენა, გზა მშვიდობისა უთხრეს. აიკრიფეთ გუდა-ნაბადი და საცა გნებავთ, იქ წადითო, ხოლო ვადად ორ წელიწადს გინიშნავთო. გადასახლეგბის მსურველებმა ოხრად მიჰყიდ-მოჰყიდეს ოჯახის ნივთეულობა, საქონელი, მამულ-დედული, სახლ-კარი, ბოსტან-ბაღები, შეაბეს ჭრიალა ურმები, ჩასხეს შიგ დედა-კაცობა და ქულფათობა და დაადგნენ ოსმალეთის გზას. წასული მესხები სახლდებოდნენ მცირე აზიის და ევროპის ოსმალეთში, ბევრი გაწყდა გზაში სიმშილ-სიცივისაგან. ვინც მიაღწია ოსმალეთს უვნებლად, იმანაც ვერ იხეირა. ათასი გაჭირვება და ვაივაგლახი ნახა ახალ ადგილზე, ვერ უძლებდა თავზე დატეხილ მრავალ უბედურობას, სნეულდებოდა და წუთი-სოფელს ესალმებოდა. მცირე აზია ერთ უშველებელ, ცივ და ყრუ სამარედ გადაიქცა ჩვენის ღვიძლის ძმებისათვის. ვინც ცოცხალი დარჩა, ვერც ისა ხეირობდა. სამშობლოს დარდი და სევდა ჰვალივით აწვებოდა, უცხოობას ველარ იტანდა, უკან ბრუნდებოდა, მაგრამ ვაი ამ დაბრუნებას! სახლ-კარი დაქცეული, მამული გაყიდული უხვდებოდა შინა. ბინას ველარ სდებდა და დახეტიალობდა ასე უპატრონოდ, ეულად და ბოგანოდ. ხელის შემწეობი, ნუგეშის მცემელი და ჰირისა და ლხინის მოზიარე არავინ იყო! მსწავლული მოგზაურები გვიამბობენ, რომ მცირე აზია და ევროპის ოსმალეთი მოფენილია მესხეთიდან გადასახლებულთა სოფლებით, სადაც დღესაც თურმე გაისმის წკრიალა ქართული ენა.

გადასახლებულთა მწარე ბედმა ჯერ ვერ ასწავლა ჩვენში დარჩენილ გამაჰმადიანებულ მესხებს, გული ეთანაღრებათ და სულ სტამბოლისკენ უჭირავთ თვალი. ასე ჰგონიათ, იქ სამოთხეა და ნაზუქის სულით დაიბნიდე-

ბიან. გახიზვნა ოსმალეთს ჯერაც არ შეჩერებულა. ბევრი ოჯახი დღესაც იყრება და მიდის მცირე აზიის, ან ევროპის ოსმალეთს. მე ჩემის თვალით მინახავს ბაწარაღებით მიმავალი ბათუმისაკენ ფურგუნები, დატვირთულნი გადასახლებულთა ბარგი-ბარხანით და ცოლშვილით. ქვის გული უნდა ჰქონდეს ადამიანს, დაინახოს ეს სურათი და არ შესწუხდეს უზომოდ. სამშობლო ქვეყნის დაქცევა-დარბევა, ხალხით დაცლა დიდი ცოდვაა და ვინც ხელს უწყობს ამ საცოდავების აბარგვას და გახიზვნას, ის სწორედ მტერია ქვეყნისა, პირშავი და შეჩვენებული.

სამცხე-საათაბაგო დაიპირა გრაფმა პასკევიჩმა 1828 წელს. აქაურ მკვიდრს მესხს მაგიერ თათარი დაარქვა მთავრობამ. ეს უდიდესი შეცდომაა და წინააღმდეგი როგორც ბუნებისა, აგრეთვე მეცნიერებისა. კაცმა რომ რჯული გამოიცვალოს, განა ხალხისნობას და ეროვნობას დაჰკარგავს ძველ რჯულთან ერთად? რჯული, რწმენა, სვინიდისის საქმეა, ეროვნობა-ხალხისნობასთან რა საქმე აქვს? კათოლიკეთა სარწმუნოებას (ჩვენში ფრანგობას ეძახიან) მისდევენ ფრანგები, ინგლისელები, გერმანელები, პოლონელები, ესპანელები, ზოგი ქართველები, სომხები და თვით თითო-ოროლა რუსი და განა ყველა ესენი, რაკი ერთი. რჯული აქვთ, ლათინებად და რომაელებად გადაიქცევიან? თავის დღეშიც არა. ყველა მათგანი იმ ერად რჩება, რომელსაც ეკუთვნიან. ბათუმის მხარე რომ დაიპირეს რუსებმა 1877 წელს, კიდევ გაიმეორეს ძველებური შეცდომა და ღვიძლ ქართველებს: აჭარლებს, ქობულელებს და სხვებს თათრები დაარქვეს და იმათ სამშობლო ენად ოსმალური გამოაცხადეს, თუმცა აჭარლები და ქობულელნი ისევე სუფ-

თად და წმინდად ლაპარაკობენ ქართულად, როგორც შინა-ქართლელი და ისეთივე ქართველები არიან, როგორც ქართლელნი.

რაკი ახალი მთავრობა ასე გულცივად და უგულოდ მოექცა გამაჰმადიანებულ მესხებს, იმის მაგიერ რომ დაეყვავებინა და გაეადვილებინა უცხო და მიუჩვეველ მთავრობის ხელში ყოფნა, რაკი წასასვლელი გზა დაულოცა, ისინიც ადგნენ და გულმტკივნეულნი, სამშობლოს დარდისაგან შეწუხებულ-დაოსებულნი, გაემართნენ ოსმალეთისკენ. დაცარიელებით არ დაცარიელებულა მესხეთი, მაგრამ ბევრი სოფელი ვერანად გადაიქცა. წასულთა და გადახვეწილთა ნასოფლარებში მთავრობამ ჩააყენა აზრუმის საფაშოდან გადმოყვანილი სომხები. კარგა დიდი ნაწილი აზრუმელებისა დაბინავდა ახალციხის—წყლის მარჯვენა ნაპირზე, პირდაპირ ძველ ქალაქ ახალციხისა, სწორედ იქ, სადაც ძველად იყო ქართველთა სოფელნი: მარდა, ურიათ მარდა, ჯანიანთ მარდა და მლაშის-ხევი. ამ გვარად, დაახლოებით 1830 წელს, ქართველთა ნასოფლარებზე გაშენდა ახალი ქალაქი, დასახლებული აზრუმელ სომხებით, რომელსაც ეწოდება იგივე ძველებური სახელი ახალციხე.

თვით მაზრაში შემდეგი ნასოფლარები დაიპირეს მოსულმა სომხებმა: ჭაჭარაქი, გოგოთ-უბანი, სასძლო, სხვილისი, წინუბანი და ორთავე წყრუთი, არხის-ციხე, წყალთბილა, ნაოხრები, დიდი და პატარა მამაჯი და ტამალა.

ამ გვარად ძველ მესხეთში, ანუ სამცხე-საათაბაგოს დღეს ბინადრობს: აზრუმიდან მოსული სომხობა წმინდა გრიგოლის სარწმუნოებისა და სომეხ-კათოლიკენი; ოსმალეთის ბატონობის დროიდან დარჩენილი თარაქამა და

თურქმენი, ორთავე ტომი მაჰმადის სარწმუნოებას მის-
დევს, და ქართველობა, ძველ მესხების ჩამომავალნი:
მართლ-მადიდებელნი, კათოლიკის სარწმუნოების მიმდე-
ვარნი და მაჰმადიანი ქართველები, ანუ გამაჰმადიანებუ-
ლი მესხები. ამათ გარდა ბინადრობენ სამცხე-საათაბაგოს
ებრაელები, უფრო კი ქ. ახალციხეს, ცოტაოდენი ბერძ-
ნები და რამდენიმე ნასალდათარი რუსი.

როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, სულ ახალციხის
მაზრაში დღეს ითვლება 78,100 სული, ქალი და კაცი.
ამ ჟამად ქ. ახალციხეში ცხოვრობს 19,220 კაცი და
ქალი. ამათში ქართველია 1075, რუსი—470, ბერძენი
116, ებრაელი—2322 და სომეხი—15,031. მაზრაში
ცხოვრობს: სომეხი განურჩევლად სარწმუნოებისა—
6852, ბერძენი—130, ქართველი, მართლ-მადიდებელი
და კათოლიკე 8865, ებრაელი,—218, ქურთი—2400,
რუსი—99, თათარი—32,564 და თურქი (ოსმალო)—
7752.

მიაქციეთ ყურადღება უკანასკნელ ორ ციფრს.
სწორედ ესაა უკულმართობა და შეცდომა, რომელიც
მთავრობამ ჩაიდინა. ამოდენა ქართველობას სახელი შე-
უცვალა და თათრად გადანათლა. განა ხერთვისელ გე-
გიძეს, ჯაყისმანელ ნემსაძეს და გეორგაძეს თათარი
ეთქმის? შეიძლება კანტი-კუნტად იყვეს სადმე ჩასახლე-
ბული რაოდენიმე ტომით და ჩამომავლობით თათარი,
თორემ ვის გაუგონია ახალციხეს მაზრაში ამოდენი თათ-
რები? საჭიროა რიგიანი, ჭეშმარიტი და მეცნიერული
აღწერა ერისა, რომ ნამდვილად ვიცოდეთ რაოდენობა
თითოეულის ტომისა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ასეთი აღ-
წერა არა გვაქვს. არც ოსმალოა იმდენი, რამდენსაც
ზემოდ დასახელებული ციფრი 7752 აჩვენებს. ნამდვი-

ლი ოსმალო ძალიან ცოტაა და ბევრი-ბევრი თარაქამა, თურქმენი, ქურთი და ოსმალო ოთხი ათასი, ან ხუთი ათასი იყვეს ახალციხის მაზრაში, ანუ სამცხე-საათაბაგოს.

არის ერთი მეცნიერება, სტატისტიკას ეძახიან, რომელიც ი

ლი წერა-კითხვაც იცის, ორიოდე თულაშვილი, ორიოდე წერეთელი, მორჩა და გათავდა. ერისთვიანთ, მაჩაბლიანთ, ხიდირბეგიანთ სრულებით აღარ იციან ქართული. ზოგ-ზოგი მათგანი ამტვრევს საყველპურო ქართულს, მაგრამ ასეთი ცოდნა ცოდნად არ ჩაითვლება. აქ ჩამოთვლილ ბეგებს კარგად ესმით, რომ ქართველები არიან, აღარ უარობენ და აღარა სწყინთ ქართველობა, მაგრამ უქართულობა დიდად უშლის ხელს საპირო სულიერი კავშირი იქონიონ დანარჩენ ქართველობასთან.

გლეხ-კაცობა უფრო მძიმედ ითვისებდა ოსმალურ ენას, დედა-კაცობა ხომ, რადგან კერას არა სცილდებოდა და სულ შინ იჯდა, სრულებით არ ეტანებოდა ოსმალურს, დღესაც ბევრია იმისთანა მიყრუებული სოფელი, სადაც თუმცა მაჰმადის რჯულია გამეფებული, მაგრამ ოსმალურმა ფეხი ვერ მოიკიდა მკვიდრად დედა-კაცობაში.

საოცარი ამბავია, მაგრამ შეუტრყეველი და ჭეშმარიტი ისაა, რომ ქართული ენა დაიჩაგრა რუსების მოსვლის შემდეგ სამცხე-საათაბაგოს. არის იმისთანა სოფლები, როგორც თოლერთა, უთხის-უბანი და სხვა, სადაც მოხუცებულები კიდევ ლაპარაკობენ ქართულს, ხოლო ყმაწვილკაცობა სრულებით აღარ ეტანება ქართულს. მიზეზი ისაა, რომ ქართულმა დაჰკარგა ფასი ხალხის თვალში რუსების მართვა-გამგეობის დროს, აღარაა იგი ხმარებაში სკოლაში, სასამართლოში და პოლიცია-ადმინისტრაციაში. ამიტომ ქართული ენა აღარავის ეპიტნავება, ვითარცა პატივ-აყრილი და გამოუსადეგარი ცხოვრებაში.

მესხი მაჰმადიანი სუფთად ლაპარაკობს ქართულად აწყურისა, იდუმალისა და კლდის სამამასახლისოში.

ნარევ-ნარევად სხვა დანარჩენ სამამასახლისოებშიც მოიპოვება ქართულად მოლაპარაკე სოფელი, მაგრამ საერთოდ რომ ვთქვათ, თუ დროზე რიგიანი სკოლა არ მიეშველა ამ გვარ სოფლებს, ქართული ენა ძირიან-ფესვიანად ამოვარდება.

აქაური ებრაელები მტკიცედ ინახავენ ქართულ ენას. იგია მათი სამშობლო, ღვიძლი ენა და ამ ენაზევე აქვთ მიწერ-მოწერა. უხსოვარ დროიდან დაბინავებულან ებრაელები ახალციხეს, ქართული იერი, ზნე და ჩვეულება შეუთვისებიათ და აღარ ღალატობენ არც ერთსა და არც მეორეს, თუმცა ორას წელიწადზე მეტს ქართველებთან ერთად ოსმალების ბატონობას იტანდნენ. სწორედ საკვირველია მათი ასეთი სიმტკიცე. ქართულ ენის შენახვა-პატრონობაში მესხეთის ებრაელობას დიდი ღვაწლი მიუძღვის და ესეთი მისი სამსახური არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს. დღევანდელ ახალციხეს თუ კიდევ ქართული იერი ცოტათი მაინც შერჩენილი აქვს, ეს ებრაელების წყალობაა. მათი ბავშვები ხარბად ეტანებიან ახალციხის ქართულ საქალებო სკოლას, მაგრამ სამწუხაროდ სკოლის გამგენი ხშირად უარს ეუბნებიან ხოლმე მსურველთ უადგილობის გამო. მაინც ოცი, ოცდა ხუთი ებრაელი ქალი მუდამ სწავლობს ამ სკოლაში და სწავლას იძენს ქართულად.—აქაურ ებრაელებს ჩვეულებად აქვთ იერუსალიმს წასვლა და იქ დაბინავება, სიბერის ჟამი რომ მოაწევს. ამ ჩვეულებას უფრო შეძლებულები მისდევენ.

სოფლად გლეხკაცობა ცხოვრობს ზოგან არეულად, განურჩევლად სარწმუნოებისა, ზოგან კი ერთი ტომისა და სარწმუნოების ერია შეჯგუფული. არის ისეთი სოფლები, როგორც მაგალითად ვალე, სადაც ბინადრობენ

ქართველი მართლ-მადიდებელი, ქართველი კათოლიკე, სომეხი გრიგოლიანი და ქართველი მაჰმადიანი. შუღლი და მტრობა არავის გაუგონია. სოფელ უდეს უმრავლესობა ქართველი კათოლიკეა, უმცირესობა მაჰმადის რჯულისა. ქრისტეანეთა მოძღვარი ამ სოფლისა და მაჰმადიანთა მოლლა ერთავე ჭილაშვილები არიან. გამოდის რომ სახლიკაცები ადიდებენ ღმერთსა სხვა და სხვა ენით და სხვა და სხვა წესით. ამ გვარი საქმე მეზობლობას არა შხამავს და არც უნდა მოშხამოს, რადგან რჯულისათვის კინკლაობამ და თავში ცემამ დიდი ხანია თქვენი ჭირი წაიღო. ამას გარდა ქართველი კაცის ბუნება ხალვათია, მოსიყვარულე და არ ეხერხება გულში ჩადება შურისა და მტრობისა. სხვა რჯულისა და ტომის კაცსაც ძმასავით ვუცქერით. სამეზობლოდ ქართველი ერი საუკეთესო ერია, რადგან სხვისი დაჩაგვრა არ იცის. თვითონ რომ ხშირად სხვას ეჩაგვრინება, ეს კი სრულებით არ ვარგა. საჭიროა თავის დაცვა და გაფრთხილება.

უნდა მოვიხსენიოთ, რომ მესხეთის ქართველი კათოლიკენი ისტორიის უკულმართ მსვლელობის გამო იძულებულნი გამხდარან, ქრისტეანობის შესანახად, სომხის ტიბიკონი მიეღოთ, ესე იგი სომხების წირვა-ლოცვის წესი და რიგი. ამის გამო წირვა-ლოცვა სომხურად აქვთ და არა ქართულად, როგორც სტამბოლში. ეს გარემოებაა მიზეზი, რომ ბევრს ქართველ კათოლიკეს სომხური გვარი და სახელი აქვს, მაგალითებრ პოლოს მათეოზოვი. არის მხოლოდ ერთი პატარა ეკლესია ძველ ახალციხეს (რაბათი), სადაც უმთავრეს ღვთის მსახურებას (მესსა) ლათინურად ასრულებენ, ხოლო ზოგიერთ წვრილმან ღეთის მსახურებას და გალობას ქართულა-

დაც. დიდი ხანია მთავრობასთან ამ საგნის გამო მიწერ-მოწერაა გამართული, მაგრამ ჯერ ბოლო არ მოღებია ამ გაჭიანურებულ საქმეს.

დღევანდელი მესხი, გადაგვარებულ-გადაკეთებული, ხასიათით მშვიდი და წყნარია, აურზაურს ერიდება და ძნელად თუ ხმას აიმაღლებს, თუ მეტის მეტად სიცოცხლე არ გაუმწარა უსამართლობამ. ძველებური სიკვირცხლე, თავმოწონება, ვაჟკაცობა და სილამაზე სადღაც გამქრალა, ფერფლად და მტვრად ქცეულა. ჩაცმულობაც ულაზათოა, განსაკუთრებით ქალებისა, რომელთაც გაგიჟებით უყვართ წითელ ფერის სამოსელი. საზოგადოდ დღევანდელი მესხი დაჩაგრულია, წელში მოხრილი, თავი მაღლა ვერ აუღია და ყველაფრისა ეშინიან. წარსულის მოგონება, როდესაც იგიც ადამიანად ითვლებოდა და მსოფლიო ისტორიაში მონაწილეობას იღებდა, არ ახალისებს, დიდებულ და ბრწყინვალე ისტორიის ნაშთს გულგრილად უყურებს, თითქოს ეს ტრაფა ხელოვნების ნამოქმედარი მისი წინაპრების აგებული კი არაა, არამედ ვიღაც გადამთიელისა. ხალისით, სიმკვირცხლით და სითამამით ისევ ქვაბლიანელები სჯობიან დანარჩენებს, ჩაცმა-დახურვით ესენი ძრიელ წაადგენენ აჭარლებსა. იარაღის ტარებაც ამათ უფრო უყვართ. დაჩაგრულობისა და სიმხდალის სენი ჯერ ისევ ბატონიშვილ ვახუშტის დროს შეჰპარვია მესხეთს და მას შემდეგ ხომ უფრო უმატნია ამ სენს. ბევრჯელ დავსწრებივარ სოფლად გლეხის მუშაობას, ხვნას, თესვას, მკას, თიბვას, ლეწვას, სიმინდის თოხნას და ერთხელ არ გამიგონია წკრიალა, იმედიანი სიმღერა, გუგუნი ვაჟკაცური, ან ტკბილი, ნაზი და სევდიანი კილო ქართლელისა. საერო, საჯარო სიმღერა სამუდამოდ გამქრალა.

ამის მაგიერ დღეობა-ქორწილებში მოისმენ სპარსულ კილოზე ერთხმიან სიმღერას, ბალა-ბალას მზგავსსა. მომღერალნი უფრო ქურთები არიან. მხოლოდ ერთხელ მოვისმინე სოფ. ოშორაში სევდიანი სიმღერა ქართველ მაჰმადიანისა ქართულადვე. მომღერალს საზი ეპირა და ამ უბრალო სამუსიკო იარაღზე დამღეროდა. სამწუხაროდ, უბის წიგნი, სადაც ლექსი მქონდა ჩაწერილი, დაიკარგა და საშუალება აღარა მაქვს იგი აქ მოვიყვანო.

მესხის სოფელი სასიამოვნოს არას წარმოადგენს. საშინელი ვიწროობაა სოფელში, სახლები ზედი-ზედაა მიყრილი, მომეტებულად მიწაშია ჩადგმული ხის შენობანი. ხის გაშლილი კარაპნები რომ არ ედგათ წინა, ვერც კი შეატყობთ, რომ აქ სახლებიაო. სინათლე ერდოდან ჩადის. სივიწროვის გამო სოფელში უსუფთაობაა და სიბინძურე. ნეხვი და ნაგავი ხშირად ზედ გზაზეა დაყრილი. ამ მხრივ ისევ ქვაბლიანის ხეობა სჯობიან, ხეობის ფერდობებზე კოხტად გამოიყურება ხის სახლები. აქაური მდებარეობა და მოწყობილობა სოფლებისა ძალიან წააგავს გურია-აჭარისას.

როგორც ჯავახებს, მესხებსაც უყვართ სუქანი, ერბოიანი საჭმელი. სისუქნის სიყვარული აიხსნება იმითი, რომ ჰავა გრილია და ზამთრობით ხომ კარგი ლაზათიანი სიცივეები იცის. მთა-გორებში და მთიან ტრიალ მინდვრებზე, როგორც მაგალითად ლეპისის გაშლილი ველია, სიცივე და ყინვა ისეთი ძლიერია, რომ ნამდვილი ტეხვრაა. ეს ყინვა-სიცივეა მიზეზი, რომ მესხები ძრიელ ეტანებიან ერბოს. უერბოოდ მწვადსაც კი არ შესწვამენ. მოხრაკულ და შემწვარ ბატკანს და ცხვარს წკურწკურით ჩამოსდის ერბოს წვეთები და ამ გვარად

მომზადებულ საჰმელს ვერ დაეკარება იმერელი. კერძოდ მე, როგორც შინა ქართლელს და ჩამომავლობით იმერელს, ხშირად მომშლია მადა და უსადილობა მიმჯობინებია მსუქან და ერბოთი გაჟღენთილ მოხრაკულის შექცევას.

უმთავრესი წყარო სამცხე-საათაბაგოს მკვიდრის ცხოვრებისა ხვნა-თესვაა, ბაღოსნობა და საქონლის მოშენება. გარედ გასვლა და ცხოვრების შეძენა არ უყვარს მესხსა, მოუკალათნია შინა და ფათურობს თავისთვის. ვაჭრობასაც არ ეტანება. ძველად ახალციხის ვაჭარსოვდაგარნი ვაჭრობის უნარით იყვნენ განთქმულნი. დასავლეთ ევროპასთან და სტამბოლთან გაჩაღებული მისვლა-მოსვლა ჰქონდათ. დადიოდნენ ართვინზე და ბათუმზე. ამ გზით შემოვიდა ჯერ მესხეთს და შემდეგ დანარჩენ საქართველოში შესანიშნავი მოგზაური შარდენი, რომელმაც (მეჩვიდმეტე საუკუნის პირველი ნახევარი) ფერად-ფერადი სურათებით ასწერა მაშინდელი საქართველო. მესხების მისვლა-მოსვლას ევროპასთან ისიც უწყობდა ხელს, რომ საქართველოს ამ კუთხეში ადრე გავრცელდა ფრანგობა და ევროპა ხომ ფრანგებითაა სავსე. ჩვენებურ კათოლიკე მესხებს ნათესავები ჰყავთ სტამბოლს და ხშირად მათ სანახავად მიდი-მოდიან. ერთი მათგანი დიდ თანამდემობას ასრულებს ოსმალეთში რკინის გზაზე. ასე რომ თუ ოდესმე მგზავრობა მოგიხდეთ რკინის გზით სტამბოლიდან ქალაქ ვენაზე და კუპეში წმინდა ქართულით გამოგელაპარაკოთ ოსმალოს მოხელე, ნუ გაგიკვირდებათ, იცოდეთ რომ ეს მოხელე თქვენი სისხლი და ხორცია. ერთი საუკეთესო თანამედროვე ისტორიკოსი მღვდელი მიქაელ თამარაშვილი,

იტალიაში რომ ცხოვრობს, მკვიდრი მესხია, დაბადებულ-აღზრდილი სამცხე-საათაბაგოში.

ორმოცი წლის წინად ახალციხის მაზრა ქუთაისის გუბერნიაზე იყო მიწერილი. მისელა-მოსელა მესხებს ქუთაისთან ჰქონდათ ზეკარის უღელ-ტეხილით. მაშინ მესხები ჩალვადრობას მისდევდნენ და მიჰქონდ-მოჰქონდათ სხვა და სხვა საქონელი. დღეს ეს ხელობა სრულიად გაჰქრა. უკანასკნელ ომამდე (1878 წ.) ოსმალეთის სამზღვარი ზედ ეკრა ახალციხის მაზრას. ბადელას ხიდთან საბაჟოები და საყარაულოები იყო დამართული. დიდის სიმარდით და გაბედულობით შემოჰქონდათ მესხებს სამზღვარ გარეთიდან ბაჟ-გადუხდელი საქონელი და ამ ხელობით კარგ სარფაში იყვნენ. ეს ხელობაც გაჰქრა, რადგან ჩვენი სახელმწიფო სამზღვარი ოსმალეთთან ძალიან დაგვიშორდა.

ამ ბოლოს დროს მესხეთში თავი იჩინა ახალმა ხელობამ. ესაა მეტივეობა. ეს ხელობა შეიტანეს ხეობის (ბორჯომისა) ქართველებმა. მეტივეობენ აგრედვე სოფელ მეტეხისა და გომის მცხოვრებნი შინა ქართლიდან. მესხებში უფრო ეტანებიან მეტივეობას ქართველი მაჰმადიანები. მეტივეობა გაჩაღდა აწყურისა და იდუმალის სამამასახლისოებში და ქვაბლიანში.

რადგან სამცხე-საათაბაგო მთა-გორიანია და ველ-მინდორი ცოტაა, ამიტომ სახნავი მამული ნაკლები აქვს მესხსა. მთის კალთებზე და ფერდობებზე უხეირო მოსავალი იცის, ძირობებში და ხევის პირებზე კარგი. ძირობის ყანები ბევრი ირწყვის მთის ნაკადულებით. საკუთარი მოსავალი ძლივ-ძლივობით ჰყოფნის მკვიდრსა, გარედ გასაყიდად ვერას გაიტანს ნაკლებობის გამო. მიწის ნიადაგი თიხიანია, კირნარევი. ასეთი ნიადაგი ხელს

უწყობს ბაღოსნობას და ხილის მოყვანას, რომელსაც ხალისით მისდევენ. ხეხილის გაშენება-მოვლაში მესხები დიდ მუყაითობას იჩენენ და კარგ ოსტატებად ითვლებიან. ხვნა-თესვისა და ბაღოსნობის გარდა საქონლის მოშენებასაც მისდევენ, უფრო კი იქ, სადაც საზაფხულო იალაღები მოიპოვება. საქონლის ჯიში უხეირო და წვრილია. ტყიანსა და ჩირგვ-ძეძვიან ადგილებში თხებს ინახავენ. საქონლის ჯოგები თვით მესხებს არა ჰყავთ. ზაფხულობით მთის საძოვრებზე მეგრელებს ამოუდით სხვილფეხი საქონელი.

მესხეთს რომ დაეპატრონენ ოსმალები, ბატონყმობა არ შემოუტანიათ, რადგან მუსულმანების ქვეყნებში არსადაა წესად მიღებული ბატონ-ყმობა. ადამიანი პირადად თავისუფალია, ხოლო რაც მამულია სახელმწიფოში, ეკუთვნის მეფეს, ანუ სულთანს, ფადიშაჰს. სახელმწიფოს სასარგებლოდ გლეხ-კაცი იხდის მიწის მოსავლის განსაზღვრულ ნაწილს, უფრო კი მეათედს.

ოსმალეთის მთავრობა ამ შემოსავალს ხან სავსებით, ხან ნაწილს, მოხელეებს უთმობდა ჯამაგირის მაგიერად და ამასთანავე დაავალებდა ხოლმე, ქვეყანას უპატრონე, მოუარე, იზრუნე და გაუფრთხილდი, რომ მტერმა არ წაახდინოს მობარებული კუთხეო. ერთი სიტყვით მაშინდელი მოხელე ჯამაგირის მაგიერ მიწის შემოსავალს ჭკრეფდა, ზოგს თვითონ იტოვებდა, ზოგს სულთანის ხაზინაში ჰგზავნიდა. შემოსავლის განაწილება მოხელესა და ხაზინას შუა, ან სავსებით აკრეფა მოხელის სასარგებლოდ იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რა პირობით ჰქონდა ჩაბარებული მოხელეს რომელიმე სოფელი, ხეობა, კუთხე, ან მთელი ქვეყანა და ოლქი. მხვნელ-მთესველისთვის სულ ერთი იყო, როგორ ინაწი-

ლებდნენ მიწის შემოსავალს სულთანი და მოხელენი და ვის რამდენი მიჰქონდა, რადგან გლეხის გადასახადს ამ განაწილებით არაფერი ემატებოდა და არც აკლდებოდა.

მოხელეებად უფრო ხშირად ბეგები იყვნენ, ჩამომავალნი ქართველ თავად-აზნაურებისა. რუსები რომ დამკვიდრდნენ მესხეთში, ბეგების მომეტებული ნაწილი ოსმალეთს გადიხვეწა და თავიანთი ნაპერი სოფლები მიჰყიდეს როგორც საკუთრება მოქალაქეებს, აზრუმიდან მოსულ სომხებს და ქართველ თავად-აზნაურებს. ბევრი უკანონობა დატრიალდა ამ სყიდვა-გაყიდვის დროს, მაგრამ რადგან ახალმა მთავრობამ ვერც თავი გაუგო და ვერც ბოლო ამ დახლართულ საქმეს, ბევრის კვლევა-ძიების შემდეგ საქმე სასამართლოში მოსპეს და გასყიდული მამულები საკუთრებად დარჩათ მყიდველებს. ბეგებსაც, ვინც აქ, საჩვენოში, დარჩნენ, საკუთრებად დაუმტკიცეს მათი ნაპერი და დაჩემებული სოფლები. ასე გაჩნდა კერძო საკუთრება მამულისა სამცხე-საათაბაგოში, რუსების მოსვლის შემდეგ.

14 მაისს 1870 წ. გამოვიდა საბოლოო კანონი, რომლის ძალით გლეხობას მიეზომა სასარგებლოდ და სახმარად ის მამული და სახლ-კარი, რაც ხელში ეჭირა. ბეგებისა და მამულის პატრონთა სასარგებლოდ გლეხი იხდის შემოსავლის მეათედს, ან ათში ერთს.

სამცხე-საათაბაგოს გლეხ-კაცი შედარებით ქართლისა, კახეთისა და იმერეთის გლეხობასთან, შეღავათიან პირობებში ცხოვრობს, რადგან იხდის მამულის პატრონის სასარგებლოდ მოსავლის მეათედს, ქართლელი, კახელი და იმერი კი მეოთხედს. შეშა-ფიჩხითაც უფასოდ სარგებლობს, სადაც ასეთი ჩვეულება იყო. ჩვეულებისაებ

ძალით წველელ ფურზე იხდის წელიწადში გირვანქა ნახევარ ერბოს და ამდენსაეე თაფლს თითო ფუთკრის სკაზე.

ქართლსა და იმერეთში გლეხ-კაცობა ძალიან ეტანებოდა ძველად მამულის შეძენას საკუთრებად. ამიტომ ეს კუთხენი სავსეა მესაკუთრე გლეხებით. ხოლო ასე არ არის სამცხე-საათაბაგოს. ამ ქვეყანაში სრულებით არ მოიპოვება ისეთი გლეხი, რომ საკუთარი მამული ჰქონდეს. მარტო ამ ბოლო დროს შეუდგნენ მამულის სყიდვას თითო-ოროლა სოფელში.

სამცხე-საათაბაგოს ყოველ ყანას და ხნულს, ხევსა და ღელეს, მთასა და გორას, ტყესა და ჭალას წმინდა ქართული სახელი ჰქვიან. მარტო თითო ოროლა ადგილას ძველი სახელი უთარგმნიათ ოსმალურად, მაგალითად ოქროს ციხეს ეხლა ალტუნ-ყალას ეძახიან. შემოხიზნულ სომხებს და იმ ქართველ მაჰმადიანთ, რომელთაც დაივიწყეს სამშობლო ქართული ენა, არ ესმით მნიშვნელობა სხვა და სხვა სახელწოდებისა, მაგრამ სახელი კი მაინც ხმარებაშია. ამ გაუგებლობის მიზეზია, რომ ზოგიერთა სოფლის სახელი საშინლადაა დამახინჯებული და გადაგვარებული. მაგალითად სოფელ ძველს ეძახიან „ზურზელსა“, სოფელ სასძლოს უწოდებენ „სადზელსა“.

ძველად სამცხე-საათაბაგო, საქართველოს ნაწილს რომ შეადგენდა და აგრედვე ათაბაგების დროს, მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. მას შემდეგ ამ ქვეყანამ ბევრი მწუხარება გამოიარა, ბევრჯელ შემოესია მტერი და უწყალოდ ააოხრა. მრავალი სოფელი გაჰქრა და დღეს მხოლოდ მათი კოხტა სახელი-ღა დარჩენილა ერის ხსოვნაში.

ნასოფლარებს ეხლა ვერანას ეძახიან. ამისთანა ვერანა ამ ჟამად ასზე მეტია. იქნება მეტიც იყოს, მაგრამ ჯერ-ჯერობით მათი სახელები არ ვიცით. აი რამდენიმე ვერანის, ან ნასოფლარის სახელი. გოგოთ-უბანი, გაყინულა, თეთრი-ჭალა, თაფლა-ხევი, თავის-ჯვარი, მამაპიხელი, მარიამ-წმინდა, საყევარი, სამეფო, საღორე-ხევი, საწერეთლო, ქორის-ხევი, შუა-კარავი, ჭოჭები, ჯინჭველა-ხევი და სხვა. ყოველ ვერანას საკუთარი ეკლესია აქვს, ზოგი კარგად შენახული, ზოგი კი დანგრეულ-დაქცეული.

სამცხე-საათაბაგოს ველ-მინდორი უხვადაა მოფენილი შესანიშნავ ისტორიულ ნაშთებით. არსად საქართველოს სხვა ნაწილში იმდენი ციხე და ეკლესია-მონასტერი არ მოიპოვება, როგორც აქა. ეკლესია-მონასტრების სიუხვით ამ ქვეყანას თუ შეედრება მდინარე ჭოროხის ხეობა. ციხე-მონასტერთა სიმრავლე და სიუხვე ცხადად ამტკიცებს, რომ ძველად ამ კუთხეში სიცოცხლე სდუღდა და გადმოდიოდა, რომ მესხი სულიერად და ნივთიერად ღონიერი ყოფილა. დიდად საწყენი და დასაღონებელია, რომ მესხეთის ბედი უკუღმართად წავიდა. წინ წასვლისა და წარმატების მაგიერ უკან დაიხია, გაღარიბდა, სულით დაეცა და წარსულის დიდების ნიშან-მოწამეს პატრონობას ვეღარ უწევს და ეკლესია-მონასტრები და ციხენი თავზე ენგრევა. ქარი და წვიმა, ადამიანის უგუნური ხელი თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო, სწიწკნიან და ჭგლეჯენ უწყალოდ ჩვენ წინაპართაგან დატოვებულ განძსა. კულტურითა და სწავლით განთქმული ევროპელები დიდის მოწიწებით და მოკრძალებით ეკიდებიან ისტორიულ ნაშთებს, უვლიან და ჰპატრონობენ. დღევანდელ ქართველებს თითქოს სამუ-

დამოდ გაუქრათ გულში წარსულის სიყვარულიო, სწორედ ისე იქცევიან. უბრალო ქვის ლობე რა არის, იმასაც კი არ უკეთებენ იმისთანა შესანიშნავ ტაძარს, როგორიცაა ჭულები და შიგ თავისუფლად ბინას იკეთებს ხან ნადირი, ხან მწყემსი, ავსებენ უსუფთაობით და კედლებს სვვარტლავენ. ბევრგან ეკლესიათა თაღის სურათები თოფის ტყვიითა დახვრეტილი.

ბორჯომის ხეობაში სამი ციხეა: პეტრესი, ტიმოთისა და აწყურისა. ამ რამდენიმე წლის წინად ზარბაზანი უსროლიათ აწყურისა და ტიმოთის ციხეთათვის, უნდოდათ თურმე გამოეცადათ სიძლიერე ზარბაზნისა. რკალივით შენგრეული კედლები, მტკვრის ნაპირზე მიმავალ ქვაფენილ გზას, რომ დაჰყურებენ, ცხადად მოწმობენ, რომ წარსულის სიყვარული არა გვაქვს და არ ვიცით მისი პატივისცემა.

დღევანდელი სოფელი აწყური ძველად ყოფილა ქალაქი და დასახლებული მესხებით, ურიებით და სომხებით. ეხლა აწყურელები გამაჰმადიანებულები არიან, ხოლო ქართული არ დავიწყებიათ. არის სამინისტრო სკოლა, მაგრამ ქართულს არ ასწავლიან. ამ სკოლაში ისეთი მასწავლებელიც ყოფილა, რომელიც ამბობდა, რომ აწყურელები თათრები არიანო. მტკვრის მარცხენა ნაპირზე მოსახლობენ მართლმადიდებელი ქართველნი, სომეხნი და ურიანი. ქართველებს აქვთ სამრევლო სკოლა, სადაც ქართული ენაცაა. აწყურში იჯდა მიტროპოლიტი და კათედრად ჰქონდა მშვენიერი გუმბათიანი ტაძარი. გუმბათი ჩამონგრეულა, ინგრევა აგრედვე კედლები. ამ ეკლესიის გალავანში დასაფლავებულია ჰაბუკი ბატონიშვილი ლევან იულონის

ძე, რომელიც ლეკებმა მოჰკლეს 1811 წელს პეტრეს ციხესთან.

სოფელი აწყური იმითიცაა შესანიშნავი, რომ რუსის მხედრობის სარდალმა გრაფ ტოტლებენმა უღალატა აწყურთან 1770 წ. აპრილის თვეში მეფე ერეკლეს. ეს გენერალი რუსეთიდან იმისთვის გამოგზავნეს, რომ ქართველების დახმარებით ოსმალები დაემარცხებინა. ბრძოლა რომ უნდა დაწყებულიყო, სწორედ მაშინ გამობრუნდა ტოტლებენი, დასტოვა მარტო ერეკლე ძლიერ მტრის წინაშე და თვითონ აბასთუმნის გზით ზეკარის უღელტეხილზე გადაიარა და იმერეთს ჩავიდა. ერეკლემ მაინც აწყურთან გაიმარჯვა და 21 აპრილს ხომ საესებით დაამარცხა ოსმალეთის ჯარი სოფ. ასპინძასთან.

ეხლანდელ ახალციხის მაზრაში კიდევ შემდეგი დიდი ციხეებია: რაბათისა, აბასთუმნის ხეობის შესავალში; ოქროს-ციხე *), ქვაბლიანში; ჯაყისმანისა, სადაც მდინარე ჯაყის-წყალი ერთვის ფოცხოვის წყალს; ასპინძისა, სადაც ერეკლემ დიდად დაამარცხა ოსმალონი 1770 წელს, თვით ქალაქ ახალციხის ორპირი ციხე და საკირესი. უკანასკნელი ციცაბო და განმარტოებულ გორაზეა აშენებული, როგორც გორის ციხე. საკირეს ციხე თავს დაჰყურებს ს. ტაძრისს, სადაც ძველად შესანიშნავი დედათა მონასტერი ყოფილა, ეხლა კი ცარიელი ნანგრევებია.

---

*) ლალა-ფაშა რომ შემოესია საქართველოს 1578 წელს, ათაბაგ ქაიხოსროს ცოლი დედის-იმედი დიდხანს გამაგრდა ამ ციხეში. დედის-იმედის შვილმა მანუჩარმა პირველმა მიიღო მაჰმადის რჯული და სახელად დაერქვა მუსტაფა-ფაშა. მისი ძმა ბექა დაინიშნა ახალციხის ფაშად, სახელად დაარქვეს საფარ.

აქ ჩამოთვლილ ციხეების ნახვა ძალიან ადვილია, ქართველებს რომ უყვარდეთ ევროპელებსავით მოგზაურობა და სამშობლო ქვეყნის მიმოხილვა და შესწავლა. პატარ-პატარა გუნდები რომ შეადგინოს ახალგაზდობამ, ზურგზე წამოიკიდოს პარკუჭანებით საგზალი და ჩაიცვას საგზაო ქალამნები, სულ ორ კვირეს მოივლის ფეხით მთელ სამცხე-საათაბაგოს, დაათვალიერებს ისტორიულ ციხეებს და ეკლესია-მონასტრებს და დასტკბება სულიერად მათის ხილვით და აგრეთვე იმ დიდებულ ბუნებით, რომლითაც ასე უხვადაა დაჯილდოვებული ჩვენი საწყალი ქვეყანა.

ეკლესია-მონასტრები ხომ აუარებელია დიდებულ მესხეთის ნაწილ სამცხე-საათაბაგოში. უფრო შესანიშნავია ზარზმა, საფარა, ჭულე, ანუ ჭულები, შორეთი, გავეთი, კარზამეთი, ჯაყისმანი, საკუნეთი და კლდეში გამოქვაბული მონასტერი ვარძია.

ზარზმა აგებულია მეათე საუკუნეს ქრისტეს დაბადების შემდეგ დავით კუროპალატის დროს. მაშასადამე მონასტერი არსებობს ცხრაასი წელიწადი. ახალციხიდან ზარზმამდე 35 ვერსია, გზა მშვენიერია და ქვაფენილი. ასე ლამაზი, კოხტა და ტურფა საყდარი ორი არ მეგულება მთელ საქართველოში. ზარზმა აშენებულია ამაღლებულ ადგილზე და თავს დაჰყურებს ქვაბლიანის ხეობას. გარემო მთები ტყითაა შემოსილი, ძირს ხეობა საესეა ხეხილის ბაღებით და საამურად მიიკლაკნება მათ შორის მდინარე ქვაბლიანი. სილამაზე ბუნებისა და სიტურფე ტაძრისა უნებურად ჰხიბლავს და ათრობს მაცქერალს და არ იცი, რას უყურო—ტურფა შენობას, თუ თვალ წარმტაც ბუნებას. სწორედ უფალს უხვი თვისი კალთა აქ, ზარზმაში, დაუბერტყია.

ზარზმას დიდი ბედი ეწვია. განსვენებულმა დიდმა მთავარმა გიორგი ალექსანდრეს ძემ თვისის ხარჯით და საფასით განაახლა ტაძარი, გაასუფთავა და გაამშვენიერა. ზარზმაშია დახატული ათაბაგნი: სარგისი I, შვილი მისი ბექა I, და შვილიშვილები სარგისისა: სარგისი II და ყვარყვარე.

ზარზმის სიახლოვეს, სოფ. ადიგვენის თავზე, მეორე მონასტერი ჭულეა, ზარზმასავით მშვენიერი. სამრეკლო ისეთი ლამაზია, რომ მისი ბადალი არ მოიპოვება მთელ საქართველოში. ჭულები უპატრონოდ გდია, თუმცა ის მამული, სადაც აგებულია ჭულები, ეკუთვნის მდიდარ მებატონის ფეიზულა ბეგ ქვაბლიანელის მემკვიდრეებს. მონასტერი აგებულია 1308 წლამდე. კედლებზე ათაბეგებია დახატული.

მესამე შესანიშნავი მონასტერი საფარაა. ახალციხიდან მონასტრამდე სულ შვიდი ვერსია. მონასტერში თორმეტი თლილის ქვის ნაგები ეკლესია ყოფილა. თერთმეტი დღესაც კარგადაა შენახული, მეთორმეტე კი დაქცეულა. ამ ეკლესიათა შორის შესანიშნავია წმინდა საბას ეკლესია. ქვა საყდრისა მოწითალოა, აშენებულია ხრამის პირას. კარი და ფანჯარა წმ. საბას ეკლესიისა დიდებულადაა შემკობილი ჩუქურთმით. ეკლესიის ქვებზე მრავალი ხუცური წარწერებია. მონასტერი აშენებულია მეთორმეტე საუკუნეში.

საფარაში დაბინავდნენ უვიცი ბერები და სულ გააოხრეს ეს შესანიშნავი და ტურფა მონასტერი. კედლები კირით შელესეს და გააფუჭეს ძველი მშვენიერი მხატვრობა. მას შემდეგ რაც აქ ბერები დასახლდნენო, ამბობს ერთი ისტორიის მცოდნე სწავლული, საფარას ნახევარი ფასი დაეკარგაო.

ახალციხისაკენ მაზრაშია მეოთხე შესანიშნავი და ისტორიაში განთქმული, კლდეში გამოქვაბული მონასტერი ვარძია. ს. ხერთვისიდან ვარძიამდე მტკვრის ვიწრო ხეობით იქნება 18—20 ვერსი. მონასტერში მრავალი გამოქვაბული სენაკია ბერებისა, რამდენიმე სართულად გამწკრივებული. ეკლესიებიც ბლომადაა, სულ კლდეში გამოქვაბული. უმთავრეს ეკლესიაში დახატულია თამარ-მეფე იმ სახით, როგორც ჰხატავენ ამ მეფეს სურათებზე. მეთოთხმეტე საუკუნეს მონგოლებმა აიკლეს ვარძია, ხოლო მეთექვსმეტე საუკუნეს ყიზილბაშებმა.

ამ ჟამად მცირედად განახლებულ ვარძიაში ცხოვრობს მოხუცი არქიმანდრიტი სიმონ წულუკიძე და დარაჯობს მონასტერს.

ამბობენ ძრიელ უყვარდა თამარ-მეფეს ვარძიაში ცხოვრება და დროს გატარებაო. გამოქვაბულია ერთი დიდი დარბაზი, რომელსაც ეძახიან სახელმწიფო საბჭოს დარბაზს. თამარის თავმჯდომარეობით დიდებულნი საქართველოსნი აქა სწყვეტდნენ ქვეყნის საქმეებს.

დღეს ამ დარბაზში თავისუფლად მხოლოდ ღამურანი დაფრინავენ.

II

ჯ ა ვ ა ხ ე თ ი.

ჯავახეთი მეორე წარჩინებული ნაწილია დიდებულ მესხეთისა, ანუ ზემო ქართლისა. ისტორიული ჯავახეთი კარგა მოზრდილი ქვეყანა იყო. დღევანდელ ახალქალაქის მაზრის გარდა ჯავახეთს ეკუთვნოდა აგრეთვე არტაანი, ეხლა რომ არდაგანს ეძახიან. ამ ჟამად ჯავახეთს

ვეძახით საქართველოს იმ კუთხეს, რომელსაც რუსებმა ახალქალაქის მაზრა უწოდეს და ოსმალონი კიდევ ახალქალაქის სანჯაყად იხსენიებდნენ.

მართალია ჩვენს მთავრობას არ უყვარს ძველი ისტორიული სახელები და, თუ კი შესაძლებელი და მოსახერხებელია, ყველგან და მუდამ ჰსპობს ძველის ნიშანწყალს, მაგრამ ერის ხსოვნა აგრე ადვილად როდი ივიწყებს ძველ სახელს. ისტორიული სახელი ცარიელი სიტყვა ნუ კი გგონიათ. იგი სავსეა ნეტარისა და პოეტურის მოგონებით, ჩაქსოვილია ხალხის გულსა და ხსოვნაში. ისტორიული სახელი ტკბილი და საამო ნანაა, რომელიც მუდამ და განუწყვეტლივ აახლებს და აგონებს ადამიანის მამა-პაპათა ქველობა-ვაჟკაცობას, ჭირსა და ლხინსა, ბედნიერებას და უბედურებას. კაცს არ შეუძლიან დაივიწყოს ერის თავგადასავალის გამომხატველი ისტორიული სახელი, როგორც არ შეიძლება დავიწყება სიკვბუკე-სიყმაწვილისა. ისტორიის დავიწყება თავის თავის დავიწყებაა, ანუ ზნეობრივი და ფიზიკური სიკვდილი.

დღევანდელი ჯავახეთი, ან ახალქალაქის მაზრა, როგორც საათაბაგო, პატარა ქვეყანაა და უჭირავს სულ რაღაც 2407 ოთხ-კუთხი ვერსი, ან 250,729 დესეტინა (501,458 დღიური). ამ მცირე ადგილზე ცხოვრობს 84,183 სული მამრი და მდედრი.

აღმოსავლეთით დღევანდელ ჯავახეთს უდევს ბორჩალოს მაზრა (ჯავახეთის მთანი), დასავლეთით ახალციხის მაზრა (მდინარე მტკვარი), ჩრდილოეთით გორის მაზრა (თრიალეთის მთანი, კოდიანის მთის ტოტი) და სამხრეთით ყარსის ოლქი (ნიალის ყურის მთა).

ისტორიული ბედი და თავგადასავალი ჯავახეთისა

ისევე მოუსვენარი და შფოთიანი იყო, როგორც საზოგადოდ საქართველოს დანარჩენ სხვა ტომთა. მარტო წისქვილი არ დატრიალებულა მის თავზე, თორემ სხვა უბედურება, ჭირი და ვაგლახი ბევრისაგან ბევრი უნახავს. აღმოსავლეთში არც ერთი ძლიერი ტომი და ერი არ დარჩენილა, რომ არ გაეთელოს ჯავახეთის ფართო და კალოსავით გაშლილი ველ-მინდორი. საუბედუროდ ზოგჯერ თვით ქართველებიც შეესეოდნენ ხოლმე ჯავახეთს და ზარალს აძლევდნენ.

ვიდრე საქართველოში მეფობას შემოიღებდნენ, ჩვენი სამშობლო საერისთავოებად იყო დაყოფილი. ჯავახეთს განაგებდა და ჰპატრონობდა წუნდის ერისთავი. წუნდა მაშინ ქალაქი იყო და მდებარეობდა მტკვრის ვიწრო ხეობაში, თმოგვის ციხის პირდაპირ და გამოქვაბულ მონასტერ ვარძიის სიახლოვეს. ამ ჟამად წუნდას ნაქალაქევს ეძახიან და წარსულის დიდებისა აღარა ეტყობა-რა. ნაქალაქევი პატარა და უხეირო სოფელია.

წუნდას გარდა ჯავახეთში სხვა ქალაქებიც იყო, მაგალითად ხერთვისი, ბარალეთი, გოკია და არტაანი. ხერთვისი დღეს კოხტა სოფელია, შემკული ბაღ-ვენახებით. ხერთვისელებმა ქრისტეანობა შესცვალეს მაჰმადის რჯულზე და მტკიცედ ადგანან ამ სარწმუნოებას. ხერთვისში თავი გვარი ყოფილა ძველად ვაჩნაძე. ვაჩნაძიანი დღესაც არიან და ამ გვარიდან ინიშნებოდა მაჰმადის რჯულის პირველი სამღვდელო კაცი — ყაზი. ნაქალაქევსა და გოკიაში სრულებით აღარ არიან ქართველები. იმათ მაგიერ დასახლებულან თარაქამები, რომელთაც ერთი სიტყვა ქართული არ იციან. ბარალეთში მართლ-მადიდებელი ქართველობაა დღეს და აზრუმიდან მოსული სომხები გრიგოლის სარწმუნოებისა.

ჯავახეთი, ან წუნდის საერისთავო საქართველოს სამეფოს განუყოელი და განუყოფელი ნაწილი იყო დიდ ხანს. ხოლო ოდეს სამცხის ბატონი გაძლიერდა და საქართველოს მეფეს თავს აღარ უკრავდა, დაეპატრონა ჯავახეთსაც.

ჯავახეთსაც ისევე, როგორც სრულიად მესხეთს, ან ზემო-ქართლს, თავისუფალი ცხოვრება და არსებობა მოესპო ოსმალეთმა მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში (1625 წ.). ორას წელიწადზე მეტი იბატონეს ოსმალეთის მთავრობის მიერ დადგენილმა ფაშებმა. ხეპრე და უწიგნო მთავრობამ მარტო ის მოახერხა, რომ მრავალმა ჯავახმა რჯული გამოიცვალა და ქრისტეანობის მაგიერ მაჰმადის რჯული იწამა. ამის გამო თითქმის სავსებით დაეცა ძველი მამა-პაპეული სარწმუნოება, შესანიშნავი ტაძარი კუმურდოსი უპატრონობისაგან წახდა და ეხლა ბან-ჩამონგრეული დაღვრემილი შესცქერის უცხო ტომით დასახლებულ არე-მარეს.

საერთოდ საქართველოს ისტორია სისხლის მელნითაა დაწერილი. განსაკუთრებით ილეწებოდა მტრისაგან განაპირა კუთხენი, იგინი ნელ-ნელა იცლებოდნენ სისხლიდან და ღონე-მიხდილი ქართველობის იერს და ელფერს ჰკარგავდნენ. ქართველების ნასოფლარ და ნაქალაქეე ადგილებზე სხვა უცხო ტომი სდებდა ბინას და ჩვენ წინაპართა სისხლით გაპოხიერებულ ნიადაგს სხვა ისაკუთრებდა. ჩვენ მიერ ნაამაგდარი მშობელი მიწა სხვას უჩენდა სარჩო-საბადებელს, ხოლო ჩვენ, მისი კანონიერი მემკვიდრენი, იძულებული ვხდებით უცხო ქვეყანას შევაფაროთ თავი და იქ ვეძებოთ სარჩო-საბადებელი.

გამუდმებულმა მტრის შემოსევამ ძარღვი მოუდუნა

ჯავახს, გააღარიბა, გააღატაკა და რაოდენობით შეაკვი-
რა. სადღაა ჯავახეთის ძველებური სიმრავლე ერისა?
ქართველთა სოფლები დღევანდელ ჯავახეთში აქა-იქა
კიკეიენობენ, როგორც აზვირთებულ ზღვა-ოკეანეზე
აფრა-ჩამოშვებული და საქეებ მომტვრეული ნავი.
ბევრი-ბევრი დღევანდელ ჯავახეთში ქართველობა სამ-
თავე წესისა: მართლ-მადიდებელნი, კათოლიკენი და მაჰ-
მადიანნი მეექვსე-მეშვიდე ნაწილს შეადგენდნენ.

მოკლედ რომ მოვკრათ სიტყვა, აი რა აოხრება
და დარბევა განიცადა ისტორიულმა ჯავახეთმა. მერვესა
და მეცხრე საუკუნეს, ქრისტეს დაბადების შემდეგ, არა-
ბებმა გალეწეს ჯავახეთი. ადვილად არ ემორჩილებოდნენ
მაშინდელი მხნე და გმირი ქართველები შემოსეულ
მტერსა, მუდმივ ებრძოდნენ და ამასობაში ბრძოლის
ველი—ჯავახეთი სულით-ხორცამდე იღუპებოდა ასევე
დაემართა ამ პატარა ქვეყანას, ბერძნების იმპერატორი
ვასილი რომ შემოესია საქართველოს. პირშავ ლიპარიტ
ორბელიანის და მეფე ბაგრატ IV ბრძოლის დროსაც
სიკეთე არ დაჰყრია ჯავახეთს.

სულთან ჯალალ-ედინის და საერთოდ მონგოლე-
ბის შემოსევამ მთლად აამტუტა ჯავახეთი. ამბობენ,
ერთი წენობაც ალარ დარჩენილა დაუნგრეველიო. დანგ-
რევა-დაქცევას გადარჩენია მხოლოდ ციხენი და გამაგრე-
ბული ადგილები.

მეთხუთმეტე, მეთექვსმეტე და მეთვრამეტე საუკუ-
ნოებში რამდენჯერმე შემოესივნენ ჯავახეთს ყიზილბაშ-
თა განთქმულნი შაჰნი. თმოგვი, ვარძია და სხვა მაგარი
ადგილები სულ დაანგრიეს. ნადირ-შაჰმა რაც ქონება
ჰქონდათ ჯავახებს, სპარსეთს წაიღო, თანვე წაასხა სა-
ქონელი. ტყვეები არ წაუყვანიათ, ამბობს მატიანე.

ალბად ყველას სიცოცხლეს უსპობდა, ვინც ხელში ჩაუვარდებოდა და დახოცილთა გვამნი რაღაში ეპრიანებოდა გამძვინვარებულ სპარსეთის უგუნურ ბატონს.

ოსმალებმა რომ მოიკალათეს ჯავახეთში მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში და შინ დაბრუნებას აღარ აპირობდნენ, ქართლ-კახეთის მეფენი, მამა-შვილი, თეიმურაზი და ერეკლე, სულ იმის ფიქრში იყვნენ, თუ როგორ დავუბრუნოთ ჯავახეთი საქართველოსაო. ოსმალების ჩამოთესლება საათაბაგოს და ჯავახეთს გულში ლახვარივით მოჰხვდა თეიმურაზსა და ერეკლეს. როგორც თითის ნუნაში შესობილი ხიკვი არ ასვენებს კაცს, ისე ეს მეფენი ვერ ისვენებდნენ ოსმალების ახლო მეზობლობით. ორჯელ თეიმურაზი და ორჯელ ერეკლე შეიჭრნენ ჯავახეთს, გამარჯვებითაც გაიმარჯვეს ოსმალოს ჯარებზე, თან ქვეყანაც დაზარალდა ომიანობით, მაგრამ ჯავახეთ-საათაბაგო ვერ დაიბრუნეს. ჯავახეთ-საათაბაგოს დაბრუნების სურვილი იყო ერთი უმთავრესი მიზეზი, რომ მეფე ერეკლე მიეკედლა რუსეთს და პირობა დაუდო,— უთუოდ ეს ორი ქვეყანა დაუბრუნეთ საქართველოსაო.

ასრულებით აასრულეს პირობა რუსის მხედართმთავრებმა, მაგრამ დღეევანდელ ქართველს გაუკირდება თამამად და გადაჭრით სთქვას,—რა ეჯობინებოდა, ასრულება პირობისა, თუ აუსრულებლობა მისი.

23 ივლისს 1828 წელს გრაფ პასკევიჩმა დაიმორჩილა ახალქალაქი და 2 სექტემბერს ქ. ადრიანოპოლში ხელმოწერილ სამშვიდობო ტრაქტატის ძალით ჯავახეთი შემოუერთდა რუსეთს და მაშასადამე საქართველოსაც, როგორც რუსეთის იმპერიის ნაწილს.

ამავე დროს მოხდა საოცარი და სამწუხარო ამბავი. გამაჰმადიანებული ჯავახობა ოსმალეთს გადიხვეწა და

დაცარიელდა ჯავახეთი მკვიდრისაგან, რომელიც ათას წლობით თავს დასტრიალებდა ქვეყანას, ავი იყო თუ კარგი, უვლიდა და ჰპატრონობდა. დარჩა მხოლოდ მცირეოდენი ჯავახობა. გრაფ პასკევიჩმა დაცარიელებულ ჯავახეთის სოფლებში ჩააყენა აზრუმიდან წამოყვანილი 6,000 კომლი სომეხი და რაოდენიმე ოჯახი ბერძენი. შემოხიზნულ სომხებს დაურიგეს დაცარიელებული სოფლები, მიუზომეს ადგილ-მამული, ოჯახისა და მეურნეობის მოსაწყობად მისცეს ფული, ხოლო ხელოსნებს სახელოსნო იარაღი. ერთი სიტყვით რაც შეეფერებოდა მაშინდელ დროს სტუმართ მოყვარე რუსის მთავრობას პატივისცემა არ დაუკლია ახალშენელებისთვის.

გამართლდა ჯავახის თქმული: „ოთხმოცჯერ წახდენილა ჯავახეთი, ოთხმოც და ათჯერ აღშენებულაო“. აღშენებით აღშენდა ჯავახეთი, მაგრამ სხვანაირად, უკუღმა. ქართველების გასაგისი თითქმის ამოვარდა და მათ ნაოხრებზე სხვა დამკვიდრდა.

მეფე ბაგრატ IV (1027 — 1072 წ.) ააშენა ქალაქი ახალქალაქი, რომელიც ამ დროიდან ითვლება ჯავახეთის უპირველეს ქალაქად. ამ ჟამად ახალქალაქშია (1897 წლის აღწერილობით) სულ 5440 სული მამრი და მდედრი. სომეხია 4024 სული, ქართველი 297, დანარჩენი სხვა ტომისაა. აქედან სჩანს, რომ ჯავახეთის დედა ქალაქს ქართულ ქალაქის იერი და ელფერი დაეკარგა.

ჯავახეთი უხილო, უვენახო და უტყეო ქვეყანაა, მაგრამ ამასთანავე ყვავილიანი და წყაროიანი. მამული ღონიერი და ნაყოფიერია და იცის მოსავალი მოუცდენელი. ხნული კუპრივით შავია და ალაგ-ალაგ სილრმე შავ მიწისა თითქმის არშინ ნახევარია. ნაადრევი ყინვე-

ბი, გვალვა და ხშირი სეტყვა რომ არ იცოდეს, ჯავახეთი მთელ საქართველოს დააპურებდა მოსავლით. რაც უნდა იყვეს, შაინც ისე არ მოსცდება, რომ ხორბალი შორიდან მოსატანი გაუხდეს ჯავახს. მოსავლიან წელიწადს ხომ პური და ქერი ბლომად გააქვთ აქედან გასასყიდად.

ველ-მინდორი ჯავახეთისა ფართოდაა გაშლილი. ამირანის გორიდან *) რომ დაჰყურებ, გეგონება უზარმაზარი ზღვა-ოკეანე გაჭიმულაო. კოდიანის მთის კალთაზე შეფენილ სოფელ ბურნაშეთიდან თითქმის მთელი ჯავახეთი მოსჩანს. ზაფხულობით, სწორედ საამო სანახავია ზურმუხტის ფრად აბიბინებული და ამწვანებული მინდორი. გაზაფხულის გასულს სურათი იცვლება: შემოსული ყანები ოქროს ფერს იღებს და თვალ გადუწვდენელი მინდორი მცირეოდენ სიოსაგან ირხევა ლერწამსავით და ჰღელავს ზღვასავით. თუ ბარს ბურუსი არ აყრია, ცა მოწმენდილია და კარგი დარია, ამ დიდებულ სურათს ბუნების მოტრფიალე ადამიანი თვალს ვერ მოაშორებს. გინდა უყურო სიკვდილამდე ბუნების სიკეკლუცეს და ამაგს ღონიერ ადამიანისას.

ბევრჯელ დავმტკბარვარ უზომოდ ამ დიდებულის სურათის ცქერით, ბევრჯელ უნებურად ამიღია ხელი საქმიანობაზე და ბევრჯელ უნებურადვე გონების თვალი წარსულისთვის მიმიცია, იმ წარსულისთვის, ოდეს ბილწი ყმობა-მონობა გვძაგდა და თავისუფალ ცხოვრებისთვის სიცოცხლეს არ ვზოგავდით.

ეხლა ხომ სულ სხვაა. სანთელსავით დნება ჩვენი

---

*) თურქები „თავშანს“—კურდღლის გორას ეძახიან; რუსებმა ეს სახელი „თავშანკად“ გადანათლეს.

სახელი და ვითქვიფებით უცხო ტომთა და ერებში რო-
გორც მაწონი სადღვებელში. შედარებანი წარსულისა
და აწმყოსი, მოგონებანი, ზოგი ტკბილი და ზოგი
მწარე ფუტკარსავით ირევა გონებაში. გარინდებული,
გაქვავებული დგეხარ სვეტივით და იტანჯები გამოუთქ-
მელ სევდა-ვარამით. აზრი და გონება, მთელი სულიერი
არსება ძლიერად კვნესის და სწუხს, რომ ეს დიდება
ბუნებისა, მისი მშვენიერება, ეს მობიბინე ველ-მინდორი
ხომ ჩვენი იყო და რატომ აღარაა ჩვენი? რად დაგვე-
მართა ასეთი საქმე? რად დატრიალდა ასე უკუღმართად
ბედი ჩარხისა, რომ ჯავახი, ჩვენი სისხლი და ხორცი,
საუკუნოებით ამ ქვეყნის მომვლელ-პატრონი, მისი
დამცველი, მოამაგე და მოპირნახულე, ზოგი გაწყდა
მტრის ხელით და ზოგი გადიხვეწა ოსმალეთს? რად მოხ-
და ისე, რომ ჩვენ ჩვენს ქვეყანაში სტუმრებს დავემ-
გზავსეთ და შემოხიზნული უცხოელი დაეპატრონა ქვე-
ყანას? ისეთი რა დავაშავეთ, რომ ქვეყანა გაგვიოხრდა
და გაგვიევერანდა? მთასა და გორას, ველსა და მინდორს,
დაბასა და სოფელს მხოლოდ სახელი-ღა შერჩა ქართუ-
ლი, თორემ სახრავი დიდი ხანია სხვამ მიითვისა. ესეც
არ იკმარეს და ცარიელ სახელსაც გვედავებიან. ქვის-
ჯვარს (სოფ. ქოთელიას და ხანდოს შორის) ხაჩ-კარი
უწოდეს, ნიალის-ყურს გეგ-დალი და სხვა.

ეს ხომ ასეა, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ შემო-
ხიზნულნი ვერ შეიყვარებენ ახალ სამშობლოს და პირს
იქით იზამენ, საიდანაც მოსულან, ან სხვაგან მოსძებ-
ნიან ბინას. სამშობლოს მოწყვეტილი ადვილად ვერ დას-
დებს ბინას უცხო ქვეყანაში. საბაბად უბრალო მიზეზი
ეყოფა, აიყრება და წავა ან სხვაგან, ან ძველ სამშობ-
ლოს მიადგება. ამისი მაგალითი ბევრია. ათას წელიწად-

ზე მეტია, რაც გაიბნა ებრაელობა, და მაინც თვალი იერუსალიმისკენ უპირავს. სამასი წელიწადი სრულდება რაც ქართლ-კახეთიდან ყიზილბაშებმა წაასხეს ქართველები თავიანთ ქვეყანაში, მაგრამ მათ ჩამომავლობას მაინც გული ეთანაღრება და ძველ სამშობლოსკენ მოიწევს.

წარსულის მოგონებით გამოწვეული სევდა-ვარამი, გულს რომ უთუთქამს ხოლმე ადამიანს, არ გეგონოთ, რომ ბოროტება და სიძულვილია ხიზან-სტუმრისადმი. სევდა სამშობლოსი ბუნებითი გრძნობაა, დაბადებით დაყოლილი. აბა ნაამაგდარ შვილის დაკარგვას როგორ აიტანს მოსიყვარულე დედის გული, თუ ზოგჯერ მდუღარე და ანკარა ცრემლი არ დაღვარა და გული არ მოიფონა!

ჯავახეთის მდებარეობა მაღალია, ზღვის პირიდან თითქმის 5,000 ფუტს უწევს სიმაღლე. ეს მაღალი მდებარეობაა მიზეზი, რომ ჯავახეთში ზამთარი დიდ-თოვლიანი და ყინვიანია. მარიამობისთვის ნახევარს ჯავახეთის მთის წვეროებზე: აბულსა და სანსარზე უკვე თოვლი მოდის. შემდეგ თოვლს ჩამოჰყრის ხოლმე კოდიანსა და ნიალის ყურეზე. ასე რომ შემოდგომის პირზე ჯავახეთის მთაგრეხილნი სამის მხრით თოვლით იმოსება და ლაზათიანს სუსხს იკერს. იმერელი, ან მეგრელი თავის თხელი და სიფრიფანა ტანსაცმელით გაფიჩხდება აქა, ისე საგრძნობელი და ძლიერია შემოდგომის სუსხი. სიცივესა და ყინვას მიჩვეული ჯავახი კი არხეინადაა, გაეხვევა ტყავში და მხნედ მუშაობს ხოლმე.

ბარში თოვლი გიორგობისთვეში მოდის; ქრისტიშობისთვის პირველ დღეებში გაჩაღებული ზამთარი დგება. ამ დროს სამარხილო გზა ჩინებულია.

დღისით აგრე რიგად არა ცივა ზამთარში, ღამ-ღამობით კი დიდ სიცივეს იჭერს. ხშირად სიცივე 10—15 გრადუსია რეომიურისა. უფრო დიდი ზამთარი ტბის ყურის და ფარვანას ტბის არე-მარემ იცის. ამ ადგილებში თოვლი მოდის ასე ენკენისთვის ნახევარს და ძლივ-ძლივობით დნება აპრილის თვეში.

გეოგრაფი ვახუშტი ამბობს, რომ ჯავახეთი უტყეო ქვეყანაა. დღევანდელ ჯავახეთში მართლაც ტყეები აღარაა, აქა-იქ მოიპოვება მხოლოდ ჯაგნარი, მაგალითად სანსარის მთის და ციხის-ჯვრის ფერდობსა და ძირობებზე. ჯავახეთზეევა მიწერილი ჭობარეთის ტყე, მაგრამ იგი საათაბაგოს სამზღვარზე დევს და ჯავახნი სიშორისა და უგზოობის გამო ვერა სარგებლობენ ამ ტყით. ჭობარეთი უფრო ბორჯომს, გორის მაზრას (ქართლს) ეკუთვნის, ვიდრე ჯავახეთს.

დიახ, ჯავახეთში ეხლა აღარაა ტყეები, მაგრამ ეტყობა, რომ ძველად დიდი ტყეები ყოფილა. სოფელ სანსარს დღესაც კარგადაა შენახული მშვენიერი მოზრდილი ეკლესია-ჭონასტერი. მონასტრის კედლიდან გადმოვარდნილა უშველებელი თლილი ქვა, ალბად მიწის ძვრის დროს, და ზედ ასეთი ხუცური წარწერა აქვს: ოდეს ეს წმიდისა ღვთის მშობლის ეკლესია აღშენდა, მაშინ ესე ადგილი ტყისაგან არა ჩნდაო. ეს წარწერა ნათლად გვიჩვენებს, რომ ძველად ჯავახეთში დაბურული და ხშირი ტყეები ყოფილა.

მე მგონია, რომ ტყეები თვით გეოგრაფ ვახუშტის სიცოცხლის დროსაც (18 საუკუნე) იქნებოდა ჯავახეთში. შეიძლება უღრანი და გაუტეხელი ტყე აღარ ყოფილიყოს, მაგრამ ალაგ-ალაგ გატეხილი მაინც შეჩენებოდა. მე ჩემი თვალით მინახავს ს. იხტილაში თავხე,

იქვე სოფლის ახლო მდებარე შეთხელებულ ფრთონის ტყეში მოკრილი. კოთელიელები ამბობენ, რომ ტყეები ჯავახეთში აზრუმიდან მოსულმა სომხებმა ამოაგდესო. რაკი სამშობლოში ტყის მოვლა-პატრონობა არ იცოდნენ და თვალითაც კი არ ენახათ, აქ რომ დაბინავდნენ, მიესივნენ ტყეებს და სულ გაანადგურეს... ჯირკვებს და დიდრონ ხის ფესვებს ეხლაც ვპოულობთ ხვნის დროსაო.

რადგან საწვავი შეშა-ფიჩხი არ მოიპოვება ადგილობრივ, ჯავახნი იძულებულნი არიან ხის მასალა შორიდან მოიტანონ სახლკარის ასაშენებლად. ხის მასალა გამოაქვთ ბორჯომისა, ოთისა და ზემო ოშორას ტყეებიდან. ბორჯომის ტყე მდებარეობს გორის მაზრაში და ოთისა და ოშორისა ახალციხისაში. დიდ შრომასა და ჯაფას ალევს ჯავახი ხის მასალის მოტანას; ერთი ხის მოტანას ყევარი ხარით და ურმით ექვსსა და რვა დღეს უნდება ხოლმე. უშეშობა და ზამთრის მკაცრი სიცივეა მიზეზი, რომ ჯავახი მიწურ სახლებს იკეთებს. ღრმად ამოთხრილ დედამიწას ტალახისა და ქვის კედლებს გაუვლებს, ზედ თავხეებს დააწყობს და ბანს სქლად მიწას აყრის. ზოგჯერ დაყრილ მიწის სიღრმე-სიმაღლე არშინ ნახევარს უწევს ხოლმე. ზამთარში კიდევ ამოდენა მიწას ერთი-ორი არშინი სიღრმე თოვლი დააწვება და ამგვარად ჯავახის სოფელი ზამთრობით მიწისა და თოვლისაგან აკოკოლავებულ ბორცვების გროვას უფრო ჰგავს, ვიდრე ჩვეულებრივ სოფელს.

შეშის მაგიერ ჯავახეთში ხმარობენ პურის გამოსაცხობად, საქმლის მოსახარშად და სახლის გასათბობად წივას. წივას აკეთებენ ასე: სხვილფეხა საქონლის ნაკელს შეაქუჩებენ გაზაფხულზე, ან ზაფხულში სახლის

წინ, ან კალოზე, დაზელენ ნიჩბებით და შემდეგ ამოსჭრიან აგურივით, გაჰფენენ კალოებზე, კალოს ღობეებზე და სახლის ბანებზე. როცა გამოხმება მზეზე, მწკრივად დაალაგებენ, როგორც საჟენის შეშას, ან ბჯას. ჯავახეთის სოფლები სავსეა ასეთი სასაცილო ბჯებით. ზოგიერთა ოხუნჯი კაცი, შორიდან მოსული, თუ სასაცილოდ აგდება უნდა ჯავახისა, იტყვის ხოლმე: ჯავახეთი სავსეა ყინვარე შაქრის კეცებითო.

ერთი საჟენი წივისა ფასობს 8—12 მანათი. ცხვრის ნაკელიდან ამოღებული წივა უფრო ძვირია, რადგან მეტი სიცხოველე აქვს და ღირს 14—16 მანათი საჟენი. წივის კეთება უფრო ქალების მოვალეობაა. მამაკაცები ეშველებიან ნაკელის დაზელაში და ალიზებად ამოღებაში. გაშრობა, გამწკრივება კალოებზე, შემდეგ ბჯად დადგმა სულ ქალების საქმეა.

წივის კვამლი ძალიან ავი ასატანია და თვალებს ძრიელ სწვავს. სიმყრალით სჯარბობს ცხვრის ნაკელისაგან მომზადებული წივა. რაც უნდა ბევრი წივა მოამზადოს ჯავახმა, მაინც ოოლად ვერ წავა ცივსა და გრძელ ზამთარში. ამის გამო ჯავახი სარგებლობს საქონლის სითბოთი. თავლა-ბოსლის ერთ ნაწილს გადაღობამენ დარაბებით, ან ქვის კედლით (უკიროდ) ნახევრად და ერთ მხარეზე რომ საქონელია დაბინავებული, მეორეზე ჯავახის ჯალაბი. ამ ოთახს ოდას ეძახიან. ოდაში და თავლაში სუნი მძიმეა და შეუჩვეველ კაცისათვის ძნელი ასატანი. პირველად ამისთანა ბინაზე ხამი ადამიანი დიდად იტანჯება. საქონლის ფშვინვა, საკმლის ხრამუნი, მოცად საქონლის ზმუილი, ნეხვისა და პირუტყვის შარდის სუნი, საერთოდ შეხუთული და აშმორებული ჰაერი სულს უხუთავს ხამ ადამიანს. გაფუჭებული ჰაერი

დიდ ზიანს აძლევს თვალს და ამის გამო ხშირია თვალის ავადმყოფობა ჯავახეთში და თუ სხეულით ჯანსაღია ჯავახი, იმის მადლიბელი უნდა იყვეს, რომ ბინის გარედ მეტის მეტად სუფთა ჰაერია და ცივი ანკარა წყაროები უხვად მოიპოვება.

თავლასა და ოდას ზედ მიდგმული აქვს საბძელი, სათორნე, იარაღის საწყობი, შენობანი და სხვა. შეძლებულ ჯავახს ხშირად ექვსი-შვიდი თვალი შენობა აქვს და ამოდენა ოთახებს ერთი კარი აქვს, საიდანაც შედის და გამოდის ადამიანი და პირუტყვი. თუ მიჩვეული არა ხარ, კისერს მოიტეხ, პირველად რომ შედიხარ ამ დაუსრულებელ ბნელ ოთახთა ლაბირინტში, ან ცივ კედელს მიახლი ცხვირსა და პირს, ან საქონელს წააწყდები. შეიძლება ზორბა ქოფაკსაც წამოჰკრა ფეხი და ვაი შენი ბრალი მაშინ! მე მუდამ შიშითა და კრძალვით შევსულვარ ჯავახის სახლ-კარში. ფეხის გადადგმას ვერ გავბედავდი ხოლმე, ვიდრე ხელს არ მომკიდებდნენ და წინ არ გამიძღვებოდნენ.

შეძლებული ჯავახნი ნელ-ნელა ამოდიან თხუნელისებურ სოროებიდან და სახლ-კარს რიგიანს იკეთებენ. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევენ სასტუმრო ოთახს, ანუ ოდას. ხიზაბავრას, ხერთვისს და ბარალეთს ბლომად მოიპოვება მიწაზე დადგმული ქვიტკირის შენობანი.

ერთი კარგი თვისება აქვს ჯავახს,—ძალიან უყვარს სიუხვე ლოგინისა. რაც უნდა ღარიბი იყვეს, ორი-სამი ხელი ლოგინი მაინც ექნება სასტუმროდ შენახული.

მთელ საქართველოში არ მოიპოვება იმისთანა საღი ჰავა, როგორიცაა ჯავახეთში. რა ხილია ციებ-ცხელება, აქ არაფის გაუგონია. ან საიდან გაჩნდება ციებ-

ცხელება ამ მაღალ ველ-მინდორზე, სადაც ჭყაპი და ჭაობიანი ადგილები არაა. ზაფხულობით ბარში წყალი დუბელაა და სასმელად მაწყინარი, ჯავახეთში კი ისეთი ცივი წყაროებია, რომ კბილსა ჭკვეთს,

ტბანი და **მდინარენი**. მთელ საქართველოში არ მოიპოვება იმდენი ტბა, რამდენიც პატარა ჯავახეთშია. ტბათა სიუხვით ჯავახეთი წააგავს ფინლიანდიას. ჯავახეთის ტბებს უჭირავს 8,558 დესეტინა ადგილი, ან 17,116 ქართული დღიური. ყველაზე დიდი ტბა ფანავრის ტბაა, რომელსაც უჭირავს 6,744 დღიური. ამ ტბას ჯავახი დღეს ფარვანას ეძახის, რუსები კი ტოპარავანს. მეორე — ტბის-ყურის ტბაა, უჭირავს 2,620 დღიური. ამ ორ ტბას გარდა ექვსი დიდი და პატარა ტბაა კიდევ ჯავახეთში. ზოგიერთი ტბა განთქმულია გემრიელი თევზით და კალმახით, მაგალითად ტბის-ყური და საღამოს ტბა. ბატონიშვილი ვახუშტი ასე აგვიწერს საღამოს ტბას: „ტბა საღამოსი, დიდი და აღესილი თევზითა გემოიანითა, ამისოვის რამეთუ არს ანკარა და ქვიანი“.

ხალხი ამბობს, რომ ტბის-ყური თამარ-მეფემ მდინარე ქციადან ადინაო. „არხი, ნარუალი დღესაც ეტყობა“. თუ ხალხის გადმოცემა მართალია, ალბად „არხს იმ აზრით გასჭრიდნენ, რომ მდ. ქციას გემრიელი კალმახი ამ ტბაშიაც მოშენებულიყო“.

მდინარენი შედარებით ცოტაა ჯავახეთში. დასავლეთით ჩამოუდის მტკვარი და ისე ღრმა ხეობაში მოდის, რომ შეუძლებელია რუების გამოყვანა ხეხილის, ან ყანების მოსარწყავად, ან-და წისქვილის დასაბრუნებლად. მხოლოდ ხერთვისელებმა მოახერხეს პატარა რუს გამოყვანა და სოფლის ბოლოს დიდი რუს გაყვანა სა-

წისქვილედ. წყაროს-თავიდან *) მოყოლებული გომამდე (ახალციხისა და ახალქალაქის მაზრათა სამზღვარზეა) მტკვარი ძრიელ ჩქარა მოდის და სრულიად არ წააგავს „მოდუდუნე“ მტკვარს, ტფილისს რომ შუაზე ჰყოფს და ზლაზვნით მიდის კასპიის ზღვისაკენ. მეორე მოზრდილი მდინარე გამოსდის ფარვანის ტბას, გაივლის საღამოს ტბას, ჩაუვლის ქ. ახალქალაქს გვერდზე და შეერთვის არტაანის მტკვარს სოფ. ხერთვისთან. ფარვანის წყალს ოსმალონი ეძახდნენ თოფარავან-ჩაის, რუსები ეძახიან ტოპარავან-კას, ქართველები კიდევ ჯავახეთის მტკვარს. ქ. ახალქალაქიდან ვიდრე ხერთვისამდე ამავე მდინარეს ეძახიან ახალქალაქის წყალს. დანარჩენ მდინარეთა შორის უფრო საყურადღებოა ბარალეთის წყალი და ყულასისა. ანუ ორმოცი წყარო, თათრულად ყირხ-ბულახ.

ხვნა-თესვა. ხ�ილი. ჯავახეთში ხვნა-თესვა ისეთივეა, როგორც დალოცვილ ქართლ-კახეთში. იგივე შამა-ჰაპური გუთანი, ორხელა, გუთნის დედა, ღამისა და დღის მეხრენი, ფარცხი და სხვა. განსხვავება ისაა მხოლოდ, რომ ჯავახის გუთანზე ისეთი მხიარულება არაა, როგორც ქართლისაზე. აქ ვერ გაიგონებ საქონლისა და მეხრის გამამხნევებელ ოროველას. ოსმალთა ბატონობამ ჯავახსაც გული დაუთუთქა და მოსპო ეროვნული სიმღერა, როგორც ბევრი რამ სხვა.

ჯავახეთში დოლს ნაკლებად სთესავენ. ეშინიანთ სიცივისა. მომეტებულად ითესება დიკა. ქერშიც უფრო ახალთესლი ითესება, ვიდრე ძველთესლი. რადგან ჯავახეთის ჰავა სასტიკი და სუსხიანია, ქერი და ჰური

*) წყაროს-თავი არტაანის ოლქშია. აქ შესანიშნავი ქართული ეკლესიაა, ქართველები კი აღარ არიან.

გვიან შემოდის. ქერებს სთიბავენ 15 აგვისტოდან, ღოლს (შემოდგომის ნათესი პური) პირველ აგვისტოდან, ახალ თესლს აგვისტოს გასულს. მკა სრულებით არ იციან და მაშასადამე აქ ვერც ჰოოპუნას გრიალს მოისმენ. მარტო სოფელ ეშტიაში ეხერხებათ ნამგლის ხმარება. ეშტიელები გადმოსახლებული სომეხ-კათოლიკენი არიან.

რაკი მოსავალი გვიან შემოდის, კალოობაც გვიან იციან. თუ ავდარმა უსწრო, ბჯები გაულეწავი რჩებათ და როცა ყინვებს დაიკერს, ესე ნოემბრის შუა რიცხვებში, კალოობა ხელახლად გაჩაღდება ხოლმე, მაგრამ ვაი ამ კალოობას. კევრზე ქურქსა და ტყავში გახვეული კაცი დგას და წამდაუწუმ ხელებზე პირით ორთქლს უბერავს. საკოდავი სანახავები არიან გოგოები, საღამოობით ხვავს რომ აცხავებენ. პირისახე და ხელები სიცივისაგან დალურჯებული აქვთ, ტანი უძაგძაგებთ და მაინც ცხავს ახანხალებენ. თუ ყინვა კარგა ხანს გაგძელდა, ლეწვას მორჩებიან, მაგრამ თუ თოვლმა მოუსწრო, კალოობა გაზაფხულის გასულს, ან ზაფხულის პირზე თავდება.

საუკეთესო მხვნელ-მთესველები ჯავახეთში ქართველები არიან. ამათ არც მოსული სომხები ჩამოუვარდებიან. საქონლის მოშენება უფრო ეხერხებათ თარაქამებს, ქურთინებს და თურქმენებს, ხოლო მებაღობაში ხეხილის მოვლა-პატრონობაში ქართველ—მაჰმადიანს (სუნის მიმდევრები) ვერავინ შეედრება.

ხეხილის ბაღები მარტო მტკვრის ღრმა ხეობაშია. ხვნა-თესვის გარდა მისდევენ ხეხილის გაშენებას ხიზაბავრელები, საროელები და ხერთვისელები. ვარძიის პირდაპირ მდებარე ქართული სოფლები აფნია და გოგაშენიც მისდევენ ამ საქმეს, მაგრამ ნაკლებად. სარგებლო-

ბას დიდს ვერასა ხედვენ, უფრო გულს აყოლებენ და ხალისობენ. საროსა და ხიზაბავრას (მართლ-მადიდებელი და კათოლიკე ქართველები) ვენახებიც აქვთ, მაგრამ აქაური ღვინო კაკკაკს დააჩხავლებს.

ხეხილიან ბაღებით განთქმულია ჯავახეთში და მთელ სამხრეთ საქართველოში ხერთვისი და მის გვერდით მდებარე პატარა სოფელი შადრევანი. თუთა იცის იმისთანა, რომ ჭამით ვერ გაძღები. მარტო თუთის საჭმელად ღირს რომ ესტუმროს კაცი ხერთვისს და შადრევანს.

ხერთვისი დიდი სოფელია და ტურფა, თვალწარმტაცი მდებარეობა აქვს. შეფენილია ტიტველ კლდის ფერდობზე, კოხტა სახლები კიბე-კიბეა აშენებული და ამფითეატრივით მაღლა, კლდის წვეროსკენ მიდის. წყლის პირიდან დაჭყურებს ამაყად სოფელს ძველი ციხე. სოფელსა და ციხეს ორის მხრით ჩამოურბის მტკვარი არტაანისა და ჯავახეთისა. ჯავახეთის მტკვრის ზვირთები ზეცასა სწვდება, ქუხს და გრგვინავს გააფთრებულ ლომივით. უზარ-მაზარ ლოდებზე ხათქა-ხუთქისაგან წყალი თეთრადაა აქაფებული და მისი შხუილისაგან ყურთა სმენა აღარაა. აქ, ისტორიულ, ჭირნახულ მტკვართა შესართავის პირას მოსვენება და განცხრომა ზაფხულობით, კარავში, ფართო თუთის ქვეშ, სახელოვან ციხის გვერდით, სწორედ რომ ნეტარება და ბედნიერებაა! განა ბევრია ქვეყანაზე ასე შემკული კუთხე, მაგრამ აბა ისიც მითხარით, ბევრია იმისთანა ქართველი, რომელსაც ენახოს ხერთვისი?

ადამიანი განცვიფრდება, ხერთვისის ბაღებს რომ ჰნახავს. ბაღები კლდე-კლდე მიდიან და გარეგანი სახით ძველ ბერძენთა ამფითეატრს წააგავან. ბაღებს ასე აშე-

ნებენ: ჯერ მოსჩეხავენ კლდეს, მერმე ქვემოდან გაუვ-ლებენ კედელს ისეთ დიდრონ-დიდრონ ლოდებით, რომ ზოგის წონა 10,000 ფუთი იქნება. სწორედ გასაოცა-რია, რა ხელმა და მარჯვენამ მიაგორა ეს უშველებელი ლოდები კედლის ამოსაყვანად? ზღაპრებში რომ მდევე-ბის და ციკლოპების ნაშენობაზეა ლაპარაკი, სწორედ ეს შენობანი მოგაგონდება.

როცა კედელს გაავლებენ და ადგილს მიასწორ-მოასწორებენ, ზურგით აზიდავენ მიწას, მოჰფენენ, შემ-დეგ დააყრიან პატივს და მხოლოდ ამის შემდეგ დარგა-ვენ ხეს, ან დასთესენ თესლს. დიდი ჯაფა და შრომაა საჭირო ამისთანა ბაღის გაშენებისთვის, მაგრამ რა გაუ-ჭირდება გლეხის კურთხეულ მარჯვენას.

ხერთვისი სახაზინო სოფელია, მცხოვრები ორას კომლ კაცზე მეტია. სახელმწიფო მიწა ისე ცოტა აქვთ, რომ სათქმელადაც არა ღირს. თითო სულ ადამიანზე მოდიოდა ამ ოცდა ორის წლის წინად სამი მეათედი დესეტინისა, ან 720 ოთხ-კუთხი საჟენი, ესე იგი ნახე-ვარ დღიურზე ცოტა მეტი. ხერთვისელები ცხოვრობენ ხილის მოსავლით. აქა ხარობს ვაშლი, სხალი, თუთა, ალუბალი, კაკალი, ატამი, შინდი, ქლიავი. ხერთვისში სკოლაც არის, სადაც ჩვეულებრივ ქართულს არ ასწავ-ლიან. ხერთვისელებს ძალზე აქვთ დავიწყებული ქარ-თული.

ხერთვისი ისტორიული სოფელია, ძველად ციხე-ქალაქად ითვლებოდა. იგი იხსენიება ალექსანდრე მაკე-დონელის დროს როგორც მაგარი ციხე. 1588 წელს ათაბაგ მანუჩარ II ხერთვისი დაუთმო შაჰ-აბასს, მაგრამ შესანიშნავმა ქართლის მოურავმა გიორგი სააკაძემ წაართვა სპარსელებს 1624 წ. 1636 წ. თურქები დაე-

პატრონნენ ხერთვისს, ჩააყენეს რაზმი ენგიჩართა, ხოლო 26 ივლისს 1828 წ. პასკევიჩმა დაიპირა ხერთვისი უბრძოლველად და მას აქეთ ხერთვისი საქართველოს შემოუერთდა.

ხერთვისის ლამაზ ციხეს ორი დიდი კოშკი აქვს, აღმოსავლეთისა და დასავლეთისა. კოშკების აშენების ამბავს ხერთვისელები ასე მოგვითხრობენ: თამარ მეფემ უბრძანა ორ კალატოზს აეშენებინათ ორი კოშკი. ერთი იყო ოსტატი და მეორე მისი შეგირდი. ოსტატს უნდა აეშენებინა აღმოსავლეთის კოშკი, ხოლო შეგირდს დასავლეთისა. მეფე დაჰპირდა,—უხვად დავაჯილდოვებ, ვინც უფრო კოხტა და ლამაზ კოშკს ააგებსო. ოსტატი და შეგირდი გულმოდგინედ შეუდგნენ საქმეს. ჯერ არ დაემთავრებინათ ხელოსნებს მუშაობა, რომ ხალხმა ყაყანი დაიწყო,—შეგირდის ნაშენობა სჯობია ოსტატისასაო.

მართლაც, თამარს შეგირდის კოშკი უფრო მოეწონა და წინდაწინვე უხვად დაუჯილდოვა ხელოსანი. საშინლად გაბრაზდა ოსტატი, იხელთა დრო და თავის შეგირდს კიბე გამოაცალა სწორედ მაშინ, როდესაც შეგირდი კოშკის თავს ასრულებდა. რა ექნა შეგირდს? რაკი უკიბოდ ძირს ველარ ჩამოვიდოდა, ადგა და გაიკეთა ფთები ურიოდე დარჩომილ ფიცრიდან. ცული წელში გაირჭო და გადაფრინდა ჯავახეთის მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. ეს მანძილი ბარე ოცი საჟენია დასავლეთის კოშკიდან. ძირს ისე უხერხულად დაეშვა, რომ დაიკრა-ცულით და გარდაიცვალა. ამ ადგილს ეხლაც ეძახიან ხერთვისელები მსხვერპლის ადგილს. იგი გზის პირადაა *).

*) ეს ლეგენდა დაბეჭდილია ივ. პ. როსტომაშვილის წიგნში.

საქონლის მოშენება. საქონლის მოშენებას დიდის ხალისით მისდევენ ჯავახნი, რადგან იალაღები საკმარისად მოიპოვება. საქონლის ხელი უფრო იციან ქურთინებმა და თარაქამამ. ქართველები, სომხები და დუხობორები კი უფრო მუშა საქონლის მოშენებას მისდევენ. თუმცა ესენიც, სადაც კი ადგილის მდებარეობა ხელს უწყობს, არ ერიდებიან ცხვრის ფარის და ცხენის ჯოგების გაჩენას. ცივი ქვეყანაა ჯავახეთი, მაგრამ კამეჩობასაც არ ილევენ, ცხენები ხომ ბლომადაა, განსაკუთრებით დუხობორიაში. აქ უშველებელი ტანის ცხენი იცის, ძრიელ ლონიერია, მაგრამ საჯდომად არ ვარგა, რადგან ტლანქია და ნელად მოსიარულე. იმაზე სასაცილო არაფერია, როცა ახმახი დუხობორი ბოხოხა ქუდით და უშველებელ წაღებით გადააჯდება უზარმაზარ ტანიან ცხენს და გააჭენებს, თითქოს მიწის ძვრაია, ისე ზანზარებს ხოლმე დედა-მიწა, როცა ხუთი-ექვსი ამისთანა მხედარი ერთად მიაჭენებს ცხენებს. აბა სად ეს სურათი და სად კოხტა, ტან-წერწეტა, გძელ ჩოხაში გამოკვაწრული მეგრელი, როცა იგი ჯირითობს, ან სხვის სანახავად ცხენს გააჭენებს.

თითო ცხვარი ჯავახეთში იძლევა ესე ორ მანათს წმინდა შემოსავალს წელიწადში, ხოლო ძროხა 11 მანათს. დუხობორებს სხვილი ჯიშის საქონელი ჰყავთ, ადგილობრივ მკვიდრს კი უფრო წვრილი.

ჯავახეთის იალაღებზე შორიდანაც მოუდით ცხვარი. ფშავ-თუშნი, ქიზიყელები, მთიულნი ხშირი სტუმარნი არიან ნიალის ყურისა, სამსარისა და აბულისა. ორ-სამ თვეს რჩება აქ მათი ცხვარი და აგვისტოს გასულს, ან ენკენისთვის ნახევარს უკან ბრუნდება. ათიათასობით ამოდის ნიალის ყურეზე შირაქიდან თუშები-

სა და ფშავლების ცხვარი და მრავალი მწყემსი. ტიტ-
ველა ნიალის ყური და ქაჩალ-გორა, უნადირო და უფ-
რინველო, სამარესავით ჩუმი ზამთარ-შემოდგომით, ზაფ-
ხულში ცოცხლდება და ერიამულით ივსება მისი ხევ-
ხუვნი. ქართული სიტყვა-პასუხი, სიმღერა მწყემსისა მო-
გაგონებს შუაგულ საქართველოს და გავიწყდება, რომ
ეს ქვეყანა სხვისაა და არა ჩვენი.

გზები. ჯავახეთი უგზოობას ვერ დაემდურება.
მშვენიერი შარა გზები მიდის ახალქალაქიდან ერთი
ახალციხეს, მეორე არტაანს, მესამე ბაკურიანსა და ბორ-
ჯომს და მეოთხე გუმბრს (ალექსანდროპოლი). ძველი
გზა ახალციხიდან ახალქალაქს ხიზაბავრაზე რომ ადიოდა
და რომლითაც გაიარა 1837 წელს იმპერატორმა ნიკო-
ლოზ პირველმა ეხლა გაუქმებულია. აღარც ის გზაა
პატივში, რომელიც ტბის-ყურის ტბასთან მიდიოდა კო-
ჯორზე და რომლითაც დაბრუნდა ტფილისში ერეკლე II,
ასპინძასთან რომ სასტიკად დაამარცხა 1770 წ. 21 აპ-
რილს, ზედ აღდგომა დღეს, ძრიელი ჯარი ოსმალოსი
და ლეკებისა.

ხალხი. თურქების შემოსევამდე, მეჩვიდმეტე საუ-
კუნის დასაწყისს, ჯავახეთი მარტო ქართველებით იყო
დასახლებული. რაკი თურქებმა (ოსმალონი) დაიპირეს
საქართველოს ეს კუთხე, ხალხიც აირია და აპრელდა.
ყველაზე უწინარეს ჯავახეთს შემოეპარნენ ოსმალეთიდან
ქურთები და თარაქამანი. როგორც ქურთი, აგრედვე
თარაქამა მომთაბარე და ეული იყო, ესე იგი მოხეტია-
ლე და ერთ ადგილას დიდხანს არა ჩერდებოდა. რაკი
მოსწყინდებოდა ხოლმე რომელსამე ადგილს დგომა,
აიყრებოდა, აიკრებდა ბარგ-ბარხანას და გასწევდა სხვა-

ვან. თარაქამა და ქურთი უსწავლელი, ხეპრე, ტლანქი და გაუთლელი იყო.

როგორც ძველ სამშობლოში, ისე ჯავახეთში ეს ველური ხალხი მწყემსობას დაადგა. სადაც საქონელს მირეკავდა და დროებით ბინას დასდებდა, იმის სოფელიც იყო. სახლების აშენებით თარაქამა და ქურთი თავს არ იცხელებდა. წამოსჭიმამდა ალაჩუყს და შიგ არხეინად მოიკალათებდა. ესე სახელდახელოდ წამოდგმული ალაჩუყი, ანუ კარავი სავსებით აკმაყოფილებდა ქურთსა და თარაქამას და სხვას არას დაგიდევდა. ხვნა-თესვას, ხეხილის გაშენებას, ან ბოსტნის მოყვანას თურქები და თარაქამანი სრულებით არ მისდევდნენ. წლითი-წლობით ასე უგემურად და ველურად ცხოვრობდნენ და მკვიდრ ქართველობაზე არავითარი გავლენა არა ჰქონიათ.

სამაგიეროდ ოსმალეთის მთავრობისაგან განწესებულ მოხელეებს დიდი გავლენა ჰქონდათ ჯავახეთის ქართველობაზე. ოსმალონი ფიქრობდნენ, ჯავახი მაშინ იქნება ჩვენი ერთგული და ჩვენგან განშორებას აღარ შოისურვებს, უკეთუ სჯულს გამოიცვლის და მაჰმადის სარწმუნოებას მიიღებსო. ეს ყალბი და შემცდარი აზრი და ფიქრი გახდა მიზეზად იმისა, რომ ოსმალოს მოხელეებმა სასტიკი ძალმომრეობა იხმარეს და ჯავახეთი გაამაჰმადიანეს. რაკი რჯული შეუცვალეს ჯავახს, სახელიც გამოუცვალეს და ქართველის მაგიერ დაუძახეს თათარი. ამის გამო დღევანდლამდე რჯული და ეროვნობა დომხალიევით არეულია ჯავახეთში და საერთოდ გამაჰმადიანებულ საქართველოში.

რუსებმა რომ დაიპირეს ჯავახეთი 1828 წელს, ეს ძველის-ძველი კუთხე საქართველოსი თითქმის სრულე-

ბით იყო გადარჯულებული. მალულად, ჩუმად, თითო-ოროლა სოფელი თუღა მისდევდა ქრისტეანობას. გადარჯულებულ, ანუ გამაჰმადიანებულ ჯავახს, როგორც ზევით იყო მოხსენებული, არ მოეწონა რუსობა და მისი ბატონობა, მოშორდა სამშობლოს და გადიხვეწა ოსმალეთს. დარჩნენ მხოლოდ ჩუმი მართლ-მადიდებელი ქრისტეანენი, ქართველი კათოლიკენი სომხის ტიბიკონისა, ქურთნი, თარაქამანი და სულ მცირე ნაწილი გამაჰმადიანებულ ქართველობისა. დაცარიელებულ ჯავახეთში რუსის მხედრობის სარდალმა პასკევიჩმა მოიყვანა 1830 წ. აზრუმიდან დიდძალი სომხობა და დააბინავა ქართველების ნასოფლარებში.

ათის წლის შემდეგ, ესე იგი 1840 წ. რუსის მთავრობამ კიდევ მოუმატა ხალხი ჯავახეთს. რუსეთში სდევნიდა დუხაბორებს, ანუ მწვალებლებს, თავისუფალ ცხოვრების ნებას არ აძლევდა და ადგა და შინ დაწუნებულნი დაასახლა ჯავახეთს.

ამ გვარად დღევანდელ ჯავახეთში ცხოვრობენ: 1) ოსმალეთის ბატონობის დროიდან დარჩენილი ქურთები; 2) თარაქამანი; 3) აზრუმიდან მოსული სომხები; 4) რუსეთიდან გადმოსახლებული დუხაბორები*) და 5) მკვიდრი ქართველნი: მართლ-მადიდებელი კათოლიკე და მაჰმადიანი ქართველები. მართლ-მადიდებელი ქართველები სცხოვრობენ სოფ. საროს, აფნიას, გოგაშენს, ქილდას, ფრთენას, კოთელიას, ბარალეთს, ბალანთას, ჭიხარულას, ვარევანს, ჩუნჩხელს, მურჯახეთს, თოკს და ვარგავს.

---

*) ჩვენში მთავარ-მართებლად თ. გოლიცინი რომ იყო, იმის დროს დაიწყეს ჯავახეთში მართლ-მადიდებელ რუსების დასახლებაც. ჯერ ჯერობით ორი ჰატარა სოფელი გააშენეს.

სომხის ტიბიკონზე მდგომი ქართველი კათოლიკენი ცხოვრობენ ს. ხიზაბავრას, ხულგუმოს, ბავრას, კართიკამს და ტურცხის. სომხის ტიბიკონს რომ ვახსენებთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ტომით და ჩამომავლობით ქართველი, აი თუნდ ხიზაბავრელი, სომხურ ენაზე ისმენენ წირვა-ლოცვას. ესაა მიზეზი, რომ ამ ტიბიკონის ქართველს ხშირად სახელი სომხური აქვს, მაგალითად პავლეს მაგიერ ტერტერა (მღვდელი) პოღოსას არქმევს, გიორგის მაგიერ გეურქას და სხვა. მთავრობაც ხელს უწყობს ამ სიდუხჭირეს და მახინჯობას. ამ რამდენიმე წლის წინად ხიზაბავრელებმა ქვის ეკლესია ააშენეს და ზედ წარწერა გაუკეთეს ლათინურად და ქართულად. ვიღამაც შეატყობინა მინისტრს, ხიზაბავრელები ქართველობას ჩემულობენ და საყდარზე ქართული წარწერა გაკეთესო. ფიცხელი ბრძანება მოვიდა პეტერბურგიდან: წაშალეთ ქართული წარწერაო. მეტი რა ჩარა იყო, ქვაზე ამოკრილი წარწერა კირით გაგლისეს.

ქართველი მაჰმადიანები სუნნის აღსარებისა ბინადრობენ ს. ხერთვისს, შადრევანს, თოკს და სხვაგანაც. სოფელ ხერთვისს შერჩენია ქართული გვარები: ვაჩნაძე, გეგიძე. ს. თოკს *) აბაშიძე და ხოსპიოს—ფალავანდიშვილი. საზოგადოდ ჯავახეთის ქართველი მაჰმადიანი ან სრულიად აღარ ლაპარაკობს ქართულად, ან თუ ლაპარაკობს ისე ცუდად, რომ ძლივს მიხვდები მის ლაპარაკის აზრსა.

ჯავახეთის სხვა და სხვა აღსარების ქართველები

---

*) ამ სოფლის ქართველობა ნახევარი მართლ-მადიდებელია, ნახევარი მაჰმადიანი. უკანასკნელები სუფთად ლაპარაკობენ ქართულად.

ერთის შეხედვით დიდად განირჩევიან ერთმანეთისაგან. ჩაცმულობით, მიხვრა-მოხვრით, ზნე-ხასიათით მართლ-მადიდებელნი წააგავან ქართლელებსა და კახელებს. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ჯავახი უფრო ეტანება განიერ შარვალს, ვიდრე ქართლელი. ცხვრის ტყავისაგან უშნოდ შეკერილი ქუდიც სილამაზეს ვერა ჰმატებს ამ ქვეყნის შვილს. არც წინდა-პაიპი უვარგა ჯავახს, უშნო, ულამაზო და შეუღებავია.

ქართველი მაჰმადიანი ჩაცმულობით, ზნე-ხასიათით და ჩვეულებით დიდად წააგავს თათარს. ქალები კარ-ჩაკეტილები არიან და თუ სადმე მოუხდათ წასვლა პირს იბურავენ ჩადრით, ერიდებიან უცხო მამა-კაცთან საუბარს და შეხვედრას. დიდი სირცხვილია და თავის მოკვლაა ქალისათვის, უცხო კაცმა რომ დაინახოს პირახდილი. ქალი ვალდებულია უცხო მამა-კაცს რომ შეეფეთება, ან პირი დაიფაროს ჩადრით, ან უმალ ზურგი მიაქციოს და ჩაქუქდეს. ნასწავლ კაცს უნებურად გაეღიმება, ამ უცნაურ და სასაცილო სურათს რომ წააწყდება. როგორღაც არა გჯერა, რომ ჩადრში გახვეული, პირ-უკუღმა ჩამჯდარი გზის პირას მანდილოსანი ქართველი ქალია. ქართველი, ქალია თუ კაცი, სითამამით განთქმულია, არავის ერიდება და აგერ აქ კი, ამ გამაჰმადიანებულ საქართველოში, სარწმუნოებამ ასე შესცვალა ჩვენი ზნე და ხასიათი. მარტო ბებერი დედა-კაცი და პატარა გოგოები არა ჰმალავენ თავიანთ სახეს. კვირაობით ვყოფილავარ ქართველ მაჰმადიანის ოჯახში და ქალისთვის თვალი არ მომიკრავს. უქალოდ კი ოჯახურ ცხოვრებას და სიამოვნება-მხიარულობას აჩრდილივით თან დასდევს ერთფერობა და უგემურობა, თითქოს ხალხში კი არა, სადღაც უდაბურ კუნძულზე ხარ მარტოდ-მარტოო-

ვიდრე ქართველ მაჰმადიანის ოჯახში ქალი არ გამეფ-
დება, როგორც ყველგან განათლებულ ქვეყნებშია მი-
ღებული, მანამდისინ ქართველ მაჰმადიანის ოჯახს შნო
და ლაზათი არ მიეცემა. რაც უნდა კარგად შეაზავო
საჭმელი, თუ მარილი აკლია, მაინც უგემური იქნება.
სწორედ ასე ემართება ქართველ მაჰმადიანის ოჯახს, სა-
დაც ქალი ეს მარილი ოჯახისა კარჩაკეტილია და მოკ-
ლებული თავისუფლებას.

—

თარაქამა და **ქურთი**, ანუ **ქურთინი**. ესენი ჩაცმა-
დახურვით ძრიელ წააგავან ქართველ მაჰმადიანებს სუნ-
ნის აღსარებისას, ითვლებიან მაჰმადიანებად, მაგრამ არც
თუ აგრე დიდად იხეთქავენ თავს რჯულისათვის. რო-
გორც თარაქამანი (ყარა-ფაფახი, შავქუდა), ისე ქურთი-
ნები მწყემსობას მისდევენ. ამ ბოლო დროს დაიწყეს
მკვიდრად დაბინავება პატარ-პატარა სოფლებად და ხვნა-
თესვას მიჰყვეს ხელი. ქურთინების სოფლებში სულ ორი-
სამი კომლია. რაც უნდა დიდი სოფელი იყვეს ქურ-
თისა, ათ კომლზე მეტი მაინც არ იქნება. მომეტებუ-
ლი ნაწილი ყარა-ფაფახებისა ცხოვრობს ლეპისის გაშ-
ლილ ველ-მინდორზე, არტაანის ოლქის გვერდით *).
ლეპისში მშვენიერი საძოვარი მინდვრებია და იცის ნო-
ყიერი ბალახი. აქაა აშენებული მოწითანო თლილის ქვის
საყდარი გაეთისა და დაუსრულებელი უზარ-მაზარი ეკ-
ლესია კარზამეთისა. ეკლესიის შენობა დაუწყვია აწყვე-
რის მღვდელ-მთავარს და კედლები რომ ამოუყვანია შე-
საავალ კარის სიმაღლეზე, ლეპისი თურქებს დაუპერიათ
და შენობაც შეჩერებულა. კარზამეთისა და გაეთის

*) ეს კუთხე შეცდომით ახალციხის მაზრაზეა მიწერილი.

მშვენიერ ეკლესიებს ვინ უპატრონებს დღეს? თარაქამამ რა იცის მისი ყადრი და ფასი? საქართველოს ეკლესიას რაკი საკუთარი მამული და ქონება ჩამოართვეს, სილარიბის გამო, თავი აღარა აქვს რომ პატრონობა გაუწიოს და ეამთა ვითარების წყალობით ორივე შენობა ოხრდება და ტიალდება.

ლეგენდა აბბობს, რომ თამარ დედოფლის ძროხის ჯოგი ლეპისის მინდვრებზე სძოვდაო და აქ მოწველილი რძე მილებით და ღარებით პირდაპირ ვარძიის გამოქვაბულ მონასტერში ჩადიოდაო. ისტორია მოგვითხრობს, რომ ვარძია დიდად უყვარდა თამარს და ხშირად აქ ატარებდა დროსაო.

სომხები. როგორც ზემოდ იყო ნათქვამი, სომხები გადმოასახლა რუსის მთავრობამ 1830 წელს ჯავახეთში. უფრო დიდი ნაწილი გადმოსახლებულ სომხებისა აღიარებს წმინდა გრიგოლის სარწმუნოებას, ხოლო მცირე ნაწილი კათოლიკობის მიმდევარია. სომეხ კათოლიკენი დგანან ს. ალასტანს, ეშტიას, კულიკამს და კიდევ რამდენსამე სხვა სოფელს. ორთავე რჯულის სომხები მშვენივრად ლაპარაკობენ თათრულად. ქართულიც იციან იმათ, ვინც ქართველებთან დაბინავდა. მაგალითად ბარალეთის სომხობა ისევე კარგად ლაპარაკობს ქართულს, როგორც ქართველები. ისიც სათქმელია, რომ ჯავახეთის და საათაბაგოს ქართველობა კარგად ლაპარაკობს თათრულს. იციან აგრეღვე სომხური თუ სომხებთან ერთ სოფელში ცხოვრობენ. ერთ კუთხეში მოქცეულ სხვა და სხვა ტომის ხალხს შუღლი არ მოსდით და მშვიდობიანად ეწევიან ცხოვრების ჭაპანს.

გრიგოლის სარწმუნოების სომეხს არ უყვარს სომეხი კათოლიკე. იმათაო, ამბობენ გრიგოლელები, სტუ-

მარი არ უყვართ, სისუფთავეს არ ეტანებიან, ზნეობის სიფაქიზეს აგრე რიგად არ აფასებენ და საერთო, მეზობლურ ცხოვრებას გაურბიანო. ყველა თავის კერიისაკენ მიიწევსო.

ბავრისა, ხულგუმოს და კართიკამის და ტურცხის კათოლიკეთ სომხური არ იციან. ზოგნი ამბობენ, რომ ეგენი ქართველები არიან და გადმოსახლდნენ არტაანის ოლქიდან (ველი), ზოგნი კი უჩვენებენ სომხეთის მუშს, საიდანაც ვითომ იგინი მოსულან. ველი ძველად ქართული პროვინცია იყო.

სომეხ-კათოლიკეთ წირვა-ლოცვა სომხურად აქვთ და რომის წმ. პაპას ემორჩილებიან საეკლესიო საქმეებში. აი სწორედ ქართველი კათოლიკენი ამ სომეხ-კათოლიკეთა ტიბიკონზე დგანან, ქართული წირვა-ლოცვა მოსპობიათ და გაუგებარ სომხურ ენაზე ისმენენ ღვთის მსახურებას.

ჯავახეთს მოსული სომხობა განთქმულია შრომის მოყვარეობით. ტანთსაცმელი სომხისა ისეთივეა, როგორც ქართველ ჯავახისა, ხოლო სომეხ ქალის ჩასაცმელი ცოტათი განსხვავდება ქართველ ქალის საცმელისაგან. სომხის ქალი იცვამს ლურჯ კაბას; კაბას წინიდან წითელი წინსაფარი აქვს აკრული. თავზე იხურავენ გასათხოვარი ქალები ოსმალურ ფესსა, ხოლო გათხოვილები ამავე ფესსა, მაგრამ ზედ ახვევენ შალ-ლეჩაქებს, შუბლზე იკეთებენ ჩვენებურ ჩიხტს, ოქროს ფულებით ახუნძლულს.

—

დუხაბორები. ჩამომავლობით დუხაბორები რუსები არიან (ველიკოროსი). ამათ უარჰყვეს წეს-რიგი რუსეთში გაბატონებულ მართლ-მადიდებელ ეკლესიისა, ხელი

აიღეს ბერებზე და მღვდელ-დიაკვნებზე, ნათლობა-ქორწინებაზე ეკლესიურის წესით და თავისებურად დაიწყეს ღვთის სამსახური. დუხაბორებს დიდად სწამთ და უყვართ ღმერთი. მთავრობა გაუწყრა, როგორ თუ ბერები, მღვდლები, ეკლესია და ეკლესიური წესები არ გინდათო და აიღო და გადმოასახლა 1840 წ. ჯავახეთში. მაშინ ჩვენი საქართველო რუსებს ისე მიაჩნდათ, როგორც დამღუპველი ქვეყანა, საიდანაც რუსი კაცი შინ ველარ დაბრუნდებოდა ცოცხალი. ეხლა რუსები ისე ეტანებიან საქართველოს როგორც ბუზი თაფლს და ბაწარ-აღებით მოდიან ჩვენში, სადაც ჩვენც ველარ ვეტევით და სივიწროვით გული გვიწუხდება.

დუხაბორები დაასახლეს ჯავახეთის თოვლიან-ყინულიან მთის კალთებზე იმ განზრახვით, რომ გაწყვეტილიყვნენ. მთავრობას სძულდა ურჩი, პირქუში და შეუპოვარი დუხაბორი, მწვალებელი და უარის მყოფელი ეკლესიის გარეგან წესებისა, იმ წესებისა, რომელთაც დაჰფარეს და საესებით ჩანთქეს სული და არსება კაცთმოყვარე ქრისტეანობისა. მთავრობას იმედი გაუცრუვდა, დუხაბორები არ გაწყდნენ, გაუძლეს სასტიკ ბუნებას და დღეს ისე კარგად ცხოვრობენ, რომ ქართველი დიდხანს ვერ მოესწრობა ამგვარ კეთილ ცხოვრებას. მთავრობამაც ამ ჟამად აზრი შეიცვალა და დუხაბორებს დღეს თავზე ხელს უსვამს, რაც უნდა იყვეს მაინც რუსები არიან და მაშასადამე ჩვენი სისხლ-ხორცნიო.

დუხაბორებმა რვა სოფელი გააშენეს ჯავახეთის აღმოსავლეთ-სამხრეთის ნაწილში: ბოგდანოვკა, გორელოვკა, ეფრემოვკა, არლოვკა, როდიონოვკა, სპასკაია, ტამბოვკა და ტროიცკაია. ნაწილი მათი გადასახლდა ამე-

რიკაში რამდენიმე წლის წინად, მაგრამ არც ერთი დასახელებული სოფელი სავსებით არ დაცარიელებულა.

სასიამოვნო სურათს წარმოადგენს დუხაბორების სოფელი. ქუჩები სწორე და განიერია; კოხტა, თეთრად შეღებილი სახლები ლამაზად გამოიყურებიან. ეზო და კარმიდამო დიდია, სადაც ყოველგვარი ოჯახისთვის საჭირო შენობაა მოთავსებული. ასე გასინჯეთ ჯავახეთის ნაზუქი—წივა, ესეც კი კოხტად და მწყობრადაა დალაგებული. დუხაბორთა სოფლები სისუფთავით, რიგიანი შენობებით და საერთო კეთილდღეობით დიდად განირჩევიან ქართველ და სომეხ სოფლებიდან. იქ რომ სიმდიდრე და კეთილი ცხოვრებაა, აქ სიღარიბე და სიდუხჭირეა.

დუხაბორები შრომის მოყვარე ხალხია. „მუშაობა, ამბობენ დუხაბორები, სხეულს აპატიოსნებს, ხოლო სულს ამხანაგობას უწევსო“. ქალი და კაცი ყველა მუშაობს. დუხაბორმა ათასგვარი ხელობა იცის, წაღებსაც თვითონ იკერავს, ურემსა, ფურგუნს, გუთანს სულ თვითონ აკეთებს. სახლის აშენებაშიაც არავის იშველიებს. სოფლისათვის ყველა საჭირო ხელობა გამოუვა ხელიდან დუხაბორს, ამის გამო მარტო ნემსისა და მარილის საყიდლად თუ წავა იგი ბაზარში.

დუხაბორები ზნეობით ძალიან მაღლა დგანან, არიციან რა არის ქურდობა, მრუშობა-გარყვნილობა და სხვა. ერთმანეთს ხალისით ეხმარებიან მუშაობაში. გაჭირვებულსა და ღარიბს სასოფლოდ ეხმარებიან: მოუხნავენ, დაუთესენ ყანას, მოუთიბავენ ბალახს, უყიდიან საქონელს და ამ სახით დაძაბუნებულ კაცს თეხზე დააყენებენ ხოლმე.

დუხაბორები მისდევენ ხვნა-თესვას და საქონლის

მოშენებას. თვითონ რომ ზორბა ტანისა არიან, ცხენებიც უშველებელის ტანისა ჰყავთ. ტვირთის საზიდად დუხაბორის ცხენს არაფერი შეედრება. რუსებს 1877—1878 წ. ომი რომ ჰქონდათ ოსმალებთან, დუხაბორები ჯარისთვის ტვირთსა ზიდავდნენ ფურგუნებით და დიდ-ძალი ფულიც იშოვნეს. აქედან დაიწყო მათი დაუშრეტელი კეთილდღეობა. დუხაბორებს მთავრობამ დიდი მამული და სათიბი ადგილები მიუზომა. პური და ქერი აგრე რიგად არ მოდის დუხაბორებში, მაგრამ თივა აუარებელი აქვთ.

III

ფოცხოვი, ერუშეთი, არტანი, ჩულურეთი, კოლა.

საქართველოს ეს ნაწილები დიდხანს ეპირა ოსმალეთს. ოსმალეთის ბატონობამ არც ამ კუთხეებს დააყარა ხეირი, აქაც ისევე ამოვარდა ქრისტეანობა და ქართული, როგორც სამცხე-საათაბაგოს და ჯავახეთში. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ჯავახეთსა და საათაბაგოს დღევანდლამდე შერჩა ალაგ-ალაგ ქრისტეანობა და ქართული ენა. ჯავახეთის და განსაკუთრებით საათაბაგოს გამაჰმადიანებულმა ქართველებმა ჯერ კიდევ იციან ქართული ლაპარაკი და თუ მალე არ მივეშველეთ და კარგი ქართული სკოლები არ დავმართეთ სოფლებად, მალე აქაც დაივიწყებენ სამშობლო ენას. ფოცხოვისა და ჯაყის-წყლის ხეობაში, კოლასა, არტანსა და ერუშეთს სრულებით აღარ იციან ქართული. დაბა-სოფლების სახელები, მთისა და გორაკებისა, ველ-მინდვრებისა, მდინარეებისა და ხევებისა ისევ ქართულია, მაგრამ გა-

დარჯულებულ აქაურ ქართველს აღარ ეყურება მათი მნიშვნელობა. სახელწოდება სოფლებისა: საიხვე, ზეგანი, ნაქალაქევი, ცხრაწყარო, სამღერეთი, წურწყაბი, ალი, ყველი, არსიანი (მთა), ჯაყის-წყალი, და სხვანი უცხო და გაუგებარი სიტყვებია აქაურ ქართველისთვის. იგი ვერ მიხვდება, რომ ეს სახელები და სიტყვანი ქართულია და შექმნილი ქართველი კაცის გენიოსობით და ჭკუა-გონებით. ბუნდოვანად ახსოვს მარტო, რომ ოდესღაც იყო ქართველი და ქრისტეანი, მაგრამ დღეს თავის თავს უწოდებს თათარს, იცის თათრული ენა და ქართული და ქართველობა აღარაფრად ეპრიანება.

საქართველოს ეს ოთხი პატარა ნაჭერი, ანუ კუთხე: ფოცხვისა და ჯაყის-წყლის ხეობანი, ერუშეთი, არტანი და კოლა, ანუ გოლა რუსეთმა შემოიერთა უკანასკნელ რუს-ოსმალოს ომის გათავების შემდეგ 1878 წელს. ამ დროიდან ეს კუთხენი დაუკავშირდნენ საქართველოს გარეგნობით. მართვა-გამგეობა და სამართალი ქართულ ენაზე რომ შემოეღო მთავრობას, უეჭველია, რომ არტანის ქართველები ამ ოცდა ათი წლის განმავლობაში ძრიელ დაუახლოვდებოდნენ მტკვრისა და რიონის ხეობათა ქართველებს. შეისწავლიდნენ ძველ სამშობლო ენას და ერთმანეთისას გავიგებდით რასმე. ეხლა კი სულ სხვაა. არტანელებმა ვერც რუსული ისწავლეს და ქართულზედაც ძველებურად მოწყვეტილები არიან. მაშასადამე ვერც ჩვენ და ვერც რუსებმა ვერ გამოვიყენეთ უკანასკნელი გამარჯვებული ომიანობა და მჭიდროდ ვერ შემოვიერთეთ სამასი წლის წინად მოწყვეტილი ქართველობა.

რუსის მთავრობამ დასახელებული ოთხი ნაჭერი საქართველოსი შეაერთა ერთ ოლქად და დაარქვა არ-

დაგანის ოლქი. ამ ოლქში ოთხი საპოლიციო ნაწილია: არდაგანისა, ფოცხოვისა, ჩილდირისა და ღელისა. ამ გვარად ძველი ქართული სახელწოდება საქართველოს ამ კუთხისა შეიცვალა და ერუშეთ, არტან, კოლა და ფოცხვის მაგიერ არდაგანის ოლქი გაგვიჩინეს. ასე ნელ-ნელა იშლება და იფხიკება კავშირი წარსულსა და აწმ-ყოს შორის. არ უნდათ, რომ გაიდოს შემაგროებელი ხიდი წარსულსა და აწმყოს შორის.

არდაგანის ოლქი დიდი ქვეყანა არ არის, უჭირავს 4924.90 ოთხ-კუთხი ვერსი, ან 513010.42 დესეტინა (ქართული 1026020.84 დღიური), ესე იგი ტფილისის გუბერნიის თითქმის მეშვიდედის ოდენა ადგილი.

წინა წერილებში გვქონდა მოხსენებული, რომ ქართველმა კაცმა ძრიელ ნაკლებად იცის სამშობლო ქვეყნის ვითარება, როგორც წარსული, აგრეთვე დღე-ვანდელი. მართლაც საოცარია, რომ არ გვიყვარს მოგ-ზაურობა და ჩვენი ბედნიერი თვალით ნახვა სამშობლოს სხვა და სხვა კუთხისა, არ გვიყვარს გავიგოთ და ვიცო-დეთ, თუ რანი ვიყავით გუშინ, ვინ ვიყავით, რას ვშვრე-ბოდით და რას ვაკეთებდით. რაკი წარსული ნაკლებად ვიცით და დღევანდელ ვითარების გაგებასაც ნაკლებად ვეტანებით, ალბად ამითი თუ აიხსნება, რომ დღევან-დელ ქართველს ღვთიური ცეცხლი არ უღვივის გულსა და მკერდში სამშობლო ქვეყნისადმი. აბა როგორ შეიძ-ლება ადამიანს უყვარდეს კეთილშობილურ სიყვარულით ის, რაც არ იცის, რაც თვალით არ უნახავს. ამიტომ დიდად საჭიროა ზედმიწევნით ცოდნა სამშობლოს ყო-ველი კუთხისა და გაგება მისის თავგადასავალისა. სამ-შობლოს სიყვარულის ბუნებრივ გრძნობას მხოლოდ მაშინ მიეცემა ღრმა საფუძველი, როცა შევიტყობთ და

გავიგებთ ყოველ მის წვლილს. სწორედ ასეთ საფუძ-ლიან ცოდნა-სწავლის შემდეგ იბადება და იზრდება ეროვნული სიამაყე, რომლითაც ასე მოაქვთ თავი და-სავლეთ ევროპის ერებს. ევროპელმა მამაო ჩვენოსავით ზეპირად იცის თვისის სამშობლოს წარსული და დღევან-დელი ვითარება, მისი ბედი და უბედობა, ავი და კარ-გი, ამაყობს კარგით და ამის გამო მხნედ და იმედიანად უყურებს მომავალს.

ჩვენ, ქართველები, დიდად ჩამოვრჩებით განათლე-ბულ და ჭკვიან ევროპელებს სამშობლოს სიყვარულსა და სამშობლო ქვეყნის სამსახურში. რადგან ქართველო-ბა დაჩაგრული ერია, ამიტომ ერთი ათად მეტი მხნეო-ბაა საჭირო წარსულისა და აწმყოს შესასწავლად, თუ ერს ეროვნული თავმოწონება აკლია, იგი დიდხანს ვერ იბოგინებს ქვეყანაზე, გაქრება და ამოვარდება.

უკანასკნელ რუს-ოსმალოს ომიანობის შემდეგ (1877—1878 წ.), რუსეთმა შეიძინა: ბათუმისა, ართვი-ნისა, ოლთისისა და არდაგანის ოლქები, ანუ ძველი ქართული სახელწოდება რომ ვიხმაროთ: ქობულეთი, აჭარა, შავშეთი, ლივანა, ნაწილი ჭანეთისა, კოლა, არ-ტანა, ერუშეთი, ფოცხვის და ჯაყის-წყლის ხეობანი. ოსმალები ამ ნაწილს საქართველოსას ეძახდნენ და დღე-საც ეძახიან ოსმალეთის საქართველოს. კარგა მოზრ-დილი ნაწილი ჭანეთისა ქალაქ ტრაპიზონამდე და მდინარე ჭოროხის სათავე დღესაც ოსმალეთის იმპერიის ხელშია. ჭოროხის ხეობის სათავეში მცხოვრებმა ქართ-ველობამ სრულებით დაივიწყა ქართული და გადაგვარდა და მისი გამოტრიალება ძალიან ძნელია. მარტო ზღვის პირას დაბინავებული ჭანები, ანუ ლაზები ისევე ლაპა-რაკობენ, როგორც მეგრელები, ესე იგი ქართულად.

მაგალითად ქართველი იტყვის: მამამ იმას ცხენი მისცა; მეგრელი იტყვის: მუმაქ (ბაბაქ) თის ცხენი მეჩუ; ჭანი (ლაზი) იტყვის: ბაბაქ ემუს ცხენი მეჩუ. განა ეს განსხვავებაა? სრულიადაც არა. თვითოეულმა ხეობამ და კუთხემ იცის საერთო ენის გადახრა და მცირედი შეცვლა; მაგრამ დედა-ენას მაინც ამითი არა უშავდება-რა და დგას სალ კლდესავით მაგრად.

რაკი ჭანეთი (შავ ზღვის პირადაა გაჭიმული ტრაპიზონიდან მოყოლებული ქ. ბათუმამდე, ჭოროხისა და მტკვრის სათავეების საქართველო და არსიანის მთის კალთებზე დაფენილი საქართველოს ნაწილები იყო მოწყვეტილი, ამის გამო ქართველი ნასწავლი კაცები აგრე რიგად არ ეტანებოდნენ ოსმალეთის საქართველოს. რაკი ჩვენები არ მიდიოდნენ იქითკენ, იქიდანაც არავინ შემოდიოდა საჩვენოში. შესწყდა ამნაირად მეზობლობა, ჩვენ იმათი აღარა ვიცოდით რა და იმათ ჩვენი და ვიყავით ასრე გაუგებრობით მოცულნი.

ბოლო მოეღო ამ გაუგებრობას 1873 წელს. ამ წელს იმოგზაურა ოსმალეთის საქართველოში პოლკოვნიკმა გიორგი ნ. ყაზბეგმა და დიმიტრი ზ. ბაქრაძემ. ამათ გვიამბეს ნახული და გაგონილი. მაშინ გავიგეთ, რომ მდინადე ჭოროხის ხეობა ისეთივე წმინდა საქართველოა, როგორც მტკვრისა და რიონისა. რუს-ოსმალოს ომის შემდეგ იმოგზაურეს ოსმალეთის საქართველოში ე. გ. ვეიდენბაუმმა და თ. სახოკიამ. ამათ ნაწარებიდან ხომ სრულებით დავრწმუნდით, რომ ჭოროხელები ჩვენი ღვიძლი ძმები არიან, ხოლო სარწმუნოება აქვთ შეცვლილი და ქრისტეს მაგიერ მაჰმადს ადიდებენ. დღეს ჭოროხის ხეობის და მტკვრის სათავის ნახვა და იქ მოგ-

ზაურობა ადვილია და მგზავრს არაფრის შიში არ მოელის.

პროფესსორი ნ. ი. მარრი და ისტორიკოსი ე. ს. თაყაიშვილი ხშირად ეწვევიან ხოლმე როგორც ჭოროხის ხეობას, აგრედვე მტკვრის სათავეს, სწავლობენ და იკვლევენ შესანიშნავ ეკლესია-მონასტრებს, ციხე-ქალაქებს და ნახულსა და გაგონილს უზიარებენ ქართველობას.

აქ ჩამოთვლილ სწავლულთა და მოგზაურთა ნაამბობიდან ნათლად სჩანს, რომ ქართული ენა სუფთად შენახულა ქობულეთში, აჭარაში (აჭარის წყლის ხეობა), ლივანში და ჭანეთში. ჭოროხის სათავეს აღარ ესმის ქართული. შავშეთი ზედ აკრავს არტანს, მაგრამ ქართული აღარ იცის თითო ოროლას გარდა. ერუშეთი, არტანი, კოლა ჯავახეთის მოსამზღვრეა, მაგრამ აქაც აღარ იციან ქართული. ფოცხვისა და ჯაყის წყლის ხეობამაც, თუმცა ზედ აკრავს საათაბაგოს, დაივიწყა საბშობლო ენა.

ა) ფ ო ც ხ ო ვ ი.

ფოცხვის ხევს, ერუშეთს და კოლა-არტანს (არდაგანის ოლქი) ითვლება 67.575 ქალი და კაცი. რადგან მთავრობამ ქართველ მაჰმადიანებს ეროვნული სახელი შეუცვალა და ხან თურქებს, ხან თათრებს უწოდებს, ამიტომ ძნელი გამოსაცნობია ჯერ-ჯერობით, თუ რამდენი ქართველი ცხოვრობს არდაგანის ოლქში მაჰმადის რჯულისა და რამდენია სხვა ტომისა. თითქმის ნახევარი ამ კუთხის მცხოვრებთა—28,823 ნაჩვენებია როგორც თურქი. მაშ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ოცდა რვა ათასი რვაას ოცდა სამი ადამიანი ან საკუთრებით ჩამომავლობით

ქართველები არიან, ან მცირედად შერეულნი. რასაკვირველია, ამათში ნამდვილი თურქები, უფრო კი ოსმალონიც ერევიან.

არა ქართველთა შორის ყველაზე ბევრნი არიან ქურთები—11,317 ქალი და კაცი; ბერძნები—10,136; ყარა-ფაფახნი (შავ-ქუდიანები)—9,108; თურქმენები—4711; რუსები—1702; სომხები—519 და აპარლები—25.

სხვა და სხვა ტომის ხალხი ძრიელაა აპრელებული არდაგანისა, ჩილდირისა და ღელის საპოლიციო ნაწილებში, ხოლო ფოცხოვში, სადაც ითვლება 14,366 სული, მარტო მაჰმადიანი ქართველობაა. ქურთები სულ რაღაც 389 სულია, რომელნიც აქაც თავიანთ საყვარელ ხელობას ადგანან, ესე იგი მომთაბარობენ და საქონელს მწყემსავენ.

ფოცხოვი მთა-გორიანი ქვეყანაა, სწორედ ისეთივე, როგორიცაა ქვაბლოვანი საათაბაგოსი (ახალციხის მაზრა). ჰავა და ბუნება მშვენიერია, მთის კალთები და ფერდობნი შემკულნი ტყითა: ფიქვით, ნაძვით, წიფელით და რცხილით. სოფელ ბადელადან მოკიდებული არსიანის მთამდე, საიდანაც იწყობა შავშეთი და აპარა, ტყე ხშირია, ხოლო მთის მწვერვალნი სდგანან ტიტვლად. აქ ხაფხულობით ერეკებიან სხვილფეხ საქონელს და ცხვარს საბალახოდ.

ფოცხოვში ორი ეშმავრესი წყალია, ფოცხვისა და ჯაკისა. ამათ ერთვის მრავალი ტოტი, გამომდინარე ერეშეთის და რასიანის მთებიდან. წყლის პირებზე, ხეევებსა და ღელეებში სახნავი მიწებია და ხეხილის ბაღები. აქ მოჰყავთ ბალი, ქერი და სიმინდი. ხილეულობაში ყველაზე კარგად ხარობს ვაშლი.

ხვნა-თესვა, საქონლის მოშენება ისეთივეა, როგორც ქვაბლიანში. ფოცხოველი აბეზარი არაა, მშვიდობიანი ბასიათისაა და ძალზე ეტყობა დაჩაგრულობა. ქვაბლიანელის სითამამეს და სიამაყეს აქ ვერ იპოვნით.

ფოცხოვს სიგრძეზე სპრის ქვით დაფენილი გზა. იგი იწყობა ქ. ახალციხესთან, გაივლის ს. ვალეს, ბადელას, დამავლეს, მხარს აუქცევს დიგურს და ხანიორის ქედით გაემართება არტანისკენ. ხანიორის ქედს იქით ტყეები აღარ მოიპოვება. ძველად ფოცხოვიდან გზები გადადიოდა ერუშეთს, შავშეთს და აჭარას. დღევანდელ ქვა-ფენილ გზას ცუდად ინახავენ, თუმცა ეტლები დადიან და ჯარის მიმოსვლაც საძნელო არ არის.

უფრო თვალსაჩინო დაბა-სოფელნი ფოცხოვისა ესენი არიან: დამავლე, აგარა, დიგური, ჯუმათელი, წურწყაბი, ზედა-წმინდა, სტეფან-წმინდა, ბადელა, არილა, პეტუბანი, ქალის-წყალი, ყველი, ალი, გიორგის-უბანი, საკირე, ვარხანი, სათლელი, ჭანჭახი, ჭილვანა, შუაწყალი, ობოლა, საიხვე, ხეოთი, ღვინია, მერე, წინსათიბი და სხვა.

ს. დამავლეში ზის ფოცხოვის ნაწილის უფროსი და აქვეა მოთავსებული საპოლიციო, სამოსამართლო და საადმინისტრაციო დაწესებულებანი. დამავლედან ახალციხემდე ძლივს იქნები ოცდა ათი ვერსი, ამ სიახლოვის გამო აქაურებს დიდად ეადვილებათ ახალციხესთან საქმის დაპერა, მგრამ რაკი ფოცხოვი ადმინისტრატიულად არტანზეა მიწერილი, იქ უნდა იარონ და იქიდან ქ. ყარსს. ეს კიდევ რაა, ვისაც საქმე გაუჩნდება საოლქო სასამართლოში, ერევანს უნდა წავიდეს.

დამაელედან ს. დიგურამდე სულ ხუთი-ექვსი ვერსია. ეს პატარა სოფელი (62 კომლი) იმითია შესანიშ-

ნავი, რომ აქ არსებობს მაჰმადიანთა სკოლა, საიდანაც ღვთის მსახურნი გამოდიან. სკოლაში ასწავლიან არაბულს და სამღვრთო-რჯულს. მოწაფენი დიდხანს სწავლობენ და ზეპირობენ ყორანს, მაგრამ რიგიანად და საფუძლიანად ვერ ითვისებენ ვერც არაბულს და ვერც ყორანს. ხუმრობით დიღვირის (ასე ეძახიან ახალციხელები) სკოლას აკადემიას უწოდებენ, მაგრამ ვაი ამ აკადემიას, ათი-თორმეტი წლის სწავლის შემდეგ შეგირდები მიდიან სტამბოლს და იქ ამთავრებენ სწავლას. საათაბაგოს, ფოცხოვისა, ერუშეთის და კოლა-არტანის მოლები დიღვირის აკადემიკოსები არიან, თითო-ოროლას გარდა.

შეგირდები მასწავლებლებს ფასს არ აძლევენ. ათასში ერთხელ მათი დედ-მამანი მცირე ძღვენს თუ მიართმევენ ოსტატებს. შეგირდები შინიდან მოტანილ საგზლით საზრდოობენ, ან არა და მათხოვრობით გამოდიან. ასევე ირჩენენ თავს თვით სტამბოლშიაც. კვირის-კვირამდე დადიან სოფლად, მღერიან სამღვთო საგალობლებს, ცოტა რამ სანოვაგეს შოულობენ და ამ საგძლით ბრუნდებიან სტამბოლში. როცა გამოელევათ საჭმელი, ხელ-ახლა გაემგზავრებიან ხოლმე სოფლად საზრდოს მოსაკრებად. ადვილად მიხვდებით, რომ ამ გზით შეძენილი მეცნიერება აგრე რიგად ხელსაყრელი არ იქნება. ეს კია სათქმელი, რომ ამ სახით აღზრდილი მოლა რჯულის დიდ და შეურყეველ სიმტკიცეს იჩენს ცხოვრებაში. მაჰმადის რჯულზე უკეთესი არა მიაჩნია-რა ვერ დააჯერებ, რომ ცხონება სხვა რჯულის შემწეობითაც შეიძლება.

დიღვირში (დიგური) ცხოვრობდა მდიდარი და გავლენიანი ბეგი შაქირი, ნათესავი ფეიზულა-ბეგ ათაბაგ-

ქვაბლიანელისა *) ამ რამდენიმე წლის წინად შაქირ-ბეგმა მიყიდ-მოყიდა თვისი ქონება, ყველაფერი ფულად აქცია და სახლობით გადასახლდა სტამბოლს. ღონიერნი და ხმის აძომღებნი უცხოეთში მიდიან და შინ აღარავინ რჩება. დაჩაგრულსა და უმწეო ქვეყანას ვინღამ უნდა უპატრონოს, თუ ძლიერნი ამა ქვეყნისანი უცხოეთში გადიხვეწებიან?

ფოცხოვის ხეობანი სავსეა ციხე-კოშკებით და ეკლესიებით. კარგად შენახულან ეკლესიები: სათლელში, ზეინდარში, მერეში და ალში. მრავალი მათგანი დანგრეულია. ვერანა ხეოსმანის ეკლესიას ისე აქვს მოხვეული ბუჩქები, რომ სულ აღარა სჩანს პატარა ეკლესია და ვერა გზით ვერ მიუდგები შენობას. დანგრეული ეკლესიები არიან: ორტელში, ღვინიაში, პეტუბანში, ჭაბორიაში, ჯაჯუნში, მარცვალეთში, სეჯაში, ხეოთში, ვარხანში, ხანუმისში და აგარაში.

ციხე-კოშკებითაც მდიდარია ფოცხოვი. დიდ-ჭარალის მაგარი ციხე ფოცხოვშია, მაგრამ ეს სოფელი ეხლა მიწერილია ახალციხეზე. აგრედვე მიწერილია საათაბაგოზე ს. ჯაყისმანი, სადაც შესანიშნავი ციხეა და თლილი ქვით ნაგები ბან-ჩამონგრეული ეკლესია ქართულის წარწერით ხუცურად.

ციხეთა შორის შესანიშნავია ყალა-ბოინი და ჭანჭახი. ისტორიაში განთქმული ყველის ციხე სულ გავერანებულია და ოხრად გდია **).

---

*) განსვენებულ ფეიზულა-ბეგს თავი მოსწონდა თავის ჩამოშავლობით, უყვარდა ქართველობა, ქართული თეატრი და არ ერიდებოდა ქართველობას. ქართველი საზოგადოება კარგად იცნობდა ფეიზულა-ბეგს.

**) 1080 წელს მეფე გიორგი II თავის ჯარით იდგა ყველის-ციხეში. თურქები დაეცნენ მეფეს და დაამარცხეს. მეფე ყველიდან აჭარას გადავიდა.

ყალა-ბოინი (კლდის თავი) ამართულია ჯაყის-წყლის ორთავე ნაპირას, იქ სადაც იგი ერთვის ფოცხოვს. ციხე ამაყად დაჰყურებს ორთავ ხეობას და წარსულში, როცა განუწყვეტელი ომი და მტრის თავდასხმა აოხრებდა საქართველოს, ალბად ეს მაგარი ციხე ერთგულ სამსახურს და დარაჯობას უწევდა ფოცხოვს. ვახუშტის აზრით ეს ციხე ეკუთვნოდა ჯაყელებს, შემდეგ მესხეთის და საათაბაგოს ათაბაგთ.

ყალა-ბოინის სიახლოვეს მეორე უფრო დიდებული ციხეა ს. ჭანჭახში. ზემო და ქვემო ციხე მდინარის ერთ პირზეა, ხოლო მესამე წყლის მეორე ნაპირზეა. მათ შორის უეჭველია ასაწევ-დასაწევი ხიდი იქნებოდა. ჭანჭახის ახლო-მახლო მრავალი დანგრეული ეკლესიებია: სოფელ საკირეში, ენგიქევ'ში (ახალსოფელში) და სხვა.

ს. საკირეს ახლო სოფელ ალ'ში დღევანდლამდე გადარჩა მშვენიერი ეკლესია, ნაგები თლილის ქვით, მაგრამ მალე ხელიდან გამოგვეცლება, რადგან სოფლელებმა მოხსნეს თლილი ქვები და წაიღეს ჯამეს სახლების საშენად. ზოგი ქვა წყლის მილებად უხმარიათ. დასუსტებული კედლები და სვეტები გუმბათის სიმძიმეს ვეღარ გაუძლებენ და გუმბათი მალე ჩამოწვება. წარსულის დიდების ნაშთი—ალის კოხტა ეკლესიაც მალე დაინგრევა უპატრონობით და უზრუნველობით. ეკლესიას მხატვრობაცა აქვს. დახატულია დედოფალი და ჭაბუკი მხედარი.

ყველის ციხის სიახლოვეს არის სოფელი წურწყაბი. ბატონიშვილი ვახუშტის სიტყვით, წურწყაბში ყოფილა ეკლესია გუმბათიანი, კეთილ-მშვენიერად ნაგები

და დიდი. აქა მჯდარა ეპისკოპოზი, რომელიც განაგებდა სამწყსოს ახალციხის წყლიდან არსიანის და ერუშეთის მთებამდე და მდ. მტკვრამდე.

ამ მშვენიერ საკათედრო ეკლესიისა დღეს კვალიც აღარ მოსჩანს. წურწყაბელებს დაუქცევიათ და თლილი ქვით ჯამე *) აუშენებიათ — აღმოსავლეთის კედელი ჯამესი აშენებულია ეკლესიის კედელზე. ამ ცოდვის გასაქარწყლებლად წურწყაბელები ამბობენ, რომ არც ჩვენ წინაპრებს არ ახსოვთ, რომ აქ ოდესმე ეკლესია ყოფილიყვესო. ჩვენ იმ ოსმალთა ჩამომავალნი ვართ, რომელთაც ეს ქვეყანა დაიმორჩილესო...

თურქ-ოსმალების შემოსევამ მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისს ასე წაახდინა ზემო-ქართლის ეს მშვენიერი კუთხე. ფოცხოვს დაუკარგა ქართული ენა, ეს უპირველესი განძი ყოველის ერისა და დღევანდელი ფოცხოველი, შეუგნებელი და ბნელით მოცული, წარსულ დიდების ამაგსაც და ნაშთებსაც აღარ ინდობს. მაგრამ მოხდება ის რაც მდინარეს ემართება ხოლმე, იგი ნარუალს არა ჰკარგავს. ცოტაოდენი სიმხნევე და დაფერფლილი ეროვნული აზრი ხელ-ახლა აყვავდება.

ბ) ერუშეთი, არტანი, კოლა, ჩულურეთი.

მტკვრის სათავის ქვეყნები, ან ზემო ქართლი, ერუშეთი, კოლა და არტანი ძველის-ძველად ერთ საერისთოს შეადგენდა. ამ საერისთოს ეკუთვნოდა აგრედვე ჯავახეთი. ბაგრატიონთ გვარი რომ გამეფდა საქართველოში (VI საუკუნე), ზემო ქართლი გაიყო ორ საერის-

*) ჯამე მუსულმანთა სამლოცველია.

თოდ: წუნისა და არტანისად. ერუშეთ-კოლა-არტანის თავი ქალაქი იყო არტანი, დღევანდელი არდაგანი. სამშობლო ისტორია ამბობს. რომ არტანი ააშენა მცხეთის მამასახლისის შვილმა ჯავახმა.

ერუშეთს ეკირა მტკვრის მარცხენა ნაპირი არტანიდან მოყოლებული მონასტერ ვარძიის სირონამდე. მტკვრის მარცხენა ტოტი სამღერეთის, ან ერუშეთის წყალი შუაზე ჰყოფს ერუშეთს. რუსულ ქარტაზე სამღერეთის სახელით არც ერთი მდინარე არაა მოხსენებული. გაჰქრა ეს წმინდა ქართული სახელი, როგორც ბევრი რამ ქართული. სოფელ ნაქალაქევის ახლოს აღნიშნულია რუსულ ქარტაზე მდინარე ხანის-წყალი (ხანიჩაი) და ალბად ეს მდინარე თუა ისტორიული სამღერეთის, ან ერუშეთის წყალი *).

ერუშეთის სამზღვრებია: აღმოსავლით მტკვარი, დასავლით არსიანი, ჩრდილოთ ერუშეთის მთა და სამხრით არსიანის შტო.

არტანისა: აღმოსავლით ყარსის მთის შტო, დასავლით არსიანი, ანუ ქვა-ყრილი, ჩრდილოთ მცირე შტო არსიანისა და სამხრით მცირე მთა ფოსოს (ჩუღურეთი) და კოლას შორის.

კოლასი: აღმოსავლით ყარსის მთა, დასავლით ქვა-ყრილი, ჩრდილოთ მცირე მთა არტანსა და კოლას შორის და დასავლით იგივე ყარსის მთა, რომელიც იწყობა ქვა-ყრილიდან და მიემართება ჯავახეთის ნიალის-ყურამდე.

---

*) კარგს იზამენ არდაგანის ოლქში მცხოვრები ქართველები, თუ აიღებენ ვახუშტისა და რუსულ ხუთ ვერსიან ქარტებს და შედარების შემწეობით აღადგენენ ძველ ქართულ სახელწოდებას მთებისას, მდინარეთა და დაბა-სოფელთა და გამოუგზნვნიან ამ ძვირფას ცნობებს „ნაკადულს“ ჩვენთვის გადმოსაცემად.

არტანს და კოლას მტკვარი ზედ შუა წელზე ჩამოუდის. ყარსისა და ქვა-ყრილის ბოლოებიდან მრავალი დიდი და პატარა ხეობანი ერთვის მტკვარს. მტკვარი აქ მჩქეფარე და მარდია, მოდის ღრმად დაცემულ ხრამში. ალაგ-ალაგ შეეიწროებული კლდეთაგან ისე ჰქუხს, როგორც განთქმული თერგი და ზვირთებს ისე მაღლა ისვრის, გეგონება ზეცას უნდა ააწვდინოს ქაფად ქცეული ზვირთებიო. მშვენიერი სანახავია გაზაფხულზე ადიდებული მტკვარი! სიცოცხლით სავსე იგი წააგავს მაშინ ფაფარაყრილ ლომს.

წინად, საქართველოს მეფეების დროს და შემდეგ ოსმალების ბატონობის დროს, ერუშეთ-კოლა-არტანს საკმარისი გზები ჰქონდა. არსიანის მთით ერუშეთიდან გზები მიდიოდა შავშეთს და ტბეთს, ხოლო ერუშეთის მთით ფოცხოვს და სამცხეს. არტანიდან გზა გადადიოდა ბანას და არტანუჯს (რუსები არდანუჩს ეძახიან) ქვა-ყრილის ქედით. კოლიდან გზა მიდიოდა ყარსის ადგილებში.

დღევანდელ არდაგანის ოლქს ორი ქვაფენილი (შოსსე) გზა აქვს. ერთი მიდის ქ. ახალქალაქიდან და გაივლის სულდას, კარწახს, ზურზუნას და შედის არტანში, ხოლო მეორე იწყობა ქ. ახალციხესთან, გაივლის ფოცხვის ხეობას, გადალახავს ხანიორის უღელტეხილს და შემდეგ ჩადის არტანს. აქედან გზა გადადის ქ. ოლთისში, რომელიც ზედ ოსმალეთის სამზღვრის პირზე სდევს.

ბუნება ერუშეთ-კოლა-არტანისა ისეთივეა როგორც ჯავახეთისა. რადგან ამ ქვეყანას მაღალი მდებარეობა აქვს, ზამთარში დიდი თოვლი მოდის და ძრიელ დიდ სიცივეს იტერს. აქაური ყინვა არაფრით ჩამოუვარდება რუსეთის მკაცრ სიცივესა და ყინვა-ტეხვრას. მაღალ მდე-

ბარეობის წყალობით ზაფხულში ჰავა გრილია, ხოლო ხანდახანობით დიდი მწვავე სიცხეები იცის. საზოგადოდ აქაური ჰავა საღი და მარგებელია. ციებ-ცხელება გაგონითაც არ გაუგონიათ აქაურებს.

ჯავახეთსავით აქაც მოიპოვება ტბანი. ყველაზე დიდი ტბა ჩილდირისაა, რომელსაც უჭირავს 11.953 დესეტინა, ან 23,906 ქართული დღიური. ჩილდირის ტბა განთქმულია კალმახით. აქაური კალმახი დიდი ტანისაა და მეტის-მეტად გემრიელია. სანახავიდაც საამურია, რადგან ბლომად აყრია ზურგსა და გვერდებზე დიდი წითელი წინწკლები. ჩილდირის ტბაში დაჭერილი კალმახი ქალაქშიაც კი მოაქვთ გასასყიდად.

ქართულად ჩილდირის ტბას პალაკაციოს ტბა ჰქვიან.

ერეშეთ-კოლა-არტანი უვენახო და უხილო ქვეყანაა. ვერც იხეირებს აქ ვაზი და ხეხილი, კიდეც რომ გააშენონ, რადგან მდებარეობა ქვეყნისა მაღალია და ზამთარში სასტიკი სიცივეები იცის. ხვნა-თესვის გარდა მცხოვრებნი მისდევენ საქონლის მოშენებას. ამ ხელობას ხელს უწყობს უხვი იალაღები. არტანისა და კოლის ეაკენი და ველ-მიდორნი, აგრეთვე უტყეო მთანი გაზაფხულსა და ზაფხულში უხვად იმოსება ნოყიერის ბალახით, ყვავილით და დიდძალ საქონელს აპურებს და ასაზრდოებს. საბალახოდ ცხვრის ფარები ამოჰყავთ არტანის მთებზე თუშებს, ქიზიყელებს და დიდ-თონელებს. სოფ. დიდ-თონეთს (მანგლისის ახლოა) საკუთარი საბალახო აქვთ არდაგანის ოლქში. გენერალ პასკევიჩს უწყალობებია ეს საძოვარი თონელებისთვის და დღევანდლამდე მაგრად უჭირავთ თავისი საკუთრება და არავის ანებებენ.

გადარჯულებულ და გადაგვარებულ არტანს რომ

ეწვევიან ხოლმე ზაფხულობით თუშნი და ფშავნი, ქიზიყელნი და დიდ-თონელები, მარტო მაშინ ედება ამ ქვეყანას ცოტაოდენი ელფერი ქართველობისა. სხვა დროს, შემოდგომა-ზამთარს და გაზაფხულს აღარსად მოისმის ქართული ხმა და მარტოოდენ თურქ-ოსმალური სიტყვა-პასუხია ყველგან გაბატონებული.

ერუშეთ-კოლა-არტანის საქონელი დიდი ტანისაა. აქაურ საკლავ საქონელს გასასყიდად ტფილისში ჰგზავნიან და ძალიან ხშირად იმერეთსაც ახალციხის გზით, ზეკარის უღელტეხილით და ბალდადით.

კოლა-არტანს სრულებით აღარაა ტყეები, არც ის ვიცით, იყო როდისმე აქ ტყეები თუ არა. ალაგ-ალაგ, ისიც წყლის-პირებზე მოიპოვება არყნალის ბუჩქები. ერუშეთში დღესაც არის ტყეები, მაგრამ ძალიან ცოტა. ასორმოცდა ათის წლის წინად აქ ბლომად ყოფილა ტყეები, მაგრამ გაუჩეხიათ და ქვეყნისათვის დაუკარგავთ დამამშვენებელი სამოსელი.

უტყეობის და უშეშობის მიზეზით აქაურები პურის გამოსაცხობად, საკმლის მოსახარშად და სახლის გასათბობად ხმარობენ წივას. როგორც ჯავახეთში, ისე აქ თვითოეულ სახლის წინ ამართულია წივის ზვინები, რომელნიც ისედაც ულაზათო მიწურ სახლებს უფრო მეტად აუშნოებენ და ლაზათს უკარგავენ.

ერუშეთ-კოლა-არტანის უფრო შესანიშნავი დაბა-სოფელნი და ქალაქნი ესენი არიან. ერუშეთისა: სამღერეთი, ნაქალაქევი, ერუშეთი*), ველი, წყაროსთავი, ვაშლობი, კანარბელი, კართანაყევი და სხვა. ისტორიულ სამღერეთის სახელი აღარ შენახულა. ჩვენის ფიქრით სამღერეთის ადგილზე სოფელი ველი უნდა იყვეს. კარგა-

*) ერუშეთი და სამღერეთი რუსულ ქარტებზე აღარაა.

ხანია ამ სოფლიდგან გადმოსახლდნენ აქაური ქართველები ჯავახეთს და დასახლდნენ ოთხ ნასოფლარში: ბაერაში, კართიკამში, ხულგუმას და ტურცხს. სარწმუნოებით კათოლიკენი არიან და უკირავთ სომხის ტიბიკონი. შინ თათრულად ლაპარაკობენ, მაგრამ ვაი ამ თათრულს, ნახევრად ქართული სიტყვებია, რასაკვირველია დამახინჯებული. ურევია აგრედვე სომხური სიტყვები. აქაური ახალგაზდობა ძრიელ ეტანება სომხურს. ს. კართიკამის მოძღვარი მამა იგითხანოვი კარგი ქართულის მცოდნეა.

ნაქალაქევი ძველად ქალაქი იყო. ბატონიშვილი ვახუშტის სიცოცხლის დროს, მეთვრამეტე საუკუნის შუა წელს, დაბად ქცეულა. დღეს უბრალო, უხეირო სოფელია, სულ რაღაც 70—80 კომლიანი. ქართულს სულ აღარავინ ლაპარაკობს. ნაქალაქევს ყოფილა ეკლესია მშვენიერი, გუნბათიანი, აშენებული, საქართველოს მეფე მირიანთან ბიზანტიის მეფე კოსტანტინე დიდის გამოგზავნილ ელჩისაგან. ელჩს დაუსვენებია ეკლესიაში სამკვალავი ქრისტესი (ლურსმანი). ნაქალაქევს იჯდა ეპისკოპოზი ერუშეთისა და არტანისა. ვახუშტის დროს ეკლესია მთელი და დაურღვეული იყო, ხოლო ცარიელი. მაშასადამე მეთვრამეტე საუკუნის ნახევარს ოსმალებს ქრისტიანობა ამოუგდიათ და ღვთისმსახურნი გაუწყვეტიათ.

ს. წყაროსთავი ჯავახეთს ზედ აკრავს კარგად შენახული კოხტა ეკლესია ამშვენებს ღარიბსა და უსუფთაობით სავსე თურქებით დასახლებულ წყაროსთავს. რუსულად აქაურებს თურქები ჰქვიან. შეიძლება ბევრი მათგანი ქართველის ჩამომავალი იყვეს.

არტანის ნაწილში უფრო საყურადღებოა თვით არტანი და შემდეგი დაბა-სოფლები: ჯინჭრობი, მაჭუეთი,

ნუნუსი, დუდუნა, ბალდადი, ახაშენი, ჯარის-ხევი, ორუ-შეთი (ალბად ეს ძველი ერუშეთის ნაშთია). სახელები ქართულია, მაგრამ შიგ ქართული აღარა ყრია-რა.

არტანი პატარა ქალაქია და არც ძველად ყოფილა დიდი, აშენებულია მტკვრის დასავლით კიდეზედ და ჰქონდა მაგარი ციხე. არტანს იჯდა ერისთავი არტანისა და კოლისა. აქვე იყო ეკლესია გუნბათიანი, დიდ-შენი, მშვენიერი და როგორც სხვა მრავალი ეკლესია მტკვრის სათავისა დაცარიელდა მეთვრამეტე საუკუნეს.

არტანის ახლოს რუსებმა გააშენეს ორი სოფელი: მიხაილოვკა და ნიკოლაევკა.

ძველებური კოლა გაჰქრა, ამ სახელით არც ერთი დაბა სოფელი არაა ღელის ნაწილში. ქართულ სახელიანი სოფლები აქაც მოიძებნება, მაგალითად: დადეში, ოთხი საყდარი, ხევა, ოკამი (დუშეთისა და ახალ-ქალაქის მაზრებშიაც არის), პანკისი (თიანეთის მაზრაშიაც არის), დადაშენი.

როცა საქართველოს საკუთარი მეფენი განაგებდნენ და უვლიდნენ, კოლა მცირე ქალაქი ყოფილა. ამ ჟამად ნასოფლარიც აღარ მოიძებნება კოლას ადგილას. ეს სახელი მოიპოვება ოვსეთში, ქეშელთის სამამასახლისოში, გორის მაზრაში.

ოსმალონი რომ გაბატოდნენ საქართველოს ამ ნაწილში კოლაში დასვეს ფაშა და სახელად უწოდეს კოლას ფაშა. იგი ემორჩილებოდა ახალციხის ფაშას. კოლას ზევით, მტკვრის კიდეზედ ს. დადეშს იყო დიდ-მშვენიერი და გუმბათიანი ეკლესია. აქ იჯდა ეპისკოპოზი სრულიად კოლისა (დადაშნელი). ტახტი დადაშნელისა გაუქმებულა ვახუშტის დროს. მოხსენებული აქვს ბატონიშვილ ვახუშტის სოფელი ქუმურლო, სადაც ყოფილა მაგარი და შეუვალი ციხე. ბატონიშვილის აზრით ქუმურლოს ციხე ბეჭის-ციხეა.

კოლელები იგივე ჯავახები არიან. მეთვრამეტე საუკუნის ნახევარს ნახევარზე მეტს რჯული გამოუცვლია. მას შემდეგ გაიარა 150 წელიწადმა და კოლაში სრულიად ამოვარდა როგორც ქართული, აგრედვე ქრისტიანობა.

არტანსა და ჯავახეთ შორის იყო პატარა კუთხე ჩულურეთი, ეაკიანი და ტიტველი, როგორც არტანი და ჯავახეთი.

მაშ ასე, ზემოდ ნაამბობიდან სჩანს, რომ უცხო ერის, თურქ-ოსმალოს შემოსევამ მოსწყვიტა საქართველოს ხუთი პატარა კანტონი (თემი, მაზრა, ხეობა): ფოცხოვი, ერუშეთი, არტანი, კოლა და ჩულურეთი. ორას წელიწადზე მეტი ბატონობდა აქაურობას ოსმალო და თვისი ტლანქი ხელით აამტუტა ეს ხუთი პატარა კუთხე. ამოვარდა ენა, დაიღუპა რჯული, შეიცვალა ზნე, ჩვეულება, ჩაცმა-დახურვა. მარტოოდენ სახელწოდება ზოგიერთა სოფელთა, ეკლესიანი და მათი ნანგრევებიღა მოაგონებს ადამიანს, რომ ფოცხოვი, ერუშეთი, არტანი, კოლა და ჩულურეთი ისეთივე საქართველო იყო, როგორიცაა ქართლი, კახეთი, იმერეთი, და სამეგრელო.

როგორც თავში მოვიხსენიეთ, ფოცხოვი, ერუშეთი, არტანი, კოლა და ჩულურეთი შემოიერთა რუსეთმა 1878 წლის ომის შემდეგ, ერთ არდაგანის ოლქად შეაკოწიწა, მაგრამ ამ შემოერთებით ვერც არაფერი ხეირი რუსეთმა ნახა, ვერც არაფერი ჩვენ ქართველებმა.

სულ სხვანაირად დატრიალდებოდა საქმე, ქართული ენა რომ გამხდარიყო საადმინისტრაციო ენად. ძველი ქართველი ადვილად შეითვისებდა ქართულს და ამ ენის შემწეობით ჩაერეოდა ევროპულ კულტურის ფერხულში.

სარჩევი:

I.

დიდებული მესხეთი გვ. 5
ჟურნალი »მოამბე«, 1912 წ., № III.

II.

ნახული და გაგონილი.

1. **მიხეილ მეფის შვილის გარდაცვალება,** გვ. 41
»ივერია«, 1902 წ. № 15.
2. **მაჰმადიან ქართველების გადასახლება,** გვ. 44
»ივერია“, 1903 წ., № 97.
3. **მთავარ-დიაკონი ჯვარიძე,** გვ. . . . 52
„ივერია«, 1903 წ., № 107.
4. **შოთა რუსთველი,** გვ. 59
„ივერია«, 1903 წ., № 187.
5. **ვარძია,** გვ. 67
»ივერია“, 1904 წ. №№ 134, 141, 146, 150 და 159.

III.

სამშობლო ქვეყანა.

1. **სამცხე-საათაბაგო,** გვ. 114
ჟურნალი „ნაკადული“, 1908 წ., №№ 2, 3. 4 და 6.
2. **ჯავახეთი,** გვ. 143
ჟურნალი »ნაკადული“, 1908 წ., №№ 8, 10, 11, 12, და 1909 წ. № 1.
3. **ფოცხოვი, ერუშეთი, არტანი, ჩულურეთი, კოლა,** გვ. 174
ჟურნალი »ნაკადული“, 1909 წ., № 4, 5, 6.

ალექსანდრე ფრონელი.

1. **მთიულეთი** 1914 წ. ისტორიული ამბავი 40 კ.
2. **ამბოხება კახეთისა,** ისტორიული ამბავი 70 „
3. **მთის არწივი შამილი,** ისტორ. ამბავი 25 „
4. **დიდებული მესხეთი,** კრებული . . . 45 „

დაისტამბა და უკვე იყიდება საქართველოს ყველა წიგნის გამყიდველებთან:

№ 1. **აჭარის მთავარი ახმედ-ფაშა ხიმ-შიაშვილი,** თხზ. აბესაძისა, ფასი . 5 კ.

№ 2. **ისტორიული სურათები,** განყ. 1) ქართული ეკლესიის გამოყოფა საბერძნეთის ეკლესიიდგან და 2) ქართველი ქალები, თხზ. დიმ. ჯანაშვილისა ფასი 75 „

№ 3. **ელგუჯა,** რომანი ალ. ყაზბეგისა ფასი . . . . . 10 „

№ 4. **ვინ იყო ილია ჭავჭავაძე?** ამოღებული ჟურ. „მიწიდგან“ ფასი . . 3 „

№ 5. **დიდებული მესხეთი,** ალ. ფრონელისა, ფასი . . . . . 45 „

მზადდება გამოსაცემად:

1. ქართველი პოეტების საუკეთესო ლექსთა კრებული.

2. სამი პატარა წიგნაკი ქართველ მაჰმადიანთათვის: ა) ქართული ანბანი; ბ) ქართულ-არაბული ანბანი,

3. ლექსები ქართველ მაჰმადიანებში მოკრეფილი.

4. ძველი ქართველები ხეთი და ნაირი, თხზ. სიმონ ქვარიანისა.

5. აჩრდილნი წარსულისა, მოთხრობა ნიკო ლომოურისა ამბავი საქართ. წარსულიდგან.